



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ალიკა გუჩუა

სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღება და მისი
განმსაზღვრელი პოლიტიკა ევროატლანტიკური
უსაფრთხოების გეოსტრატეგიის კონტექსტში: ნატო და
მასობრივი განადგურების იარაღი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილია

დისერტაცია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 0141, საქართველო

2020

საავტორო უფლება © 2020 წელი, „ალიკა გუჩუა“

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ალიკა გუჩუას მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღება და მისი განმსაზღვრელი პოლიტიკა ევროატლანტიკური უსაფრთხოების გეოსტრატეგიის კონტექსტში: ნატო და მასობრივი განადგურების იარაღი“ და ვაძლევთ რეკომენდაციას, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

„----“,2020 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი,

ვახტანგ მაისაია -----

რეცენზენტი: -----

რეცენზენტი: -----

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

2020 წელი

ავტორი: ალიკა გუჩუა

თემის დასახელება: „სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღება და მისი განმსაზღვრელი პოლიტიკა ევროატლანტიკური უსაფრთხოების გეოსტრატეგიის კონტექსტში: ნატო და მასობრივი განადგურების იარაღი“

ფაკულტეტი: სოციალურ მეცნიერებათა

აკადემიური ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: „-----“, ----- 2020 წელი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღებას და მის განმსაზღვრელ პოლიტიკას ევროატლანტიკური უსაფრთხოების გეოსტრატეგიაში. კერძოდ ნატოს და მასობრივი განადგურების იარაღის როლსა და მნიშვნელობას მსოფლიოს პოლიტიკაში თუ გავლენას ახდეს ის სხვადასხვა პროცესებზე გლობალური უსაფრთხოების კონტექსტში. ნაშრომში გაანალიზებულია სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღების და მასობრივი განადგურების იარაღის ფაქტორი თუ რა ზეგავლენას ახდეს ევროატლანტიკური ალიანსის და მის შიგნით შემავალი სახელმწიფოების და მსოფლიოს დანარჩენი სახელმწიფოების პოლიტიკაზე და საერთოდ გეოპოლიტიკურ პროცესებზე. ასევე გამოვლენილია გლობალური უსაფრთხოების შენარჩუნების კუთხით ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ უსაფრთხოების უზრუნველყოფას ან ხელს უშლიან აღნიშნულ პროცესს.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, 9 ქვეთავის, ექსპერტების კვლევის და დასკვნისაგან, ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები.

შესავალში დასაბუთებულად განხილულია საკვლევის თემის აქტუალობა; გადმოცემულია კვლევის მიზანი, ამოცანები, კვლევის ობიექტი, საგანი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები; ჩამოყალიბებულია ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე; ნაჩვენებია ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ინფორმაციული ბაზა.

პირველი თავი ეთმობა ევრო-ატლანტიკურ სივრცეში მასობრივი განადგურების იარაღის ფაქტორის მნიშვნელობის ისტორიული და პოლიტიკური ასპექტების მიმოხილვას. თუ რა როლს თამაშობდა ის გლობალურ პოლიტიკაში და რამდენან შეუწყო მასობრივი განადგურების იარაღის არსებობამ მსოფლიოში გარკვეული დაძაბული პოლიტიკური

პროცესების მიუხედავად და თუნდაც ლოკალური ომები ბირთვულს სახელმწიფოებს შორის არ გადაზრდილიყო ფართომასშტაბიან შეტაკებებში ან დუნდაც მესამე მსოფლიო ომში. განხილულია ნატოს როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო მშვიდობის დამკვიდრების საქმეში და განიარაღების პოლიტიკის განხორციელებაში.

პირველი თავის პირველი ქვეთავი ეთმობა მასობრივი განადგურების იარაღის (მათ შორის ბირთვული იარაღის) არსის, ტიპოლოგიის, მეთოდოლოგიურ საფუძვლებს და მისი პოლიტიკურ-სამართლებრივი რეგულირების ფაქტორებს. განმარტებულია თუ რას წარმოადგენს მასობრივი განადგურების იარაღი და მის ცალკეულ კომპონენტებს რამდენად დამანგრეველი შედეგის მოტანა შეუძია გლობალური უსაფრთხოებისთვის და მთელი ცოცხალი ორგანიზმებისთვის. მიმოხილულია ის ძირითადი მეთოდები რომელიც შემუშავებულ იქნა მასობრივი განადგურების იარაღისაგან მომდინარე საფრთხეების და გამოწვევების კვლევისა და გაანალიზებისათვის აუცილებელია საჭირო.

პირველი თავის მეორე ქვეთავში საუბარია მასობრივი განადგურების იარაღის გადამტანი შეიარაღების კლასიფიკაციაზე და მის როლზე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში. თუ რამდენად დიდ როლს თამაშობდა და თამაშობს სტრატეგიული შემტევი შეიარაღება და რა საშუალებებით არის შესაძლებელი აღნიშნული იარაღების გადატანა მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში სამიზნეების გასანადგურებლად.

პირველი თავის მესამე ქვეთავში განხილულია „ცივი ომის“ ფენომენი და ბიპოლარულ ეპოქაში სტრატეგიული დაშინების პოლიტიკის გეოპოლიტიკა. რა გავლენა იქონია მსოფლიოზე ცივი ომის პერიოდმა, რამდენად მნიშვნელოვანია დიპლომატიის, მოლაპარაკებების და პრაგმატული პოლიტიკის გატარება გლობალური უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის და იმისთვის, რომ კაცობრიობა სრულიად არ გადაშენდეს. ვეხებით ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორც არის ბირთვული დაშინების პოლიტიკა რომლის შედეგადაც ორ მტრულად

დაპირისპირებულ ბანაკს შორის არ მოხდა ომი, რაც დღევანდელ გეოპოლიტიკურ სურათს სრულად შეცვლიდა და გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურას ჩამოშლიდა.

მეორე თავში აღწერილია ნატოს მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის პოლიტიკა - ალიანსის პოლიტიკის კონკრეტული შემთხვევის გარჩევა (Case Study). თანამედროვე საერთაშრისო პოლიტიკაში გლობალური უსაფრთხოების დამკვიდრებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის პოლიტიკის წარმოება, როგორც ალიანსისათვის ასევე, მსოფლიო პოლიტიკის დანარჩენი მოთამაშებისთვის. ახალი სახელმწიფოს ან არასახელმწიფოებრივი აგრესიული აქტორის დამატება აღნიშნული იარაღის რომელიმე კონკრეტული კომპონენტით ნიშნავს ამ იარაღის გამოყენების მეტ შანსს და გლობალური უსაფრთხოებაში ახალი გამოწვევების გამოჩენას. განხილულია კონკრეტული მაგალითები რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს გლობალური მშვიდობის დამკვიდრებაში.

მეორე თავის პირველ ქვეთავში საუბარია ნატოს სტრატეგიული კონცეფციებზე და მასობრივი განადგურების იარაღის ისტორიაზე და იმ რთულ რეალობაზე რომლის წინაშეც დადგა მსოფლიო აღნიშნული შეიარაღების შექმნის შემდგომ. მიმოხილულია ის ფაქტორები თუ რატომ ცდებოდა აუცილებლობა ახალი სტრატეგიული კონცეფციების შემუშავება, რა უშლიდა ამას ხელ და როგორ პოლიტიკას ატარებდა ამ დროს საბჭოთა კავშირი და შემდგომ უკვე რუსეთის ფედერაცია და დანარჩენი ბურთვული სახელმწიფოები.

მეორე თავის მეორე ქვეთავში ნატოს „ბირთვული ტრიადის“ გეოსტრატეგიული ასპექტები. განხილულია ის სამი ძირითადი კომპონენტი თუ რისგან შედგება „ბირთვული ტრიადა“, საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო შეიარაღება და მათ მნიშვნელობაზე ომის წარმოებისას და ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. თუ რატომ არის აუცილებელი სამივე კომპონენტის ქონა და რამდენა ეფექტურად შეძლებენ

სახელმწიფოები თავდაცვასა თუ თავდასხმას ან ყველაზე ცუდი სცენარის შეთხვევაში სრულად ურთიერთ განადგურებას.

მეორე თავის მესამე ქვეთავში კოალიციური სამხედრო დაგეგმარების სტრატეგია და ბირთვული დაშინების პოლიტიკა. განხილულია ის ძირითადი მმართველი ორგანიები რომლებიც არიან პასუხიმგებლები თავდაცვის პოლიტიკაზე და ომის წარმოებაზე, ასევე რა თქმა უნდა თუ რა როლი აკისრიათ მათ მშვიდობის შენარჩუნებაში და რამდენად მნიშვნელოვანია მათ მიერ პრაგმატული გადაწყვეტილებების მიღება ომების თავიდან ასაცილებლად. მიმოხილულია სამხედრო დაგეგმარების ის ძირითადი ელემენტები თუ როგორ ხდება ეს პროცესი და რა ადგილი უჭირავს ამაში ბირთვული დაშინების პოლიტიკას.

მესამე თავში განხილულია ნატოს სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღების ფაქტორი ალიანსის გეოსტრატეგიის განსაზღვრაში 21-ე საუკუნის პერიოდში. თანამედროვე დროში ალიანსის წინაშე იმ არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებზე და რისკებზეა ყურადღება გამახვილებული. როგორ ევრძვის ებრძვის და რა სტრატეგიებს იყენებს ალიანსი გამოწვევებზე რეაგირებისთვის.

მესამე თავის პირველ ქვეთავში პოსტ-ბიპოლარული პერიოდის ბირთვული ომის სტრატეგიული მოდელირება. განხილულია და მოყვანილია მაგალითები თუ როგორ ამუშავებენ ბირთვული სახელმწიფოები ბირთვული ომის მოდელირებებს და რა ფაქტორებზე აახვილებენ ყურადღებას. ასევე თუ რომელ სტრატეგიებს იყენებენ თავდაცვისა და თავდასხმის საწარმოებლად.

მესამე თავის მეორე ქვეთავში ნატოს ბირთვული შეკავების პოლიტიკა ახალი ასიმეტრიული საფრთხეების პირობებში. საუბარია იმ გამოწვევებზე რომლის წინაშეც დგება ალიანსის უსაფრთხიება როდესაც მტერი უცნობია და საფრთხემ შეიძლება თავი იჩინოს ყოლელ წამს. რა ტაქტიკას იყენებს ნატო და რა რეაგირების მექანიზმები გააჩნია მას ასიმეტრიულ საფრთხეებზე რეაგირების მიმართულებით.

მესამე თავის მესამე ქვეთავში ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის რეგიონული მიდგომები - შავი ზღვის უსაფრთხოების განზომილების ფარგლებში. საუბარია იმ ძირითად სირთულეებზე და შესაძლებლობებზე რომელიც გააჩნია ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის კონტექსტში. განხილულია რეგიონული პოლიტიკის ის ძირითადი მიდგომები და მახასიათებლები რომელიც გააჩნია ნატოს შავი ზღვის უსაფრთხოების განზომილებაში. ასევე, განხილულია კვლევის შედეგები და ის მიდგომები თუ როგორ უნდა იმოქმედონ სახელმწიფოებმა და პირველ რიგში სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღების და მასობრივი განადგირების იარაღის მფლობელმა სახელმწიფოებმა გლობალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

დასკვნაში მოცემულია კვლევის ზოგადი შედეგები და რეკომენდაციები, რომლის გათვალისწინების და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების შედეგად ნატოს წევრს სახელმწიფოებს და მსოფლიო პოლიტიკის გლობალურ მოთამაშეებს, პირველ რიგში ბირთვულ სახელმწიფოებს მსოფლიო პოლიტიკის სხვა მოთამაშეებთან ერთად მზაობის შემთხვევაში შეძლებენ გლობალურის უსაფრთხოების წინაშე მდგარი საფრთხეების, რისკები და გამოწვევების აღმოფრხვრას ან შემცირებას, რაც საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხის მიმართულებით წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. აგრეთვე უზრუნველყოს სახელმწიფოებს მასობრივი განადგურების იარაღისაგან მომდინარე საფრთხეებისაგან გარკვეულწილად თავდაცვისუნარიანობის და საფრთხეებზე რეაგირების კუთხით მზადყოფნის გაზრდას. შემოთავაზებულ რეკომენდაციებში აქცენტირებას ვახდენთ საფრთხეებზე რეაგირების საჭირო ზომების უზრუნველყოფის გზებზე, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება პრაგმატული პოლიტიკის გატარება სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მშვიდობის, სტაბილურობის და გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაცვისა და შენარჩუნების საქმეში.

Annotation

The dissertation paper is devoted to strategic strike weapons and its defining policies in the Euro-Atlantic Security Geostrategy. In particular, it discusses the role and importance of NATO and weapons of mass destruction in world politics, what impact they have on various processes in the context of global security. The paper analyzes the factor of strategic strike weapons and weapons of mass destruction, what impact they have on the policies of the Euro-Atlantic Alliance and the states within it, the rest of the world, and geopolitical processes in general. Besides, the key factors in maintaining global security are identified that contribute to providing security or delay this process.

The paper consists of an introduction, three chapters, nine subchapters, expert research, and a conclusion, and is accompanied by a bibliography and annexes as well.

In the introduction the relevance of the research topic is discussed; The purpose of the research, the objectives, the subject of the research, the theoretical-methodological foundations are presented; The main results and scientific novelty of the paper are formulated; The scientific novelty of the paper and the information base is shown.

The first chapter concentrates on a review of the historical and political aspects of the importance of the weapons of mass destruction in the Euro-Atlantic area. What role it played in global politics and despite some tense political processes, how much it contributed to the prevention of local wars between nuclear states, in regard not to escalate this situation into large-scale clashes or even into World War III. The role and importance of NATO in the establishment of international peace and the implementation of the policy of disarmament are discussed.

The first subchapter of the first chapter is dedicated to the essence, typology, methodological foundations of weapons of mass destruction (including nuclear

weapons), and the factors of its political-legal regulation. It explains what weapons of mass destruction are and how their components can have devastating consequences for global security and all living organisms. The main methods developed to investigate and analyze the threats and challenges posed by weapons of mass destruction are reviewed.

The second subchapter of the first chapter discusses the classification of the portable armament of weapons of mass destruction and its role in the international security system. How big role the strategic offensive weapon has played and continues to play, and by what means it is possible to move these weapons to destroy targets around the world.

In the third subchapter of the first chapter, the phenomenon of the "Cold War" and the geopolitics of strategic intimidation in the bipolar era are discussed. What impact did the Cold War period have on the world, how important are diplomacy, negotiation, and pragmatic policy to maintain global security and ensure that humanity is not completely extinct. We are dealing with an important issue such as the nuclear intimidation policy, because of which a war between two hostile opposing camps has been prevented, which would completely have changed the current geopolitical picture and collapsed the architecture of global security.

In the second chapter, the policy of non-proliferation of NATO weapons of mass destruction is described - a case study of alliance policy. In modern international politics, carrying out a policy of non-proliferation of weapons of mass destruction is a vital component for global security, both for the Alliance and other players in world politics. Adding a new state or non-state aggressive actor with any of these specific components of a weapon means more chances of using that weapon and the emergence of new challenges in global security. Specific examples have been discussed that have played a major role in establishing global peace.

The first subchapter of the second chapter speaks about NATO's strategic concepts and the history of weapons of mass destruction and the difficult reality the

world has faced since the creation of these armaments. The factors that led to the development of new strategic concepts, what prevented them from happening, and how the policy has been carried out by the Soviet Union and then the Russian Federation and other nuclear states are discussed as well.

The second subchapter of the second chapter includes Geostrategic aspects of NATO's "nuclear triad". The three main components of the "nuclear triad", air, naval and ground reconnaissance, and their importance in the conduct of the war and in ensuring the country's security are discussed. Why it is necessary to have all three components and how effectively states will be able to defend or attack or, in the worst-case scenario, destroy each other.

In the third subchapter of the second chapter coalition military planning strategy and nuclear intimidation policy are reviewed. The main governing bodies responsible for defense policy and the conduct of war are discussed, as well as, their role in maintaining peace and how important it is for them to make pragmatic decisions to prevent war. The main elements of military planning are reviewed, how this process takes place, and what is the role of the nuclear intimidation policy in this regard.

In the third chapter, NATO's strategic strike factor in determining the Alliance's geostrategy during the 21st century is discussed. In modern times, the focus is on the dangers and risks that lie ahead of Alice. How the Allies are fighting and what strategies are using to respond to the challenges.

The first subchapter of the third chapter shows strategic modeling of the nuclear war of the post-bipolar period. Examples are given of how nuclear states develop nuclear war modeling and what factors they focus on. As well as which strategies are they using for defense and attack.

In the second subchapter of the third chapter, NATO's nuclear deterrence policy in the conditions of new asymmetric threats is discussed. The conversation is about the challenges which the security of the alliance is facing when the enemy is

unknown and the threat may appear in any second. What tactics does NATO use and what response mechanisms does it have in responding to asymmetric threats.

In the third subchapter of the third chapter NATO's missile defense, regional approaches within the Black Sea security dimension is reviewed. The discussion is about the main difficulties and opportunities in the context of NATO's missile defense. The key approaches and characteristics of regional policy in the NATO Black Sea security dimension are discussed. It also discusses the results of the research and approaches to how states and especially states with strategic strike forces and weapons of mass destruction should act to ensure global security.

In conclusion, the overall research results and recommendations are shown, which will help NATO member states and global policymakers, including nuclear states, to address global security threats, risks, and challenges. It is an important factor in ensuring international security. It will also provide states' opportunity to increase their defense capabilities and respond to threats posed by weapons of mass destruction. In the proposed recommendations, we are focusing on ways to ensure the necessary response measures to protect and maintain pragmatic policies by states and international organizations to ensure peace, stability, and global security.

სარჩევი

| | |
|---|------------|
| ანოტაცია | iv |
| Annotation..... | ix |
| შესავალი..... | 16 |
| თავი I. ევრო-ატლანტიკურ სივრცეში მასობრივი განადგურების იარაღის ფაქტორის მნიშვნელობის ისტორიული და პოლიტიკური ასპექტები..... | 39 |
| 1.1. მასობრივი განადგურების იარაღის (მათ შორის ბირთვული იარაღის) არსი, ტიპოლოგია, მეთოდოლოგიური საფუძვლები და მისი პოლიტიკურ-სამართლებრივი რეგულირების ფაქტორები..... | 39 |
| 1.2. მასობრივი განადგურების იარაღის გადამტანი შეიარაღების კლასიფიკაცია და მისი როლი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში | 58 |
| 1.3. „ცივი ომის“ ფენომენი და ბიპოლარულ ეპოქაში სტრატეგიული დაშინების პოლიტიკის გეოპოლიტიკა..... | 65 |
| თავი II. ნატოს მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის პოლიტიკა - ალიანსის პოლიტიკის კონკრეტული შემთხვევის გარჩევა (Case Study)..... | 72 |
| 2.1. ნატოს სტრატეგიული კონცეფცია და მასობრივი განადგურების იარაღი: ისტორია და რეალობა..... | 72 |
| 2.2. ნატოს „ბირთვული ტრიადის“ გეოსტრატეგიული ასპექტები | 82 |
| 2.3. კოალიციური სამხედრო დაგეგმარების სტრატეგია და ბირთვული დაშინების პოლიტიკა | 90 |
| თავი III. ნატოს სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღების ფაქტორი ალიანსის გეოსტრატეგიის განსაზღვრაში 21-ე საუკუნის პერიოდში | 100 |
| 3.1. პოსტ-ბიპოლარული პერიოდის ბირთვული ომის სტრატეგიული მოდელირება..... | 100 |
| 3.2. ნატოს ბირთვული შეკავების პოლიტიკა ახალი ასიმეტრიული საფრთხეების პირობებში | 115 |
| 3.3. ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის რეგიონული მიდგომები - შავი ზღვის უსაფრთხოების განზომილების ფარგლებში | 137 |
| სიღრმისეული ინტერვიუები ექსპერტებთან | 154 |
| დასკვნა | 200 |
| გამოყენებული ლიტერატურა: | 205 |
| დანართები | 217 |

გამოყენებული აბრევიატურები

NSNWs - არა-სტრატეგიული ბირთვული იარაღი

SALT I - სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულება

OPCW - ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის მიხედვით

TNPNW - ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ

CCSSRS - რადიოაქტიური წყაროების უსაფრთხოებისა და დაცულობის ქცევის კოდექსი

NC - ბირთვული დამინება

SDI - სახელით ცნობილი სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა

MAD - გარანტირებული ურთიერთგანადგურება

ICBMs - მიწისქვეშა ბაზირების საკონტინენტთაშორის ბალისტიკურ რაკეტები

SLBMs - წყალქვეშა ბალისტიკურ რაკეტები

DDPR - სამხედრო შეკავებისა და სამხედრო თავდაცვის საქმიანობის შესახებ

MIRV - სარაკეტო სისტემა/ბალისტიკური რაკეტა ქობინების ინდივიდუალური დამიზნებით

ABM - ანტიბალისტიკური სარაკეტო თავდაცვის სისტემები

NC – ბირთვული ტერორიზმი

DB - ბინძური ბომბი

JCPoA - ერთობლივი კომპლექსური სამოქმედო გეგმა

მადლიერების გვერდი

აღნიშნული დისერტაცია ვერ განხორციელდებოდა, რომ არა პედაგოგების, პროფესორების, ამ საქმის პროფესიონალების, სპეციალისტების, ცნობილი ანალიტიკოსების დახმარება და მხარდაჭერა. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩემს უშუალო ხელმძღვანელს, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვახტანგ მაისაიას, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის სადოქტორო ნაშრომის შექმნაში, პატივი მერგო ბ-ნ ვახტანგთან ერთად გამოგვეცა ერთობლივი სამეცნიერო მონოგრაფია „ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები („ისლამური სახალიფო“, „ალ-კაიდა“ და „თალიბანი“) - მეოთხე თაობის ომის სტრატეგია და მისი რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპექტები (2010-2019 წლები)“, რომელშიც შესულია ნაშრომის გარკვეული საკითხები და თავები. კვლევის პროცესში დახმარებისთვის ასევე განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს, კსუ-ს ასოცირებულ პროფესორ თამარ კიკნაძეს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს ნინო მინდიაშვილს. მადლობა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერს, ბ-ნ ვახტანგ წიგწივაძეს. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორს კახაბერ კორძაიას, კსუ-ის

მადლობას ვუხდით ექსპერტებს, ანალიტიკოსებს და დარგის სპეციალისტებს: ჯონ სკოტს, ფრედ ლაბარეს, ალექსანდრე კრავჭუკს, პეტრე მამრაძეს, ნიკა ჩიტაძეს და ირაკლი ალადაშვილს.

მადლობა უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, იური ჩერნივის ეროვნულ უნივერსიტეტს. მადლობა ოსტროვისკის "Świętokrzyski"-ს ბიზნესისა და მეწარმეობის კოლეჯის ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტს.

შესავალი

საკითხის წინაპირობა და თემის აქტუალობა

თანამედროვე მსოფლიოში არსებული გამოწვევები და გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე, როცა უფრო აქტუალურია სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღების და მასობრივი განადგურების იარაღის არსებობა, ევროატლანტიკური ალიანსის როლი და ფუნქცია მსოფლიო უსაფრთხოების საკითხში ძალზედ მნიშვნელოვანი ხდება. ნატოს პარტნიორული პოლიტიკის თავდაპირველი მიზანი იყო ქვეყნებს შორის ბარიერის რღვევა და უსაფრთხოების მიღწევა დიალოგისა და თანამშრომლობის გზით. დღეს მიზნები გაცილებით უფრო ამბიციურია, რადგან პარტნიორი ქვეყნები ნატოს-თან ერთად ცდილობენ ებრძოლონ XXI საუკუნის უსაფრთხოების პრობლემებს. მათ შორის ტერორიზმს, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასა და არშემდგარ სახელმწიფოებს.

უსაფრთხოება განსაკუთრებით აქტუალურია გლობალიზაციის ეპოქაში, როცა ეკონომიზაცია, დემოკრატიზაცია, ინფორმატიზაცია ქმნის განვითარებისათვის უპრეცედენტო შესაძლებლობებს, მაგრამ ამავე დროს აქცევს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემას უფრო დაუცველად ისეთი გამოწვევების წინაშე - როგორცაა ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება. სახელმწიფოების მიერ უსაფრთხოების ძიება გამოიხატება თავდაცვასა ან შეტევაში, უფრო ძლიერების მიმართ დამოკიდებულების ფრთხილ პოზიციაში და ნეიტრალიტეტში. ეს არის წრე, რომელსაც რეალისტები „უსაფრთხოების დილემის“ დეფინიციას აძლევენ.

საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა უფრო აქტუალური გახდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, როდესაც მასობრივი განადგურების იარაღების შექმნამ და გავრცელების საკითხებმა კაცობრიობა ახალი საფრთხეების წინაშე დააყენა. ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების ფონზე კიდევ უფრო იზრდება უსაფრთხოების როლი და ადგილი საერთაშორისო სისტემის განვითარებაში. XXI საუკუნის

საერთაშორისო პოლიტიკური და საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემისთვის დამახასიათებელია ისეთი კონცეფცია, რომელსაც კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია აღწერს.

თემის სპეციფიკიდან გამომდინარე ნაშრომში საუბარი არის მასობრივი განადგურების იარაღის (მათ შორის ბირთვული იარაღის) არსის, ტიპოლოგიის, მეთოდოლოგიური საფუძვლების და მათი პოლიტიკურ-სამართლებრივი რეგულირების ფაქტორებზე. ნაშრომში წარმოდგენილია მასობრივი განადგურების იარაღის გადამტანი შეიარაღების კლასიფიკაცია და მისი როლი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში. აქვე განხილულია „ცივი ომის“ ფენომენი და ბიპოლარულ ეპოქაში სტრატეგიული დაშინების პოლიტიკის გეოპოლიტიკა. სამეცნიერო-კვლევის ანალიზის შედეგად მოხდება აღნიშნული საკითხების შესწავლა და გაანალიზება.

მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების შეზღუდვა ერთერთი საკვანძო პრობლემაა XXI საუკუნეში უსაფრთხოების საკითხში. ნატო-ს დიალოგი პარტნიორებთან გამორჩეულ როლს თამაშობს ამ სფეროში ალიანსის მიერ დასახული მიზნების მიღწევაში. რწმენა და ნდობა აუცილებელი პირობებია იმისათვის, რომ იარაღის გავრცელების საწინააღმდეგო ზომები წარმატებული აღმოჩნდეს. მიზნის მიღწევა მხოლოდ ღია და გამჭვირვალე მოქმედებით შეიძლება. საერთაშორისო უსაფრთხოების მიღწევის საკითხი უდაოდ აქტუალურ თემატიკას წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოში.

კაცობრიობის უმთავრესი საფრთხე მისი ისტორიის მანძილზე იყო საფრთხე, რომელიც წარმოიქმნება შეიარაღებული კონფლიქტების დროს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ხდება მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება. მასობრივი განადგურების იარაღი წარმოადგენს მძლავრ, დესტრუქციული ძალაუფლების იარაღს, რომლის მიზანია მასიური დანაკარგებისა და განადგურების გამოწვევა. არსებობს მასობრივი განადგურების იარაღის რამდენიმე დეფინიცია. ამერიკული მიდგომა

მასობრივი განადგურების იარაღში ბირთვულ, ქიმიურ და ბიოლოგიურ (ბაქტერიოლოგიურ) იარაღთან ერთად მოიაზრებს რადიოლოგიურ იარაღსაც, რუსულ მიდგომაში კი რადიოლოგიური იარაღის კომპონენტი ამოღებულია. ამ მხრივ, არ არსებობს ტერმინის ერთიანი დეფინიცია. შესაბამისად, კვლევის მიმდინარეობისას შევეცდებით გამოვყოთ ყველა ტიპის იარაღი, რომელიც შესაძლებელია კლასიფიცირდეს მასობრივი განადგურების იარაღად და ჩამოვაცალიბოთ ერთიანი მიდგომა.

ამასთან ერთად, აღნიშნული საკითხი პირდაპირ განსაზღვრავს ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების ძირითად პრინციპებს და განაპირობებს სტრატეგიული პარიტეტის არსებობას ევროპის კონტინენტზე. დღევანდელი პირობების გათვალისწინებით, „ახალი ცივი ომის“ პირობებში კვლავ წამოიწია ნატოს, როგორც სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ფარგლებში ბირთვული სტრატეგიის აღდგენის რეალობა და განხორციელება უკვე ისეთი დაკონსერვებული ინსტიტუტების აღდგენა, როგორცაა ბირთვული დაგეგმარების ჯგუფი და დაიწყო ახალი სახის ბირთვული დარტყმის სტრატეგიის შემუშავება. თვით მსოფლიო პოლიტიკაში დაიწყო სერიოზული სტრატეგიული შეიარაღების რბოლა, რომლის ნათელი მაგალითია ჩრდილოეთ კორეის კომუნისტური რეჟიმი და მისი ბირთვული დაშანტაჟების პოლიტიკა.

გლობალური უსაფრთხოებისთვის ნატოს როლი მასობრივი განადგურების იარაღის გაუზრცელებლობის საკითხსა და ასიმეტრიული საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების ფონზე უმნიშვნელოვანესია. ასიმეტრიულმა საფრთხეებმა დიდი გავლენა მოახდინა საერთაშორისო სისტემის ცვლილებაზე. თანამედროვე პერიოდში უსაფრთხოების დილემამ საერთაშორისო სისტემის ახალი განზომილების შექმნა განაპირობა. უსაფრთხოების ახალი დილემის პირობებში, რომლის დროსაც ასიმეტრიული საფრთხის პროგნოზირება შეუძლებელია, რაც საერთაშორისო სისტემას მოცემული საფრთხეების წინაშე დაუცველს ხდის, მნიშვნელოვნად იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციების როლი.

საერთაშორისო ტერორიზმი, ბირთვული იარაღის გავრცელება და კონფლიქტები დღემდე რჩება საერთაშორისო უსაფრთხოების ძირითად პრობლემად. ბირთვული ტექნოლოგიების კიდევ უფრო გავრცელება შეშფოთებას იწვევს ახალი ბირთვული სახელმწიფოების შესაძლო წარმოქმნისა და ტერორისტული ჯგუფების მიერ ბირთვული იარაღის ხელში ჩაგდების გამო. ბირთვული იარაღის გამოყენება მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ცვლილებებს გამოიწვევს. ზოგიერთი ქვეყანა ეცდება კავშირების დამყარებას ან გაძლიერებას ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოებთან; სხვა სახელმწიფოები კი დაიწყებენ ბრძოლას გლობალური ბირთვული განიარაღებისთვის.

XXI საუკუნეში სხვადასხვა გამოწვევებს შორის მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების შეზღუდვა ერთ-ერთი საკვანძო პრობლემას წარმოადგენს გლობალური უსაფრთხოებისთვის. მოცემული მიმართულებით ნატო მნიშვნელოვან როლს თამაშობს და თანამშრომლობს პარტნიორ ქვეყნებთან მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის საკითხში. ამასთან ერთად, აღნიშნული საკითხი პირდაპირ განსაზღვრავს ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების ძირითად პრინციპებს და განაპირობებს სტრატეგიული პარიტეტის არსებობას ევროპის კონტინენტზე. თანამედროვე პირობების გათვალისწინებით, „ახალი ცივი ომის“ პირობებში, კვლავ წამოიწია ნატოს, როგორც სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ფარგლებში, ბირთვული სტრატეგიის აღდგენის რეალობა და ისეთი დაკონსერვებული ინსტიტუტების აღდგენის აუცილებლობაც, როგორცაა ბირთვული დაგეგმარების ჯგუფი. დაიწყო ახალი სახის ბირთვული დარტყმის სტრატეგიის შემუშავება. თვით მსოფლიო პოლიტიკაში დაიწყო სერიოზული სტრატეგიული შეიარაღების რბოლა, რომლის ნათელი მაგალითია ჩრდილოეთ კორეის კომუნისტური რეჟიმი და მისი ბირთვული დამანტაჟების პოლიტიკა. საერთაშორისო უსაფრთხოების მიღწევა უდავოდ აქტუალურ და რთულ საკითხს წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოში.

ნაშრომში განხილულია ის ძირითადი ტენდენციები, რაც უკავშირდება თანამედროვე მსოფლიოში მასობრივი განადგურების იარაღის უსაფრთხოების საკითხებს. კერძოდ საუბარია ნატოს სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღების როლზე და ასევე იმ ფაქტორებზე რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მისი გეოსტრატეგიის განსაზღვრაში 21-ე საუკუნეში. თანამედროვე ცვლად მსოფლიოში სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღების სისტემების განახლება საკმაოდ აქტიურად ხდება და ჩვენ ვხედავთ ამ მიმართულებით სხვადასხვა პროცესების შეუქცევადობას. ნატოს ბირთვული შეკავების პოლიტიკა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი ალიანსის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში სადაც მისი ყველა წევრი ერთიანია. მსოფლიოში საკმაოდ ხშირად იჩენს თავს ახალი საფრთხეები, რომელიც არ იყო დამახასიათებელი 20-ე საუკუნისთვის, რაც საჭიროებს უკეთ შესწავლას და გააზრებას თუ რასთან გვაქვს რეალურად საქმე და როგორ შეიძლება ვებრძოლოთ, წინააღმდეგობა გავუწიოთ და გავუმკლავდეთ არსებულ და მომდინარე რისკებს, საფრთხეებს და გამოწვევებს.

თემის მიზნები და ამოცანები

კვლევის ძირითადი მიზნებია:

ჩვენს მიერ შერჩეული საკვლევია თემის მიზნებია ევროატლანტიკური უსაფრთხოების გეოსტრატეგიის კონტექსტში:

- ❖ სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღების და მასობრივი განადგურების იარაღის გეოსტრატეგიის კონტექსტში ევროატლანტიკური უსაფრთხოების გეოსტრატეგიის ანალიზი და დესკრიფცია.
- ❖ მსოფლიოში არსებული უსაფრთხოების ანალიზის შედეგად, ისეთი რეკომენდაციების წარმოდგენა, რომელიც ეფექტიანი იქნება

მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის გარემოს შექმნისათვის აღნიშნული მიმართულებით.

- ისტორიული რეალობისა და აწმყოს შესწავლა და ანალიზი სახვადასხვა ფაქტორების და გარემოებების გათვალისწინებით;
- ახალი მსოფლიო ომის ასპექტების წარმოჩენა.

სადისერტაციო ნაშრომის ამოცანებია:

თემის დამუშავებისას დასახული ამოცანები თავის მხრივ ასახავს ქმედებას, რომელიც მიმართულია დასახული მიზნების მისაღწევად და მოიცავს:

- ვითარებათა ობიექტური შეფასება მსოფლიო ახალი წესრიგის ფონზე ძალთა ბალანსის ცვლილებისას;
- ევროატლანტიკური ალიანსის როლის წარმოჩენა მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში;
- საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების და გლობალური გამოწვევების ასახვა.

ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვები:

- 1) როგორ და რა გზით განისაზღვრება სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღების ფაქტორი ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში?
- 2) როგორია ნატოს პოლიტიკა და რა ინსტრუმენტები გააჩნია მას სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღების გამოყენების და კონტროლის საქმეში?

3) რას წარმოადგენს მასობრივი განადგურების იარაღი, რა კომპონენტებით განისაზღვრება და რა როლი გააჩნია მას ევროატლანტიკური უსაფრთხოების კონტექსტში?

4) რა არის ევროატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოების მთავარი ამოცანა გლობალური უსაფრთხოების თვალსაზრისით?

ჰიპოთეზა

21-ე საუკუნეში ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების ფონზე, ძირითად საკითხს წარმოადგენს საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფა გლობალურ დონეზე. თანამედროვე პერიოდისთვის საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ერთ-ერთი საკვანძო პრობლემაა სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღების და მასობრივი განადგურების იარაღის არსებობა. ევროატლანტიკური ალიანსი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიოში უსაფრთხოების და მშვიდობის შენარჩუნების კუთხით.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანი - სრტარეგიული დამრყმელი შეიარაღების ზეგავლენა ევროატლანტიკური უსაფრთხოების გეოსტრატეგიაზე და ბირთვული სახელმწიფოების ფაქტორი სტრატეგიული სტაბილურობის პოლიტიკაში.

კვლევის ობიექტი - ნატო როლი მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის საკითხში და საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფაში.

თემის მეცნიერული სიახლე

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ა) საქართველოში პირველად მოხდა ფუნდამენტალური კვლევის

განხორციელება მასობრივი განადგურების შეიარაღების, განსაკუთრებით ბირთვული შეიარაღების, გეოსტრატეგიული ბალანსირების კონტექსტში რეგიონულ და გლობალურ დონეზე ასახვა, მასობრივი განადგურების იარაღის როლის განსაზღვრება სტრატეგიულ დონეზე და ბირთვული განიარაღების როლის წარმოჩენა.

ბ) სიმეტრიული და ასიმეტრიული საფრთხეების და ფაქტორების კონტექსტში გაანალიზებულია მეოთხე თაობის ომის და სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღების და მასობრივი განადგურების იარაღის როლი გლობალური უსაფრთხოების საკითხში და ევროატლანტიკური ალიანსის ფაქტორი ამ საფრთხეებზე რეაგირების საქმეში.

გ) წარმოჩენილია რადიოაქტიური ნივთიერების „ამერიციუმ - 242“-ის ახალი დანიშნულებით გამოყენების საფრთხეები და გამოწვევები სამხედრო შეიარაღებაში, ასევე მისი გამოყენების რისკები გლობალურ უსაფრთხოებამ არასახელმწიფოებრივი აგრესიული აქტორების, საერთაშორისო ტერორისტების და არშემდგარი სახელმწიფოების მხრიდან.

დ) სადისერტაციო ნაშრომში შემოგვაქვს ახალი სამხედრო-პოლიტიკური ტერმინი: სტრატეგიული ასიმეტრიული გამოწვევა - სტრატეგიული (ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის კომპონენტების) მნიშვნელობის საფრთხე შიძლება წამოვიდეს არშემდგარი ქვეყნების და არასახელმწიფოებრივი აგრესიული აქტორების მხრიდან, რომელთაც შეუძლიათ სარეოზული საფრთხე შეუქმნან სტრატეგიული სტაბილურობის პირობების განვითარებას გლობალურ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე.

ე) წარმოჩენილია თვისობრივად ახალი ზებგერთი დამრტყმელი სტრატეგიული შეიარაღების ტრიადის, საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო კონპონენტების ზებგერთი მნიშვნელობა უკვე, როგორც ახალი ტიპის მესამე თაობის სტრატეგიული დაშინების (პირველი თაობა მასობრივი

განადგირების სტრატეგია, მეორე თაობის მოქნილი რეაგირების მასობრივი ურთიერთ განადგურების სტრატეგია, ლიმიტირებული ბირთვული დარტყმების ელემენტების განსაზღვრება ანუ შეზღუდული) ზებგერითი იარაღის გამოყენება რომელიც საფუძვლიანად ცვლის სტრატეგიული სტაბილურობის პირობებს, ბირთვულ ტრიადაში ზებგერითი შეიარაღების გამოჩენა აბსოლუტურად ცვლის პირველი და მეორე ბირთვული თაობის ომის კონცეფციებს. ამის ნათელი მაგალითია რუსეთის ფედერაციის 2020 წლის 2 ივნისის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დაოქტრინა "რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პოლიტიკის საფუძვლების შესახებ ბირთვული შეკავების სფეროში", სადაც რუსეთმა უკვე გამოიყენა სს უპირატესობა ზებგერითი შეიარაღების შემოღებაში და პირველად მის ისტორიაში თქვა, რომ რუსეთი პირველი განახორციელებს პრევენციულ დარტყმას, რომელსაც შეუძია სხვა სარეკეტო სისტემების განადგურება ზებგერითი სიჩქარით.

ვ) პირველად შემუშავებულ იქნა - **მასობრივი განადგურების იარაღის თავდაცვის ეროვნული სამხედრო სტრატეგია**. როლის შედეგადაც განვსაზღვრეთ ის ძირითადი პრინციპები, რეაგირების მექანიზმები და პრევენციის ზომები რომელიც უნდა იქნას მიღებული და გატარებული ეროვნული სამხედრო თავდაცვის დონეზე საქართველოს მაგალითზე.

ნაშრომში წამოწეულია ნატოს როლის განისაზღვრება კოლექტიური თავდაცვის კონტექსტში ბირთვული შეიარაღების გამოყენების და კონტროლის მექანიზმების და მიდგომების პირობებში. თუ რა როლს თამაშობს და რა გავლენას ახდენს მასობრივი განადგურების შეიარაღების კომპონენტები ალიანსური სტრატეგიების და პოლიტიკის დაგეგმარების საქმეში და რა ფაქტორებით განისაზღვრება გლობალურ სტრატეგიული ბალანსირების დონეზე ალიანსებს შორის ბირთვული შეიარაღებისა და განიარაღების მოდულები.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია

- გამოყენებული იქნა რეალიზმის სკოლის თეორია „Prisoner's Dilemma“, „ბირთვული ტერორის“, „ბირთვული ჩიხის“ და „Chicken Game“ თეორია. ასევე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი უმთავრესი თეორია „ძალთა ბალანსის“, რაც გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან.
- „სექიურითიზაციის კონცეფცია“ უკავშირდება უსაფრთხოების კვლევების კოპენჰაგენის სკოლას, რომელიც ასოცირდება ოლი ვივერის, ბარი ბუზანის და მათი თანამოაზრეების სახელებთან კონსტრუქტივიზმის თეორიის წიაღში, რომელიც საზოგადოების ჩართულობას ითვალისწინებს.
- „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია რომელიც უკავშირდება საერთაშორისო უსაფრთხოების ცნობილი ამერიკელი მკვლევარის რიჩარდ კოენის სახელს. რიჩარდ კოენი გვთავაზობს უსაფრთხოების ისეთ მოდელს, რომელიც იდეალიზირებული ქვაკუთხედიდან პრაქტიკულად აღსრულებადი ხდება.

კვლევის მეთოდები

- ❑ თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა;
- ❑ შემთხვევის გარჩევა Case study- დაგვეხმარა რეალური ფაქტების უკეთ ანალიზში.
- ❑ ნაშრომის დამუშავებისას გამოყენებული მეთოდოლოგია ძირითადად ეფუძვნება ემპირიული კვლევის საფუძვლებს, რაც

მოიცავს მეცნიერული მიდგომის ერთგვარ იარაღს - ლოგიკა, ანუ სწორად აზროვნების სისტემა, რომელსაც ფაქტობრივი დაკვირვების საფუძველზე მივყავართ სანდო დასკვნის გაკეთებამდე

❑ თვისობრივი კვლევის მეთოდები:

- მონაცემთა ანალიზი;
- ისტორიულ-აღწერილობითი

❑ რაოდენობრივი კვლევის მეთოდები:

- პოლიტიკის კვლევის ანალიზი;
- კონტენტ ანალიზი;
- ივენტ-ანალიზი.

ასევე კვლევის მიზნების განსახორციელებლად გამოყენებულ იქნა თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგია, კერძოდ კი სიღრმისეული ინტერვიუები. სამიზნე ჯგუფის შერჩევა მოხდა დარგის სპეციელისტებთან, ექსპერტებთან, ანალიტიკოსებთან, უსაფრთხოების საკითხებში და საერთოდ პოლიტიკური პროცესების სფეროში სახელმწიფო მჩველებთან და უშიალოდ ნატოს ექსპერტებთან მასობრივი განადგურების იარაღის პოლიტიკის საკითხებში.

კვლევის მეთოდოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილია მოვლენათა ე.წ. „პარალელური“ ანალიზი, რომელიც შეფასებათა საინტერესო სპექტრს იძლევა. იგი გულისხმობს ექსპერტთა ფოკუს ჯგუფების მოწყობას. ასეთი ფოკუს ჯგუფები შეიძლება იყოს წარმომადგენლობითი და ინდივიდუალური. ეს მეთოდი მოვლენების მრავალმხრივი შეფასების საშუალებას იძლევა და სიტუაციური ანალიზისთვის საუკეთესო საფუძველს ქმნის. გამოყენებული მეთოდოლოგიის მთავარი დანიშნულებაა საკითხების მრავალმხრივი შესწავლა და საბოლოოდ, ობიექტური პროდუქტის შექმნა.

საერთო ჯამში, უკვე ჩატარებული პოლიტიკური კვლევების მეთოდოლოგია მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს:

- 1) ინფორმაციის მოპოვება
- 2) მოვლენათა კლასიფიკაცია
- 3) სიტუაციური ანალიზი
- 4) ისტორიული ანალიზი

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ობიექტური სურათის მისაღწევად გამოვიყენეთ „შედარებითი“ მეთოდი, რომელიც სიტუაციური ანალიზის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. „შედარებითი“ მეთოდის არსი მდგომარეობს მოპოვებული ინფორმაციის სპეციფიურ ანალიზში, რომელიც მოვლენების შედარებას გულისხმობს. ეს განსაკუთრებით ეფექტურია რეგიონული პოლიტიკის ანალიზისას და ამა თუ იმ გეოპოლიტიკური მოვლენის მონაწილეთა ინტერესების შესწავლისას.

კვლევის შედეგები

პოლიტიკის მეცნიერება როგორც სამეცნიერო დისციპლინა და აკადემიური მიმართულება თავისთავში გულისხმობს მოვლენის ანალიზსა და შეფასებას. თუ პოლიტიკურ კონიუნქტურის გვერდის ავლის მცდელობა იწვევს ობიექტური პრეტენზიის გაჩენას. აღნიშნული კი საზოგადოების, სამეცნიერო და პოლიტიკური წრეების შეფასებაზეა ორიენტირებული. იმ შემთხვევაში, თუ მომხარებელი კვლევის ობიექტურობასა და სამეცნიერო ღირებულებაში რწმუნდება, მაშინ შეხმვედრ ნაბიჯს დგამს. სხვა სიტყვებით რომ ითქვას მომხარებელი ან არ იზიარებს კვლევის შედეგებს ან კამათობს და ოპონირებას ახდენს ავტორთან. იქმნება საზოგადოებრივი პროცესი, რომელიც თავისთავად მნიშვნელოვანი შედეგია. საქართველოში, როგორც საზოგადოებრივ, ისევე სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში მწვავე დეფიციტია ქვეყნის მომავალი განვითარების შესახებ პოლიტიკური კვლევებისა და აქედან გამომდინარე პოლიტიკური იდეებისაც. სამწუხაროდ, ქვეყნის საზოგადოებისთვის, უფრო მნიშვნელოვანია

ზედაპირული საექსპერტო შეფასება, ვიდრე ღრმა ანალიზი. ეს განპირობებულია ბევრი მიზეზით, მათ შორის პოლიტიკური კულტურის დეფიციტითა და იმითაც, რომ ყველა პოლიტიკური ძალა ორიენტირებულია მხოლოდ ე.წ. „სამომხარებლო პოლიტიკაზე“ და იმითაც, რომ სამეცნიერო წრეები არ ავლევენ ბრძოლისუნარიანობას და ჩრდილში დგომას ამჯობინებენ.

სექიურითიზაციის სისტემის მნიშვნელობა ქართულ პოლიტიკური იდეების და უსაფრთხოების განვითარების გზაზე არ არის აკადემიურად შესწავლილი.

ზოგად კონტექსტში შეიძლება ჩამოვყალიბოთ ამ კვლევის მოსალოდნელი შედეგების კონკრეტული მიმართულებები:

- ✓ წარსულის გაანალიზების საფუძველზე შეაფასოს თანამედროვე ეტაპზე არსებული პრობლემები და გამოწვევები საერთაშორისო უსაფრთხოებაში;
- ✓ განიხილოს რიგი საფრთხეები, რომელის მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებამ შეიძლება გამოიწვიოს;
- ✓ გვექნება დებატები შესწავლილ საკითხთან;
- ✓ ვითარებათა ობიექტური შეფასება მსოფლიო ახალი წესრიგის ფონზე;
- ✓ ევროატლანტიკური ალიანსის როლის წარმოჩენა მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში;
- ✓ ჩატარებულ იქნეს ტრენინგები სტუდენტებისთვის აღნიშნულ თემატიკის ირგვლივ.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გამოადგება ამ პრობლემაზე მომუშავე ყველა მეცნიერს, პრაქტიკოს ანალიტიკოსს და საერთაშორისო უსაფრთხოების ექსპერტებს. ასევე მისი

გამოყენება შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში. ნაშრომი შეიძლება გახდეს შესაბამისი უწყებების (საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, თავდაცვის საბჭო და სხვები) გზამკვლევი ბირთვული უსაფრთხოების თემატიკის საკითხებში და იყოს პრაქტიკული სახის მასალა სათანადო მიმართულებით გადაწყვეტილების მიღების საქმეში.

ძირითადი საკვლევი საკითხები - კვლევის გეგმა

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიმართულებებია:

- 1) ახალი გეოპოლიტიკური პროცესების და მსოფლიო წესრიგის ტრანზიციის განვითარების სავარაუდო სცენარების და ვარიანტების კვლევა;
- 2) მსოფლიო პოლიტიკურ დონეზე ძალთა გადანაწილებისა და ახალი კავშირების ჩამოყალიბების მიზეზების შესწავლას;
- 3) რეგიონული პოლიტიკის დინამიკის კვლევა და პერსპექტივის განსაზღვრა

ერთი შეხედვით ნაშრომს აქვს მასშტაბურობის პრეტენზია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ზემოთ-ჩამოთვლილი საკითხების სერიოზული შესწავლისა და ანალიზის გარეშე ვერ მოხდება, ობიექტური და ღრმა პროდუქტის შექმნა. პრობლემის არსის სწორი განსაზღვრა და მისი გადაჭრის გზების ვარიანტების სისტემის შექმნა, რომელთაც რეკომენდაციების ფორმა უნდა ჰქონდეს არის მოცემული ნაშრომის ძირითადი ამოცანა.

ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები წარმატებითაა დაცული კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში თეორიულ-ემპირიული კვლევების და თემატური სემინარების ფარგლებში. დოქტორანტი

მონაწილეობდა სხვადასხვა სახის კონფერენციებში, ტრენინგ-სემინარებში, გამოაქვეყნა პუბლიკაციები ადგილობრივ და საერთაშორისო ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებში: 2018 წ. სახელმწიფო და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო-კვლევითი ცენტრი. დირექტორი: დავით კუხალაშვილი.. საკონფერენციო მასალები საერთაშორისო კონფერენცია და სამეცნიერო ჟურნალი: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალში - „ამერიკული კვლევების პერიოდული №12 გამოცემა“. 2019 წელს. უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, უკრაინის ჩერნივეცკის ეროვნულ უნივერსიტეტი. ჟურნალი ისტორიულ და პოლიტიკურ მეცნიერებებში. ტომი 40. ისტორიის ფაკულტეტი, პოლიტიკური მეცნიერება და საერთაშორისო კვლევები საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება. თანამედროვე ისტორიული და პოლიტიკური საკითხები, 2020 წელს. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. სამეცნიერო ჟურნალი - „პოლიტოლოგოსი“, 2020 წელს. პუბლიკაციები დაბეჭდილია რეფერირებად ჟურნალებში საზღვარგარეთ, რომლებიც ინდექსირებულია საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებში. ოსტროვისკის "Świętokrzyski"-ს (პოლონეთი) ბიზნესისა და მეწარმეობის კოლეჯის ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტის, საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალში „ANTE PORTAS Security Studies“-ში გამოქვეყნდა ორი სამეცნიერო ნაშრომი 2018 წლის და 2019 წლის გამოცემებში.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები და მასალები:

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. სამეცნიერო კონფერენცია: „ევროკავშირის გაერთიანება - პრობლემები და პერსპექტივები“. 2019 წ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კონფერენციის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დაკულტეტის პროფესორი თამარ პაიჭაძე. სტუდენტთა XI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. 2019 წ. ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო კვლევითი ცენტრის

დირექტორი, თადარიგის პოლკოვნიკი დავით კუხალაშვილი. სამეცნიერო კონფერენცია - „ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოება“. 2019 წ. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. ამერიკული კვლევების მიმართულების საერთაშორისო კონფერენცია.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

სადისერტაციო ნაშრომის შესრულების დროს გამოყენებული იქნება ყველა მნიშვნელოვანი წყარო, რომელსაც კავშირი აქვს დისერტაციის თემასთან. მიუხედავად იმისა კონიუნქტურულია ის თუ არა. წყაროებისას შერჩევას გამოყენებული იქნა შემდეგი სახის კრიტერიუმები:

- ✓ კომპეტენტობა
- ✓ ინფორმატიულობა
- ✓ ორიგინალური ხედვა
- ✓ სიღრმისეული ხედვა
- ✓ ხედვების მასშტაბურობა
- ✓ ადგილობრივი და საერთაშორისო წყაროები

წყაროთა შეფასებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ნაწილი მათგანი მსოფლიოს პოლიტიკური განვითარების ზოგად შეფასებებს მოცავს (მაგალითად, ქენეთ ვოლცი, ჰენრი კისინჯერი, ჯონ სტოუნი, ტომას შელინგი, სანუ კანიკარა, კოლინს გრეი, ჰენრი სოკოლსკი, პირე და სანარკლენი, რაიმონ არონი, ტომს ნიკოლსი, დონალს სნოუ და სხვები. ზოგიერთი კი აღნიშნული თემის კონკრეტულ მიმართულებებს ეხება ან ძირითადი თემის მონათესავე საკითხებზე ქმნიან ნაშრომებს (მაგალითად, სემუელ ჰანტინგტონის, ფრენსის ფუკუიამას, ჯეფრი ჰეინესი, ფარედ ზაქარია, მარეკ მაჩიევსკი, ლუკაშ მაჩაი, ალექსანდრე მარკედონოვი, ტომას დე ვაალი და სხვები), საბოლოო ჯამში, ყველა ამ ტიპის წყარო აღნიშნულ

თემასთან საინტერესო და გამოსადეგია და ეხება, როგორც ფუნდამენტალურ ნაშრომებს, ასევე საინფორმაციო და ანალიტიკური მასალები.

კონკრეტული სალიტერატურო წყაროების მიმოხილვისას შესაძლებელია განვიხილოთ ისეთი სახის კონკრეტული მასალები, რომელსაც გააჩნია ამ თემატიკასთან უშუალო შეხება:

- 1) *Pierre de Senarclens et Yohan Ariffin „LA POLITIQUE INTERNATIONALE“ Théories et enjeux contemporains Cinquième édition - Armand Colin, Éditeur, 2008.* პიერ დე სენარკლენი და იოან არიფენი თავიანთ ნაშრომში „საერთაშორისო პოლიტიკა თანამედროვე თეორიები და ამოცანები“ საერთაშორისო პოლიტიკას განიხილავენ ისტორიის მსვლელობის განმსაზღვრელად და ხალხების მომავლის მრავალმხრივ წარმმართველად. არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია მარტომ იტვირთოს საკუთარი უსაფრთხოება და დამოუკიდებლობა. ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის ეპოქაში კაცობრიობის მომავალი ძლიერ სახელმწიფოთა შორის მშვიდობის შენარჩუნებაზეა დამოკიდებული. ამავე დროს, ყველა სახელმწიფო სათავეს საერთაშორისო ურთიერთობებიდან იღებს, რადგან მათ ჩამოყალიბებას ომი და დიპლომატია წარმართავდა, რომელიც ამ სახელმწიფოთა საზღვრებს განსაზღვრავდა და მათი რეჟიმების ევოლუციაზე ახდენდა გავლენას. საერთაშორისო პოლიტიკა ასევე გავლენას ახდენს პლანეტის სიმდიდრის გადანაწილებაზე. არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია სრულ ავტარქიაში არსებობა და ყველა მათგანი იძულებულია ფსონი დადოს დანარჩენ მსოფლიოსთან ალიანსებზე, სავაჭრო და ფინანსურ ურთიერთობებზე. ამგვარად, სახელმწიფოები ჩართული არიან ურთიერთკავშირების მჭიდრო და კომპლექსურ ქსელში,

რომელიც განაპირობებს მათი უმუშევრობის და ინფლაციის მაჩვენებელს, ნედლეულის და სამრეწველო საქონლის იმპორტისა და ექსპორტის თანხას, ინვესტიციების მოზიდვისთვის განკუთვნილ რესურსებს. უმრავლეს შემთხვევაში, ისინი იღებენ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რომლებიც მრავალმხრივი მოლაპარაკებებიდან მომდინარეობს და შეიძლება ისეთ ატრიბუტებს ეხებოდეს, რომლებიც ტრადიციულად, სახელმწიფო სუვერენიტეტის განმსაზღვრელად განიხილება, როგორცაა სოციალური დაცვის ან რესურსების ექსპლუატაციის პოლიტიკები.

- 2) *მშვიდობა და ომი ერებს შორის / რაიმონ არონი ; სამეცნიერო რედაქტორი : ზურაბ დავითაშვილი; მთარგმნელი : გიორგი სანიკიძე, თბ. - მარსი, 2009.* ამოსავალ წერტილად აღებულია კლასიკური თეზისი : ბუნებრივი მდგომარეობა (ან პოტენციური ომის მდგომარეობა) სახელმწიფოებს შორის, რომელიც თავისი არსით, განსხვავდება სახელმწიფოთა შიგნით არსებული სამოქალაქო მდგომარეობიდან. მოქალაქეები ემორჩილებიან კანონს, თუნდაც იგი გამოხატავდეს და იმავდროულად ნიღბავდეს ძალას. ამდენად, წიგნი ეხება სახელმწიფოთაშორისო სისტემას: სისტემას, რომელშიც ინტერგრირებულნი არიან სახელმწიფოები; თითოეული მათგანი ფხიზლად ადევნებს თვალს სხვის მოქმედებას, რათა უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება; სახელმწიფოებრივი გამოყენებულია იმ მნიშვნელობით, რომ ომი წარმოადგენს ურთიერთობას არა ინდივიდებს, არამედ სახელმწიფოებს შორის.

- 3) *Tom Nichols Douglas Stuart Jeffrey D. McCausland: TACTICAL NUCLEAR WEAPONS AND NATO - Editors , April 2012.*

ავტორები მოცემულ წიგნში აღნიშნევენ - ტაქტიკური ბირთვული იარაღის მომავლის როლს ევროპაში - ეს არის ის საკითხები, რომლებიც ზოგჯერ საერთაშორისო უსაფრთხოების მიმართულებით, ექსპერტების გაკვირვებას იწვევს, პირველ რიგში იმიტომ, რომ ამ იარაღის არსებობას ხშირად სიგიჟედ აღიქვამენ. ძირითადად საუბარია „ცივი ომი“-ს შემდგომ ტაქტიკური ბირთვული იარაღის (ან NSNWs, "არასტრატეგიული ბირთვული იარაღი") ჯერ კიდევ არსებობაზე, რადგან ნატოსა და რუსეთს შორის არის მოსალოდნელი ურთიერთობების დამაბზვა და ასევე რიგი სხვა ბირთვული სახელმწიფების გაუწონასწირებელი პოლიტიკა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბირთვული ომის საშიშროება. როგორც რუსი ანალიტიკოსი ნიკოლაი სოკოვი წერდა, "ყველაზე გრძელი ჩიხი " ეს არის შეიარაღებაზე კონტროლის ფაქტორი ისტორიაში. ცივი ომის დროიდელი ბირთვული დოქტრინების მოდლები დღესაც შენარჩუნებულია შედარებით მცირე მანტაბებით. წიგნში ძირითადად საუბარია ისტორიულ კონტექსტში ტაქტიკურ ბირთვულ იარაღზე, ასე აშშ-ს, რუსეთის და ევროპის ბირთვულ პოლიტიკაზე. ტაქტიკური ბირთვული იარაღის როლზე და ადგილზე მსოფლიოში მისი კონტროლის პერსპექტივებზე, ასვე მიმოხილულია ნატო-ს ბირთვული იარაღის შეკავება და თავდაცვის საკითხები.

- 4) *Colin S. Gray, War, Peace and International Relations: An Introduction to Strategic History (London and New York: Routledge, 2013).* ომი, მშვიდობა და საერთაშორისო ურთიერთობები უზრუნველყოფს შესავალს სტრატეგიული ისტორიის დანერგვაში ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ იქნა ფორმირებული და ძლიერ შეცვლილი 200 წელიანი ისტორია ომების მიერ. წიგნში

ფართოდ არის განხილული, თუ რა იყო მოცემული ომების მიზეზები, კურსები და ომის შედეგები. კოლინ გრეის, წიგნი სტუდენტებს აძლევს კარგ ნიადაგს თანამედროვე ომის განვითარების შესწავლაში, თანამედროვე ინდუსტრიის ეპოქაში საერთაშორისო ტერორიზმისა და ჰიბრიდული იარაღის არსებობის პირობებში. წიგნში მოცემულია ბოლო ორი საუკუნის ყველა დიდი ომები, ასევე სტრატეგიული სწავლების, უსაფრთხოების სწავლების, ომის სწავლების, საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო ისტორიის ძირითადი საკითხები.

- 5) *გუგული მადრადე, ვახტანგ მაისაია „21- საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა – რეგიონული და გლობალური ასპექტები“, გამომცემლობა „უნივერსალი“ , თბილისი, 2017 წელი* – წიგნში განხილულია უსაფრთხოების პრობლემები გეოპოლიტიკური ანალიზის კუთხით. მოგეხენებათ, რომ მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევის მიზნით გეოპოლიტიკური პროცესების შეფასებას და მათ სამხედრო პოლიტიკურ ანალიზს უდიდესი როლი ენიჭება, ეს კი დღესდღეობით მთავარ ქვაკუთხედია მსოფლიო პოლიტიკური სისტემებისათვის. აქვე მოყვანილია ის მთავარი სექტორები, რომლებიც დიდ გავლენას ახდენს გლობალიზაციის პირობებში კაცობრიობის უსაფრთხოებაზე, ნაშრომში დეტალურად არის განხილული: სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი, ეკოლოგიური და საინფორმაციო უსაფრთხოება. ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პოსტ-ბიპოლარული ეპოქის შემდეგ შეცვლილ საერთაშორისო პოლიტიკას და საერთაშორისო უსაფრთხოებას.

მაგალითის სახით ასახელებენ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და გეოპოლიტიკურ აქტორებს, რომლებიც ჩამოყალიბდნენ „ცივი ომის“ პირობებში, ასევე ყურადღებას ამახვილებენ დროთა განმავლობაში მათ გარდასახვაზე, როგორც „თანამშრომლობითი უსაფრთხოება“ – თეორიიდან პრაქტიკამდე.

- 6) *Strategic Studies Institute and U.S. Army War College Press MOVING BEYOND PRETENSE: NUCLEAR POWER AND NONPROLIFERATION Henry Sokolski Editor June 2014.* ჰენრი სოკოლსკი ყურადღებას ამახვილებს ბირთვული იარაღის გავრცელების საკითხებზე და პოტენციური გამოყენების პრობლემებზე, რაც აშშ-ს და მსოფლიოსთვის უდიდეს საფრთხეს წარმოაგენს. მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს პოლიტიკურ ჩინოვნიკებსა და ინდუსტრიული წრეების წარმომადგენლებზე თუ რამდენად ესმით მათ, ის რისკები და საფრთხეები, რაც დაკავშირებულია ბირთვულ იარაღის გავრცელებასთან. სინამდვილეში კი სახელმწიფოების უმრავლესობამ ხელი შეუწყო ბირთვული ენერჯის განვითარებას და ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად დაისახა. იბადება კითხვები რამდენად უსაფრთხოა ბირთვული პროგრამები ისეთ ქვეყნებში, რომელთაც სურთ სწრაფად მიიღონ ბირთვული იარაღი? ბირთვული ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს უსაფრთხოების გარანტიები საკმარისია? რამდენად შეძლებენ გააკონტროლონ ბირთვული იარაღის შემდგომი გაუვრცელებლობის საკითხები? ეს წიგნი გვაძლევს საშუალებას აღნიშნულ კითხვებზე მივიღოთ პასუხი 13 წამყვანი ექსპერტისგან, რომლებიც მუშაობენ საერთაშორისო უსაფრთხოების და ბირთვული უსაფრთხოების მიმართულელებით.

- 7) *გიორგი სანიკიძე, კილურაძე ნინო. „ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები: მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“; გამომცემლობა - თბილისი : მერიდიანი, 2001.* წიგნში განხილულია თეორიები საერთაშორისო ურთიერთობათა ხასიათის შესახებ, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაციის საკითხები, საერთაშორისო უსაფრთხოება ცივი ომის შემდგომ პერიოდში, საერთაშორისო რეჟიმები, საერთაშორისო ორგანიზაციები თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში, ტრანსნაციონალური აქტორები გლობალურ პოლიტიკაში და სახელმწიფოთა სუვერენობა და ჰუმანიტარული ინტერვენცია გლობალიზაციის ეპოქაში. გარდა ამისა, ავტორები განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორცაა რეგიონალიზმი და ინტეგრაცია, ნაციონალიზმი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში და კულტურული კონფლიქტი საერთაშორისო ურთიერთობებში (დასავლეთი და ისლამი). ეს საკითხები უძალო კავშირშია გლობალურ პოლიტიკურ პროცესებთან და განსაზღვარს მის ქმედებას.
- 8) *ვახტანგ მაისია, ალიკა გუჩუა., „ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები („ისლამური სახალიფო“, „ალ-კაიდა“ და „თალიბანი“) - მეოთხე თაობის ომის სტრატეგია და მისი რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპექტები (2010-2019 წლები)“; გამომცემლობა „თბილისელები პრინტი“, თბილისი, 2020 წელი* - აღნიშნული წიგნი პირველ ფუნდამენტურ კვლევით ნაშრომს წარმოადგენს, რომელიც სამხედრო მეცნიერებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების მნიშვნელოვან თემას ეხება - მეოთხე თაობის ომის კონცეფციას და სტრატეგიას. ამ მიმართულებით განსაკუთრებული

მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ მონოგრაფია შესრულებულია არასტანდარტული წესით და წარმოადგენს ერთგვარ კვინტენსენციას აკადემიური, სამეცნიერო, ანალიტიკური და პუბლიცისტური სახის კვლევებს. ყურადღება გამახვილებულია სამხედრო უსაფრთხოების თეორიის და გეოსტრატეგიული კვლევების მნიშვნელობაზე, როგორც სამეცნიერო-კვლევითი, ისე პრაქტიკული ადაპტაციის კუთხით. აღნიშნული კვლევა წარმოადგენს პირველ გამოცემას საქართველოში, რომელიც ასახავს არასახელწმიფოებრივი სამხედრო აქტორების არსის რეალური წარმოჩენის მცდელობას, როგორებიცაა დაემი და „თალიბანი“ და რა კავშირშია მათ მიერ განხორციელებული მიზნები და ამოცანები მეოთხე თაობის ომის სტრატეგიასთან. მოცემულ სიღრმისეულ კვლევაში ძირითადად დესკრიფციული მეთოდის სახით, მიმოხილულია სამხედრო სტრატეგიის და სამხედრო ხელოვნების გეოპოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და გაანალიზებულია მსოფლიო პოლიტიკურ დონეზე არსებული პროცესები, გლობალური და რეგიონული სამხედრო უსაფრთხოების ფარგლებში. კვლევის უნიკალურობას წარმოაჩენს ის გარემოებაც, რომ მასში კარგად არის ასახული ახალი ტექნოლოგიების გავლენა საერთაშორისო წესრიგის პირობებზე და ასევე მასობრივი განადგურების იარაღის ფაქტორის და ბირთვული უსაფრთხოების მნიშვნელობას და ამ მხრივ, ნატოს ახალი გეოსტრატეგიული ამოცანების განხორციელებას გლობალური სტაბილური პირობების მისაღწევად.

დისერტაციის სტრუქტურა

წარმოდგენილი დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის, ცხრა ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისგან.

თავი I. ევრო-ატლანტიკურ სივრცეში მასობრივი განადგურების იარაღის ფაქტორის მნიშვნელობის ისტორიული და პოლიტიკური ასპექტები

ევრო-ატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მასობრივი განადგურების იარაღის კონტროლს. თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში სახელმწიფოების მზარდმა სამხედრო მილიტარისტულმა პოლიტიკამ მრავალი საფრთხე წარმოქმნა და ნატოს წინაშე ახალი საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობა დააყენა, როგორც „ცივი ომის“ პერიოდში ალიანსის წინაშე არ იდგა. შესაბამისად ნატოს მთავარი ამოცანაა ალიანსის უსაფრთხოების დაცვა, რაც ალიანსის წინაშე დაყენებული ამოცანების შესრულებისთვის საჭიროებს სტრატეგიული კონცეფციების განახლებას იმისთვის, რომ ახალი სტრატეგიები ზუსტად პასუხობდეს არსებულ და მომდინარე საფრთხეებს, რისკებს და გამოწვევებს.

1.1. მასობრივი განადგურების იარაღის (მათ შორის ბირთვული იარაღის) არსი, ტიპოლოგია, მეთოდოლოგიური საფუძვლები და მისი პოლიტიკურ-სამართლებრივი რეგულირების ფაქტორები

მსოფლიოში მრავალი საფრთხე და საშიშროება არსებობს რომელიც არაა 21-ე საუკუნის პირმშო. თანამედროვე პერიოდში საფრთხეების და გლობალური რისკების კლასიფიკაცია უფრო გაიზარდა ახალი ტექნოლოგიების განვითარების ფონზე. მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების შეზღუდვა მნიშვნელოვანია საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის. მასობრივი განადგურების იარაღი - ეს ტერმინი პირველად 1948 წელს გაეროს კონვენციური შეიარაღების შესახებ კომისიის მიერ ჩამოყალიბდა და პოლიტიკური ცნების სახით დამკვიდრდა. მასობრივი განადგურების

იარაღის ორი ძირითადი განმარტება შეგვიძლია განვიხილოთ, ამერიკული მიდგომის თანახმად - ბირთვული ასაფეთქებელი შეიარაღება, რადიოაქტიური მასალების შეიარაღება, ლეტალური ქიმიური და ბიოლოგიური შეიარაღება და სხვა სახის შეიარაღება, რომელიც ხასიათდება შედარებით მძლავრი გამანადგურებელი ეფექტით ისეთივე სიმძლავრის, რომელიც გააჩნია ბირთვული ბომბის აფეთქებას ან სხვა ზემოთაღნიშნული იარაღის ტიპებს. რუსული მიდგომის თანახმად მასობრივი განადგურების იარაღი - იარაღის ისეთი სახეობა, რომელსაც გააჩნია შეზღუდული ძალების და საშუალებების მოზიდვის ხარჯზე, გამოიწვიოს მასობრივი დანაკარგები და განადგურების ისეთი მასშტაბები, რომელიც საფუძვლიანად დაამახინჯებს გარემო ბუნებას. მისი ნიშნებია: დაზარალებული გარემოს მრავალეფექტურობა, დამანგრეველი ფაქტორის დიდი დროის ხანგრძლივობა, მძიმე გენეტიკური და ეკოლოგიური შედეგები და ა.შ. მათ რიცხვშია: ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი, შესაძლებელია სხვა იარაღიც.

მასობრივი განადგურების იარაღის კლასიფიკაცია მოიცავს: ბირთვული იარაღი - რომელიც მუშაობს ბირთვული ატომის გახლეჩაზე, რაშიც გამოიყენება პლუტონიუმი ან ურანიუმი. დღეს „ბირთვულ კლუბში“ შედის შვიდი ქვეყანა: დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, საფრანგეთი, ინდოეთი, პაკისტანი, რუსეთი და აშშ-ბი. ჩრდილოეთ კორეა ფლობს შეზღუდულ პოტენციალს, ხოლო ირანი ფლობს 90%-იან პოტენციალს. რაც შეეხება ისრაელს ანალიტიკოსები თვლიან, რომ მას აქვს ბირთვული იარაღი, რასაც ისრაელი არც ადასტურებს და არც უარყოფს. 1980 წელს სამხრეთ აფრიკამ რამოდენიმე ბირთვული ბომბი შექმნა, თუმცა 1990 წელს მოახდინა მათი დაშლა, ის ერთადერთი სახელმწიფოა რომელმაც დამოუკიდებლად განავითარა ბირთვული იარაღი და შემდეგ მოახდინა განადგურება.

ქიმიური იარაღი - გამოიყენებს მომწამვლელ ეფექტს, რომლებსაც შეიცავენ ქიმიური შემცველობები და კომპონენტები. ის იწვევს ლეტალურ შედეგებს, სამუდამოდ დასახიჩრებას და ადამიანთა დაინვალიდებას.

ქიმიური იარაღის ნიმუშებია: ფოსგენი, გარიჩის მხუთავი გაზი და ქიმიური ელემენტი VX. რადიოლოგიური იარაღი - რადიოლოგიური იარაღი ზოგჯერ მოიხსენიება როგორც „ჭუჭყიანი ბომბები“, რომლის გამოყენება ფიქსირდება რადიოაქტიური მასის გამოფრქვევით, მაგრამ არ შეიცავს ბირთვული „აფეთქების“ ეფექტს. ეს იარაღი ფორმირდება მძლავრი კონვენციური ასაფეთქებელი ძალით, დამუხტული რადიოაქტიური მასალებით. ბიოლოგიური იარაღი - ბიოლოგიური იარაღი მოიცავს ბაქტერიებს, ვირუსებს ან ბიოლოგიური ტოქსინებს, რომლების მიზანმიმართულად მიმოიფრქვევა ჰაერში, ადამიანების მოწამვლის ან ინფიცირების მიზნით, როგორცაა ჯარი და ხალხი. ბიოლოგიური იარაღს მიეკუთვნება: ციმბირის წყლული, რიცინი და ყვავილა. ბიოლოგიური საშიშროების, ტოქსიკურობის და რადიოაქტიურობის, საერთაშორისო სიმბოლოები და უნიკოდები შეგიძლიათ იხილოთ დანართი #1.

ბიოლოგიური ეწოდება ისეთ ომს, სადაც ხდება ბიოლოგიური ტოქსინების ან ინფექციური აგენტების გამოყენება, როგორცაა ვირუსები, ბაქტერიები და სოკოები, იმ მიზნით, რომ მოკლას ან ზიანი მიაყენოს ადამიანს, ცხოველს ან მცენარეს. ბიოლოგიურ იარაღებს (ასევე იწოდება ბიო-აგენტებად) მიეკუთვნება ის ცოცხალი ორგანიზმები და რეპლიკაციის უნარის მქონე ნანო-ნაწილაკები (ვირუსები), რომლებიც მრავლდებიან მასპინძელ ორგანიზმებში. ტოქსინები არ მრავლდებიან მასპინძელ ორგანიზმში, თუმცა ისინიც მიეკუთვნებიან ბიოლოგიურ იარაღებს. ენტომოლოგიური (მწერების) ომიც, წარმოადგენს ბიოლოგიური ომის ტიპს. ბიოლოგიური იარაღების სხვადასხვა გზებით გამოყენებაა შესაძლებელია მოწინააღმდეგეზე სტრატეგიული ან ტაქტიკური უპირატესობის მოსაპოვებლად. ბიოლოგიური აგენტები შეიძლება იყვნენ ლეტალები (მომაკვდინებელი) ან არალეტალები და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ერთი ადამიანის, ადამიანთა ჯგუფის ან მთლიანი პოპულაციის მიმართ. ტერორიზმის დროს, თუ ხდება ბიოლოგიური აგენტების გამოყენება, ის იწოდება ბიოტერორიზმად. ბიოლოგიური იარაღების

თავდასხმითი მიზნით გამოყენებას კრძალავს 1972 წელს მიღებული კონვენცია, რომელსაც 2011 წლის მონაცემებით, 165 ქვეყანამ მოახდინა რატიფიცირება ან თანხმობა; ამ კონვენციის მიზანია მოხდეს პრევენცია ბიოლოგიური იარაღებით შეტევების, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დიდი რაოდენობით ადამიანების სიკვდილი და ამასთან ერთად, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის დაზიანება. ბევრი ქვეყნები, მათ შორის ისინი, რომლებმაც კონვენციის რატიფიკაცია მოახდინეს, ატარებენ კვლევებს ბიოლოგიური ომისგან თავდაცვის კუთხით, რაც არაა აკრძალული კონვენციის მიხედვით.¹

მასობრივი განადგურების იარაღის ტერმინი პირველად კენტერბერგის არქიეპესკოპოსმა კოსმო გორდონ ლანგმა (Cosmo Gordon Lang) 1937 წელს გამოიყენა ესპანეთის ქალაქ გერნიკას საჰაერო დაბომბვის აღსაწერად. მოცემულ პერიოდში იაპონია ბიოლოგიურ იარაღზე ატარებდა კვლევებს, აშშ-ში კი ჯერ კიდევ ანვითარებდა ბირთვულ იარაღს, ხოლო პირველ მსოფლიო ომში ქიმიური იარაღები ფართოდ გამოიყენებოდა. პირველად ბირთვული იარაღის გამოყენების შემდეგ და ბიპოლარულ ანუ ცივი ომის პერიოდში, ტერმინი არაკონვენციური იარაღის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. სპეციფიურად ბირთვული და რადიოლოგიური იარაღების აღსანიშნავად აღნიშნული ტერმინის გამოყენება ვილიამ საფირეს (William Safire) მიეწერება. ცივი ომის პერიოდში მოხდა ტერმინის მნიშვნელობის ევოლუცია, ტერმინი მასობრივი განადგურების იარაღი ძირითადად გამოიყენებოდა ბირთვული იარაღების აღსანიშნავად. საბჭოთა კავშირის ბირთვული და კონვენციური შეტევის შესაკავებლად ამერიკელები იყენებდნენ ბირთვულ იარაღს, რასაც დასავლეთში სტრატეგიულ იარაღს

¹ ვახტანგ მაისაია, ალიკა გუჩუა., „ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები („ისლამური სახალიფო“, „ალ-კაიდა“ და „თალიბანი“) - მეოთხე თაობის ომის სტრატეგია და მისი რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპექტები (2010-2019 წლები)“, გამომცემლობა „თბილისელები პრინტი“, თბილისი, 2020. გვ. 204.

უწოდებდნენ ერთგვარ ეუფენიზმს (რაიმე აგრესიული სიტყვის, უწყინრით შემცველი სიტყვა).

სამოქალაქო განმარტება შეერთებულ შტატებში, სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციები, ტერორიზმის საკითხებთან დაკავშირებით, მასობრივი განადგურების იარაღებს განმარტავენ შემდეგნაირად: 1) ნებისმიერი ასაფეთქებელი, ცეცხლგამჩენი, მომწამლავი აირი, ბომბი, ყუმბარა ან რაკეტა, რომელსაც აქვს გამტყორცნი მუხტი, 113 გრ. -ზე მეტი; რაკეტა, რომელსაც აქვს ასაფეთქებელი და ცეცხლგამჩენი მუხტი, 7 გრ.-ზე მეტი 2) მომწამლავი აირი 3) ნებისმიერი იარაღი, რომელიც შეიცავს დაავადების გამომწვევ ორგანიზმს 4) ნებისმიერი იარაღი, რომელიც შექმნილია, იმისათვის, რომ გამოასხივოს ადამიანისათვის საშიში დოზით, რადიაცია.²

სამხედრო განმარტება შეერთებული შტატების კოდექსი, ნაციონალური თავდაცვის ზოგადი საკითხების გათვალისწინებით, მასობრივი განადგურების იარაღს, განმარტავს როგორც, ნებისმიერი იარაღი ან მოწყობილობა, რომელიც გამიზნულია ან აქვს უნარი, გამოიწვიოს სიკვდილი ან ძლიერი ტრავმა, ადამიანთა დიდ ჯგუფს შორის, შემდეგი პროცესების შედეგად:

- ტოქსიკური ან მომწამლავი ქიმიური ნივთიერებების გამოტყორცნით
- დაავადების გამომწვევი ორგანიზმის გავრცელებით
- რადიაციის გავრცელებით³

ბირთვული იარაღი არის ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც თავის გამანადგურებელ ენერგიას იღებს ბირთვული რეაქციების შედეგად, როგორცაა ბირთვული გახლეჩის რეაქცია ან ბირთვული გახლეჩის და ბირთვული სინთეზის რეაქციების კომბინაციის შედეგად. ორივე ტიპის რეაქცია, შედარებით მცირე რაოდენობის მატერიიდან გამოყოფს ძალიან

² სამხედრო ბლოგი „მასობრივი განადგურების იარაღი“, - <https://geoarmada.wordpress.com/2013/01/04> გვ.1.

³ სამხედრო ბლოგი „მასობრივი განადგურების იარაღი“, - <https://geoarmada.wordpress.com/2013/01/04> გვ.1.

დიდი რაოდენობის ენერგიას. პირველი, ბირთვულ გახლეჩაზე მოქმედი (ატომური) ბირთვული ბომბის ტესტირების დროს, მოხდა იმდენივე ენერგიის გამოყოფა, რამდენიც გამოიყოფოდა დაახლოებით 20 000 ტონა ტროტილის აფეთქების შედეგად. ხოლო პირველი თერმობირთვული (წყალბადის) ბომბის ტესტირების დროს, მოხდა იმდენივე ენერგიის გამოყოფა, რამდენიც გამოიყოფოდა 10 000 000 ტონა ტროტილის აფეთქების დროს.⁴

თანამედროვე, თერმობირთვულ იარაღს, რომელიც იწონის დაახლოებით 1 100 კგ-ს, შეუძლია წარმოქმნას აფეთქების ძალა, რომელიც ტოლი იქნება 1.2 მილიონ ტონაზე მეტი ტროტილის აფეთქების. შესაბამისად, თუნდაც, მცირე ზომის ბირთვულ იარაღს, შეუძლია გაანადგუროს მთელი ქალაქი, აფეთქების ტალღის, ცეცხლის და რადიაციის შედეგად.⁵

მეორე მსოფლიო ომში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბირთვული იარაღი გამოიყენა იაპონიის წინააღმდეგ, მან 1945 წლის 6 აგვისტოს, ურანზე მოქმედი ბირთვული გახლეჩის რეაქციის ბომბი, ჩამოგდებულ იქნა იაპონიის ქალაქ ჰიროსიმაში და 9 აგვისტოს პლუტონიუმზე მოქმედი ბირთვული ბომბი ჩამოაგდეს ნაგასაკიში. ორივე აფეთქების შედეგად 200 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

იქიდან გამომდინარე, რომ თერმობირთვული ბომბების დამზადება ზოგადად, უფრო რთულია, ვიდრე ატომური ბომბების დამზადება. ექვსმა ქვეყანამ მოახდინა თერმობირთვული ბომბის გამოცდა, ესენია - საფრანგეთი, ჩინეთი, აშშ-ბი, რუსეთი, ჩინეთი და ინდოეთი.

მასობრივი განადგურების იარაღის კლასიფიკაციას მიეკუთვნება ქიმიური იარაღი რომელიც არის ბრძოლისათვის განკუთვნილი ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც იწვევენ სიკვდილს ან ადამიანისთვის მოაქვთ ზიანი. ხოლო ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის მიხედვით

⁴ სამხედრო ბლოგი „ბირთვული იარაღი“, - <https://geoarmada.wordpress.com/2013/01/12> გვ.1.

⁵ სამხედრო ბლოგი „ბირთვული იარაღი“, - <https://geoarmada.wordpress.com/2013/01/12> გვ.1.

(OPCW), ქიმიურ იარაღს მიეკუთვნება ყველა ტოქსიკური ქიმიური ნივთიერება რომლებსაც თავისი მოქმედების შედეგად შეუძლია გამოიწვიოს სიკვდილი, შრომისუნარიანობის დროებითი დაკარგვა, დაზიანება და მგრძნობელობის დარღვევა. მიუხედავად იმისა, სავსეა თუ არა ქიმიური იარაღის გადასატანად შექმნილი სპეციალური დანადგარები ისინი მაინც ითვლება იარაღად. ქიმიური იარაღი განსხვავდება ბირთვული, ბიოლოგიური და რადიოლოგიური იარაღისგან. ბრძოლისთვის შესაძლებელია ყველა მათგანის გამოყენება რომელიც ცნობილია NBC (for nuclear, biological, and chemical warfare) სამხედრო აბრევიატურით. შეიარაღების ჩვეულებრივი სახეობებისგან განსხვავდება მასობრივი განადგურების იარაღი, რომელსაც გააჩნია პირდაპირი ეფექტურობა თავისი აფეთქების, კინეტიკური თუ ცეცხლის გაჩენის შედეგად. ქიმიური იარაღის მაგალითებია: ცრემლსადენი გაზი, ნერვული გაზი და წიწაკის სპრეი. ჩვეულებრივი იარაღისაგან განსხვავებით ქიმიურ იარაღს უფრო მეტი სიცოცხლის მოსპობა შეუძლია, ის დაახლოებით 100-ჯერ ნაკლები ჯდება და უფრო ეფექტურია.

საერთაშორისო საზოგადოება მიხვდა იმის აუცილებლობას, რომ მსოფლიო საჭიროებდა მასობრივი განადგურების იარაღის გარკვეულ რეგულაციას. შესაბამისად შემუშავებულ იქნა საერთაშორისო ხელშეკრულებები მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის, შეზღუდვის, უსაფრთხოების და დაცულობის. მნიშვნელოვანია განვიხილოთ მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის რეგულირების საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები:

- ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ (Treaty on the Non-Proliferation of Nuclear Weapons). ხელშეკრულებას გაფორმდა 1968 წელს. 1995 წლის 11 მაისს, ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელდა, მას სულ 191 ქვეყანა შეუერთდა, მათ შორის ხუთი ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფო.

- მნიშვნელოვანია ასევე ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს „კონვენცია ბირთვული ავარიის შემთხვევაში ადრეული შეტყობინების შესახებ“, (მიღებულია 1986 წლის 26 სექტემბერს, მე-8 პლენარულ სხდომაზე).
- კონვენცია ბირთვული ავარიის ან რადიაციული ავარიული სიტუაციის შემთხვევაში დახმარების შესახებ, მიღებულია ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს საინფორმაციო ცირკულარის 1986 წლის 18 ნოემბერს გენერალური განყოფილების მიერ.
- რადიოაქტიური წყაროების უსაფრთხოებისა და დაცულობის ქცევის კოდექსი (CODE OF CONDUCT ON THE SAFETY AND SECURITY OF RADIOACTIVE SOURCES). მიღებულია 2003 წლის 8 სექტემბერს ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს მიერ.
- რადიოაქტიური წყაროების იმპორტისა და ექსპორტის სახელმძღვანელო (GUIDANCE ON THE IMPORT AND EXPORT OF RADIOACTIVE SOURCES). მიღებულია 2004 წლის იანვარში ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს მიერ.
- 1925 წლის კონვენცია ქიმიური იარაღის მიღების, წარმოების და გამოყენების აკრძალვის.
- ქიმიური იარაღის კონვენცია რომელიც მიღებულ იქნა 1997 წელს და მას 164 ქვეყანამ მოაწერა ხელი.
- ბიოლოგიური იარაღის ამკრძალავი საერთაშორისო დოკუმენტი მიღებულია 1972 წელს ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის კონვენცია რომელსაც ხელი მოაწერა 171 ქვეყანამ და 155-მა მოახდინა რატიფიკაცია.

რაც შეეხება ბაქტერიოლოგიური იარაღის ამკრძალავ საერთაშორისო დოკუმენტებს ის ჯერ კიდევ შემუშავებული არ არის. რაც წარმოადგენს საკმაოდ მძიმე მოვლენას იმ თვალთსაზრისით, რომ აღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტის შემუშავება წარმოადგენს აუცილებლობას თანამედროვე საფრთხეების განზომილების გათვალისწინებით.

სხვადასხვა საერთაშორისო მოლაპარაკებების შედეგად რამდენჯერმე აიკრძალა ქიმიური იარაღის გამოყენება: პირველი მათგანი გახლდათ 1899 წლის ჰააგის კონვენცია, სადაც 23-ე სტატიის მიხედვით, იკრძალება ისეთი იარაღის გამოყენება, რომელიც მიმართულია ცოცხალი ძალის მოწამვლისთვის. პირველი მსოფლიო ომის დროს მნიშვნელოვანი ტექნოლოგია გახდა ქიმიური იარაღი, კერძოდ კი - მომწამვლელი გაზი, რომელმაც სრულიად შეცვალა ბრძოლის მიმდინარეობა. 1915 წელს იპრის მეორე ბრძოლისას იქნა გამოყენებული პირველი მომწამვლელი გაზი - ქლორი, რის შედეგადაც ადამიანს სასუნთქი გზები წამებში ეკეტებოდა და იხუთებოდა, ხოლო მოგვიანებით გამოჩნდა ფოსგენის გაზი. 1917 წელს კი გერმანელებმა ე.წ. „მდოგვის“ გაზი შექმნეს რომლისგანაც ჯარისკაცებს ნიღაბიც ვერ შეელოდათ განსხვავებით წინა ორი ქიმიური იარაღისა. მეორე მნიშვნელოვანი დოკუმენტი იყო 1907 წლის ჰააგის დეკლარაცია, „მხუთავი, მომწამლავი ან სხვა მსგავსი იარაღების გამოყენების აკრძალვის შესახებ“. 1925 წლის ჟენევის კონვენცია „ოქმი ომის დროს მხუთავი, მომწამვლელი ან სხვა მსგავსი იარაღებისა და ბაქტერიოლოგიურ საშუალებათა გამოყენების აკრძალვის შესახებ“, და 1925 წლის კონვენცია ქიმიური იარაღის მიღების, წარმოების და გამოყენების აკრძალვის შესახებ. მიუხედავად არსებული კონვენციების მასობრივი განადგურების იარაღის წარმოება, შენახვა და გამოყენება მაინც ხდება სხვადასხვა ქვეყნებში. ამავე დროს იყენებენ გასამართლებელ ფაქტორად აგრესორისგან თავდასაცავად.

1997 წლის 29 აპრილს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით შეიქმნა „ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაცია“ (OPCW).

ეროვნულ დონეზე მიღებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონი მასობრივი განადგურების იარაღის აკრძალვის, რეგულირების და უსაფრთხოების შესახებ:

- საქართველოს კანონი ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ. 2012 წლის 20 მარტი. N5912-რს.⁶
- საქართველოს კანონი რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ. 2015 წლის 11 ნოემბერი. N4487-ლს.⁷
- საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ. 2005 წლის 24 ივლისი. N1775-რს.⁸

მასობრივი განადგურების იარაღის აკრძალვის კონვენციას საქართველომ 1991 წელს მოაწერა ხელი.

1949 წლის ჟენევის კონვენციის 1997 წლის პირველი დამატებითი ოქმის მიხედვით, სამხედრო იერიშის მიტანა აკრძალულია იმ იარაღით და საბრძოლო მასალებით, რომლებიც საერთაშორისო სამართალში ითვლებიან განურჩეველი მოქმედების მქონედ და ანადგურებენ სამოქალაქო, სამხედრო ობიექტებს და სამოქალაქო მოსახლეობას განურჩევლად. აღნიშნული კონვენცია საკმაოდ მოქნილია შესაძლებელია დამატებითი ოქმების შემუშავება, ცვლილებათა და შესწორებათა შეტანა, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი დროის მოთხოვნების შესაბამისად ახალი აკრძალვების და შეზღუდვების დაწესების პროცესში. 1980 წლის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის დებულებათა თანახმად, მხარეებს ეკისრებათ, „ახალი სახეობების იარაღის, ომის წარმოების საშუალებებისა და მეთოდების შესწავლის, შემუშავების, შეძენის ან შეიარაღებაში შეტანის დროს განსაზღვრონ, ხომ არ ეწინააღმდეგება მათი გამოყენება საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს, ხოლო თუ ეწინააღმდეგება, უზრუნველყონ, რომ ასე არ იყოს“. მიუხედავად იმისა, რომ ნაღმების (მცურავი ნაღმების გარდა)

⁶ საქართველოს კანონი ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ.

<http://www.anrs.gov.ge/Legislation/National-Legislation/sqartvelos-kanonebi/birtvuli-daradiaciuli-usaftrkhoebis-kanoni.aspx>

⁷ საქართველოს კანონი რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ.

<http://www.anrs.gov.ge/Legislation/National-Legislation/sqartvelos-kanonebi/radioaqtiuri-narchenebis-kanoni.aspx>

⁸ საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ.

<http://www.anrs.gov.ge/Legislation/National-Legislation/sqartvelos-kanonebi/licenziebisa-danebartvebis-kanoni.aspx>

გამოყენების შეზღუდვის საკითხი 1980 წლის კონვენციის II ოქმით ნაწილობრივ დარეგულირდა, ამ ოქმში შესწორებები შემდგომშიც იქნა შეტანილი (მაგ.: ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვა, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება, უბირთვო ზონები, საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაცია, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური აკრძალვა, მასობრივი მოსპობის იარაღის ახალი სახეების აკრძალვა, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება, სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვა და შემცირება).⁹

თემის დამუშავების მეთოდოლოგიურ საფუძველს ის საერთაშორისო თეორიები წარმოადგენენ, რომელიც გამოიყენება უსაფრთხოების კვლევებში. რეალიზმის სკოლის თეორია „Prisoner's Dilemma“, „ბირთვული ტერორის“, „Chicken Game“, „ძალთა ბალანსის“ თეორია, რაც გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან. ასევე მნიშვნელოვანია „ბიპოლარული ბალანსი“-ს თეორია რომელიც ცივი ომის პერიოდში წარმოიშვა. აქვე მნიშვნელოვანია განვიხილოთ „ურთიერთდამოკიდებულების თეორია“, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების კვლევებს ეხება. „სექიურიტიზაციის კონცეფცია“ რომელიც უკავშირდება უსაფრთხოების კვლევების კოპენჰაგენის სკოლას, რომლის ავტორები არიან ოლი ვივერი და ბარი ბუზანი, ისინი კონსტრუქტივიზმის თეორიის წიაღში, საზოგადოების ჩართულობას ითვალისწინებენ. ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში რიჩარდ კოენმა შემოგვთავაზა „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია. რაც გულისხმობს უსაფრთხოების ისეთ მოდელს, რომელიც იდეალიზირებული ქვაკუთხედიდან პრაქტიკულად აღსრულებადი ხდება. თანამშრომლობითი

⁹ ალექსიძე ლ.; გიორგაძე ლ.; კორკელია კ.; ქურდაძე ი. „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი: ლექსიკონი ცნობარი“, თბილისი 2005. გვ.1.
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=5564>

უსაფრთხოების კონცეფცია შედგება ოთხი მოდელისაგან: ინდივიდუალური უსაფრთხოება, კოლექტიური უსაფრთხოება, კოლექტიური თავდაცვა და სტაბილურობის მიღწევა.

თამაშების თეორიები საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს და გვებმარება უკეთ გავიგოთ საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში არსებული პროცესები, რომელიც მნიშვნელოვნად გვიადვილებს მის შეცნობას და წარმოდგენას მასზე. აბსოლუტური ანტაგონიზმიდან დაწყებული თამაშის თეორიტიკოსები წარმოგვიდგენენ რამოდენიმე სტრატეგიას რომელსაც განვიხილავთ მაგ: „პატიმართა პარადოქსი“ მას აგრეთვე უწოდებენ „პატიმართა დილემას“.

ორი ექვმიტანილის დაკითხვა ხდება ცალ-ცალკე გამომძიებლის მიერ. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ საქმე ეხება უმნიშვნელო კანონდარღვევას, მაგრამ სინამდვილეში ისინი ექვმიტანილნი არიან სერიოზულ დანაშაულში. ორივე მათგანი დუმს (a2, b20), ანუ უარს ამბობს დანაშაულის აღიარებაზე. ორივე შედარებით მსუბუქ სასჯელს მიიღებს, რაც გათვალისწინებულია უმნიშვნელო დანაშაულისთვის (+5). საპირისპიროდ, წარმოვიდგინოთ, თუ რა მოხდება, ერთ-ერთმა მათგანმა ან ორივემ რომ აიღეს დანაშაული. თუ A აღიარებს (a1) და B არ აღიარებს (b2), A თავს დაიხსნის სასჯელისგან (+10), ხოლო B ყველაზე მკაცრ სასჯელს მიიღებს (-10). თუ ორივენი აღიარებენ დანაშაულს, ორივენი დაისჯებიან, მაგრამ ნაკლებად მკაცრად (-5), ვიდრე ის, ვინც არ აღიარებს დანაშაულს (-10). ამდენად, ცხრილი#1 შემდეგი სახისაა:¹⁰

| | | | |
|---|----|----------|---------|
| | | B | |
| A | a1 | b1(2) | b2 |
| | b1 | -5 -5 | +10 -10 |
| | | -10 + 10 | +5 +5 |

¹⁰ არონი რ. „მშვიდობა ომი ერებს შორის“, გამოცემა „მარსი“, თბილისი - 2009. გვ.820-821.

თერმოზირთვულ ხანაში არსებული საფრთხეები, რისკების და გამოწვევების ფონზე თითოეული მოთამაშის მთავარ მიზანს წარმოადგენს უკიდურეს ზღვრამდე მისვლის თავიდან აცილება, სადაც მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა მოთამაშემ თავიანთი უპირატესობა არ დათმონ. აქ მნიშვნელოვანია მოთამაშეებისთვის ანუ ბირთვული სახელმწიფოებისთვის საკუთარი ინტერესების დაცვა, ასევე მთვარია მათთვის მეორე მხარე დაარწმუნონ, რომ ამგვარი თავდაცვა განპირობებულია უსაფრთხოების სისტემისგან და შეუძლებელია სხვაგვარი თამაშის წესებით მოქმედება. მაგრამ აქვე მთავარ ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ ყოველმა მხარემ შეძლოს დაარწმუნოს მოწინააღმდეგე მხარე იმაში, რომ ის არ ცდილობს სამხედრო უპირატესობის მიღწევას მოწინააღმდეგის დასამარცხებლად. არამედ მისთვის მნიშვნელოვანია საკუთარი თავდაცვისუნარიანობის გაზრდა და მზადყოფნა არსებული თუ მოსალოდნელი საფრთხეების პრევენციისათვის.

ბირთვული ტერორით მუქარის თემა, რომელზეც ეტლი მიგვანიშნებდა პირველი ატომური ბომბების აფეთქების მომდევნო დღეებში, თეორიულ მსჯელობას წარმოშობს. 1946 წელს ბერნარდ ბროდი აქვეყნებს ნაშრომს ატომური ბომბის შესახებ სათაურით „*The Absolute Weapon*“ („აბსოლუტური იარაღი“), რომელშიც ხაზს უსვამს ამ სამხედრო იარაღის რევოლუციურ ასპექტს. „აქამდე, ჩვენი მხედართმთავრების ძირითადი მიზანი ომების მოგება იყო. დღეიდან მოყოლებული, მათი მთავარი მიზანი ომების თავიდან აცილება უნდა გახდეს. არ შეიძლება არსებობდეს ამაზე აუცილებელი მიზანი“. ბროდი აღნიშნავს, რომ ატომურ ბომბს მსოფლიოს ყველა ქალაქის განადგურება შეუძლია, რამდენიმე ბომბს კი ყველაფრის და არ არსებობს არავითარი ეფექტური თავდაცვა ამ იარაღის წინააღმდეგ. ატომურ ომში, მიიჩნევა ავტორი, ბომბების რაოდენობრივი უპირატესობა არ იქნება სტრატეგიული უპირატესობის გარანტია. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ იარაღის აჩრდილი სტრატეგიისა და ტაქტიკის პირობებს გადაატრიალებს.¹¹

¹¹ სენარკლენი პ.დ. არიფენი ი. „საერთაშორისო პოლიტიკა: თანამედროვე თეორიები და ამოცანები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა. თბილის - 2014. გვ.59.

თავის ნაშრომში „ბირთვული სტრატეგიები“ (1988 წ.) ლუსიენ პუარიერი აღნიშნავს, რომ ატომური იარაღი კლაუზევიცის დროინდელი „შეუძლებელი“ დამთხვევის წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობას იძლევა, ომისა მისი ჭეშმარიტი კონცეფციით და რეალური, კონკრეტული ომით. პარადოქსულად, კლაუზევიცის მიერ აბსტრაქციად გააზრებული ომი ბირთვული ცეცხლის გამოყენებით შესაძლებელი ხდება, რომელიც იმავდროულად, ხელის ერთი მოსმით თავის საბოლოო პოლიტიკურ მიზანს ანადგურებს: არაფერი უშლის ხელს აბსოლუტური ფორმისკენ მის აღზევებას. ატომური იარაღი უნდა იყოს გავრცელებული არა ბრძოლის საწარმოებლად, არამედ მტრის დასარწმუნებლად ომზე უარის სათქმელად. ესაა ფუნდამენტური ცვლილების დასაწყისი საერთაშორისო ურთიერთობებში.¹²

„წიწილების“ თამაში (Chicken Game) და ბირთვული იარაღის სტრატეგიები ცივი ომის პერიოდში: არაფორმალური თამაშის თეორიული მიდგომა რომელიც სტივ ლიმ ჩამოაყალიბა. ცივი ომის პერიოდში დაპირისპირებულმა მხარეებმა მიიღეს სხვადასხვა სტრატეგიები ბირთვული საფრთხეებთან საბრძოლველად, რომელსაც ფლობდა ორივე დაპირისპირებული მხარე. პოლიტიკოსები და პოლიტიკური ანალიტიკოსები ცდილობდნენ გაეგოთ ბირთვულ საუკუნეში სტრატეგიების ბუნება.

სიტუაციის გასარკვევად ბევრი კითხვა დაისვა. არის თუ არა ბირთვული შეკავების პოლიტიკა სანდო ვარიანტი? არის თუ არა გარანტირებული ურთიერთგანადგურების (MAD) სტრატეგია რაციონალური? განმუხტვასთან დაკავშირებით რა? რაც მთავარია, არის თუ არა შესაძლებელი რაციონალური მოდელის მეშვეობით, რომელიც დაფუძნებულია სტიმულებზე, დავანახოთ, რომ ჩვენ შეგვიძლია

¹² სენარკლენი პ.დ. არიფენი ი. „საერთაშორისო პოლიტიკა: თანამედროვე თეორიები და ამოცანები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა. თბილისი - 2014. გვ.59.

ვიცხოვროთ ბირთვული იარაღის სამყაროში ისე, რომ არ გავდეთ ამ იარაღის გამოყენების კატასტროფული შედეგების მოწმეები?

მათემატიკოსები და სოციოლოგები (კერძოდ, ეკონომისტები) ცდილობდნენ გაეანალიზებინათ ცივი ომის დროინდელი ბირთვული სტრატეგიები, მათემატიკური კონცეფციის გამოყენებით, რომელიც ცნობილია როგორც თამაშის თეორია. კერძოდ, თამაშის თეორიტიკოსებმა ყურადღება გაამახვილეს თამაშზე რომელიც ცნობილია, როგორც „წიწილები“.

იმისათვის, რომ გაიგოთ თუ ვინ არის „წიწილა“, წარმოიდგინოთ შეჯიბრი, სადაც ორი მანქანა მიდის ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით. თუ მოთამაშეებიდან ერთი მონაწილე პირველი მოუხვევს შეჯახების თავიდან ასაცილებლად მაშინ მას უწოდებენ „წიწილას“. ის, ვინც გააგრძელებს კურსს მიიღებს მაქსიმალურად შესაძლო მოგებას. „წიწილა“ კი ჯილდოდ მიიღებს გარკვეულ თავაისუფლებას, თავისი სიცოცხლის გადარჩენის სანაცვლოდ. თუ ისინი "ითანამშრომლებენ" და თავიდან აიცილებენ ერთმანეთთან შეჯახებას, ისინი მიიღებენ თანაბარ ჯილდოს. თუ ორივე შეინარჩუნებს არსებულ კურსს (რომელიც არ არის სასაცილოა, რადგან მათ აქვთ სტიმული), ისინი მოკვდებიან ან სერიოზულ დაზიანებებს მიიღებენ.¹³

განვიხილოთ პოლიტიკური რეალიზმის სხვა აქსიომა: ძლიერი სახელმწიფოები ურთიერთდაბალანსებას ცდილობენ ან საკუთარი პოლიტიკური და სამხედრო რესურსების გამოყენებით ანდა ისეთი ალიანსების სისტემების განვითარებით, რომელთაც მოწინააღმდეგე ძალების დაბალანსება შეუძლია. ბალანსის ცნება ძლიერი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის უპირველეს მიზანს განსაზღვრავს. ამ უკანასკნელთა ქმედება დაბალანსების შეზღუდვებითაა განპირობებული (განსაზღვრულიც კი). სწორედ ესაა მიზეზი, რომლის გამოც პოლიტიკური რეალიზმის

¹³ "Types of Chemical Weapons" (PDF). www.fas.org. Federation of American Scientists. Archived from the original (PDF) on 2016-03-03. Retrieved June 27, 2016. Pg.1.

წარმომადგენლები სახელდობრ, მორგენტაუ, იდეოლოგიურ საფუძვლებსა და პირად ფაქტორებს უგულვებელყოფენ ძლიერი სახელმწიფოების მიერ საგარეო პოლიტიკის წარმართვაში. ეს უკანასკნელნი მუდმივი სახელმწიფო მიზნების გატარებას ცდილობენ, რომლებიც გეოსტრატეგიული სიტუაციითაა ნაკარნახევი, განსაკუთრებით კი ძალთა ბალანსის კონფიგურაციიდან მომდინარე სტრუქტურული შეზღუდვებით.¹⁴

ნაკლებად მართებულია ცივი ომის პერიოდში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული ძალთა ბალანსის შედარება ვენის კონგრესის მიერ ჩამოყალიბებულ ძალთა ბალანსთან და ბიპოლარულობისა და მულტიპოლარულობის ცნებებმა შეძლონ პოლიტიკურად და სტრატეგიულად ძალზედ განსხვავებული სამყაროს გაგება. მართლაც, ცივი ომის განმავლობაში „ბიპოლარული ბალანსი“ აშშ-სა და სსრკ-ს შორის ბირთვული მუქარის რეალობის გამოხატველ მეტაფორას წარმოადგენდა. ატომურ ტერორზე დამყარებული ეს სტრატეგიული ურთიერთობა კლასიკური ძალთა ბალანსის ფენომენამდე არ დაიყვანება.¹⁵

ურთიერთდამოკიდებულება ყველაზე მეტად უსაფრთხოებაზე ახდენს გავლენას, კერძოდ - სახელმწიფოების მიერ თავიანთი ტერიტორიების დასაცავად მიღებულ ზომებზე. სხვა საგარეო პოლიტიკური მიზნების მსგავსად, ერთი სახელმწიფოს უსაფრთხოება სხვა სახელმწიფოების ქცევაზეა დამოკიდებული. სწორედ ეს წარმოშობს უსაფრთხოების დილემას, რომლის წინაშეც ყოველი სახელმწიფო დგას: საკუთარი უსაფრთხოების დაცვის ან განმტკიცების მიზნით სახელმწიფომ შეიძლება იმგვარი ზომები მიიღოს, რომლების სხვა სახელმწიფოთა უსაფრთხოებას ამცირებს. შედეგად, ამ სახელმწიფოებმა შეიძლება საპასუხო ზომებს მიმართონ, რომლებიც

¹⁴ სენარკლენი პ.დ. არიფენი ი. „საერთაშორისო პოლიტიკა: თანამედროვე თეორიები და ამოცანები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა. თბილის - 2014. გვ.38.

¹⁵ სენარკლენი პ.დ. არიფენი ი. „საერთაშორისო პოლიტიკა: თანამედროვე თეორიები და ამოცანები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა. თბილის - 2014. გვ.45.

პირველი სახელმწიფოს ქმედებების გაუვნებელყოფას ემსახურება და შეიძლება მას საფრთხეებიც შეუქმნას.¹⁶

ტერმინმა კოლექტიურმა უსაფრთხოებამ ჯერ კიდევ ცივი ომის შემდგომ პერიოდში ჰპოვა პოპულარულობა. ტერმინი ზოგადად აღწერდა მშვიდობიან და ჰარმონიულ ცხოვრებას საერთაშორისო უსაფრთხოებაში. ტერმინი მთლიანად ეფუძნებოდა საერთაშორისო უსაფრთხოებას, რადგან ეს ორი სუბიექტი ჩამოყალიბების ახალ ფაზაში იმყოფებოდა. თანამშრომლობითი უსაფრთხოების მოდელი აერთიანებს ოთხ ძირითად მეთოდს: ინდივიდუალური უსაფრთხოებას, კოლექტიური უსაფრთხოებას, კოლექტიური თავდაცვას და სტაბილურობის განმტკიცებას.¹⁷

კოლექტიური უსაფრთხოება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უნივერსალური სისტემის მოდელია, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების თვისებრივ შეცვლას ითვალისწინებს. რიჩარდ კოენის დოქტრინის მიხედვით, უსაფრთხოების დილემის გადალახვა და ომის თავიდან აცილება სახელმწიფოებს არა ძალთა წონასწორობის, არამედ საერთაშორისო ინსტიტუტების ერთობლიობის შექმნით ძალუძთ.¹⁸

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ სარაკეტო ტექნოლოგიებზე მნიშვნელოვანია განვიხილოთ - სარაკეტო ტექნოლოგიების კონტროლის რეჟიმი (MTCR) რომელიც არის ქვეყნების არაოფიციალური და ნებაყოფლობითი ასოციაცია, რომლებიც გაერთიანდნენ მასობრივი განადგურების იარაღის გადატანის სისტემების უკანონო გავრცელების აღკვეთის მიზნით. სარაკეტო ტექნოლოგიების კონტროლის რეჟიმი შეიქმნა 1987 წელს კანადის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, დიდი ბრიტანეთის და შეერთებული შტატების მიერ. მას შემდეგ, MTCR-ის

¹⁶ არტი რ. ჯერვისი რ. „საერთაშორისო პოლიტიკა: მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი - 2011. გვ.3.

¹⁷ Cohen R. - Cooperative Security: New Horizons for International Order.2001.p.4

¹⁸ ჩიტაშვილი მ. „სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი“.2004 წ. 333 გვ

პარტნიორი ქვეყნების რიცხვი გაიზარდა 35-მდე და რეჟიმის ფარგლებში თითოეულ ქვეყანას გააჩნია თანასწორი უფლებები. MTCR დაარსდა მასობრივი განადგურების იარაღის, განსაკუთრებით ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის, გავრცელების საფრთხის მომატების პასუხად. 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ კი ცხადი გახდა, რომ აგრეთვე აუცილებელია ზომების მიღება ტერორისტული ორგანიზაციების და კერძო პირების ხელში მასობრივი განადგურების იარაღის გადატანის სისტემების მოხვედრის რისკების შემცირების მიზნითაც. ასეთი საფრთხეების წინააღმდეგ საბრძოლველად ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს საფუძვლიანი ზედამხედველობის დაწესება იმ მოწყობილობების, მასალების და შესაბამისი ტექნოლოგიების გადაცემაზე, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას მასობრივი განადგურების იარაღის გადატანის სისტემებში. MTCR იცავს ექსპორტის პოლიტიკის საერთო სახელმძღვანელო პრინციპებს („სარაკეტო ტექნოლოგიების კონტროლის რეჟიმის სახელმძღვანელო პრინციპები“), რომელიც გამოიყენება კონტროლირებადი ტექნიკური საშუალებების ნაერთი ნუსხის მიმართ („სარაკეტო ტექნოლოგიების კონტროლის რეჟიმის დანართი, რომელიც მოიცავს მოწყობილობებს, პროგრამულ უზრუნველყოფას და ტექნოლოგიებს“). MTCR არ იღებს კოლექტიურ გადაწყვეტილებებს ექსპორტის ლიცენზირების შესახებ. ნაცვლად ამისა, თითოეული წევრი ქვეყანა იღებს პასუხისმგებლობას, დაიცვას „სახელმძღვანელო პრინციპები“ ეროვნული კანონმდებლობის და პრაქტიკის შესაბამისად.¹⁹

MTCR-ის ყველა გადაწყვეტილება მიიღება საერთო კონსენსუსის საფუძველზე და პარტნიორი ქვეყნები რეგულარულად ურთიერთცვლიან ინფორმაციას რეჟიმის საერთო მიზნების კონტექსტში ექსპორტის ლიცენზირების ეროვნული პოლიტიკის შესახებ. „სარაკეტო

¹⁹ სახელმძღვანელო ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიოაქტიურ და ბირთვულ საფრთხეებთან დაკავშირებული ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის კონტროლის შესახებ ცნობიერების ამაღლებისათვის. თბილისი - 2020. გვ. 38-39.

ტექნოლოგიების კონტროლის რეჟიმის დანართი, რომელიც მოიცავს მოწყობილობებს, პროგრამულ უზრუნველყოფას და ტექნოლოგიებს“, შედგება ორი ნაწილისგან: „I კატეგორიის“ და „II კატეგორიის“ ტექნიკური საშუალებები, რომელიც მოიცავს რაკეტების შემუშავებასთან, წარმოებასთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ სამხედრო და ორმაგი დანიშნულების მოწყობილობების და ტექნოლოგიების ფართო ასორტიმენტს. დანართი პერიოდულად ახლდება, რათა დაზუსტდეს და გათვალისწინებულ იქნას თანამედროვე სწრაფად განვითარებადი ტექნოლოგიები. „I კატეგორიის“ ტექნიკური საშუალებების მიმართ გამოიყენება უფრო მკაცრი შეზღუდვები. ამ ტექნიკურ საშუალებებს განეკუთვნება დასრულებული სარაკეტო სისტემები (მათ შორის ბალისტიკური რაკეტები, რაკეტა-მატარებლები და კვლევითი რაკეტები), ატმოსფერული უპილოტო საფრენი აპარატები (მათ შორის ფრთოსანი რაკეტები, რადიომართვადი თვითმფრინავი-სამიზნეები და რადიომართვადი სადაზვერვო თვითმფრინავები), რომლებსაც შეუძლიათ 500 კგ. და მეტი „სასარგებლო ტვირთი“ გადაიტანოს არანაკლებ 300 კმ. მანძილზე. „II კატეგორიის“ ტექნიკური საშუალებები მოიცავს დასრულებულ სარაკეტო სისტემებს (მათ შორის ბალისტიკურ რაკეტებს, რაკეტა-მატარებლებს და კვლევით რაკეტებს), ატმოსფერულ უპილოტო საფრენ აპარატებს (მათ შორის ფრთოსან რაკეტებს, რადიომართვად თვითმფრინავ-სამიზნეებს და რადიომართვად სადაზვერვო თვითმფრინავებს), რომელიც გადაადგილდება მაქსიმუმ 300 კმ. მანძილზე და არ არის ჩართული „I კატეგორიაში“. „II კატეგორიის“ ტექნიკურ საშუალებებს მიეკუთვნება აგრეთვე მოწყობილობები, მასალები და ტექნოლოგიების ფართო ასორტიმენტი, რომელთა უმეტესობას გააჩნია სხვა დანიშნულება, ვიდრე მასობრივი განადგურების იარაღის გადამტან რაკეტებს. რეჟიმის წევრ პარტნიორ ქვეყნებს „II კატეგორიის“ ტექნიკური საშუალებების გადაცემის თაობაზე განაცხადების მიმართ აქვთ უფრო მსუბუქი მიდგომა, თუმცა, შეთანხმების თანახმად, ამ ტიპის გადაცემებზე

დაწესებულია შეზღუდვები. დიალოგი რეჟიმის წევრობაზე პოტენციურ პარტნიორობასთან დაკავშირებით ხორციელდება MTCR-ის თავმჯდომარის მეშვეობით. გადაწყვეტილებას ახალი წევრის მიღებაზე პარტნიორი ქვეყნები იღებენ ერთხმად, კონსენსუსის საფუძველზე. გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებენ, თუ რამდენად იცავს ქვეყანა გაუზრცელებლობის პრინციპებს, აქვს თუ არა ექსპორტის კონტროლის ეფექტური საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ეროვნულ დონეზე ნერგავს რეჟიმის სახელმძღვანელო პრინციპებს და პროცედურებს.²⁰

1.2. მასობრივი განადგურების იარაღის გადამტანი შეიარაღების კლასიფიკაცია და მისი როლი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში

ბირთული იარაღის გადაადგილების სხვადასხვა მეთოდი

ბირთული იარაღის სამიზნე ადგილას მიტანა, ერთ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ისტორიულად, პირველი მეთოდი, რომელიც ამერიკელებმა გამოიყენეს იაპონიაში ორი ატომური ბომბის გადასატანად, იყო თვითმფრინავი, საიდანაც ჩამოგდებულ იქნა ბომბი. დღეისათვის, სტრატეგიულად უფრო უმჯობეს მეთოდს წარმოადგენს, ბირთვული ბომბების მოთავსება რაკეტებში, რომელიც ბალისტიკურ ტრაექტორიას იყენებს ბირთვული ქობინების სამიზნე ადგილას მისატანად. განსაკუთრებით საშიშია, საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები და წყალქვეშა ნავებზე დამონტაჟებული ბალისტიკური რაკეტები, რომელიც

²⁰ სახელმძღვანელო ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიოაქტიურ და ბირთვულ საფრთხეებთან დაკავშირებული ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის კონტროლის შესახებ ცნობიერების ამაღლებისათვის. თბილისი - 2020. გვ. 39-40.

მის მფლობელ ქვეყანას, საშუალებას აძლევს ფაქტიურად, დედამიწის ნებისმიერ ადგილას მიიტანოს იარაღი. ტაქტიკური კუთხით, ბირთვული ბომბების გამოყენება შესაძლებელია არტილერიის მიერაც, ხმელეთის ნაღმებზე და ტორპედოებშიც-წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ. ასევე, მიმდინარეობდა, ატომური ნაღმტყორცნის ტესტირებაც ა.შ.შ-ს მიერ.²¹

ბირთვული იარაღის მატარებლად გამოიყენება ბალისტიკური რაკეტები, ფრთოსანი რაკეტები, თვითმფრინავები, ზოგჯერ მართვადი საზენიტო რაკეტები. სტრატეგიული დამრტყმელი ძალის ბირთვულ ტრედას წარმოადგენს სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო სამხედრო ძალები.

ბირთვული იარაღის კონტროლის კონტექსტში რუსეთის ფედერაციის და აშშ-ში აღნიშნული შეირაღებები იყოფა სტრატეგიულ შემტევ შეირაღებად და არასტრატეგიულად. ასეთი კლასიფიკაცია ბირთვული შეირაღებაში პირობითია. ეს იმ ხელშეკრულებების შედეგია, რაც მიღწეულ იქნა 1970-1980 წწ. საბჭოთა კავშირის და ამერიკელ ექსპერტებს შორის რომელიც მათ შეიმუშავეს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის, ლიკვიდაციის და შემცირების მიმართულებით.²²

სტრატეგიული შეირაღება - იარაღის სახეობები, სპეციალური საინფორმაციო-მმართველობითი სისტემები და უზრუნველყოფი ტექნიკური საშუალებები სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად. იყოფა სტრატეგიულ შემტევით (სახმელეთო-სარაკეტო კომპლექსები საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებითა და საშუალო სიშორის რაკეტებით, სტრატეგიული წყალქვეშა ნავები და სტრატეგიული ბომბდამშენები) და სტრატეგიულ თავდაცვით (რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის, საჰაერო თავდაცვის, ნავსაწინააღმდეგო თავდაცვის და სარაკეტო-კოსმოსური თავდაცვის სარაკეტო კომპლექსები) შეირაღებად.

²¹ სამხედრო ბლოგი- „ბირთვული იარაღი“, - <https://geoarmada.wordpress.com/2013/01/12> გვ.1.

²² Кулагин В.М. „Современная Международная Безопасность“, Кнорус. Москва – 2019. Ст.271-272.

სტრატეგიული შეიარაღების საინფორმაციო-მმართველობით სისტემებს განეკუთვნება საბრძოლო მართვის და კავშირგაბმულობის, საინფორმაციო-საანგარიშო, რაკეტული თავდასხმის შესახებ გაფრთხილების, კოსმოსური და საჰაერო სივრცის კონტროლის, დაზვერვის კოსმოსურ სისტემებს და სხვა.

თანამედროვე სტრატეგიული შეიარაღების საფუძველს შეადგენს ბირთვული, სარაკეტო-ბირთვული და მაღალი სიზუსტის იარაღი, ხოლო მათი განვითარების მთავარი მიმართულებაა სახმელეთო და საზღვაო ბაზირების დიდი სიშორის მართვადი ბალისტიკური რაკეტების შექმნა, რომლებიც აქვთ აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, რუსეთს, საფრანგეთსა და ჩინეთს.

სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების გამოყენების შესაძლო გლობალური კატასტროფული შედეგები იწვევს საომარი კონფლიქტების შეკავების ფორმებისა და ხერხების ძებნის საჭიროებას.²³

განვიხილოთ თუ რას წარმოადგენს ბირთვული ტრიადა. ბირთვული ტრიადით აღინიშნება, ბირთვული არსენალი, რომელიც სამი კომპონენტისგან შედგება, ტრადიციულად: სტრატეგიული ბომბდამშენები, საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები და ბალისტიკური რაკეტით აღჭურვილი წყალქვეშა ნავები. ბირთვული არსენალის სამივე კომპონენტის ქონის მიზანია, მნიშვნელოვნად შემცირდეს ალბათობა იმისა, რომ, მოწინააღმდეგე პირველი დარტყმის განხორციელების შემთხვევაში, შეძლოს, ქვეყნის სრული ბირთვული ძალების განადგურება და შედეგად, უზრუნველყოფს, კონტრ ბირთვული შეტევის განხორციელებას.

ტაქტიკური ბირთვული იარაღების გამოყენება არა-სტრატეგიულ საბრძოლო მოქმედებებში ხდება, ბრძოლის ველზე კონკრეტული

²³ სტრატეგიული შეიარაღება. გვ.1.

<http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90>

სამიზნეების გასანადგურებლად, ამიტომ, ისინი ბირთვულ ტრიადაში არ ითვლება.

მხოლოდ შეერთებულ შტატები და რუსეთი ინარჩუნებს ბირთვულ ტრიადას; სხვა ბირთვული იარაღის მფლობელ ქვეყნებს, არ აქვთ სრული ტრიადასთვის საკმარისი სამხედრო ბიუჯეტი.

შეერთებულ შტატებს აქვს Minuteman ტიპის საკონტინენტაშორისო ბალისტიკური რაკეტები, რომელთა გაშვება შახტური გამშვები დანადგარიდან ხდება; Trident ტიპის, წყალქვეშა ნავიდან გაშვებადი ბალისტიკური რაკეტები; ასევე B-52 და B-2 ტიპის სტრატეგიული ბომბდამშენები და ზოგიერთი, შორი მოქმედების ტაქტიკური თვითმფრინავები, რომელთაც შეუძიათ სტრატეგიული/ტაქტიკური B61 ტიპის ბირთვული ბომბისა და სტრატეგიული B83 ტიპის ბირთვული ბომბის ტარება.

რუსეთის სტრატეგიულ სარაკეტო ძალებს აქვთ რამოდენიმე ტიპის საკონტინენტაშორისო ბალისტიკური რაკეტები, მათ შორის, შახტური გამშვები დანადგარიდან გაშვებადი : P-36, УР-100Н, მობილური РТ-2ПМ Тополь, Тополь-М, РС-24 “Ярс”. რუსეთის სტრატეგიული, ატომური წყალქვეშა ნავები, აღჭურვილები არიან შემდეგი ტიპის ბალისტიკური რაკეტებით: P-29, P-29PMY2 და P-29PMY2.1, ასევე შექმნის პროცესშია, P-30 Булава-30. რუსეთის საჰაერო ძალებში მოქმედებს ზებგერთი Ty-22M და Ty-160 ტიპის სტრატეგიული ბომბდამშენები, ასევე, ტურბოხრახნული Ty-95.²⁴

მასობრივი განადგურების იარაღი და ახალი ტექნოლოგიები (სარაკეტო სისტემები) - სარაკეტო სისტემების კლასიფიკაცია: სუბ-ტაქტიკური სარაკეტო სისტემა: რადიუსი: 100-500 კმ. მობილური პლატფორმა. რუსული „ისკანდერის“ სარაკეტო სისტემა და „ტოჩკა უ“. ტაქტიკური სარაკეტო

²⁴ სამხედრო ბლოგი - „ბირთვული ტრიადა“, <https://geoarmada.wordpress.com/2013/04/30/> გვ. 1.

სისტემა: რადიუსი: 500-2500 კმ; მობილური პლატფორმა; ირანული წარმოების „შაჰაბი-2“ სარაკეტო სისტემა. ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო სისტემა: რადიუსი: 2500-5000 კმ; მობილური პლატფორმა; ამერიკული ფრთოსანი რაკეტა „ტომჰაჰავი“. სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო სისტემა: რადიუსი: 5000 კმ და ზევით (დაახლოებით 10000კმ-ზე მეტი; სტაციონალური (სამხატო ბაზირება) და მობილური (სალიანდაგო და საავტომობილო); ამერიკული „პერშინგი“ და რუსული „ტოპოლი-მ“.

ბირთვული იარაღის გადამტანი შეიარაღება იყოფა სამ ტიპად პირველი სტრატეგიული დანიშნულების, რომელშიც შედის - ბალისტიკური რაკეტები მაგ: (Trident II- წყალქვეშა ნავიდან გაშვებადი რაკეტა); სტრატეგიული ავიაცია (ბომბდამშენები); და პრაილი ტიპის წყალქვეშა ნავები. მეორე ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების შეიარაღება, ესენია - ფრთოსანი რაკეტები; ავიაცია (გამანადგურებლები); და კრეისერები. მესამე ტიპია ტაქტიკური დანიშნულების - ტაქტიკური რაკეტები „ისკანდერის“ ტიპის; თვითმავალი დანადგარები; და ნაღმტყორცნები.

თანამედროვე პერიოდში თანამგზავრები ზვერავენ სახელმწიფოთა საჰაერო სივრცეებს და მოიპოვენ სხვადასხვა სტრატეგიულ ინფორმაციას. 1960 წელს აშშ-ის სამხედრო მზვერავი თვითმფრინავი U2 შეიჭრა საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში რის შემდეგაც ის ჩამოგდებულ იქნა. მისი გადაფრენა არალეგალური იყო, ხოლო თანამგზავრის გადაფრენა ამგვარია არაა და აქ უკვე იბადება კითხვა რა სიმაღლეზე წყდება სახელმწიფოთა სუვერენიტეტი. ამ ფაქტს საკმაოდ დიდი საერთაშორისო სკანდალი მოჰყვა, თუმცა დღეს უკვე ტექნოლოგიური განვითარების თანმდევი მოვლენა გახდა იმ ფაქტის აღიარება, რომ საჰაერო თვალთვალი ჩვეული მოვლენა იმ კუთხით, რომ სახელმწიფოებმა იციან თუ რამდენად წარმოადგენენ ისი დაზვერვის ობიექტს. დღეისათვის დაზვერვაში გამოიყენებენ სხვადასხვა კლასიფიკაციის თვითმფრინავებს, მათ შორის უპილოტო თვითმფრინავებს, დრონებს თანამგზავრებთან ერთად.

მიმოვიხილოთ ასევე ტაქტიკური და სტრატეგიული ბირთვული იარაღების ტიპები რადგან ისინი დიდ როლს თამაშობენ ბრძოლაში. ტაქტიკური ეწოდება ისეთ ბირთვულ იარაღს, რომელიც გამოიყენება ბრძოლის ველზე, როგორც შეტევის ნაწილი. ის განსხვავდება სტრატეგიული ბირთვული იარაღებისაგან, რომელიც გათვლილია დიდი პოპულაციების და მტრის მნიშვნელოვანი ობიექტების გასანადგურებლად, რათა მან ვეღარ შეძლოს ომის წარმოება.

ტაქტიკურ ბირთვულ იარაღებს მიეკუთვნება თავისუფალი ვარდნის ბირთვული ბომბები, მოკლე რადიუსში მოქმედი რაკეტები, ბირთვული არტილერია, სახმელეთო ნაღმები, სიღრმული ბირთვული ბომბები და ბირთვული წყალქვეშა ტორპედოები ნავების საწინააღმდეგოდ. ასევე, ამ კატეგორიაშია გაერთიანებული ბირთვული მიწა-ჰაერის ტიპის და ჰაერი-ჰაერი კლასის რაკეტები.

ასევე, ცივი ომის პერიოდში, შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი ატარებდა კვლევებს, მინიატურული ბირთვული იარაღის შექმნაზე, რომლის ტარებაც, შესაძლებელი იქნებოდა ზურგჩანთის საშუალებით და რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა მტრის თავდაცვითი ნაგებობების, ასევე გვირაბებისა და გრძელი ხიდების დასანგრევად.

კვლევები მიდის ასევე, ბირთვულ ბუნკერის გამანადგურებლებზე, რომელთა მიზანია, მოწინააღმდეგის ღრმად მიწის ქვეშ მყოფი ბუნკერების დანგრევა.

კონფლიქტის ესკალაციის საფრთხე ტაქტიკური ბირთვული იარაღების გამოყენება, მსგავსი ძალის ოპონენტის წინააღმდეგ, შეიცავს საფრთხეს, რომ კონფლიქტი შეიძლება სწრაფად გადაიზარდოს ტაქტიკურიდან სტრატეგიულამდე. მაგ. მცირე სიმძლავრის ბირთვული არტილერიის ჭურვების სროლამ (მაგ. 72 ტონა ტროტილის აფეთქების ტოლი სიმძლავრით) მოწინააღმდეგისთვის, შესაძლოა მოჰყვეს საპასუხო ცეცხლი ბირთვული არტილერიისგან, მაგრამ, ამჯერად უფრო დიდი სიმძლავრის;

შედეგად, ომი შეიძლება გადავიდეს ისეთ სტადიაზე, სადაც საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების გამოყენებას დაიწყებენ-მეომარი მხარეები.

ასევე, ტაქტიკური ბირთვული იარაღები, მათი შექმნის დროისთვის, შედარებით ნაკლები პოლიტიკური კონტროლის ქვეშ იყვნენ, ვიდრე სტრატეგიული ბირთვული იარაღები. ამ მიზეზების გამო, ბევრმა ქვეყანამ, მის შეიარაღებაში, მკვეთრად შეამცირა ტაქტიკური ბირთვული იარაღების რაოდენობა.

სტრატეგიული ბირთვული იარაღი: სტრატეგიული ეწოდება ისეთ ბირთვულ იარაღს, რომელიც გამიზნულია სტრატეგიული გეგმის განსახორციელებლად და გამოიყენებიან ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტების გასანადგურებლად, როგორცაა სამხედრო ბაზები, სამეთაურო ცენტრები და მჭიდროდ დასახლებული ქალაქები.

სტრატეგიულ ბირთვულ იარაღებს, ზოგადად, აქვთ უფრო დიდი სიმძლავრე, ვიდრე ტაქტიკურ იარაღებს, დაწყებული 100 კილოტონიდან, რამოდენიმე მეგატონამდე. თუმცა, ზოგჯერ ტაქტიკური და სტრატეგიული ბირთვული იარაღების სიმძლავრეები შეიძლება დაემთხვეს ერთმანეთს და ასევე, ზოგოერთი იარაღი, როგორცაა მაგ. B61 ბირთვული ბომბი, გამოიყენება როგორც ტაქტიკური, ასევე სტრატეგიული მიზნით.

ასევე, სტრატეგიულ ბირთვულ იარაღების მატარებლებს აქვთ ბევრად დიდი მოქმედების მანძილი (როგორცაა მაგ. საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები) და შეუძლიათ გაანადგურონ მოწინააღმდეგის მართვისა და კონტროლის სტრუქტურები, რომელიც რამოდენიმე ათასი კილომეტრითაა დაშორებული მათგან. საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები, ბირთვული ქობინებით, წარმოადგენს მთავარ სტრატეგიულ ბირთვულ იარაღს.²⁵

²⁵ სამხედრო ბლოგი - ..ტაქტიკური და სტრატეგიული ბირთვული იარაღები“, <https://geoarmada.wordpress.com/2013/02/19/> გვ.1.

მსოფლიოში ბირთვული იარაღის გაჩენის შემდეგ უდიდეს როლს ასრულებს სამხედრო საზღვაო ძალები. ცივი ომის დროს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს, რუსეთს და საფრანგეთს გააჩნდათ და დღემდე ინარჩუნებენ წყალქვეშა ნავეებს. აღნიშნულ წყალქვეშა ნავეებს შეუძლიათ ბირთვული ბალისტიკური რაკეტების გადატანა და გაშვება. ანალოგიური წყალქვეშა ნავი გააჩნია ჩინეთს, ამავდროულად რამოდენიმე სახელმწიფო ცდილობს შეიძინოს ან ააგოს მსგავსი წყალქვეშა ნავეები. აღნიშნული წყალქვეშა ნავეების არსებობამ დიდი როლი ითამაშა ცივი ომის პერიოდში შეკავების პოლიტიკის გამარჯვებაში.

1.3. „ცივი ომის“ ფენომენი და ბიპოლარულ ეპოქაში სტრატეგიული დაშინების პოლიტიკის გეოპოლიტიკა

უსაფრთხოების პრობლემატიკა უფრო აქტუალური გახდა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ „ცივი ომის“ პერიოდში, როდესაც მასობრივი განადგურების იარაღის ახალი სახეობების შექმნის და განვითარების მასშტაბები ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად საკმაოდ გაიზარდა. მეორე მსოფლიო ომმა სრულიად შეცვალა საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა, როდესაც მანამდე არსებული საერთაშორისო სისტემების ტიპები, დამყარებული იყო ძალთა წონასწორობაზე. როდესაც წამყვან სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო სისტემის მდგომარეობასა და სტაბილურობას განსაზღვრავდა ძალთა ბალანსი. სისტემის დაშლას იწვევდა ერთი რომელიმე სახელმწიფოს ზედმეტად გაძლიერება ან დასუსტება, რაც ძალთა წონასწორობის რღვევას იწვევდა. აღნიშნულ პროცესს თან სდევდა ფართომასშტაბიანი ომები და ყალიბდებოდა ახალი საერთაშორისო სისტემა, ძალთა ახალი წონასწორობის ჩამოყალიბების შესაბამისად. გეოპოლიტიკური წესრიგი ყალიბდებოდა საერთაშორისო სისტემის ამა თუ იმ ტიპის შესაბამისად. გეოპოლიტიკური წესრიგის ცვლილების პერიოდს ეწოდება გეოპოლიტიკური ტრანზიციცია, რაც გამოწვეული იყო დიდი ომებით

მაგალითად პირველი და მეორე მსოფლიო ომით. მაშინ როდესაც გამოკვეთილია ძალის რამდენიმე პოლუსი სისტემას ვუწოდებთ მრავალპოლუსიანს ანუ ორზე მეტი ძალის პოლუსის არსებობას რომლებიც ქმნიან საერთაშორისო პოლიტიკურ ამინდს. ძალის პოლუსების წონასწორობაზე დამყარებული საერთაშორისო სისტემის მდგრადობა და გეოპოლიტიკური სისტემის შენარჩუნება.

მეორე მსოფლიო ომმა სრულიად შეცვალა პოლიტიკური სურათი და მსოფლიო დადგა ახალი რეალობის წინაშე. შეიცვალა მანამდე არსებული ძალის პოლუსები, მანამდე არსებულმა ლიდერმა სახელმწიფოებმა დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ, გერმანიამ, იაპონიამ დათმეს თავიანთი პოზიციები და დაკარგეს ძალის პოლუსების ფუნქციები. შესაბამისად დარჩა მხოლოდ ორი ძალის პოლუსი, ლიდერი გამოკვეთილი სიძლიერით ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი. არსებული საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე საერთაშორისო სისტემა გახდა ორპოლუსიანი, ანუ ბიპოლარული. 1946 წელს დაწყებულმა დაპირისპირებამ ორ ძალის პოლუსს შორის გამოიწვია ახალი გეოპოლიტიკური წესრიგის ჩამოყალიბება, რომელიც ცნობილია „ცივი ომის“ სახელით. აღნიშნულმა გეოპოლიტიკურმა წესრიგმა და სისტემამ 45 წელი იარსება, რომელიც ხასიათდებოდა ცვალებადი ბუნებით არსებული გამოწვევების შესაბამისად. როცა ურთიერთობები ენაცვლებოდა ერთმანეთს და ორ ძირითად პოლიტიკურ ძალას შორის დამაბულობის დონე მატულობდა ან შედარებით თბებოდა. ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი თავიანთი გეოპოლიტიკური ინტერესების შესაბამისად წარმართავდნენ პოლიტიკას, რომელიც გამომდინარეობდა მათი ეროვნული ინტერესებიდან ანუ გეოპოლიტიკური კოდიდან.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ცივი ომის საწყის ეტაპზე ჩამოყალიბდა შეკავების (containment) ძირითადი დოქტრინა. რომლის ავტორიცაა ამერიკელი დიპლომატი და მეცნიერი ჯორჯ კენანი (მისტერ X). აქვე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა დომინოს ეფექტის არ დაშვება, რაც

გულისხმობდა საბჭოთა კავშირის გავლენის ზრდის და მისი საზღვრების მიღმა კომუნიზმის გავრცელების შეკავებას. ორ გლობალურ მოთამაშეს შორის ამავე დროს მიმდინარეობდა იდეოლოგიური ომი. შეკავების პოლიტიკა ნაკლებად ეფექტური გახდა სტრატეგიული შეიარაღების განვითარების და საზღვაო ფლოტის გაძლიერების შემდგომ. რისი ალტერნატივაც ბირთვული დაშინების პოლიტიკა იყო, რაც გულისხმობდა აშშ-ის უპირატესობის მიღწევას ბირთვულ შეიარაღებაში. ამ მოცემულობიდან გამომდინარე ცივი ომის პერიოდში აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ძირითად დოქტრინას წარმოადგენდა ბირთვული დაშინების (nuclear deterrence) სტრატეგია.

ცივი ომის პერიოდში აშშ-ს და საბჭოთა კავშირს შორის ბირთვულმა დაშინების პოლიტიკამ ურთიერთქმედების ანტაგონისტური ხასიათი მიიღო. ევროპის სახელმწიფოები მიიჩნევდნენ, რომ მათ არ შესწევდა ძალა საბჭოთა კავშირის აგრესიული პოლიტიკისგან დაეცვათ თავი. სწორედ აღნიშნულის საპასუხოდ ანუ სტრატეგიული სისუსტის დასაძლევად, 1949 წელს შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო), რომელმაც აშშ-ს მეთაურობით იკისრა წევრი სახელმწიფოების დაცვა. ნატოს ხელშეკრულების მეხუთე მუხლის მიხედვით შეიარაღებული თავდასხმა რომელიმე ერთ ან რამდენიმე წევრზე განიხილება, როგორც თავდასხმა ყველაზე. შესაბამისად ამერიკის შეერთებული შტატები იღებდა ვალდებულებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოეყენებინა ბირთვული იარაღი, მიუხედავად იმისა თავდასხმა მის ტერიტორია იქნებოდა თუ არა, ამით ის კისრულობდა ევროპის უსაფრთხოების დაცვას. მას შემდეგ, რაც 1949 წელს აგვისტოში აშშ-ის გახდა ცნობილი საბჭოთა კავშირის მიერ ბირთვული ბომბის დამზადების შესახებ. ეს მოულოდნელი ინფორმაცია იყო აშშ-ის ადმინისტრაციისთვის. ბირთვული მონოპოლიის დარღვევამ გამოიწვია ბირთვული დაშინების ახალი დოქტრინის შემუშავების აუცილებლობა.

ბერლინის კრიზისი დროს აშშ-ის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბირთვული ბომბის გამოყენების საშიშროებამ ხელი შეუწყო კრიზისის

ჩახშობას. 1950-53 წლებში კორეის ომის დროს მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბირთვული ომის საშიშროებამ, რამაც ხელი შეუშალა აშშ-ს და სსრკ-ს შორის დაპირისპირების გადაზრდას ფართომასშტაბიან ომში. ეიზენჰაუერის ადმინისტრაცია გარკვეული პერიოდი მასირებული უკუგების დოქტრინას მისდევდა, რაც საბჭოთა კავშირის ნებისმიერ გამოწვევაზე ბირთვული იარაღის გამოყენების მუქარას გულისხმობდა. 1962 წელს კარიბის სარაკეტო კრიზისმა ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი ბირთვული ომის ზღვრამდე მიიყვანა. კრიზისის მიმდინარეობისას ბირთვული ომის საშიშროების გაანალიზებამ და სწორმა პოლიტიკამ აშშ-ს და სსრკ-ს მიერ თავიდან აგვაცილა ბირთვული ომი. ცივ ომს თან ახლდა შეჯიბრი ჩვეულებრივი და ბირთვული შეიარაღების სფეროში უპირატესობის მოპოვებაზე, რაც მსოფლიოს პერიოდულად აყენებდა მესამე მსოფლიო ომის საფრთხის წინაშე (მაგ. 1962 წლის კარიბის კრიზისი/კუბის სარაკეტო კრიზისი).

ბიპოლარულ ეპოქაში საერთაშორისო ურთიერთობების ორ მთავარ სუბიექტს შორის ბირთვული ომი საშიშროებამ, ისინი „ბირთვული ჩიხის“ წინაშე დააყენა და დაპირისპირებულ მხარეებს მოუწია ბირთვული ურთიერთშეკავების პოლიტიკის წარმოება. მაგრამ ამ ფაქტორსაც ხელი არ შეუშლია გამალებული შეიარაღების პოლიტიკა ეწარმოებინათ.

XX საუკუნის 60-იან წლებში დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ახალი საფრთხე შეექმნათ მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი ახალი საშუალო მანძილის რაკეტებით აღიჭურვა. აშშ-ში დაწყებული „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ პროგრამის ფარგლებში, ნატო იძულებული გახდა პასუხი გაეცა საბჭოთა კავშირის რაკეტების განთავსების გეგმას და შეემუშავებინა ახალი რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემები.

1963 წელს გაფორმდა საკმაოდ მნიშვნელოვანი ხელშეკრულება, რაც პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის შედეგი იყო. აღნიშნული შეთანხმება დაიდო აშშ-ს, საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის. რომელიც ეხებოდა შეიარაღებაზე კონტროლის

დაწესებას, კონკრეტულად ბირთვული იარაღის გამოცდას სამ სფეროში კრძალავდა. მოცემული ხელშეკრულების თანახმად, იკრძალებოდა ბირთვული აფეთქებები ატმოსფეროში, კოსმოსში და წყლის ქვეშ, მაგრამ დაშვებული იყო ბირთვული იარაღის გამოცდა მიწისქვეშ. შემდგომ წლებში გამალებულმა შეიარაღებამ ანტაგონისტური მხარეები მიიყვანა მინიშვნელოვანი ხელშეკრულებები ხელმოწერამდე, რაც ეხებოდა სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღების გარკვეული სფეროში შეზღუდვებს და არ ააგებდნენ მიწისზედა ბალისტიკური რაკეტების ახალ გამშვებ ქობინებს. რაც შეეხება მეორე ხელშეკრულებას გათვალისწინებული იყო ზოგიერთი რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვა.

საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო 1967 წლის ხელშეკრულება ატომური იარაღის გავრცელების აკრძალვის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად ბირთვულ სახელმწიფოები იღებდნენ ვალდებულებას არ გადაეცათ არაბირთვული სახელმწიფოებისათვის ატომური იარაღი და ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობები. ამავდროულად აწესებდა კონტროლს, რათა ბირთვული მოწყობილობები არ შეეძინათ არაბირთვულ ქვეყნებს. ასევე, ავალდებულებდა არაბირთვულ ქვეყნებს არ შეეძინათ და ეწარმოებინათ ასეთი იარაღი. ბირთვული იარაღის გავრცელების შესაძლებლობა შემცირდა და მონოპოლისტები ამ სფეროში გახდნენ ბირთვული სახელმწიფოები.

აქვე მნიშვნელოვან როლი ითამაშა დეტანტის პოლიტიკამ „დაძაბულობის განმუხტვა“, რამაც 1970-იანი წლების დასაწყისში კარგად იმუშავა აშშ-ს და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების მიმართულებით. მაგრამ 1970-იანი წლების დასასრულ დეტანტის იდეამ კრაზი განიცადა.

დეტანტის ეპოქამდე სსრკ-სა და აშშ-ს შორის ბირთვული იარაღის მაკონტროლებელი მხოლოდ რამდენიმე შეთანხმება იყო დადებული. ამგვარად 1972 წლის სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის პირველი ხელშეკრულება (Strategic Arms Limitation Treaty (SALT I)) ხელმოწერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგანაც ცხადი ხდებოდა,

რომ მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევა შეუძლებელი იყო მხოლოდ იარაღით, არამედ აუცილებელი იყო იარაღზე კონტროლის დაწესება.²⁶

გამალებული შეიარაღება კვლავ ინტესიურ რეჟიმში მიმდინარეობდა მიუხედავად იმისა, რომ დაიდო რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები შეიარაღებაზე კონტროლის. კვლავ გრძელდებოდა შეიარაღებაზე კონტროლი, რამაც საკმაოდ სახიფათო სიტუაციის შექმნა გამოიწვია. 1970-იანი წლებში საბჭოთა კავშირის მიერ ახალი ბალისტიკური რაკეტების განლაგებამ ქვეყნის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში. აღნიშნულმა ფაქტი დასავლეთში აღქმულ იქნა, როგოც საბჭოთა კავშირის მიერ მზადება შეზღუდული ატომური ომისათვის. ნატომ საპასუხოდ ახალი ამერიკული რაკეტები „პერშინგ-2“ განალაგა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ევროპაში ნატომ პრინციპულ უპირატესობას მიაღწია აქტიური ქმედებების შედეგად და შეძლო საბჭოთა კავშირის საფრთხის ქვეშ დაყენება. ნატოს შანს არ უტოვებდა საბჭოთა კავშირს მოულოდნელი თავდასხმის შედეგად, საპასუხო დარტყმებით ეპასუხა, რადგან მას დასავლეთ ევროპიდან შეძლო, საბჭოთა კავშირის სტრატეგიული ობიექტების და ევროპულ ნაწილზე განლაგებული სამეთაურო ბუნკერების განადგურება. რამაც აიძულა საბჭოთა კავშირს გორბაჩოვის მეთაურობით 1987 წელს შეეცვალა პოზიცია და ვაშინგტონში ხელი მოეწერა ორივე მხარეს შორის სამუალო და მცირე რადიუსის რაკეტების განადგურებაზე ხელშეკრულებას.

„ცივი ომის“ საწყის პერიოდში ტერმინ „გეოპოლიტიკას“ იშვიათად იყენებდნენ აშშ-ში, მაგრამ სამხედრო-სტრატეგიულ ნაშრომებში ის გამოიყენებოდა საბჭოთა პოლიტიკის დასახასიათებლად, იგი შესაძლებლობას იძლეოდა სქემატურად და მარტივად შეედგინათ მსოფლიოს სტრატეგიული აღწერა.²⁷

²⁶ ჯენტელსონი ბ. „ამერიკის საგარეო პოლიტიკა: არჩევანის დინამიკა 21-ე საუკუნეში“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი - 2015. გვ.210.

²⁷ მაცაბერიძე მ. „გეოპოლიტიკა: ჩამოყალიბება და განვითარება“, თბილისი - 2015. გვ.24.

1970-იანი წლების შუახანებამდე გეოპოლიტიკური აზრის განვითარების მიმართულება ისეთი იყო, რომ თანდათანობით მცირდებოდა გეოპოლიტიკის გეოგრაფიული დეტერმინირებულობა და სულ უფრო მეტად უახლოვდებოდა რეალობას.

რაკეტულ-ბირთვულ ერაში ტრადიციული გეოპოლიტიკური იდეების გადასინჯვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მცდელობა ფრანგ გენერალს და მკვლევარს პ. გალუას ეკუთვნოდა. მისი აზრით, თანამედროვე მსოფლიოს გეოპოლიტიკური განზომილების მნიშვნელოვან პარამეტრებს, სახელმწიფოს სივრცით-ტერიტორიულ მახასიათებლებთან ერთად, რაკეტულ-ბირთვული იარაღის გაჩენა წარმოადგენს. ეს უკანასკნელი ათანასწორებს მის მფლობელ სახელმწიფოებს, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მათი გეოგრაფიული მდებარეობა, ზომა, ერთმანეთისგან დაშორება და ა.შ. გალუამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ მასმედიის საშუალებათა და ტელეკომუნიკაციის განვითარებას, პოლიტიკურ პროცესებში მოსახლეობის უშუალო ჩარევის ზრდას შორსმომავალი შედეგები მოსდევს კაცობრიობის გეოპოლიტიკური მომავლის თვალსაზრისით.

XX ს. 80-იანი წლების ბოლოსათვის ცხადი გახდა, რომ გეოპოლიტიკა მრავალ შინაგან წინააღმდეგობებშია გახლართული. აღმოჩნდა, რომ მსოფლიო პოლიტიკაში იზრდება იმ ფაქტორების მნიშვნელობა, რომელთაც შეიძლება არც ქონდეთ პირდაპირი კავშირი ფიზიკურ გარემოსთან. თავად ეს გარემოც ადრინდელთან შედარებით განსხვავებულ ზემოქმედებას ახდენს მსოფლიოში მოვლენათა მსვლელობაზე. შესაბამისად, აუცილებელი იყო იმ კონცეფციებისა და მიდგომების დაზუსტება, რომელთაც ტრადიციული გეოპოლიტიკა იყენებდა. პირველ რიგში, ასეთ ახალ გარემოებებს განეკუთვნება ეკონომიკური პროცესების მზარდი ზეგავლენა მსოფლიოში გეოპოლიტიკური სიტუაციის ევოლუცია.²⁸

²⁸ მაცაბერიძე მ. „გეოპოლიტიკა: ჩამოყალიბება და განვითარება“, თბილისი - 2015. გვ.25-26.

**თავი II. ნატოს მასობრივი განადგურების იარაღის
გაუვრცელებლობის პოლიტიკა - ალიანსის პოლიტიკის
კონკრეტული შემთხვევის გარჩევა (Case Study)**

2.1. ნატოს სტრატეგიული კონცეფცია და მასობრივი განადგურების

იარაღი: ისტორია და რეალობა

1949 წელს ნატოს დაარსების შემდგომ მალევე შეუდგნენ სტრატეგიული კონცეფციების შემუშავებას და დამტკიცებას. შემუშავებულ იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი სამხედრო სტრატეგიული კონცეფცია. ნატოს ერთ-ერთი პირველი სტრატეგიული დოკუმენტი რომელიც შეიმუშავა იყო „ჩრდილოატლანტიკური რეგიონის თავდაცვის სტრატეგიული კონცეფცია“. აღნიშნულ სტრატეგიულ დოკუმენტზე მუშაობა მიმდინარეობდა მისი დაარსებიდან თითქმის ერთი წელი, 1949 წლის ოქტომბრიდან 1950 წლის აპრილამდე. სადაც ძირითადი ასპექტები გეგმობილი იყო ტერიტორიულ თავდაცვის ფართომასშტაბიანი ოპერაციების სტრატეგიებზე, რაც იმ დროს არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარეობდა. 1950 წლიდან შემუშავებულ იქნა „მასირებული საპასუხო დარტყმის სტრატეგია“, სადაც განმარტებული იყო შეკავების პოლიტიკა. ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო ნატოს თითოეულ წევრზე მოსალოდნელი სამხედრო-პოლიტიკური საფრთხეების არსებობის შემთხვევაში შესაბამისი საპასუხო ქმედებების განხორციელებაზე, სადაც მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა იმ საკითხს, რომ ბირთვული ძალებიც იქნებოდა გამოყენებული არსებული საფრთხის საპასუხოდ. ნატოს ყველა კონცეფცია შემუშავებული იქნა იმისდა მიხედვით თუ რა გამოწვევები და რისკების წინაშე იმყოფებოდა ალიანსი. სტრატეგიული კონცეფციის შემუშავებაში რაშიც ალიანსის ყველა სახელმწიფო მონაწილობს საკმაოდ რთულ პროცესს წარმოადგენს. მაშინ როდეს მსოფლიოში სულ უფრო იზრდება საფრთხეების დონე მნიშვნელოვანია, არსებული კონცეფციები ერგებოდეს მოცემულ ვითარებას

და პასუხობდეს იმ გამოწვევებს, რაც ალინსის წინაშე დგას და შეიძლება დადგეს. ამავდროულად სტრატეგიული კონცეფციის შემუშავების დროს მისმა შემქმნელებმა უნდა გაითვალისწინონ მომდინარე საფრთხეები და მოსალოდნელი რისკები. შეიძლება ითქვას, რომ ნატოს სტრატეგიულმა კონცეფციებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს იმისდა მიხედვით თუ როგორი მსოფლიო პოლიტიკური გარემო იყო მოცემული სტრატეგიის შემუშავების დროს. აქვე გასათვალისწინებელია ის პოლიტიკური ინტერესი და მიზნები რაც გააჩნდა ალიანსს.

მანამ სანამ გადავიდოდეთ უშუალოდ ნატოს სტრატეგიული კონცეფციების განხილვაზე და მათ რომლზე ალინსის პოლიტიკაში, განვიხილოთ თუ რა არის - სტრატეგია (ბერძნული სტრატუს – ჯარები და აგო – წარმართვა), სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილი, მისი უმაღლესი დარგი. მოიცავს ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ომის თავიდან აცილების, აგრესიის მოსაგერიებლად ქვეყნის და შეიარაღებული ძალების მომზადების თეორიას და პრაქტიკას; სტრატეგიული ოპერაციების და მთლიანად ომის დაგეგმვასა და წარმოებას. ს. სწავლობს და განსაზღვრავს ომების შესაძლო ხასიათს და სამხედრო საშუალებებით მათი თავიდან აცილების გზებს; შეიარაღებული ძალების მიზნებს და ამოცანებს ომში, სტრატეგიული მასშტაბის საომარ მოქმედებებში; მათი წარმოებისათვის საჭირო საშუალებებს; მთლიანად ომის და სტრატეგიული მოქმედებების სხვადასხვა ფორმის მომზადების და წარმოების შინაარსს, ხერხებსა და პირობებს; ომსა და სტრატეგიულ ოპერაციებში შეიარაღებული ძალების გამოყენების დაგეგმვას, მათში შეიარაღებული ძალების სახეობების გამოყენებას; შეიარაღებული ძალების მოქმედებების სტრატეგიული, მორალურ-ფსიქოლოგიური, ტექნიკური და ლოგისტიკური უზრუნველყოფის საფუძვლებს; შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობას მშვიდობიანობისა და ომიანობის დროს; შეიარაღებული ძალების მშენებლობისადმი, საომრად ქვეყნის ეკონომიკის, მოსახლეობისა და ტერიტორიის მომზადებისადმი სტრატეგიული მოთხოვნების შემუშავებას;

წამყვანი სახელმწიფოების და კოალიციების სტრატეგიულ შეხედულებებს, მათ შესაძლებლობებს სტრატეგიული მასშტაბის ომის და საომარი მოქმედებების მომზადების, გაჩაღებისა და წარმოებისათვის. ს-ის ძირითად ამოცანებს და მისი განვითარების მიმართულებებს განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკა და ქვეყნის ეკონომიკა. ზოგადად ისინი ჩამოყალიბებულია კონსტიტუციასა და სამხედრო დოქტრინაში. პოლიტიკა განსაზღვრავს შესაძლო ომისათვის მზადების წესს, მისი წარმოების საშუალებებს და ხერხებს, რაზმავს ადამიანებს და მატერიალურ რესურსებს ომში გამარჯვების მისაღწევად, ქმნის ხელშემწყობ საშინაო და საგარეოპოლიტიკურ პირობებს ს-ისთვის. თავის მხრივ, ს. ზემოქმედებას ახდენს პოლიტიკაზე. სტრატეგიული კვლევის შედეგები გადაიცემა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების განკარგულებაში, რომლებიც მათ იყენებენ სამხედრო მშენებლობის, ომის მომზადებისა და წარმოების საკითხების გადასაწყვეტად.²⁹

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსის ორგანიზაციაში ახალ სტრატეგიაზე მუშობა 1950 წლის ბოლოდან დაიწყო და დაახლოებით 1967 წლამდე გაგარბელდა. როცა უკვე ალიანსის შიგნით სერიოზული დებატებისა და შესაბამისი სტრატეგიის მოქმილობა და მისი ეფექტურობის ფაქტორი დამტკიცდა ცივი ომის პერიოდში. დებატების შემდგომ მასირებული საპასუხო დარტყმის სტრატეგია შეიცვალა „მოქნილი რეაგირების სტრატეგიით“. მთავარი ყურადღება მასში ეთმობოდა იმ უპირატესობებს, რომელსაც იღებდა ნატო და დაკავშირებული იყო წინააღმდეგობის მოქნილი ფორმის არჩევანთან ნატოს რომელიმე წევრის წინაშე მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საფრთხის არსებობის შემთხვევაში. ამ კონცეფციის მთავარი მიზანი იყო ისეთი პირობების შექმნა, რომლის დროსაც მოწინააღმდეგისათვის ყველაწარმოადგინებდა აგრესია განხილულ იქნებოდა როგორც

²⁹ მეძმარიაშვილი ე. შუბლაძე თ. აბაშიძე ზ. „ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი“, თბილისი - 2017. გვ.512-513.

მიუღებელი რისკი.³⁰ 1950 წლის და 1967 წლის სტრატეგიული დოკუმენტები გასაიდუმლოებული იყო დიდი ხნის განმავლობაში, სადაც მოცემული იყო ცალკეული ქვეყნებისადმი დირექტივები და მნიშვნელოვანი ყურადღებაც ეთმობოდა სამხედრო გეგმების შედგენის პროცესის ორიენტირებს. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ცდილობდა „ცივი ომის“ პერიოდში შეემცირებინა დამაბულობა საბჭოთა კავშირთან და ვარშავის პაქტის ხელშეკრულების წევრებთან ურთიერთობების ნორმალიზებისთვის. 1967 წელს არმელის მოხსენებაში „თავდაცვა და დიალოგი“ და ამავე დროს შეიარაღებაზე კონტროლი, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოების საკითხებისადმი მიდგომის პროცესში განსაზღვრულ იქნა როგორც ორმაგი საფუძვლის საფუძვლად.

ძალის გაზრდასთან დაკავშირებული მოსაზრებების გამო რეიგანმა ბირთვული არსენალის გაზრდა გადაწყვიტა. მის მომხრეებს სჯეროდათ, რომ „მოწყვლადობის ფანჯარა“, რომელიც სსრკ-ის ბირთვული არსენალის ზრდისა და კარტერის მიერ თავდაცვის საკითხის უგულვებელყოფის შედეგად გაიღო, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დახურულიყო. 1981 წელს მთლიანი თავდაცვის ხარჯები 16%-ით გაიზარდა, 1982 წელს კი კიდევ 14%-ით. ბირთვული იარაღის ახალი სისტემის, B₁ ბომბდამშენის, ტრაიდენტის ტიპის წყალქვეშა ნავისა და MX ტიპის რაკეტების განვითარებაზე მუშაობა, რომელიც კარტერის პრეზიდენტობის პერიოდში შენედა, კვლავა განახლდა დაჩქარდა კიდევ. ასევე ძლიერი ბიძგი მიეცა ევროპაში პერშინგის ტიპის და ფრთიანი რაკეტების, თანამედროვე და უფრო ეფექტიანი საშუალო რადიუსის ბირთვული რაკეტების ტექნოლოგიურ განვითარებას. დიდი ზარზეიმით იქნა გაცხადებული „ვარსკლავური ომების“ სახელით ცნობილი სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა (Strategic Defense Initiative (SDI))

³⁰ ჩიტაძე ნ. „ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“, თბილისი -2008. გვ.34.

შესახებ, რომელიც ბირთვული თავდასხმის საწინააღმდეგო თავდაცვითი ქოლგის შექმნისაკენ მიმართუ ძალისხმევა იყო.³¹

რეიგანის მიერ ბირთვული სტრატეგიის შეცვლა ბირთვული შეკავების დოქტრინაში მომხდარმა ორმა ცვლილებამ გამოიწვია. პირველი ეს იყო ის, რომ რეიგანის ადმინისტრაცია გაცილებით სკეპტიკურად უყურებდა იარაღის კონტროლის საკითხს, ვიდრე ნიქსონი, ფორდი თუ კარტერი. რეიგანის მომხრეებს სჯეროდათ, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფა და გარანტია უნდა შეძლებოდათ ცალკეულს მოთამაშეებს საკუთარი თავდაცვითი პოტენციალის ხარჯზე. რეიგანს და მის თანამოაზრეებს იარაღის კონტროლის პერსპექტივები მთლად არ გამოურიცხიათ, თუმცა მათ სჭირდებოდათ უფრო მეტი ბერკეტი, რათა სიტუაცია ეკონტროლებინათ. მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი ეჭვქვეშ აყენებდნენ გარანტირებული ურთიერთგანადგურების (MAD) დოქტრინის შესაძლებლობებს, შეენარჩუნებინა უსაფრთხოება და სტაბილურობა.³²

„ცივი ომის“ დასრულებასა და ნატო-ს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა 1987 წლის 7-10 დეკემბერს აშშ-სა და სსრკ-ის შორის გამართულმა მოლაპარაკებებმა უმაღლეს დონეზე, რომლის დროსაც ხელი მოეწერა რიგ შეთანხმებებს „ინტერვალური სიშორის ბირთვული ძალების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა სახმელეთო ბაზირების რაკეტების ლიკვიდაციას, აგრეთვე ხელმოწერილ იქნა შეთანხმება „ორივე ქვეყნის საცდელ პოლიგონებზე ბირთვული გამოცდების ჩატარების სფეროში ურთიერთკონტროლის შესახებ“. გარდა ამისა, ორივე ქვეყნის ლიდერმა აიღო თავის თავზე ვალდებულება სტრატეგიული შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ.

³¹ ჯენტელსონი ბ. „ამერიკის საგარეო პოლიტიკა: არჩევანის დინამიკა 21-ე საუკუნეში“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი - 2015.გვ.230.

³² ჯენტელსონი ბ. „ამერიკის საგარეო პოლიტიკა: არჩევანის დინამიკა 21-ე საუკუნეში“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი - 2015.გვ.230.

„ცივი ომის“ დასრულებაში უდიდესი როლი ითამაშა 1987 წლის 8 დეკემბერს ვაშინგტონში საბჭოთა და ამერიკული სამიტის დროს სსრკ-ისა და აშშ-ს შორის დადებულმა შეთანხმება „საშუალო და ახლო რადიუსში მოქმედი რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ“ რომელსაც ხელი მოაწერეს მ. გორბაჩოვმა და რ. რეიგანმა. ასევე ხელი მოაწერეს აშშ-ს და საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე საცდელ პოლიგონებზე ბირთვული გამოცდის ჩატარების სფეროში ურთიერთკონტროლის ხელშეკრულებას და მათ ვალდებულება აიღეს შეემცირებინათ სტრატეგიული შეიარაღება.

„ცივი ომის“ პერიოდში ნატომ წარმატებით აიცილა მესამე მსოფლიო ომი და მან შეძლო ეფექტურად აღინსის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მისი წევრი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობა და დამოუკიდებლობა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ნატოს-თვის მნიშვნელოვანი გახდა ახალი სტრატეგიული კოცეფციის შემუშავების საკითხი. მკაფიოდ უნდა განსაზღვრულიყო მისი საქმიანობის მომავალი პოლიტიკა, სადაც მნიშვნელოვან საკითხს „ცივი ომის“ შემდგომ მისი გეოპოლიტიკური ტრანზიცია წარმოადგენდა. კერძოდ ძირითად ყურადღება ეთმობოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მისი გავლენის გაფართოებას. ნატოს ახალი პოლიტიკის საწყისად შეიძლება მივიჩნიოთ და ახალი სტრატეგიის შემუშავებისა ასევე, 1990 წლის ივლისში გამართული ნატოს სამიტი ლონდონში. ალიანსმა ლონდონის სამიტზე რეაგირება მოახდინა იმ ახალ საფრთხეებზე და გამოწვევებზე რომლის წინაშეც აღმოჩნდა.

1991 წლის ნატოს სტრატეგიული კონცეფციის ძირითად მიზანს წარმოადგენდა არა მარტო აღინსის წევრი ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, არამედ მთლიანად ევროპის საერთო უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფა. აღნიშნული კონცეფციის დამტკიცების შემდგომ ევროპაში კარდინალური ცვლილებები იქნა განხორციელებული პოლიტიკურ და უსაფრთხოების სფეროში.

დოკუმენტის შესავალ ნაწილში ასევე აღნიშნულია, რომ ცივი ომის შემდეგ ჩნდება უფრო მეტად ინტეგრირებული ახალი ევროპა და ცვლილებას

განიცდის ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების სტრუქტურა, რომელშიც ნატო მთავარ როლს თამაშობს. სტაბილურობის მიღწევის მიზნით, ალიანსმა თავის თავზე აიღო ახალი ფუნქციების შესრულება, რომელთა წარმატებული განხორციელების შედეგად ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა დაადასტურა, თუ რაოდენ სერიოზულად ეკიდება იგი ახალი, სტაბილური გარემოს ჩამოყალიბებას. ევროპაში დამაბულობის შემცირების მიზნით ალიანსის ერთ-ერთ პრიორიტეტს შეიარაღების შემცირება და შეიარაღებაზე კონტროლი წარმოადგენს.³³

1991 წლის ნატოს კონცეფციის თანახმად მნიშვნელოვნად შემცირდა ალიანსის შეიარაღებული ძალები. აშშ-მა თავის ჯარის 2/3 გაიყვანა გერმანიიდან. ნატოს სამხედრო პერსონალის რაოდენობა შემცირდა 24%-ით, საბრძოლო ქვედანაყოფების 35%-ით, საბრძოლო ესკადრილების 41%-ით, სახმელეთო ბირთვული განლაგების იარაღის 80%-ით.

1999 წელს დამტკიცებულ იქნა ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფცია ალიანსის შექმნის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ვაშინგტონის სამიტზე. 90-იან წლებში ჩამოყალიბებული პოლიტიკური რეალობების და ახალი ვიტარების შედეგად საერთაშორისო პოლიტიკაში. ნატოს გაფართოების პოლიტიკის და უსაფრთხოების სფეროში მისი ფუნქციების ზრდით გათვალისწინებული ფაქტორების შესაბამისად. ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში ღიად იაქნა აღნიშნული, რომ ალიანსი არ წარმოადგენდა რომელი ქვეყნის მეტოქეს. ასევე ნატო გააგრძელებდა სხვა ქვეყნების უსაფრთხოების საკითხებში ლეგიტიმური ინტერესების პატივისცემას. ის იყო მომხრე კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის გზების ძიების და სტაბილური საერთაშორისო ურთიერთობების. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა თანამშრომლობის საკითხს ნატოსა და ევროკავშირს შორის

³³ ჩიტაძე ნ. „ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“, თბილისი -2008. გვ.86-87.

ურთიერთობების კუთხით ევროპაში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბების მიმართულებით.

2010 წელს ლისაბონის სამიტზე დამტკიცებულ იქნა ნატო-ს ახალი სტრატეგიული კონცეფცია, სადაც ნათლად იქნა გადმოცემული ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის გეოპოლიტიკური ინტერესები. აღნიშნულ იქნა, რომ ნატო ძირითად როლს მომავალშიც შეასრულებდა ალიანსის წევრების თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. დოკუმენტის მიხედვით ალიანსის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან ერთად იმუშაონ კრიზისების მართვის და აღმოფხვრის საქმეში, ასევე კონფლიქტების დარეგულირების და პოსტონფლიქტური სიტუაციებში სტაბილური გარემოს უზრუნველყოფის კუთხით. ახალ კონცეფციაში ასევე ხაზი გაესვა იმას, რომ ნატო მხარს უჭერს იდეას მსოფლიოს ბირთვული იარაღის გარეშე არსებობის. აქვე იქნა გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ თანამედროვე მსოფლიოში რიგი სახელმწიფოები ფლობენ ბირთვულ იარაღს და ამიტომაც ნატო დარჩებოდა ბირთვულ ალიანსად.

სტრატეგიაში ხაზგასმული არის, რომ ნატო თავისი მიზნების მისაღწევად მზად არის განათავსოს საკუთარი შეიარაღებული ძალები იმ ტერიტორიაზე, სადაც აუცილებელი იქნება ალიანსის ინტერესების შესაბამისად. ევროატლანტიკურ სისვრცეში ნატოს მიერ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ალიანსმა ეფექტურად უნდა შეასრულოს შემდეგი ძირითადი ფუნქციები: 1. ანტიკრიზისული მართვა; 2. უსაფრთხოების უზრუნველყოფა თანამშრომლობის საფუძველზე. 3. ნატო-ს წესდების მე-5 მუხლის საფუძველზე კოლექტიური თავდაცვა.

2010 წლის კონცეფციის მიხედვით მნიშველოვანი ყურადღება ეთმობოდა ევროპაში შესრულებულიყო ძირითადი პრინციპები ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების, ამავე დროს ბირთვული იარაღის შეზღუდვის საკითხების და ქიმიური იარაღის შესახებ ახალი კონვენციის ძალაში შესვლას შესახებ და ა.შ. აღნიშნულია ასევე, რომ

მოკვლევადიან პერიოდში ნატო არ დგას ფართომასშტაბიანი აგრესიის წინაშე თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში გასათვალისწინებელია უსაფრთხოების გამოწვევები და რისკები იქიდან გამომდინარე, რომ ნატოს უსაფრთხოება რჩებოდა სამხედრო და არასამხედრო რისკების ობიექტად. საუბარი ასევე ნატოს წევრ სახელმწიფოებზე რომელთაც გააჩნიათ ბირთვული შეიარაღება და რომლებიც არიან გარანტი ალიანსის სტაბილურობის შენარჩუნებისთვის.

მნიშვნელოვანია ნატოს დამოკიდებულება ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის შესაძლო გავრცელებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამ საქმეში გარკვეული წინსვლისა, ნატოს წინაშე პრობლემად რჩება რიგ ქვეყნებში ამგვარი იარაღის შექმნისა და გამოყენების შესაძლებლობა. ასევე ალიანსის სტრატეგიული მიზნების განხორციელების გზაზე მთავარ დამაბრკოლებელ ფაქტორებს წარმოადგენს ისეთი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ტერორისტულ საქმიანობასთან, საბოტაჟთან, ორგანიზებულ დანაშაულთან, სასიცოცხლო რესურსების მიწოდების მოშლასთან, უკანონო მიგრაციასთან და ა.შ.³⁴

ნატოს თავდაცვითი სტრუქტურა მიმართულია ბირთვული და ბიოლოგიური იარაღის, მათი გადაზიდვის საშუალებების გავრცელების პოტენციური რისკების აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად. ამავე დროს დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გრძელდება მუშაობა სარაკეტო თავდაცვითი სისტემის გასაუმჯობესებლად.³⁵

მოკავშირეთა ბირთვული ძალების ძირითადი დანიშნულება პოლიტიკურია: მშვიდობის დაცვა, იძულებისა და ნებისმიერი სახის ომის თავიდან აცილება. მოკავშირეთა უსაფრთხოების გარანტია უზრუნველყოფილია ალიანსის სტრატეგიული ბირთვული ძალებით, კერძოდ შეერთებული შტატების, გაერთიანებული სამეფოს და საფრანგეთის

³⁴ ჩიტაძე ნ. „გეოპოლიტიკა“, გამომცემლობა უნივერსალი. თბილისი -2011. გვ.276.

³⁵ ჩიტაძე ნ. „გეოპოლიტიკა“, გამომცემლობა უნივერსალი. თბილისი -2011. გვ.281.

დამოუკიდებელი ბირთვული ძალებით. მათ წვლილი შეაქვთ საერთო შეკავებასა და მოკავშირეთა უსაფრთხოებაში.³⁶

თანამედროვე პერიოდში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე მსოფლიოში ნატო-ს წინაშე გამოიკვეთა ახალი რისკების და გამოწვევები. ალიანსის ახალ გამოწვევებს წარმოადგენს აღმოსავლეთ და სამხრეთ ფლანგებიდან მომდინარე საფრთხეები, არსებულმა ვითრებამ ნატო აიძულა დაეწყო შემუშავება ახალი სამხედრო სტრატეგიული კონცეფციის სრული უსაფრთხოების მისაღწევად და მომავალში ალიანსის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ბირთვული საფრთხის არსებობის გამო აქტიურად მიმდინარეობს საუბარი ნატო-ს სამხედრო სტრატეგიის ცვლილების აუცილებლობაზე. ნატო-ს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებით ნატო მიიღებს ახალ სტრატეგიას. რა დროსაც მან ხაზი გაუსვა რუსეთის მიერ 2014 წელის შემდეგ ყირიმის ნახევარკუნძულის ოკუპაციას და შემდგომ კი ანექსიას. მისმივე განცხადებით ამის მიზეზია ნატო-ს ახალი გამოწვევები და რუსეთისგან მომდინარე ბირთვული საფრთხე. სტოლტენბერგის განცხადებით „ცივი ომის ეპოქის ეს სამხედრო ალიანსი თვითონ აღადგენს საკუთარ თავს - ის უკვე ჩართულია ავღანეთში, ახლა ის იწყებს ახალ ცხოვრებას რუსეთთან ურთიერთობაში, ვინაიდან ის წარმოადგენს ახალ სტრატეგიულ გეგმას საფრთხეების ახალი სპექტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, მათ შორის კიბერ-ტერორიზმის წინააღმდეგ.“³⁷

სავარაუდოა, რომ ნატო-ს ახალი სტრატეგია დაეფუძნება რუსეთის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენების არ დაშვების და დროული შეკავების პოლიტიკას კონტრქმედების საფუძველზე. ამოქმედდება ბირთვული შეკავების პოლიტიკა და ბირთვული დაგეგმარების კომიტეტი იმ ელემენტებთან ერთად, რაც ცივი ომის პერიოდში იყო. რუსეთის მიერ 2015

³⁶ ჩიტაძე ნ. „გეოპოლიტიკა“, გამომცემლობა უნივერსალი. თბილისი -2011. გვ.282.

³⁷ Nato's Secretary General, Anders Fogh Rasmussen.

<https://www.bbc.co.uk/programmes/p00cbjln> Pg.1.

წელს შემოღებული ე.წ. გერასიმოვის დოქტრინის თანახმად რუსეთმა მიიღო დადგენილება, რომ ის პირველი გამოიყენებდა ბირთვულ იარაღს. არსებული ვითარებიდან გამომდინარე ნატო-ს უწევს კონტრ ზომების მიღება. ნატო-მ უნდა დააბალანსოს რუსეთის მიერ შემტევი სტრატეგიული შეიარაღების და ბირთვული სარაკეტო კომპლექსების, მათ შორის ბირთვული ქობინების განლაგების საწინააღმდეგეო ზომები. ახალი სტრატეგია ოთხ ძირითად მიმართულებას მოიცავს, ესენია: ა) პოზიციების განმტკიცება შავ ზღვაში; ბ) კიბერ-ტერორიზმის და კიბერ საფრთხეებთან ბრძოლა; გ) სანქციების და ბაზენის მეშვეობით მოსკოვზე ზემოქმედების გაზრდა; და დ) მოკავშირე სახელმწიფოებისთვის დახმარების გაწევის პაკეტი. ნატო-ს სტრატეგიული კონცეფციები მორგებულია იყო იმ მომდინარე საფრთხეებზე და გამოწვევებზე, რაც ალიანსის წინაშე დგას. ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიძლება ითვას, რომ ნატო-ს სტრატეგიული კონცეფციები არსებული დროის გათვალისწინებით პასუხობდნენ ალიანსის წინაშე მდგარ საფრთხეებს და გამოწვევებს.

2.2. ნატოს „ბირთვული ტრიადის“ გეოსტრატეგიული ასპექტები

ბირთვული ტრიადა მოიცავს სამი ტიპის სტრატეგიული ბირთვული მიწოდების სისტემას: სტრატეგიულ ბომბდამშენებს, მიწისქვეშა ბაზირების საკონტინენტთაშორის ბალისტიკურ რაკეტებს (ICBMs) და წყალქვეშა ბალისტიკურ რაკეტებს (SLBMs). მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ აპირებდა ტრიადის აშენებას, ბევრი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ბომბდამშენების, მიწისზედა რაკეტებისა და წყალქვეშა ხომალდების არსებობა აძლიერებს შეკავების პოლიტიკას. მეცნიერთა ნაწილი ამტკიცებენ, რომ ბირთვული ტრიადა ცივი ომის არტეფაქტია და გადაჭარბებულია მისი შესაძლებლობებზე საუბარი. თუმცა რეალობაში

ბირთვული ტრიადის როლი და მნიშვნელობა საკმაოდ დიდია და ის ნამდვილად წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს შეკავებისა.

ბომბდამშენები: 1960-იან წლებამდე შორი რადიუსის მოქმედების რაკეტების შექმნამდე მხოლოდ ბომბდამშენები იყო ერთადერთი საშუალება ბირთვული იარაღის გადატანის. მათმა ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებზე უკიდურესად მაღალმა მოწყვლადობამ, რაც მათ უსაფრთხო გადატანის საშუალებას ამცირებდა გამოიწვია ახალი გადამტანი საშუალებების განვიტარების აუცილებლობა. ხოლო მომდამშენების მთავარი ამოცანა იყო სიგნალი მიეწოდებინა ბირთვული მზადყოფნის მოკავშირეებისთვის და მოწინააღმდეგეებისთვის შეკავების პოლიტიკის მიზნებისთვის.

ICBMs - შეიძლება დამაგრებული იქნას და განთავსებული გამაგრებულ ბუნკერებში, ან შეიძლება მათი გაშვება საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე სხვადასხვა მოძრავი საშუალებებით. მაგალითად: სტაციონალური სამახტო ბაზირების და მობილური სალიანდაგო და საავტომობილო საშუალებები. არსებული შეიარაღება გააჩნია ნატოს წევრ აშშ-ს „პერშინგი“ და რუსეთის ფედერაციას „ტოპოლიმ-მ“ რომლებიც მიეკუთვნება სტრატეგიული დაშიენზის სარაკეტო სისტემას.

SLBMs - საკმაოდ დაცულია რადგან მას შეუძლია ხანგრძლივი დროის განმავლობაში შუმჩნევლად დარჩეს წყალში დიდ სიღრმეზე. რომლის დროსაც მათი აღმოჩენა ძალიან ძნელია. ბირთვული ტრიადაში ეს კომპონენტი აღიქმება, როგორც ბირთვული დარტყმის მეორე მძლავრი საშუალება.

სარაკეტო-ბირთვული შეიარაღების დღევანდელი პრობლემა - „ძველი“ საფრთხის სახესხვაობაა. მაგრამ, იმავდროულად, მას უჩნდება თვისებრივად ახალი განზომილება, რომელიც განპირობებული იყო აღნიშნული შეიარაღების მფლობელთა წრის გაფართოებით და ამ კუთხით მათი ქცევის თავისებურებებით. „ცივი ომის“ წლებში, საბოლოო ჯამში, ჩამოყალიბდა დაპირისპირებულ მხარეთა შეტევით სარაკეტო-ბირთვული შეიარაღების

დაპირისპირების სტრატეგიული სტაბილურობა „ორმხრივი გარანტირებული განადგურების“ შესაძლებლობის გათვალისწინებით. ამ სტაბილურობას ავსებდა შეტევითი სარაკეტო-ბირთვული შეიარაღებისგან თავდაცვის ფაქტობრივად სრული უარყოფა. შემდგომში სსრ კავშირის (სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია) და აშშ-ს შორის ამ სტაბილურობის შენარჩუნება ერწყმოდა სარაკეტო-ბირთვული შეიარაღების დონეების რადიკალურ შემცირებას და სარაკეტო-ბირთვული დარტყმების შესაძლო მიმოცვლისგან გამიზნული ურთიერთდაცულობის შენარჩუნებას. საბჭოთა კავშირ (რფ) - აშშ გათანაბრებისგან განსხვავებით, რომელიც 1960-იანი წლებიდან რეალიზდება თანასწორობის ან პარიტეტის (სანიმუშო თანასწორობის) პრინციპით, სხვა ბირთვული სახელმწიფოები (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი) უზრუნველყოფდნენ თავიანთ უშიშროებას სარაკეტო - ბირთვული სტრატეგიული შეიარაღების უფრო დაბალ დონეებზე და ხელმძღვანელობდნენ შესაძლო აგრესორისთვის საპასუხო დარტყმისას დაუშვებელი ზარალის მიყენების „საკმარისობის“ პრინციპით. მათ ასევე არ გააჩნდათ და არც შეუძლებიათ რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები. რაც შეეხება დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს, მათი ასეთი პოზიცია ნაწილობრივ აიხსნებოდა იმით, რომ ისინი იყვნენ აშშ-ის მოკავშირეები და თავიანთ უშიშროების უზრუნველყოფაში ამერიკელების დახმარების იმედი ჰქონდათ.³⁸

ახალი ბირთვული სახელმწიფოების წარმოქმნა გეოპოლიტიკური ასპექტების გათვალისწინებით დიდ საფრთხეს უქმნის გლობალურ უსაფრთხოებას. ბირთვული ტექნოლოგიების და ამ სფეროში ექსპერტული ცოდნის გავრცელება შეშფოთებას იწვევს. რადგან ეს ტექნოლოგიები და არსებული საექსპერტო ცოდნა შეიძლება ჩაუვარდეთ ხელში ტერორისტებს. მათ სურთ ბირთვული მასალების ხელში ჩაგდება და მასობრივი განადგირების იარაღის სხვა კომპონენტების. ბირთვული იარაღის

³⁸ გვენეტაძე ე. „საერთაშორისო უშიშროების ასპექტები“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბილისი -2017. გვ.254-255.

გამოყენება მომავალში აუცილებლად მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ცვლილებებს გამოიწვევს. მაშინ როდესაც თანამედროვე პერიოდში მრავალი სახელმწიფო ცდილობს გააძლიაროს კავშირები ბირთვული იარაღის მფლობელ სახელმწიფოებთან. გლობალური განიარაღებისთვის ბრძოლის საკითხი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი პრობლემაა საერთაშორისო პოლიტიკაში. ბირთვულს სახელმწიფოებს არსებული ბირთვული არსენალის დათმობა და ლიკვიდაცია არ სურთ. ისინი პირიქით არსებული სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღების კომპონენტების დახვეწას და გაუმჯობესებას ეწევიან, რაც მსოფლიოს უფრო დიდი საფრთხის წინაშე აყენებს.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ ბირთვული ძალების მოდერნიზაციის კვლევა ბირთვული კლუბის წევრების მიხედვით. შეერთებული შტატები: შეერთებული შტატები ჩართულია თავისი მთელი ბირთვული ძალის - შენახვიდან მიწოდების სისტემებამდე - ინტენსიური მოდერნიზაციის პროცესში. დაგეგმილია, რომ პროგრამა უნდა შესრულდეს 2046 წლამდე და სავარაუდოდ, 1,2 ტრილიონი აშშ დოლარი დაჯდება - აქედან 494 მილიარდი აშშ დოლარი გამოიყოფა 2017-2026 წლების განმავლობაში (კონგრესის საბიუჯეტო ოფისი, 2019). მისი რეკონსტრუქციის პროგრამა მიზნად ისახავს ბირთვული მიწოდების სისტემების (სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო) ტრიალებს, იარაღებს, ინფრასტრუქტურას, ასევე ბრანებისა და კონტროლის სისტემებს. შეერთებული შტატები თავისი ბირთვული იარაღის ტიპების რაოდენობას ამცირებს 10-დან 5-მდე „სიცოცხლის გადართობის პროგრამის“ (LEP) საშუალებით და ანახლებს დარჩენილ იარაღებს (W76, W80, W87, W88 and the B61) (იარაღის კონტროლის ასოციაცია, 2018). ანალოგიურად, მიწოდების სისტემები, როგორცაა Minuteman III ICBM, წყალქვეშა Trident II - ბალისტიკური რაკეტა (SLBM), ასევე B-2 და B-52 ბომბდამშენი, გადიან მოდერნიზაციას. აშშ-ის საზღვაო ძალები ასევე ახდენენ SLBM-ის მოდერნიზებას - ვირჯინიის კლასს ცვლიან კოლუმბიის ახალი კლასით.

გარდა ამისა, ვაშინგტონმა დაიწყო ახალი სისტემების განვითარება ზოგიერთი ბომბდამშენისა და ICBM-ის ჩანაცვლების მიზნით: 2020 წლისთვის დაგეგმილია B-21-ის გამოყენება, რომელიც ჩანაცვლებს B-1 და B-52 ბომბდამშენებს, ხოლო „ძირითადი სტრატეგიული შემაკავებელი“ (GBSD) უნდა შეიცვალოს Minuteman III-ით 2028 წელს. შეერთებული შტატები ასევე გეგმავს ნატოსთან ურთიერთობის გზით თავისი არასტრატეგიული ბირთვული იარაღის მოდერნიზებას. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს ბირთვული მოდერნიზაციის პროგრამა ჯერჯერობით მოიცავს არსებული შესაძლებლობების განახლებას ან შეცვლას, პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ ბოლო დროს გაკეთებული დეკლარაციების თანახმად, შეერთებულ შტატებს აქვს შესაძლებლობა გაზარდოს თავისი არსენალის ზომა.

საფრანგეთი: 2018 წლის იანვარში საფრანგეთის შეიარაღებული ძალებისადმი მიმართვაში პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ უნდა მოხდეს ქვეყნის ბირთვული არსენალის განახლება - საზღვაოსი და საჰაეროსი - 2035 წლისთვის. საფრანგეთის მთავრობა 2019 წლიდან 2025 წლამდე გამოყოფს 37 მილიარდ ევროს ბირთვული არსენალის შენარჩუნებისა და მოდერნიზაციის მიზნით - საბიუჯეტო თანხა წარმოადგენს თავდაცვის ბიუჯეტის დაახლოებით 10%-ს. პარიზში იგეგმება თავისი ბალისტიკური რაკეტაწინააღმდეგო წყალქვეშა ნავების - SSBN-ების მოდერნიზება, რომლებიც აღიჭურვება M51 ICBM -ის ახალი მოდელით 2025 წლისთვის და გამოცხადდა არაბირთვული ენერჯის მქონე SSBN-ების დაწყების იდეა 2030-იანი წლებისთვის. ახალი საჰაერო სისტემა, ASN4G, ჩანაცვლებს საფრანგეთის ზოგიერთ საჰაერო-საკრუიზო რაკეტას 2035 წლისთვის. პარალელურად, Rafale B ჩანაცვლებს Mirage 2000N თვითმფრინავს, როგორც საჰაერო ზებგერითი საკრუიზო რაკეტების არსენალის მიწოდების ძირითადი სისტემა.

გაერთიანებული სამეფო: გაერთიანებული სამეფო არის ერთადერთი ბირთვული ძალა, რომელმაც შეამცირა თავისი ბირთვული არსენალის

საზღვაო კომპონენტი. Trident-ის წყალქვეშა მემკვიდრის პროგრამა ჩაანაცვლევს არსებულ 4 SSBN-ს გაერთიანებული სამეფოს არსენალში. ახალი Dreadnought-ის კლასის წყალქვეშა ნაგების გამოყენება იგეგმება 2030-იანი წლებისთვის. გაერთიანებული სამეფო ასევე მუშაობს მისი Trident II-ის რაკეტების სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდაზე. მოდერნიზაციის ხარჯები, თავდაპირველი ბიუჯეტით შეადგენს 31 მილიარდ მშპ-ს, დამატებითი 10 მილიარდი მშპ-თი, რადგან სავარაუდოდ, ხარჯები გაიზრდება ბირთვული რეაქტორის ქარხანასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ხარჯების შედეგად. 2018 წლის მაისში „ეროვნული აუდიტის სამსახურმა“ აღნიშნა, რომ 2,9 დამატებითი მშპ იქნება საჭირო ბირთვული განახლების გეგმების შესანარჩუნებლად მომდევნო ათწლეულში.

აშშ-ის ბირთვული მოდერნიზაცია მოიცავს ევროპულ ბაზებზე განლაგებული ატომური ბომბების განახლებას. ამდენად, ამგვარი იარაღის შემნახველი ობიექტების მოდერნიზება მოითხოვს, ორმაგი სიმძლავრის საჰაერო ხომალდი, რომელიც გამოიყენება იარაღის გადამტან საშუალებად კონტინგენტური მოვლენების დროს. შეერთებული შტატები და მოკავშირეები უკვე იღებენ საჭირო ზომებს.

მისი ფართომასშტაბიანი ბირთვული იარაღის მოდერნიზაციის პროგრამის ფარგლებში, შეერთებულმა შტატებმა განაახლა B61 გრავიტაციული ბომბები, რომელსაც ამჟამად იყენებენ ევროპაში. ახალ ვერსიას, B61-12-ს ხელმძღვანელობს ბირთვული ბომბები, რაც არის შედეგი ხუთი B61 ვარიანტის კონსოლიდაციისა. მომდევნო ათწლეულში შეიქმნება მართვადი, დაბალპროცედურული ბირთვული ბომბი და B61-12-ის საერთო საექსპორტო ხარჯები დაახლ. 7,5-10 მილიარდი ამერიკული დოლარი იქნება.

ლოკჰიდ მარტინს მიეცა 350 მილიონი აშშ დოლარიანი კონტრაქტი F-35 ერთობლივი გამანადგურებლის ადაპტირებისთვის, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ახალი B61-12-ის გადატანა და სასროლად გამზადება.

დღესდღეობით, ბელგიამ, ნიდერლანდებმა, იტალიამ და თურქეთმა აირჩიეს F-35A თავიანთი ორმაგი საჰაერო ხომალდის (IISS, 2019) ჩამნაცვლებლად. გერმანიამ გადაწყვიტა ამჟამინდელი PA-200 Tornados ჩაანაცვლოს Eurofighter-ით, მაგრამ არ გამოუცხადებია F-35A-ს შეიძენს თუ არა თავისი ორმაგი ქმედუნარიანობის მისიებისთვის.

რუსეთი: შეერთებული შტატების მსგავსად, რუსეთი თავისი ბირთვული ტრიადის მოდერნიზებას გეგმავს. ბოლო 15 წლის განმავლობაში რუსეთი მუშაობდა ICBM-ის შესაძლებლობების მოდერნიზებაზე, რაც ფოკუსირებულია RS-12-ის მრავალჯერადად დამოუკიდებლად მიზანმიმართული ხელახლა შესასვლელი მანქანის (MIRV) ვერსიის განვითარებაზე. იგი ასევე ავითარებს RS-28 Sarmat-ს, MIRV-ით აღჭურვილ მძიმე ICBM-ს. მიუხედავად იმისა, რომ ჩანაცვლების პროგრამა დაგეგმილზე ნელა მიმდინარეობს, საბჭოთა ეპოქის ICBM-ების ჩანაცვლება უნდა დასრულდეს 2024 წლისთვის. რუსეთი ასევე ახდენს ბირთვული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას, როგორცაა სილი, ცენტრები ან გარნიზონები.

პარალელურად, მიმდინარეობს საზღვაო კომპონენტების მსგავსი მოდერნიზაცია. SSBN-ის ახალი ვერდია, Borei კლასი, წარმატებით ანაცვლებს საბჭოურ Deltas-ს. Borei კლასის სამი წარმომადგენელი უკვე ფუნქციონირებს, ხოლო დანარჩენი ხუთი მომდევნო 3 წლის განმავლობაში განაგრძობს განვითარებას. საბოლოოდ, Tu-95MS ბომბდამშენების მოდერნიზაციის შემდეგ, რუსეთი საუბრობს თავისი ორი შემდეგი თაობის ბომბდამშენის განვითარებაზე: Tu-160M2, რომელიც უნდა შეიქმნას 2023 წლის შემდეგ და PAK-DA, რომელიც უნდა დაიტესტოს 2021 წელს და გამოვიდეს 2020 წლის შუა რიცხვებში. თუმცა, ზოგიერთი ანალიტიკოსი ეჭვქვეშ აყენებს რუსეთის ორი სტრატეგიული ბომბდამშენის ერთდროული განვითარებისა და წარმოების შესაძლებლობას.

2018 წლის მარტში პრეზიდენტმა პუტინმა გამოაქვეყნა გეგმა ექვსი ახალი ბირთვული იარაღის სისტემისთვის, მათ შორისაა ორი ბირთვული იარაღი

(წყალქვეშა დრონი და საკრუიზო რაკეტა), საჰაერო ზებგერითი რაკეტა და ზებგერითი სტიმულატორი. ამასთანავე, მოსკოვში მოსალოდნელია ბირთვული მოდერნიზაციის გაგრძელება.

ჩინეთი: როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩინეთი შედარებით მცირე, თუმცა ნელა მზარდ ბირთვულ არსენალს ფლობს. ქვეყნის ოფიციალური სამხედრო სტრატეგიის თანახმად, პეკინის ბირთვული პოლიტიკა მიზნად ისახავს „[ჩინეთის] სტრატეგიული შეკავებისა და ბირთვული კონტრშეტევის გაძლიერებას“ „სტრატეგიული ადრეული გაფრთხილების, მყისვე რეაქციისა და სიცოცხლისუნარიანობისა და დაცვის“ შესაძლებლობების განვითარების საშუალებით (ჩინეთის სახელმწიფო საბჭო, 2015). აქედან გამომდინარე, ჩინეთის ბირთვული სტრატეგია კვლავაც ყურადღებას ამახვილებს მეორე საფეხურის შესაძლებლობების დაცვაზე ამ პუნქტის მიღმა გადაადგილების გარეშე.

ჩინეთის ბირთვული მოდერნიზაცია, რომელმაც მეტად გააუმჯობესა ხარისხი, ვიდრე ბირთვული არსენალის რაოდენობა, ასახავს თავის სურვილს ბირთვული ძალების სიმტკიცის გაძლიერების შესახებ. ის ფოკუსირებულია შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების მიერ განლაგებულ სისტემებზე რეაგირების გაუმჯობესებაზე, განსაკუთრებით ბალისტიკური რაკეტაწინააღმდეგო საშუალებების განვითარებასა და უშუალოდ მართვადი დამრტყმელი სისტემების სიზუსტეზე. უფრო მეტიც, ჩინეთი განსაკუთრებით შეშფოთებულია ამერიკის სადაზვერვო და სათვალთვალო შესაძლებლობების განვითარების გამო. იგი ამჟამად არსებული სილოზე დაფუძნებული რაკეტების ჩანაცვლებას ახდენს სავარაუდოდ 12,000კმ სპექტრის მქონე მობილური DF-41-ით. აშშ-ს გლობალური რაკეტაწინააღმდეგო სისტემის განვითარების საპასუხოდ და ინდოეთისა და რუსეთის რაკეტაწინააღმდეგო სისტემების ზომის შესამცირებლად, ჩინეთმა განავითარა რამდენიმე MIRV. პარალელურად, ჩინეთი ავითარებს საკუთარ საზღვაო ბირთვულ კომპონენტს: მან შეადგინა ოთხი, პოტენციურად ხუთი ბირთვულძრავიანი SSBN, რომელიც შეიძლება

აღჭურვილი იყოს JL-2 SLBM-ით. 7,200 კმ სპექტრის მქონე JL-2 „უზრუნველყოფს ბეიჯინგს საკუთარი პირველი საზღვაო ბირთული შემაკავშირებლით.“³⁹

2.3. კოალიციური სამხედრო დაგეგმარების სტრატეგია და ბირთვული დაშინების პოლიტიკა

ჩდილოატლანტიკური საბჭო არის ძირითადი ორგანო რომელიც ნატოში გადაწყვეტილების მიმღებია. ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრები გადაწყვეტილების მისაღებად სამ დონეზე იმართება ესენია: 1. სახლმწიფოების მეთაურების დონეზე განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხების განსახილველად საბჭო იკრიბება წელიწადში ან ორ წელიწადში ერთხელ. 2. ელჩების დონეზე საბჭო იკრიბება კვირაში ერთხელ ნატოს წევრი ქვეყნების მუდმივი დეგელაციების ხელმძღვანელები. 3. მინისტრების დონეზე წევრი ქვეყნების მთვარობის წევრები (ძირითადად საგარეო საქმეთა მინისტრები და თავდაცვის) წელიწადში ორჯერ იკრიბებიან. სამხედრო კომიტეტი ექვემდებარება ჩრდილოატლანტიკური საბჭოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და წარმოადგენს ნატოს უმაღლეს სამხედრო ორგანოს. სამხედრო კომიტეტი ადგენს ინსტრუქციებს ნატოს პოლიტიკური სტრუქტურებისათვის, სამხედრო სტრატეგიასთან დაკავშირებით და პასუხისმგებელია ალიანსის სამხედრო საქმიანობაზე. სამხედრო კომიტეტი აფასებს ნატოსთვის შესაძლო საფრთხის შემცველი ქვეყნების სამხედრო ძლიერებასა და შესაძლებლობებს. საომარი მდგომარეობის, კრიზისული

³⁹ Joseph A. DAY. „A NEW ERA FOR NUCLEAR DETERRENCE? MODERNISATION, ARMS CONTROL, AND ALLIED NUCLEAR FORCES“, DEFENCE AND SECURITY COMMITTEE (DSC). Canada - 16 April 2019. Pg.5-7. https://www.nato-pa.int/download-file?filename=sites/default/files/2019-05/075%20DSC%2019%20E%20-%20A%20NEW%20ERA%20FOR%20NUCLEAR%20DETERRENCE%20-%20MODERNISATION,%20ARMS%20CONTROL,%20AND%20ALLIED%20NUCLEAR%20FORCES_0.pdf

სიტუაციების ან ალიანსის სამშვიდობო-სამხედრო ოპერაციების დროს მას ევალუა მოხსენებებისა და რეკომენდაციების წარდგენა ჩრდილოატლანტიკური საბჭოსა და ბირთვული დაგეგმვის ჯგუფისათვის. აღსანიშნავია, რომ სამხედრო კომიტეტი შეიმუშავებს დირექტივებს ნატოს სამხედრო სარდლობებისათვის. ასევე აწარმოებს მოლაპარაკებებს საერთო უსაფრთხოების, თავდაცვისა და კრიზისების მართვის საკითხებზე ევროკავშირის სამხედრო კომიტეტის წარმომადგენლებთან.⁴⁰

ნატოს სამხედრო სარდლობები შედგება სტრატეგიული მნიშვნელობის ორი მთავარსარდლობებისგან. 1. მოკავშირეთა ტრანსფორმაციის მთავარსარდლობა რომელიც პასუხისმგებელია ნატოს სამხედრო შესაძლებლობათა ტრანსფორმაციის პროცესზე. 2. მოკავშირეთა მთავარსარდლობა ევროპაში იგი მიუხედავად ადგილდებარეობის პასუხისმგებელია ალიანსის ყველა სამხედრო ოპერაციაზე. მნიშვნელოვან ორგანოს წარმოადგენს ასევე თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტი ძირითადად დაკავებულია კოლექტიურ თავდაცვასთან დაკავშირებული საკითხებით; საჭირო დირექტივებით უზრუნველყოფს ნატოს სამხედრო სარდლობას და აქვს იგივე უფლებამოსილება, რაც ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს, მისი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის საკითხებში. კომიტეტი, ჩვეულებრივ, მართავს სხდომებს ელჩების დონეზე, თუმცა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მსგავსად, წელიწადში ორჯერ იმართება წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეკრება, რომელსაც თავდაცვის მინისტერიალს ვუწოდებთ.⁴¹

ნატოს ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს ბირთვული დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც ალიანსის ბირთვული პოლიტიკის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას. იგი წარმოადგენს ბირთვულ

⁴⁰ ნატოს სტრუქტურა. April 30, 2017 https://european777.blogspot.com/2017/04/blog-post_12.html გვ.1.

⁴¹ ნატოს სტრუქტურა. April 30, 2017 https://european777.blogspot.com/2017/04/blog-post_12.html გვ.1.

საკითხებში ნატოს უმაღლეს ორგანოს რომლის შემადგენლობაშიც შედიან ნატოს წევრი სახელმწიფოების თვდაცვის მინისტრები, საფრანგეთის გამოკლებით. აღნიშნული ორგანოს სხდომები წელიწადში ორჯერ იმართება, სადაც განიხილება ფართო სპექტრი ბირთვული პოლიტიკის საკითხებისა, უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ბირთვული ძალების გაშლის და საიმედოობის საკითხები. აგრეთვე სათანადო კავშირგაბმულობის სისტემების, ინფორმაციის გადაცემა-მიღების და ასევე ნატოს სიცოცხლისუნარიანობის შეიარაღებაზე კონტროლის საკითხები, მათ შორის: ბირთვულ შეიარაღებაზე კონტროლი და ბირთვული გავრცელების კონტროლი. თანამედროვე პერიოდში ალიანსის ბირთვული ძალები ნატოს შეკავების პოლიტიკის მთავარი ნაწილის წარმოადგენს და მათი ძირითადი როლია უფრო პოლიტიკურია და შესაბამისად არ არის მიმართული კონკრეტული საფრთხისაკენ.

ნატოს ამავდროულად 2002 წლიდან ჰყავს სწრაფი რეაგირების ძალები, რომელიც შედგება სამხედრო-საჰაერო, სამხედრო-საზღვაო და სპეციალური ოპერაციების ძალებისგან. ნატოს დოქტრინის შესაბამისად სწრაფი რეაგირების ძალების მთავარი ამოცანაა ხუთი დღის განმავლობაში კონკრეტული პლაცდარმის დაკავება და ძირითადი ძალებისთვის სრულმასშტაბიანი ოპერაციის ხელშეწყობა. ალიანსის ყველა სახელმწიფო წარმოდგენილია ყველა სტრუქტურაში სადა კონსენსუსზე დამყარებულ გადაწყვეტილებას იღებენ.

ბირთვული კლუბის წევრები ახორციელებენ ბირთვულ დაგეგმვას, რაც გულისხმობს ბირთვული ძალების გამოყენების გეგმის დეტალურ დამუშავებას. რა დროსაც მუშავდება სხვადასხვა ამოცანები და სტრატეგიული დასაზიანებელი ობიექტების, სადაც ამავე დროს იგულისხმება ბირთვული ძალების გამოყენების ვარიანტები და განაწილება მათი მიზნების მიხედვით. მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მართვის ორგანიზება და ურთიერთქმედების უზრუნველყოფის საკითხი.

ბირთვული უსაფრთხოების მთავარ კონცეფციას წარმოადგენს ბირთვული ობიექტების ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებების ერთობლიობის სისტემა, რომელიც მიმართულია ადამიანებზე და ცოცხალ გარემოზე საშიში, მავნე ფაქტორების ზემოქნედების მაქსიმალური შემცირების და გამორიცხვისაკენ.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ თუ რა არის ბირთვული სტრატეგია - კონცეფცია, რომელიც გამოხატავს ბირთვულ სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეხედულებებს ბირთვული ძალების მშენებლობაზე, გამოყენების პრინციპებსა და მათ როლზე ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ყოველ ბირთვულ სახელმწიფოს აქვს თავისი სტრატეგია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით. სახელმწიფოების ბირთვული სტრატეგიის არსია, განიხილონ ბირთვული იარაღი, როგორც სტრატეგიული სტაბილურობის, ეროვნული და სამხედრო უსაფრთხოების გარანტი, პოტენციური მოწინააღმდეგეების შეკავებისა და დაშინების საშუალება.⁴²

საერთაშორისო ურთიერთობებში სამხედრო ძალის ერთ-ერთი ფუნქცია, რომელიც არასასურველი ქცევის შემთხვევაში მოწინააღმდეგისათვის სამაგიეროს გადახდისა და მისი დასჯის მუქარას გულისხმობს. დაშინება ძალისმიერი ურთიერთობების ცალკეული მაგალითია, რომელიც მხოლოდ ნეგატიურ სანქციებს მოიცავს. დაშინება როგორც სტრატეგია, რეალიზმის კვლევის ერთ-ერთი მთავარი საგანია. მის კვლევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ბირთვული იარაღის გამოგონებამ შეიტანა, რადგან ბირთვული დაშინება, მისი ორმხრივი გამანადგურებელი ხასიათის გამო, არცთუ მთლად სანდო საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტი გამოდგა.

⁴² ბირთვული სტრატეგია.

<http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90> გვ.1.

დაშინების სტრატეგიის გამოყენებისას მთავარი ხდება მუქარის სანდოობა, ანუ პროცესი, რომლითაც მუქარას მნიშვნელობა ენიჭება.⁴³

ცივი ომის საწყის ეტაპზე აშშ-ის გლობალურ გეოპოლიტიკურ კოდს წარმოადგენდა „შეჩერების პოლიტიკა“. მთავარი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ აშშ-ს არ დაეშვა კომუნიზმის ექსპანსია და საბჭოთა კავშირის გავლენის ზრდა კომუნისტური არეალის გარეთ. ჰართლენდის ნეიტრალიზაციის მიხედვით აღნიშნული პოლიტიკა საბჭოთა კავშირის გარშემორტყმას სამხედრო-პოლიტიკური ბლოკებით, რომლის წევრებიც აშშ-ის ერთგული წევრები უნდა ყოფილიყვნენ. ცივი ომის პერიოდში შემაკავებელ რკალს ქმნიდნენ და გარს ერტყნენ სოციალისტურ ქვეყნებს ნატო, სეატო, სენტო, ანზიუსი, აზპაკი რომლებიც სხვა სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებთან ერთად კომუნიზმის შეკავების ფუნქციას იღებდნენ.

საკონტინენტაშორისი ბალისტიკური რაკეტების შექმნამ, სამხედრო ავიაციის, კოსმოსის ათვისებამ, წყალქვეშა ატომური ხომალდების პროგრესმა და გამოჩენამ დროთა განმავლობაში ნათელი გახადა შეჩერების პოლიტიკის არაეფექტურობა. ხოლო უკვე 60-იან წლებში აშშ-ში ცვლის შეჩერების პოლიტიკას და ტაქტიკას ე.წ. დაშინების პოლიტიკით რომელიც მთავარი გეოპოლიტიკური კოდი გახდა. აღნიშნული პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენდა აშშ-ს ბირთვული შეიარაღების ზრდით, სამხედრო ინფრასტრუქტურის სრულყოფით და ახალი სახეობის იარაღის წარმოებით დაეშინებინა საბჭოთა კავშირი და ამით მიეღწია სრული უპირატესობისთვის. ეს პოლიტიკა საკმაოდ ეფექტური გამოდგა და გამალებულ შეიარაღებაში სსრკ-ის დამარცხება მოჰყვა. მრავლ სხვა ფაქტორებთან ერთად სსრკ-ის ეკონომიკურმა კრიზისმა და აშშ-ის ეკონომიკურმა აღმავლობამ, მენიერულ-პოლიტიკურ პროგრესის კუთხით საგრძნობმა სხვაობამ გორბაჩოვის რეფორმების კრაზთან ერთად ნათელი

⁴³ დაშინება. „სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი“, გამომცემლობა: ლოგოს პრესი. თბილისი - 2004. <http://dictionary.css.ge/content/intimidation> გვ.1.

გახდა დაშინების პოლიტიკის როლი, რამაც საბოლოო ჯამში მსოფლიო მიიყვანა ცივი ომის დასრულებამდე. ერთი პოლუსის მარცხით ბიპოლარული სისტემა დაირღვა.

ბირთვული დაშინების პოლიტიკის გატარებამ გამოიწვია სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვა და შემცირება - რომელიც არის ერთგვარი ღონისძიებების კომპლექსი და მიზნად ისახავს ბირთვულ-სარაკეტო იარაღის წარმოების და არსებული პოტენციალის შემცირებას. ბირთვული ომის თავიდან აცილების, ნდობის და უსაფრთხოების განსამტკიცებლად საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება. სტრატეგიულ შეიარაღებას განეკუთვნება: სახმელეთო საკონტინენტაშორისო ბალისტიკური რაკეტები; წყალქვეშა ნავების ბალისტიკური რაკეტები; სხვადასხვა ბაზირების დიდი სიშორის ფრთოსანი რაკეტები; მათი გამშვები დანადგარები; სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო წყალქვეშა კრეისერები; მძიმე ბომბდამშენები; საკონტინენტაშორისო ბალისტიკური რაკეტების, წყალქვეშა ნავების ბალისტიკური რაკეტების და ფრთოსანი რაკეტების საბრძოლო მუხტები, მძიმე ბომბდამშენების შეიარაღება; საჰაერო თავდაცვის საშუალებები; კოსმოსსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები; სარაკეტო თავდასხმის აღმოჩენის და გაფრთხილების სისტემები და სხვა.⁴⁴

ბირთვული დაშინების პოლიტიკისა ერთ-ერთ მთავარ მიღწევად უნდა ჩავთვალოთ, 1972 წელს აშშ-ს და სსრკ-ს შორის დადებული ხელშეკრულება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ (SALT I). შემდეგ უკვე 1979 წლის სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულება (SALT II). ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ხელშეკრულებად შეიძლება მივიჩნიოთ 1987 წლის ხელშეკრულება საშუალო და ახლო რადიუსში მოქმედი რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ. 1994 წელს შევიდა ძალაში დამატებითი შეთანხმება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღის შემცირების შესახებ. 1992 წლის

⁴⁴ მეძმარიაშვილი ე. შუბლაძე თ. აბაშიძე ზ. „ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი“, თბილისი - 2017. გვ.516.

ლისაზონის ხელშეკრულებით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ის ბირთვული იარაღი რომელიც ყოფილ რესპუბლიკებში იყო განთავსებული უკრაინის ტერიტორიაზე, ყაზახეთში, ბელორუსში დაექვემდებარა ლიკვიდაციას და გარკვეული რაოდენობის ბირთვული ქობინების გადატანას რუსეთის ფედერაციაში. 1997 წელს აშშ-ს და რუსეთს შორის გაფორმდა მემორანდუმი რაკეტაწინააღმდეგო თვადაცვის და სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის, ასევე შემცირების საკითხებზე. 2010 წელს ხელმოწერილი იქნა სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ ხელშეკრულება აშშ-ს და რუსეთის ფედერაციას შორის.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების პროგნოზირება უფრო რთული ხდება ახალის გამოწვევების ფონზე. ამ მხრივ აღსანიშნავია რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინი განაცხადა, რომ რუსეთი მზად არის დატოვოს ახალი START-ის ხელშეკრულება, ბირთვული შეტევითი იარაღის შეზღუდვის შესახებ აშშ-თან დადებული, „თუ ვაშინგტონი არ არის დაინტერესებული მისი განახლებით. ხელშეკრულების ვადის გახანგრძლივება ჩვენთვის აუცილებელი არაა, ჩვენი სისტემები რუსეთის უსაფრთხოების გარანტიას საკმაოდ დიდი ხნით იძლევა, თქვა პუტინმა სანქტ-პეტერბურგში, საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე.“ ახალი START, აშშ-სა და რუსეთს შორის 2010 წელს, პრალაში დადებული შეთანხმება, გულისხმობს განთავსებული სტრატეგიული ბირთვული იარაღის შემცირებას. მისი მოქმედების ვადა 2021 წელს სრულდება თუ მხარეებმა კიდევ ხუთი წლით არ ისურვეს ვადის გახანგრძლივება. ახალი START ეფუძნება თავდაპირველ START I-ს და ითვალისწინებდა სტრატეგიული ბირთვული ქობინების და გამშვები დანადგარების რიცხვის განახევრებას. „2021 წელს ყველაფერი დასრულდება, თქვა პუტინმა, აღარ იარსებებს ინსტრუმენტი, რომელიც გამალებულ შეიარაღებას შეაჩერებს“. ⁴⁵ ეს განცხადება გლობალურ უსაფრთხოება უფრო მყიდეს ხდის და იზრდება

⁴⁵ „პუტინი: რუსეთი მზად არის დატოვოს სტრატეგიული იარაღის ხელშეკრულება, თუ აშშ-ს არ სურს განახლება“. გვ.1. <https://www.radiotavisupleba.ge/a/29984985.html>

ახალი საფრთხეების განზომილება, რომლებთანაც გამკლავება საკმაოდ რთული იქნება და შედეგები კიდევ უფრო უარესი.

ბირთვული შეკავების პოლიტიკის ალტერნატივაა „ბირთვული დაშინების“ პოლიტიკა რომელიც ბირთვულ შეიარაღებაში აშშ-ის უპირატესობის მიღწევას გულისხმობს. ბირთვული დაშინების პოლიტიკის თანამედროვე მაგალითები შეგვიძლია განვიხილოთ აშშ-ს ირანს შორის ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო განვითარებული დაპირისპირების, აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამოვიდა აშშ-ში და ირანს დაუწესა საქციები. ასევე კარგი მაგალითია ჩრდილოეთ კორეის ბირთვული იარაღის და ბალისტიკური რაკეტების განვითარების პროგრამა. ჩრდილოეთ კორეის ლიდერი, კიმ ჩენ ინი ღიად დაემუქრა აშშ-ს, რომ მათი ბირთვული იარაღი მიწვდებოდა აშშ-ის მთელ ტერიტორიას. რასაც შესაბამისი რეაგირება მოჰყვა აშშ-ის მხრიდან და არსებული დაძაბულობა გარკვეული დროით მოგვარდა. უნდა განვიხილოთ ამავე დროს 2019 წლის 26 თებერვალს ინდოეთსა და პაკისტან შორის არსებული კონფლიქტი რა დროსაც ორივე მხარეს ბირთვული დაშინების პოლიტიკის გათვალისწინებით მოუწია გონივრულ გადაწყვეტილებამდე მისვლა და არსებული კონფლიქტი არ გადაიზარდა ფართომასშტაბიან ბირთვულ ომში. რომელიც დიდ საფრთხეს შეუქმნიდა გლობალური უსაფრთხოების გარემოს.

ახალი კონფლიქტები მოსალოდნელია ტერიტორიების და რესურსების განაწილების პრინციპში წარმოიშვას. საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს არქტიკის და ანტარქტიკის რესურსების და ტერიტორიების საკითხის გარშემო მსჯელობა სხვადასხვა ქვეყნებში. ამის მიზეზი კი არის მდიდარი ბუნებრივი რესურსების არსებობა და სტრატეგიული მდებარეობა კონტინენტების. 1959 წლის 1 დეკემბერს დაიდო ანტარქტიდის შესახებ შეთანხმება, რომელიც ძალაში შევიდა 1961 წლის 23 ივნისს. ანტარქტიდაზე ნებადართულია მხოლოდ სამეცნიერო საქმიანობა და ის არ ეკუთვნის არც ერთ სახელმწიფოს. მნიშვნელოვანია ის, რომ აკრძალულია სამხრეთ განედის 60-ე გრადუსის სამხრეთით არ ერთი სახელმწიფოს სამხედრო ობიექტების

განლაგება, მათ შორის სამხედრო და შეიარაღებული გემების. ბირთვული გაუვრცელებლობის კუთხით ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საკითხს წარმოადგენს 1980-იან წლებში ანტარქტიდის გამოცხადება უბირთვო ზონად. აღნიშნული შეთანხმების თანახმად გამორიცხულია მის ტერიტორიულ ატომმავალი-გემების გამოჩენა, მატერიკზე კი ატომური ენერგობლოკების განთავსება. დღეისათვის ხელშეკრულების მონაწილეებია 50 სახელმწიფო (ხმის უფლებით) და ათობით ქვეყანა-დამკვირვებელი. ანტარქტიდის შესახებ დადებული შეთანხმება არ ნიშნავს, რომ ამ შეთანხმებაზე ხელმოწერილმა ქვეყნებმა უარი თქვეს საკუთარ ტერიტორიალურ პრეტენზიებზე კონტინენტის და მის ირგვლივ არსებული სივრცის მიმართ. პირიქით, ზოგიერთი ქვეყნის ტერიტორიული პრეტენზიები საკმაოდ დიდია. განსაკუთრებული პოზიცია დაიკავეს აშშ-მა და რუსეთმა, რომლებმაც გამოაცხადეს, რომ პრინციპში შეუძლიათ გამოთქვან საკუთარი ტერიტორიალური პრეტენზიები ანტარქტიდაში, თუმცა ამას ჯერ არ აკეთებენ. თანაც ორივე ქვეყანა არ სცნობს სხვა ქვეყნების პრეტენზიებს ანტარქტიდაზე.⁴⁶

შეერთებული შტატების ინტერესების დასაცავად არქტიკისა და ანტარქტიდის კონტინენტებზე აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ე.წ. ყინულისმჭრელთა ფლოტის შექმნის ბრძანებულება გასცა. აღნიშნული ფაქტი შესაძლოა მიუთითებდეს მისი ადმინისტრაციის აგრესიულ მიდგომაზე, პოლარულ რესურსებთან დაკავშირებით, რუსეთისა და ჩინეთის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ტრამპმა მის მიერ ინიცირებულ დოკუმენტში „არქტიკასა და ანტარქტიდაზე აშშ-ის ეროვნული ინტერესების დაცვის შესახებ“, მთავრობის ადმინისტრაციას მოუწოდა 60 დღის ვადაში შეიმუშავებინათ სპეციალური გეგმა, 2029 წლისთვის მინიმუმ 3 ერთეული ყინულისმჭრელი ხომალდის შექმნის თაობაზე. გეგმის მიხედვით ასევე

⁴⁶ „ანტარქტიდა“. გვ.1.

<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90>

უნდა გაიწეროს ის რეკომენდირებული ტერიტორიები, სადაც ამერიკული ბაზების განთავსება იქნება შესაძლებელი - 2 თავად შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, ხოლო კიდევ 2 უცხო ქვეყნების ტერიტორიებზე. დოკუმენტით ასევე გაწერილია სალიზინგო სარგებლობის პირობების შესწავლა, მანამ, სანამ ახალი ფლოტი შეიქმნება. აშშ-ს ამჟამად მხოლოდ 1 ერთეული ე.წ. მძიმე ტიპის ყინულმჭრელი ხომალდი ჰყავს სახელწოდებით „პოლარული ვარსკვლავი“ (USCGC Polar Star) და კიდევ 1 ერთეული საშუალო ტიპის გემი. ამავდროულად ფინეთს 7 ერთეული, კანადასა და შვედეთს 6-6 ერთეული, ხოლო რუსეთს 40 ერთეული ყინულმჭრელი ჰყავს. იმის მიუხედავად, რომ ჩინეთს არქტიკულ სანაპირო ზოლზე წვდომა არ აქვს, ოფიციალური პეკინი მაინც აფინანსებს სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტს ამ ტერიტორიებზე.⁴⁷ მსოფლიოში რესურსების ამოწურვის შედეგად ნელნელა გაიზრდება ინტერესების შეჯახება არქტიკისა და ანტარქტიდის გარშემო, რაც მნიშვნელოვანი რისკების წინაშე აყენებს გლობალურ უსაფრთხოებას.

⁴⁷ ერისთავი რ. „Guardian: აშშ-ში არქტიკული ზონის ფლოტის შექმნა იგეგმება“. გვ.1.
https://feedc.com/post/74308?fbclid=IwAR3BMRGvVEG8fnWSdxP5ji5_a9w3unEJy-UDAxppCRXevlsgTqxSQDMpKpE

თავი III. ნატოს სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღების ფაქტორი ალიანსის გეოსტრატეგიის განსაზღვრაში 21-ე საუკუნის პერიოდში

3.1. პოსტ-ბიპოლარული პერიოდის ბირთვული ომის სტრატეგიული მოდელირება

თანამედროვე საერეთაშორისო უსაფრთხოების გარემო მოითხოვს აქტიურ დავცდაცვის სისტემების შექმნას, რაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ყველა სახელმწიფოსთვის. ნატოს ალიანს უწევს ბრძოლა 21-ე საუკუნის ახალ საფრთხეებთან და ამავე დროს ისეთ საფრთხეებთან რომელიც 20-ე საუკუნის პირმშოა მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის სახით, მაგრამ ახალი ტექნოლოგიების განვითარების ფონზე მოითხოვს სხვა მიდგომებს და სტრატეგიებს.

„შეზღუდული ბირთვული ომის“ დოქტრინა – კონცეფცია, რომელიც განსაზღვრავს შეზღუდულ ომებში ბირთვული იარაღის გამოყენების პრინციპებს. წამოაყენეს აშშ-ში 50-იანი წლების II ნახევარში. ევროპაში შეზღუდული ბირთვული ომი, „მოქნილი რეაგირების“ სტრატეგიის თანახმად, განიხილებოდა როგორც საყოველთაო ბირთვული ომის ეტაპი. 70-იანი წლების დამდეგიდან სტრატეგიული მიზნების მისაღწევად რეგიონულ ომში თანდათან შემოიღეს საბრძოლო მასალების რაოდენობის და სიმძლავრის შეზღუდვები გასანადგურებელი მიზნების მიხედვით ბირთვული იარაღის დარტყმების სიღრმის და რაიონების გათვალისწინებით. ამერიკის სამხედრო თეორია შეზღუდულ ბირთვულ ომებს მიაკუთვნებს მაღალი ინტენსიურობის ომებს.⁴⁸

⁴⁸ „შეზღუდული ბირთვული ომის დოქტრინა“. გვ.1.
<http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90>

აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებში მწვავედება დებატები ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით. საქმე ეხება მცირე მასშტაბის ბირთვული ომების წარმოების და „ტაქტიკური ბირთვული იარაღის“ შესაძლებელ გამოყენებას. ეს უკანასკნელი ნაკლებად ძლიერი იარაღია, რომელიც თეორიულად შეიძლება ჩვეულებრივმა შეიარაღებულმა ძალებმა გამოიყენონ მტრის წინააღმდეგ ან სამხედრო ესკალაციის საწყის ეტაპზე. ომი რომ ლიმიტირებული იყოს, მისი პოლიტიკური მიზნებიც ასეთივე უნდა იყოს. ამკარაა, რომ დაუნდობელი ომის ლოგიკაში ჩაწერილი მოწინააღმდეგის უპირობო კაპიტულაცია ადარაა მისაღები. ტოტალური გამარჯვება ძალზე ახლოს დგას ტოტალურ მარცხთან. მართლაც, შეზღუდული მიზნის ცნება კონფლიქტურ ურთიერთობაში ძნელად განსასაზღვრია. ერთ-ერთი ბანაკისთვის ლიმიტირებული ომის მიზანი, შეიძლება მეორისთვის უპირველესი გახდეს. პოლონეთის დამოუკიდებლობის შენარჩუნება 1939 წელს შეზღუდული მიზანია. 1914 წელს ომის მიზნები გაურკვეველია. რეალობაში ომის თავდაპირველი მიზნები უცილობლად არ განაპირობებს საომარი მოქმედებების ხასიათს. შეზღუდული საშუალებების საკითხი ასევე არაა პანაცეა, რადგან „ტაქტიკური“ იარაღის გამოყენებამ შეიძლება დიდი მასშტაბის ბირთვული ესკალაცია გამოიწვიოს.⁴⁹

90-იანი წლების განმავლობაში შეერთებულმა შტატებმა თავის სტრატეგიულ ბირთვულ არსენალში მნიშვნელოვნად შეამცირა იარაღის რაოდენობა და სახეობები, როგორც მოდერნიზაციის პროცესი, ასევე პასუხად 1991 წლის ხელშეკრულების სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის. ამასთანავე, შეერთებულმა შტატებმა განაგრძო სტრატეგიული ბირთვული ძალების ტრიადის მხარდაჭერა ICBM- ებზე, SLBM- ებზე და ბომბდამშენებზე. თავდაცვის სამინისტროს თანახმად, ძალების ამგვარი კომბინაცია შეერთებულ შტატებს აძლევდა ფართო სპექტრს შესაძლებლობების და ბირთვულ დაგეგმარებაში მოქლობას და ართულებდა

⁴⁹ სენარკლენი პ.დ. არიფენი ი. „საერთაშორისო პოლიტიკა: თანამედროვე თეორიები და ამოცანები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა. თბილის - 2014. გვ.61.

მტრის შეტევების დაგეგმვას, ასევე დაზღვეული იქნებოდა ბირთვული ქობინების გადამტან სისტემაში მოულოდნელი პრობლემებისგან. ეს ბოლო პრობლემა კიდევ უფრო სერიოზული გახდა თანამედროვე დროს, რადგან შეერთებულმა შტატებმა შეიარაღებიდან მოხსნა მრავალი სხვადასხვა ტიპის ქობინი და რაკეტა, რომლებიც მათ ამ წლების განმავლობაში განათავსეს, რამაც შეამცირა მისი შეიარაღების ჭარბი რაოდენობა.⁵⁰

“ცივი ომი“-ს დროს აშშ-ს ბირთვული არსენალი შეიცავდა ბირთვული იარაღის მიწოდების მრავალი ტიპს. მათ განეკუთვნება მოკლე რადიუსის რაკეტები და საარტილერიო საშუალებები ბრძოლის ველზე გამოსაყენებლად, საშუალო დიაპაზონის რაკეტები და თვითმფრინავები, რომლებსაც შეეძლოთ მიზნების განადგურება საბრძოლო ოპერაციების თეატრის გარეთ, მოკლე დისტანციური საშუალო დისტანციური სისტემები, რომლებიც განთავსებულია წყალქვეშა ნავეებზე, შორი რადიუსის რაკეტები რომელიც მდებარეობს შეერთებულ შტატებში და ატომურ წყალქვეშა ნავეებზე, ასევე მძიმე ბომბდამშენები, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ საბჭოთა სამიზნეებს შეერთებული შტატების სამხედრო ბაზებიდან. მოკლე დიაპაზონის და საშუალო რადიუსი სისტემები განიხილება არასრატეგიულ ბირთვულ იარაღად და საბრძოლო ველზე უწოდებენ ბირთვულ იარაღს ტაქტიკურს და თეატრალურს. შორი რადიუსის რაკეტები და მძიმე ბომბდამშენები ცნობილია, როგორც ბირთვული იარაღის სტრატეგიული გადამტანები.

1990 წელს, როდესაც ცივი ომი დასასრულს უახლოვდებოდა და საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წელი იყო, ამ დროისათვის შეერთებულ შტატებში 12 ათასზე მეტი ბირთვული ქობინი იყო განთავსებული, სადღაც 1,875 სტრატეგიული ბირთვული იარაღის გადამტან საშუალებებზე. შეფასებების თანახმად, 2009 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, თავდაპირველი სტრატეგიული იარაღის შემცირების ხელშეკრულების

⁵⁰ „U.S. Strategic Nuclear Forces: Background, Developments, and Issues“, Congressional Research Service. Updated January 3, 2020. P.4.

(START) წესების შესაბამისად, შეერთებულმა შტატებმა 1,188 სტრატეგიული ბირთვული იარაღის გადამტანი საშუალებები 5,916 ბირთვული ქობინამდე შეამცირა. 2002 წლის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ ხელშეკრულების დადებით (რომელიც ცნობილია, როგორც მოსკოვის ხელშეკრულება) პირობების შესაბამისად, შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის, ეს რიცხვი 2012 წლის ბოლოსთვის უნდა შემცირებულიყო არაუმეტეს 2,200 ოპერატიულ სტრატეგიულ ბირთვულ ქობინამდე. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა უკვე მიაღწია 1,968 ოპერაციულ-ტაქტიკურ სტრატეგიული თავდასხმის დონეს 2009 წლის დეკემბერში. ახალმა ხელშეკრულებამ, რომელსაც ხელი მოაწერეს პრეზიდენტმა ობამამ და რუსეთის პრეზიდენტმა მედვედევმა, 2010 წლის 8 აპრილს, კიდევ უფრო შეამცირეს ეს არსენალი შემტევ გამშვებებზე და მძიმე ბომბდამშენებზე არაუმეტეს 1,550 რაოდენობამდე. აშშ – ს სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, აშშ – ს 2019 წლის 1 სექტემბერს ჰქონდა 1,376 ბირთვული ქობინი განლაგებული 668 ICBM-ებზე, SLBM-ებზე და მძიმე ბომბდამშენებზე, საერთო ჯამში 800 განთავსებული იყო ICBM- ები, SLBM- ები და მძიმე ბომბდამშენებზე.

ბირთვული ომის სტრატეგიულ მოდელირებაზე ბევრი ექსპერტი და მეცნიერი მუშაობს, სადაც მნიშვნელოვანია განსაზღვრა იმ საფრთხეების და რისკების თუ რისწინაშე დადგება ესა თუ ის სახელმწიფო. რაც შეეხება ბირთვულ სახელმწიფოებს ისინი ცდილობენ შექმნან უფრო ზუსტი, მძლავრი, სხვადასხვა ანტისარაკეტო სისტემებისათვის შეუძლებელი განადგურების ბირთვული რაკეტების შექმნას. მოდელირების დროს მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი მოქმედების ზონა, შემდეგ იმ რადიუსზე რამდენად შეუძლია ანტისარაკეტო სისტემებს ბირთვული ქობინების გადაჭერა, რომ აფეთქდება ამათუ იმ ტერიტორიაზე ამით რა ზიანი მიადგება სხვადასხვა სამხდრო თუ სამოქალაქო ობიექტებს. ცივი ომის დროს აშშ-ბი და საბჭოთა კავშირი ბირთვული ომის სხვადასხვა სცენარებს

ამუშავებდნენ, სადაც მათი სამხედრო პოტენციალის ყველა ელემენტი იყო წარმოდგენილი სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო კომპონენტები ანუ ბირთვული ტრიადის. ნატოს ოფიციალურ წრეებში ხმამაღლა საუბრობენ რუსეთის მიერ ბირთვული თავდასხმის შესაძლებლობაზე, რაზეც მათივე თქმით მეტყველებს რუსეთი მიერ „ცივი ომის“ დასულების შემდეგ გააქტიურებული ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები, სადაც რუსეთმა ბირთვული იერიშის სცენარით ბირთვული თავდასხმის მოდელირება ნატოს წევრ სახელმწიფოებზე განახორციელა.

2013 წელს რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ჩაატარეს მასშტაბური სამხედრო სწავლებები, რომლის ფარგლებში მოახდინეს თავიანთი ბირთვულის არსენალის თავდასხმის მოდელირება შვედეთზე. შეიძლება ითქვას სხვა პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთად და იმ კონფლიქტებთან რაც მოხდა 21-ე საუკუნის დასაწყისიდან მსოფლიო ახალი „ცივი ომის“ პირობებში გადავიდა. თანამედროვე პერიოდში არსებული ვითარებიდან გამომდინარე მსოფლიო პოლიტიკაში როდესაც სახელმწიფოები ღიად უპირისპირდებიან ერთმანეთს და უფრო აგრესიულ პოლიტიკას ატარებენ შესაძლებელია ლოკალური ბირთვული დაპირისპირებაც დაიწყონ. რუსეთმა ცივი ომის დასრულების შემდგომ აქტიურად დაიწყო მოდერნიზება და ახალი სტრატეგიული დამრტყმელი საშალებების შექმნა, ამ მიმართულებით გაძლიერება და არსენალის შევსება. ნატომ გაანალიზა რუსეთის სამხედრო პოლიტიკა და თვითონაც შეუდგა შესაბამის შეიარაღების შემუშავების პროცესს და ამავე დროს ცდილობს სხვადასხვა ხელშეკრულებებით შეზღუდოს ანალოგიური შეიარაღების განვითარება და მთელი რიგი სახელმწიფოების მიერ მათი შექმნა. ბირთვული გაუვრცელებლობა არის ნატოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგია სადაც ის ცდილობს ჩართოს ყველა სახელმწიფო.

რუსეთმა ბოლოს მიღებულ თავის სამხედრო დოქტრინაში ღიად დააფიქსირა სამხედრო მტრებად აშშ-ბი და ნატო. დოქტრინაში წერია, რომ იმ შემთხვევაში თუ კი რამე სამხედრო საფრთხე დაემუქრება მას ან მის

მოკავშირეებს, ის იტოვებს უფლებას ბირთვული თავდასხმა განახოცილოს და გაანდგუროს მტრული სახელმწიფოები და მათი სამხედრო იბიექტები. ამ შემთხვევაში თუ კი შეზღუდული ბირთვული ომი დაიწყება მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება საქართველოსაც რადგან დროებით არაკონტროლირებად ტერიტორიებზე „ისკანდერების“ განთავსებით რუსეთმა ბირთვულ სამიზნეებად გახადა ეს ტერიტორიები. „ისკანდერი“ თავისი სამხედრო კვალიფიკაციით არის ბირთვულ-ტაქტიკური იარაღის მატარებელი ბალისტიკური რაკეტა. ბირთვული დარტყმის ეპიცენტრიდან წამოსული ის გამანადგურებელი და მომაკვდინებელი ნივთიერებები საკმაოდ დიდ რადიუსზე გაიფანტება და მოახდენს ზემოქმედებას საქართველოს მაგალითზე სხვა რეგიონებზეც.

ნატოს გენერალურმა მდივანმა თავის ანგარიშში ღიად აღნიშნა, რომ 2013 წლის რუსეთის შეიარაღებული ძალების წვრთნისას მან ჩაატარა 18 მოულოდნელი ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნა, სადაც ზოგიერთ სწავლებაში მონაწილეობდა 100 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე. წვრთნების დროს მოხდა სიმულაციური სცენარებით სწავლება ბირთვულის შეტევის ნატოს ალიანსის წევრებზე და პარტნიორ სახელმწიფოებზე. ასევე, 2013 წელს მან შეიმუშავა ბირთვული თავდასხმის მოდელირება შვედეთზე. აქვე მნიშვნელოვან საკიტხ წარმოადგენს ი ფაქტი, რომ რუსეთის ორი გამანადგურებელი „ტუ-22 მ3“ ტიპის, რომელთაც შეუძლიათ ბირთვული იარაღის გადატანა დაფრინავდნენ შვედეთის კუნძულ კოსტკსანდელის თავზე და სავარაუდოდ სტოკჰოლმზე შეტევის სიმულირება ახდნდნენ. თუ გავიხსენებთ 2014 წლის მოვლენებს სადაც რუსეთმა ნატოს საზღვრებთან მოახდინა ოცზე მეტი თვითმფრინავის მანევრირება, სადაც 6 ბირთვული გამანადგურებელი იყო შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო საკმაოდ სერიოზული პროვოკაცია რუსეთის მხრიდან. ჩვენ შეგვიადლია აღნიშნული მანევრები ფსიქოლოგიური ომის კატეგორიაში გავიყვანოთ, რაც შეიძლება სერიოზულ საფრთხეში გადაიზარდოს ეს არის გამძლეობაზე თამაში.

ბირთვული ომის მოდელირებისას პოტენციურ მტრად მარტო რუსეთი არაა აღქმული ნატო-ს მიერ, არამედ ალიანსი დიდ ყურადღებას უთმობს დანარჩენ ბირთვულს სახელმწიფოებსაც. ამ მიმართულებით შეიძლება ითქვას საკმაოდ ღია დაკვირვების ობიექტია ჩრდილოეთ კორეის აგრასიული პოლიტიკა რადგან მან ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მოახერხა განვეითარებინა მისი ბირთვული პროგრამა და შეექმნა ბირთვული ქობინები. ამან კი საკმაოდ შეაშფოთა ამერიკული მხარე რაზეც მეტყველებს აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის და ჩრდილოეთ კორეის ლიდერების, კიმ ჩენ ინის შეხვერაც, რომელიც გაიმართა ვიეტნამის დედაქალაქში ჰანოიში, შეხვედრა სამწუხაროდ გარკვეული შეთანხმებების გარეშე დასრულდა. შეხვედრასთან დაკავშირებით ტრამპმა განაცხადა, რომ „ჩრდილოეთ კორეასთან ნებისმიერი სახის შეთანხმების თაობაზე ხელი არანაირ დოკუმენტზე არ მოგვიწერია. ჩრდილოეთ კორეის მთავრობის მიმართ სანქციები გაგრძელდება. კიმ ჩენ ინმა პირობა დადო, რომ ბირთვული იარაღის ცდებს აღარ ჩაატარებს. საკითხთან დაკავშირებით ერთი განცხადებაც თეთრი სახლიდან გაკეთდა, პრესსპიკერ სარა სანდერსმა აღნიშნა, რომ დონალდ ტრამპმა და კიმ ჩენ ინმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, თუმცა ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებები მომავალშიც გაგრძელდება. სანდერსი თავის განცხადებაში ასევე აღნიშნავს, რომ ტრამპ-კიმის შეხვედრა კარგი და კონსტრუქციული იყო. დონალდ ტრამპის და კიმ ჩენ ინს შორის მოლაპარაკებების მეორე დღე ვადაზე ადრე დასრულდა და მათ შორის არანაირი შეთანხმება არ გაფორმებულა.⁵¹ მიუხედავად აღნიშნულისა მხარეები და მსოფლიოც იმედოვნებს, რომ იქნება შესაძლებელი გარკვეული შეთანხმებების მიღწევა. ესეთნაირად კი პროცესების განვითარება გლობალური პოლიტიკის ყველა მოთამაშეს უნდა აწყობდეს მათსავე კეთილდღეობისათვის.

⁵¹ „დონალდ ტრამპის და კიმ ჩენ ინს შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა“. გვ.1. <https://www.trt.net.tr/georgian/msop-lio/2019/02/28/donald-trampis-da-kim-ch-en-ins-shexvedra-ushedegod-dasrulda-1154156>

ჩრდილოეთ კორეის ბირთვული დაშინების პოლიტიკამ, მნიშვნელოვანი სიგნალი მისცა ნატოს მესვეურებს რომლებმაც შესაბამისი ზომები გაატარეს საფრთხის დროებითი განაიტრელებისთვის. მაგრამ ჩრდილოეთ კორეისგან არსებული საფრთხეები ჯერჯერობით ბოლომდე მოგვარებული არ არის, რაც დიდ მუშაობას საჭიროებს. გასათვალისწინებელია აშშ-ის პრეზიდენტის დონალ ტრამპის პოლიტიკა ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებაში და ჩრდილოეთ კორეის პრეზიდენტის კიმ ჩენ ინის პოლიტიკა ბირთვულ განიარაღებასთან დაკავშირებით, რის მიღწევასაც ცდილობს დონალდ ტრამპი. ჯერჯერობით ამ მოლაპარაკებებს მნიშვნელოვანი ქმედითი შედეგი არ მოუტანია, თუმცა მნიშვნელოვანია თუნდაც ორივე მხარის მზაობა დაჯდნენ საერთო მოლაპარაკებების მაგიდაზე და გარკვეულ დეტალებზე ისაუბრონ, რაც გლობალურ უსაფრთხოების პოლიტიკასთან არის დაკავშირებული. აქაც მნიშვნელოვანია რუსეთის პოლიტიკა და ინტერესები აღნიშნული მოლაპარაკებებთან მიმართებაში თუ როგორ სურს მას დასრულდეს აღნიშნული მოლაპარაკებები. გასათვალისწინებელია აშშ-ის გასვლა ირანთან დადებული ბირთვული შეთანხმებიდან, რასაც სამხედრო-პოლიტიკური დამაბულობის ახალი ტალღა მოჰყვა. აქვე მნიშვნელოვანია აშშ-ის და რუსეთის მიერ სამუალო და მცირე მანძილზე მოქმედი რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ შეთანხმების დატოვებაც, რაც მსფოლიოს ახალი საფრთხის წინაშე აყენებს.

სწორედ აქედან გამომდინარე საერთაშორისო უსაფრთხოების ექსპერტები და ანალიტიკოსები ალაპარაკდნენ ბირთვული ომის თემებზე და მოსალოდნელ საფრთხეებზე. ხოლო, ჰიპოთეტურად, რომ ვთქვათ თუ კი მოხდება ბირთვული ომი მისი შესაძლო სცენარი და შედეგიც საკმაოდ მძიმე იქნება სრულიად კაცობრიობისთვის რადგან არსებობს რეალური საფრთხე ბირთვული ზამთრის. 1983-1985 წლებში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აშშ-ის და საბჭოთა კავშირის მეცნიერებმა ჩაატარეს კვლევები ბირთვული ომის შემთხვევაში კლიმატური და ეკოლოგიური მოსალოდნელი შედეგების

დასადგენად, ორივე მხარის კვლევამ საკმაოდ საინტერესო პროგნოზი დადო რომლის მიხედვითაც მეცნიერული კვლევის შედეგებით დაგინდა, რომ ბირთვული ზამთრის საფრთხე იყო მოსალოდნელი. მოდით განვიხილოთ თუ რას წარმოადგენს ბირთვული ზამთარი და რატომ არის ის საშიში კაცობრიობისთვის და სრულიად ცოცხალი ორგანიზმებისთვის. ბირთვული ზამთარი - მდგომარეობა, რომელიც მოსალოდნელია დედამიწაზე ბირთვული ომის შემთხვევაში. ატომური აფეთქებების შედეგად ჰაერში გამოტყორცნილი კვამლი და მტვერი არ აძლევს საშუალებას მზის სხივებს მიაღწიონ დედამიწის ზედაპირამდე, რაც ტემპერატურის მკვეთრ დაცემას იწვევს. ამის გამო მოსალოდნელია სიცოცხლის სრული მოსპობა. ბ. ზ-ის იდეა ჰიპოთეზური მსჯელობაა და არა რეალური და მეცნიერულად დასაბუთებული ფაქტი.⁵²

ბირთვული ზამთარი (ასევე ცნობილია, როგორც ატომური ზამთარი) არის ჰიპოთეტური კლიმატის ცვლილების მოდელი, რაც შეიძლება მოჰყვეს ბირთვულ ომს. ნავარაუდებია, რომ დიდი რაოდენობის ბირთვული იარაღის აფეთქებას, კატასტროფული ეფექტი ექნება კლიმატზე-შემცირდება მზის სხივების შემოსვლა თვეობით ან წლებით და მკვეთრად შემცირდება ტემპერატურა, განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, როგორცაა ქალაქები, სადაც აფეთქების შედეგად წარმოქმნილი დიდი რაოდენობით კვამლი და ჭვარტლი, აიტყორცნება სტრატოსფეროში და ხელს შეუშლის მზის სხივების შემოსვლას. მსგავსი კლიმატური შედეგები შეიძლება ქონდეს, კომეტის ან ასტეროიდის ჩამოვარდნას. მექანიზმი - ბირთვული ზამთრის სცენარის მიხედვით, განსაკუთრებით ურბანულ ადგილებში ბირთვული აფეთქება გამოიწვევს ქალაქის გადაწვას, რაც თავის მხრივ წარმოქმნის დიდი რაოდენობის სქელ კვამლს, რომელიც ავა ტროპოსფერო/სტრატოსფეროში (ტროპოსფერო დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ფენაა, სადაც ფორმირდება ამინდი, მისი საშუალო სიმაღლეა 17 კმ, ტროპოსფეროს მაღლა მდებარეობს

⁵² კოდუა ე., „სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი“, გამომცემლობა ლოგოს პრესი, თბილისი-2004. გვ.31-32.

სტრატოსფერო; სტრატოსფეროში დიდი რაოდენობითაა ოზონი). დედამიწის ხმელეთიდან 10-15 კმ სიმაღლეზე, მზის სხივები კიდევ უფრო გაათბობს კვამლს, რაც გამოიწვევს ამ კვამლის უფრო მაღლა-სტრატოსფეროში ასვლას, სადაც ის შეიძლება წლობით გაჩერდეს, რადგან მას წვიმით ჩამორეცხვა არ დაემუქრება (ღრუბლები მხოლოდ ტროპოსფეროში წარმოიქმნება). რადგან ეს აეროზოლი (კვამლი), მზის სხივების დიდი ნაწილის შემოსვლას დაბლოკავს, ეს გამოიწვევს ტემპერატურის მკვეთრად შემცირებას. აეროზოლის მოქმედების ხანგრძლივობა - კვამლის სტრატოსფეროში დარჩენის ზუსტი დრო, დამოკიდებულია ფიზიკურ და ქიმიურ პროცესებზე. ფიზიკური მექანიზმი, რომელიც დაკავშირებულია კვამლის მოცილებასთან არის კოაგულაციის სისწრაფეზე, რის შედეგადაც, გარკვეულ მასის მიღწევის შემდეგ, ის დაიწყებს ქვევით ვარდნას-გრავიტაციის მოქმედებით. ასევე დამოკიდებულია, თუ მზის რადიაციული წნევას, რამდენი დრო დასჭირდება, კვამლის ნელ ნელა ატმოსფეროს ქვედა ფენებში ჩამოსაყვანად. ქიმიურ პროცესები, რომლებიც გავლენას ახდენენ კვამლის მოცილებაზე არის დაჟანგვის რეაქციები, ისეთი მოლეკულების მიერ, როგორცაა ოზონი და აზოტის ოქსიდი, რომლებიც ატმოსფეროს ყველა შრეშია.⁵³

შედეგები - ამერიკის გეოფიზიკოსთა კავშირის ყოველწლიური შეხვედრის დროს, 2006 წელს წარდგენილი კვლევის შედეგად, ნაჩვენები იქნა, რომ მცირე მასშტაბის, რეგიონულ ბირთვულ ომსაც კი, შეუძლია დედამიწის კლიმატი გაანადგუროს. რეგიონული ბირთვული კონფლიქტის სცენარის შემთხვევაში, სადაც ორი სუბტროპიკულ ზონაში მყოფი ქვეყანა ებრძვის ერთმანეთს და თითოეულს აქვს 50 ჰიროსიმაში ჩამოგდებული ატომური ბომბის მსგავსი ბირთვული ბომბი (თითოეული საშუალოდ 17 კილოტონის სიმძლავრის) და თუ ისინი ამ ბომბებს ესვრიდნენ ერთმანეთის

⁵³ „ბირთვული ზამთარი“. გვ.1.

<https://geoarmada.wordpress.com/2013/02/13/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%96%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98/>

ყველაზე მნიშვნელოვან ურბანულ ცენტრებში, მაშინ ეს გამოიწვევდა ხუთი მილიონი ტონა ჭვარტლის გამოყოფას, რომელიც თავის მხრივ რამოდენიმე ათწლეულის მანძილზე, რამოდენიმე ნიშნულით დაწვედა ტემპერატურას, მათ შორის ჩრდილოეთ ამერიკისა და ევრაზიის კონტინენტის დიდ ტერიტორიაზე. უმეტესობა თანხმდება, რომ ბირთვულ ომს, აუცილებლად ექნება გარკვეული ეფექტი კლიმატზე, თუმცა არსებობს გარკვეული უთანხმოება, თუ რამდენად მძიმე იქნება ეს ეფექტი. ზოგიერთი მოდელის მიხედვით, მთელი წლის მანძილზე, ტემპერატურა ნული ცელსიუსის ქვევით იქნება, ხოლო ზოგიერთები შედეგით მსუბუქ ტემპერატურულ ცვლილებას ვარაუდობენ.⁵⁴

ბირთვული ომის მოდელირებისას მთავარ როლს თამაშობს ბირთვული ქონები რომლებიც გამიზნულია სხვადასხვა სამიზნეებს გასანადგურებლად და პოტენციურ მტერს არ უტოვებეს შანსებს საპასუხო დარტყმის და შეიძლება სერიოზული საფრთხეც შეექმნას საერთოდ მის არსებობას, ანუ გადარჩენის შესაძლებლობები თითქმის ნულამდე დაჰყავს. **ქობინი** - ეწოდება შეიარაღების ნაწილს, რომელიც სატყორცნი იარაღის (როგორცაა რაკეტული იარაღი, ტორპედო, ბომბი ან სხვა) წინა ნაწილასაა განლაგებული და რომელიც შეიცავს ბირთვულ ან თერმობირთვულ სისტემას, ფეთქებად ნივთიერებას, ქიმიური ან ბიოლოგიური აგენტებს ან ინერტული მატერიას, რომლის მიზანია, სამიზნესთვის ზიანის მიყენება.⁵⁵

რაც შეეხება კლასიფიკაციას არსებობს სამი ტიპის ქობინები: აფეთქებითი მოქმედების, ქიმიური და ბიოლოგიური, მოდით განვიხილოთ სამივე ცალცალკე:

⁵⁴ „ბირთვული ზამთარი“. გვ.1.

<https://geoarmada.wordpress.com/2013/02/13/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%96%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98/>

⁵⁵ იქვე. გვ.1.

- ქიმიური ქობინის მიერ, ხდება ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებების სამიზნეში გავრცელება.
- ბიოლოგიური ქობინის მიერ ხდება ინფექციური აგენტების, როგორცაა ჯილეხის სპორების გავრცელება ადამიანებში.
- ფეთქებადი ქობინი იყენებს ფეთქებად მუხტს (ნივთიერებას), რომელიც გარშემო მყოფებს აზიანებს დარტყმითი ტალღის საშუალებით. ფეთქებადი ქობინები დამატებით დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: კონვენციური: ქიმიური ნივთიერებებს, როგორცაა დენთი და ბრიზანტული ფეთქებადი ნივთიერებებს, თავიანთ მოლეკულურ ბმებს შორის დიდი ენერგია აქვთ დაგროვილი, რომელთა გაწყვეტა შესაძლებელია მოხდეს ელექტრული განმუხტვის საშუალებით, რა დროსაც დიდი რაოდენობით ენერგია გამოიყოფა. კონვენციურ ფეთქებად ქობინებს მიეკუთვნება: ისინი, რომლებიც ასაფეთქებელი ნივთიერების დეტონაციის შედეგად წარმოქმნილი დარტყმითი ტალღით აზიანებს სამიზნეს; მსხვრევადი იარაღები, რომლებიც მეტალის ფრაგმენტების გატყორცნით აზიანებენ სამიზნეს; კუმულაციური ქობინები, რომლებიც აფეთქების ეფექტის, ერთი მიმართულებით კონცენტრაციას ახდენენ, რაც საშუალებას იძლევა სქელ ჯავშანში შეღწევის.⁵⁶

აფეთქებითი მოქმედებისაა (თუმცა არა-კონვენციური) **ბირთვული ქობინები**, სადაც, ბირთვული გახლეჩის და სინთეზის რეაქციების შედეგად, გამონთავისუფლდება უზარმაზარი რაოდენობის ენერგია. ზოგჯერ, ქიმიურ

⁵⁶ „ქობინები და მათი კლასიფიკაცია“. გვ.1.
<https://geoarmada.wordpress.com/2013/03/12/%e1%83%a5%e1%83%9d%e1%83%91%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%98-%e1%83%93%e1%83%90-%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%98-%e1%83%99%e1%83%9a%e1%83%90%e1%83%a1%e1%83%98%e1%83%a4%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90/#more-1340>

და ბიოლოგიურ ქობინებშიც იყენებენ ასაფეთქებელ საშუალებას, რათა ქიმიური ან ბიოლოგიური აგენტის სწრაფი გავრცელება მოხდეს.⁵⁷

ქობინის ნაწილს წარმოადგენს ასევე დეტონატორი (ამფეთქი). არსებობს შემდეგი ტიპის დეტონატორები:

- კონტაქტური-როდესაც ქობინი ფიზიკურად ეხება სამიზნეს, ქობინი ფეთქდება.
- რადიოამფეთქი-ასეთ დროს, ქობინის აფეთქება ხდება რადარის, ბგერითი ტალღების, მაგნიტური სენსორების ან ლაზერის საშუალებით, როდესაც ქობინი სამიზნეს მიუახლოვდება გარკვეულ დისტანციაზე.
- დისტანციური-ქობინის აფეთქება ხდება მოშორებით მყოფი ოპერატორის მიერ გაგზავნილი სიგნალის შემდეგად.
- წამმზომზე მოქმედი-ქობინი აფეთქება ხდება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ.
- სიმაღლე-ქობინის აფეთქება ხდება, მისი ჩამოგდების შედეგად, გარკვეულ სიმაღლეზე მიღწევის შემდეგ.
- კომბინირებული-ზემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი მათგანის კომბინაციის გამოყენებით შესაძლებელია ქობინის აფეთქება.⁵⁸

ცივი ომის დროს გეოპოლიტიკური და იდეოლოგიური ომის პირობებში აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის 1991 წლის START I-ის ხელშეკრულება დაიდო, რომელიც ითვალისწინებდა ბირთვული არსენალის შემცირებას. თანამდეროვე პერიოდში კი ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთი აწარმოებს

⁵⁷ იქვე. გვ.1.

⁵⁸ „ქობინები და მათი კლასიფიკაცია“. გვ.1.

<https://geoarmada.wordpress.com/2013/03/12/%e1%83%a5%e1%83%9d%e1%83%91%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%98-%e1%83%93%e1%83%90-%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%98-%e1%83%99%e1%83%9a%e1%83%90%e1%83%a1%e1%83%98%e1%83%a4%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90/#more-1340>

ბირთვული კომპონენტების აქტიურ შესყიდვებს და სამხედრო სწავლებებშიც საკმაოდ აქტიურად იყენებს ბირთვულ კომპონენტებს რითაც ის აძლიერებს ბირთვულ პოტენციალს. რუსეთს თავის სამხედრო დოქტრინაში და ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ღიად აქვს გაწერილი, რომ თუ კი მოხდება მისი საზღვრების გასწრივ გარკვეული ღონისძიებები და აქტივობები სამხედრო მიმართულებით მას შეუძლია ბირთვული დარტყმები მოახდინოს. რაც შეეხება წვრთნების სიხშირეს რუსეთმა ბოლო 2010-2019 წლებში 5-ჯერ გაზარდა ვიდრე ეს იყო საბჭოთა კავშირის დროს და ის უფრო ხშირად ატარებს მსხვილმასშტაბიან წვრთნებს.

რუსეთს მუდმივი სამხედრო მორიგეობაში ჰყავს ორი ტიპის ბალისტიკური რკეტა - „იარსი“ და „ტოპოლიმ-მ“. რუსეთს აქვს ასევე შექმნილი ერთიანი თავდაცვის ცენტრი რომელიც სულ 24-თი საათის განმავლობაში არის სრულ მზადყოფნაში მოქმედებაში მოსვლისთვის ნებისმიერ დროს, მისი ოპერატიულ დანიშნულების მართვის ცენტრის ხელმძღვანელობით. რომელმაც უნდა მიიღოს გარკვეული დავალებები ბირთვული დარტყმების ელემენტების გამოყენებით. აღნიშნული ცენტრის ეგიდით რუსეთი ატარებს სხვადასხვა წვრთნებს მათ შორის მოდელირებულს ბირთვული დარტყმის იმიტაციით. რუსეთი სცენარის ფაგლებში განიხილავს, ასევე მის სტრატეგიულ მოკავშირეებზე თავდასხმის საშიშროებას, ხოლო კი ამ შემთხვევაში ბირთვული შეტების უფლებას იტოვებ. შავი ზღვის რეგიონში რუსეთმა მოახდინა მსგავსი მოდელირება სადაც, შეტევა რუსეთის სამხედრო გამანადგურებელმა განახორციელა აშშ-ს სამხედრო გამანადგურებლებზე შეტევის იმიტაციით. რუსეთის ოფიციალური პირების განცხადებით თუ კი მოხდა თურქეთთან სამხედრო კონფრონტაცია, რუსეთი გამოიყენებს ბირთვული თავდასხმის შესაძლებლობას. რუსეთ და აშშ-ს აქვთ შემუშავებული სტრატეგიული ბირთვული შეტევის განხორციელების გეგმები, სადაც ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლებლობაა გათვალისწინებული. მხარეები ცდილობენ ფსიქოლოგიური წნეხის მოხდენას ერთმანეთზე რა დროსაც იქმნება

ბირთვული შეტევის რეალური საშიშროება. ბირთვული თავდასხმის სცენარების განიხილავს ორივე მხარე და საკმაოდ სერიოზულად ემზადებიან სხვადასვა სცენარების განვითარებისათვის პირობებში სრული მზადყოფნისთვის.

ამერიკელმა მეცნიერებმა პროექტიდან „მეცნიერება და გლობალური უსაფრთხოება“ დაადგინეს, თუ რა მოხდება მსოფლიოში, თუ კი ბირთვული ომი დაიწყება აშშ-სა და რუსეთს შორის. პრისტონის პროგრამიდან ახალგაზრდებმა ცნობილი მეცნიერის ალექს ვალერშტაინის ხელმძღვანელობით შეიმუშავეს საინტერესო ანიმაცია ბირთვული ესკალაციის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ისინი YouTube-ზე გამოქვეყნებულ ვიდეოში, სადაც ნათქვამია სცენარის დასახელებულია როგორ „გეგმა-A“, რუსეთი იწყებს ბირთვულ ომს ნატო-ს გაფართოების შესაჩერებლად, რომლის შედეგადაც კაცობრიობის ნახევარზე მეტი იღუპება. შემუშავებულ სიმულაციაში სამხედრო მოქმედებები და მოსალოდნელი ესკალაციის სცენარი მაქსიმალურად არის მიახლოებული რეალურ გარემოს ბირთვული ძალების პოზიციების და სამიზნეების. გათვლების თანახმად, კონფლიქტის პირველი რამდენიმე საათის განმავლობაში 90 მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპება და დასახიჩრდება.

უნდა ავლინიშნოთ, რომ ადრე აშშ-ს სტრატეგიული სარდლობის მიერ ჩატარებული მოდელირება Bear Spear-ის ოპერაციის საბრძოლო სცენარის თანახმად, რომელიც განხორციელდა აშშ-ს სტრატეგიული სარდლობის სიმულაციით, ითვალისწინებს მსოფლიოს ნახევრის განადგურებას. მოდელირების ლეგენდის თანახმად, აშშ-მ ჩაატარა „ელვისებური სწრაფი ბირთვული დარტყმა“ „ევრაზიული ავტოკრატის უსირას“ წინააღმდეგ რომელიც თანამედროვე რუსეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. სიმულაციური ბირთვული დარტყმის მიზეზი იყო „უსირას სახელმწიფოს“ მიერ ევროკავშირისთვის ენერჯის მიწოდებაზე უარის თქმა, ნატოს ფლოტის ბლოკირება, რომელიც გამოვიდა სადავო წყლებში „მესამე სახელმწიფოს“ სამხედრო დახმარებისთვის და Usira-ს დახმარება სხვა

ქვეყნაში მყოფი თავისი მოქალაქეებისთვის. ანალიტიკოსებმა აღნიშნეს, რომ ბირთვული საპასუხო რეაქციის დროს, შეერთებულმა შტატებმა გამოუსწორებელი ზარალი განიცადა - თითქმის ყველა სამხედრო ობიექტი, ინფრასტრუქტურა და 100 მილიონზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე იქნა განადგურებული. საერთო ჯამში ყველა ბირთვული მოდელირების შედეგი ყოველთვის ცუდი იქნება სრულიად კაცობრიობისთვის და ცოცხალი ორგანიზმებისთვის.

3.2. ნატოს ბირთვული შეკავების პოლიტიკა ახალი ასიმეტრიული საფრთხეების პირობებში

ცივი ომის პერიოდში აშშ-ბი და საბჭოთა კავშირი თავის სამხედრო სტრატეგიაში საკმაოდ აქტიურად იყენებდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ „ბირთვული შეკვების“ კონცეფციას და „დაშინების“ პოლიტიკას. აღნიშნული მიდგომები დღესაც საერთაშორისო პოლიტიკაში საკმაოდ აქტუელურია და მთელი რიგი სახელმწიფოები მიმართავენ შესაბამის კონცეფციებს თუ პოლიტიკური თამაშის მოდელებს. ბირთვული შეკავებისას ალიანსი როგორც ყოველთვის ერთიანი, რაც უზრუნველყოს მისი უსაფრთხოების სიმყარეს, თუმცა ყოველგვარი საფრთხეებისაგან სრულდ დაცულობას ეს არ ითვალისწინებს. მაშინ როდესაც სახელმწიფოები ხედავენ ნატოს ბირთვული პოლიტიკის როლს საერთაშორისო პოლიტიკაში და იმას თუ რეალურად რამდენად აქტიურად შეუძლია მას დაიცვას მათი უსაფრთხოება და მშვიდობა, უჩნდებათ სურვილი, რომ შეუერთდნენ ალიანსს და გახდნენ მისი წევრები. ან და ბირთვულ სახელმწიფოებს მიეტმასნონ და მათგან მიიღონ უსაფრთხოების გარანტიები სწორედ ამიტონ ისინი ცდილობენ ბირთვული ქოლგის ეფექტის მიღებას. ბირთვული ქოლგა - შემთხვევა, როცა ბირთვული იარაღის მფლობელი ქვეყანა იღებს ვალდებულებას, დაიცვას სხვა ქვეყანა ან ქვეყნების ჯგუფი ამ იარაღისაგან.

ჩვეულებრივ, ამგვარი ურთიერთობა იღებს ალიანსის ფორმას. ბ. ქ-ის ერთ-ერთი მაგალითია ნატოს ვალდებულებები, რაც თავის თავზე აიღო აშშ-მა.⁵⁹

1948 წელს საბჭოთა ჯარების მიერ ბერლინის ბლოკადის განმავლობაში ბირთვულ იარაღს დაშინების ფუნქცია აქვს. აშშ-ს სურს ამ ქალაქში, რომელიც საბჭოთა ოკუპაციის ზონაშია განლაგებული, დასავლეთის ყოფნის დაცვა, მაგრამ წითელი არმიის სამხედრო ძალები ამ უკანასკნელის ჩვეულებრივ შეიარაღებულ ძალებს ბევრად აღემატება. ზაფხულის განმავლობაში სამოცამდე ბომბდამშენი B-29 ინგლისში ჩაფრინდა „სამხედრო წვრთნების მისიით.“ თეორიულად ამგვარ თვითმფრინავებს ატომური ბომბების გადატანა შეუძლიათ. საქმე ეხება დაშინების ზომას, რადგან ფაქტობრივად ამ თვითმფრინავებს ეს ბომბები არ გადააქვთ. კორეის ომის დროს, აშშ სასტიკ ბრძოლებს აწარმოებს ბირთვული იარაღის გამოყენების გარეშე. თუმცა, მრავალჯერ მიმართეს ბირთვული იარაღის გამოყენების მუქარას რათა მტერი დაერწმუნებინათ შეწყვიტა სამხედრო მოქმედება. და კვლავაც გავიმეორებთ, რომ ატომური იარაღი მუქარის სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია.⁶⁰

ბირთვული შეკავება - კონცეფცია, რომელიც გამოხატავს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ცივი ომის წლებში. ამ კონცეფციის ცნობილი ავტორია ამერიკელი მეცნიერი და დიპლომატი ჯორჯ კენანი (მისტერ X), რომელიც 1947 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ამტკიცებდა, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკის არსი უნდა იყოს რუსეთის (საბჭოთა კავშირის) ექსპანსიონიზმის შეჩერება. კენანის აზრით, საბჭოთა საგარეო პოლიტიკა ეყრდნობა მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად იდეას მთელს მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვებისა და კომუნიზმის გავრცელების შესახებ და მიზნად ისახავს

⁵⁹ კოდუა ე., „სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი“, გამომცემლობა ლოგოს პრესი, თბილისი-2004. გვ.32.

⁶⁰ სენარკლენი პ.დ. არიფენი ი. „საერთაშორისო პოლიტიკა: თანამედროვე თეორიები და ამოცანები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა. თბილისი - 2014. გვ.59-60.

კომუნისტური რეჟიმების ძალით დამყარებას სხვადასხვა სახელმწიფოებში. შესაბამისად, აშშ-ს დაეკისრა მისია, იხსნას მსიფლიო რუსული კომუნიზმის საფრთხისაგან და როგორც ბირთვულმა სახელმწიფომ უნდა შეძლოს საბჭოთა ექსპანსიის შეკავება. პრაქტიკულად შეკავების პოლიტიკა გამოიხატებოდა საბჭოთა კავშირის გარშემო ანტისაბჭოური სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების (ნატო, სენტო, სეატო) შექმნაში. აღნიშნულ გარემოცვაში, თუ სადმე „ბზარი“ გაჩნდებოდა, იქმნებოდა დიდი და მცირე კონფლიქტები (ბერლინის, კორეის, ახლო აღმოსავლეთის, ვიეტნამის), რაც რეალურად აშშ-ისა და სსრკ-ის დაპირისპირების გამოვლინება იყო. ერთ ქვეყანაში კი კომუნისტური რეჟიმის დამყარება გამოიწვევდა დომინოს ეფექტს და საფრთხეს შეუქმნიდა სხვა ქვეყნებს. ამდენად, არსად არ უნდა წარმოქმნილიყო ახალი სოციალისტური სახელმწიფოები. შეკავების პოლიტიკა აშშ-ის ძირითად საგარეო პოლიტიკურ დოქტრინას წარმოადგენდა 50-იან წლებში. შემდგომში სტრატეგიული შეიარაღების განვითარებისა და საზღვაო ფლოტის გაძლიერებამ შეკავების პოლიტიკა ნაკლებად ეფექტური გახადა, რადგან სსრკ-ის გარემოცვა დაემსგავსა „იმ საჯინიზო კარის დაკეტვას, საიდანაც ცხენი უკვე გაქცეულია“. ბ. შ-ის პოლიტიკის ალტერნატივად გაჩნდა „ბირთვული დაშინების“ პოლიტიკა, რომელიც ბირთვულ შეიარაღებაში აშშ-ის უპირატესობის მიღწევას გულისხმობდა.⁶¹

ასიმეტრიული საფრთხე - ისეთი სახის საფრთხეა, რომელიც მიმართულია მოწყვლადი ადგილებისკენ, რომლებიც დარჩენილი არიან ყურადღების მიღმა თავდასხმის მიზნით ან მიმართული არიან უპირატესობის მოტანისთვის, რდესაც დარტყმის მიზანს შეზღუდული აქვს უნარი თავი დაიცვას. **ასიმეტრიული საფრთხე** - საფრთხის მასშტაბები, რომლის შედეგები უცნობია. მათ რიცხვში მოიაზრება სახელდობრ:

⁶¹ კოდუა ე., „სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი“, გამომცემლობა ლოგოს პრესი, თბილისი-2004. გვ.32.

ტერორიზმი, ბუნებრივი კატაკლიზმები, ჰიბრიდული ომი.⁶² ასიმეტრიულს საფრთხეებზე საუბრისას ასევე უნდა განვიხილოთ ტრენდ-ცენტრული აქტორები: მათი გამომწვევი მიზეზებს წარმოადგენს გლობალური მასშტაბის ტენდენციები მაგალითად: მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება და მათი მომზადების და გადატანის არალეგალური ტექნოლოგიები, ეკოლოგიური კატასტროფები, არაკანონიერი არაკონტროლირებადი მიგრაცია, ე.წ. „გლობალური დათბობის ეფექტი“ და ა.შ.⁶³

თანამედროვე პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობების სფერო ბევრი გამოწვევის წინაშე დგას და ამავე დროს გლობალური უსაფრთხოების გარემოს ასიმეტრიული საფრთხეების სახით ექმნება მნიშვნელოვანი პრობლემები. ასიმეტრიული საფრთხეებისგან ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე სახე რომელიც პირდაპირ უქმნის რისკებს მას ესნია: ჰიბრიდული ომი, მასობრივი განადგურების იარაღი, ტერორიზმი, კიბერტერორიზმი, ბირთვული იარაღის შექმნა და გავრცელება.

„ცივი ომი“-ს დროს ცხადი გახდა, თუ რას გულისხმობდა სტრატეგიული შეკავება და რომ შეერთებულ შტატებს სჭირდებოდათ მძლავრი სამხედრო სისტემები რათა დაერწმუნებინათ საბჭოთა კავშირში, რომ სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების კონტროლი აუცილებელი იყო. საბჭოთა კავშირის დაშლიდან ოცდაათი წლის შემდეგ, ჩვენ გვყავს ახალი თაობის სამხედრო და სამოქალაქო ანალიტიკოსები, რომლებმაც არ განიხილავენ თანამედროვე შეკავების კონცეფციებს. ისევე, როგორც დღესაც სიცოცხლისუნარიანია კლაუზეცის ფართო შეხედულებები ომის ხასიათის შესახებ, ასევე მოქმედებს შეკავების თეორია და მისი ზოგადი აქტუალობა, დაკვირვებები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება პოლიტიკური მოწინააღმდეგეები აიძულონ ძალის მუქარის გზით შენი პოლიტიკის

⁶² მაღრაძე გ. მაისაია ვ. „21 საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონალური და გლობალური ასპექტები“, თბილისი- 2017. გვ.25.

⁶³ იქვე. გვ.29.

გატარებაში თუ საერთო კეთილდღეობისთვის გადაადგმევინო გარკვეული სამშვიდობო ნაბიჯები. ძირითადი პრინციპები ეხება როგორც ბირთვულ, ისე არა ბირთვულ ომის სცენარებს. შეიძლება ითქვას საკმაოდ დიდ დაკვირვებას და დამუშავებას საჭიროებს ბირთვული შეკავების თუ განიარაღების თეორიების შემუშავება. ასეთ დროს განსაკუთრებით მრავალ ფაქტორზე უნდა იქნას ყურადღება გამახვილებული და გაანალიზებული, რადგანაც ჩვენ თუ გვინდა ახალი ბირთვული შეკავების თეორიის შემუშავება ჩვენ უნდა გვესმოდეს 21-ე საუკუნის ცვლადი გარემო. სადაც სხვადასხვა პოლიტიკურ მექანიზმებს დაემატა ახალი ტექნოლოგიები რომლებიც არ არსებობდა მეოცე საუკუნისთვის და რაც მთავარია მათი დახვეწა თუ ახალი სისტემების შექმნა მიმდინარეობს დღესაც აქტიურად და მომავალშიც გაგრძელდება. თუ კი ოფიციალურად სახელმწიფოები მივლენ იმ დასკვნამდე რომ სჭირდება შესაბამისი ხელშეკრულებები და დადებენ მათ, აქ ჩნდება მაინც რისკები, იმისა რომ რიგი სახელმწიფოები ფარულად მაინც გააგრძელებენ ბირთვულ შეიარაღებაზე მუშაობას. კონტროლის მექანიზმები უნდა დაიხვეწოს და ინსპექციები საკმაოდ აქტიურად უნდა ჩატარდეს ასეთ შემთხვევაში, მაგრამ თუ გადავხედავ დღევანდელობას და გავითვალისწინებთ არსებულ პოლიტიკურ ვითარებას ადვილად მივხდებით, რომ ესე მარტივად შეუძლებელია ერთიანი თანხმობის მიღწევა. მაშინ როდესაც არასტაბილური სახელმწიფოები არსებობენ და ამომრავებთ მრავალი ამბიცია მათ შორის: ტერიტორიული გაფართოების, რესურსების ფლობის, თავიანთი გავლენის და როლის გაზრდის საერთაშორისო პოლიტიკაში თუ საერთოდაც ზესახელმწიფოს როლი მითვისება უნდათ. გლობალურ პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენები არის გასათვალისწინებელი და არსებული მოცემულობიდან გამომდინარე შესაბამისი სტრატეგიების შემუშავებაა საჭირო.

ნატოს ბირთვული შესაძლებლობების ფუნდამენტურ მიზანს წარმოადგენს მშვიდობის შენარჩუნება, ძალადობის აღკვეთა და აგრესიის შეკავება. ნატო – ს ამჟამინდელი ბირთვული პოლიტიკა ემყარება ორ საჯარო

დოკუმენტს, რომელიც შეთანხმებულია ალიანსის 29 მოკავშირის მიერ ესენია:

- 2010 წლის სტრატეგიული კონცეფცია
- 2012 წლის თავშეკავებისა და თავდაცვის პოზის მიმოხილვა

2010 წლის სტრატეგიული კონცეფცია, რომელიც მიიღეს მოკავშირე სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურებმა ლისაბონის ნატოს სამიტზე, 2010 წლის ნოემბერში, ასახავს ალიანსის მთავარ ამოცანებსა და პრინციპებს, მათ შორის შეკავების პოლიტიკას. ნატოს სტრატეგიული კონცეფცია ავალდებულებს, რომ შექმნას მსოფლიოში იმისთვის პირობები რათა ბირთვული იარაღი არ არსებობდეს და ხელი შეუწყოს განიარაღების პოლიტიკას, მაგრამ ის აქვე ადასტურებს, რომ სანამ მსოფლიოში ბირთვული იარაღი არსებობს, ნატო დარჩება ბირთვული ალიანსი. იგი ასევე ცდილობს მოკავშირეთა მაქსიმალური მონაწილეობის უზრუნველყოფას კოლექტიური თავდაცვის დაგეგმვაში ბირთვული უსაფრთხოების დაგეგმვაში და ფუნქციების განაწილების შესახებ, ბირთვული ძალების მშვიდობიან დროში დაფუძნებასა და მართვის, კონტროლისა და კონსულტაციის ღონისძიებებში.

2010 წლის ლისაბონის სამიტზე დაიწყო მუშაობა სამხედრო შეკავებისა და სამხედრო თავდაცვის საქმიანობის შესახებ (DDPR), რომელსაც მხარი დაუჭირეს სახელმწიფო და მთავრობების მოკავშირეთა ხელმძღვანელებმა ნატოს ჩიკაგოს სამიტზე 2012 წლის მაისში. DDPR– მ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალიანსის ბირთვული ძალების ძირითადი მიზანი არის შემკავებელი, რაც, არსებითად, პოლიტიკური ფუნქციაა. მიუხედავად იმისა, რომ ალიანსი ყურადღებას ამახვილებს ეფექტურად შეკავების შენარჩუნებაზე, ბირთვული იარაღის პოლიტიკური კონტროლი შენარჩუნდება ყველა ვითარებაში და ალიანსის შიგნით ბირთვული დაგეგმარება და კონსულტაციები იქნება პოლიტიკური ხელმძღვანელოს შესაბამისად.

ნატო აგრძელებს აღიარებას ბირთვული შეკავების როლის მნიშვნელობის თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე და განვითარებული პოლიტიკური გამოწვევების გათვალისწინებით. მოკავშირეებმა ეს პრინციპი დაადასტურეს

2014 წლის უელსის სამიტზე, 2016 წლის ვარშავის სამიტზე და 2018 წლის ბრიუსელის სამიტზე, სადაც სახელმწიფოებისა და მთავრობის მეთაურებმა განაცხადეს, რომ მოკავშირეების მიზანი "არის გააგრძელონ შეკავების პოლიტიკა, როგორც ჩვენი კოლექტიური თავდაცვის ძირითადი ელემენტი და ხელი შეუწყონ ალიანსის განუყოფელ უსაფრთხოებას. უსაფრთხოების გარემოში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, ნატო-მ გადადგა ნაბიჯები, რომ მისი ბირთვული შემაკავებელი შესაძლებლობები დაცული, უსაფრთხო და ეფექტური იყოს. სანამ ბირთვული იარაღი არსებობს, ნატო დარჩება ბირთვული ალიანსი".⁶⁴

შესაბამისად საერთაშორისო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვასა და შემცირებას, მოდით განვიხილოთ თუ რა არის და რას მოიცავს ისინი - ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს ბირთვულ-სარაკეტო იარაღის წარმოების და არსებული პოტენციალის შემცირებას. ბირთვული ომის თავიდან აცილების, ნდობის და უსაფრთხოების განსამტკიცებლად საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება.⁶⁵

სტრატეგიულ შეიარაღებას განეკუთვნება:

- სახმელეთო საკონტინენტაშორისო ბალისტიკური რაკეტები;
- წყალქვეშა ნავეების ბალისტიკური რაკეტები;
- სხვადასხვა ბაზირების დიდი სიშორის ფრთოსანი რაკეტები;

⁶⁴ „NATO's nuclear deterrence policy and forces” - 25 Oct. 2019, p.1.

https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_50068.htm

⁶⁵ „სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვა და შემცირება“, გვ.1.

<http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%95%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90>

- მათი გამშვები დანადგარები;
- სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო წყალქვეშა კრეისერები;
- მძიმე ბომბდამშენები;
- საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების, წყალქვეშა ნავების ბალისტიკური რაკეტების და ფრთოსანი რაკეტების საბრძოლო მუხტები, მძიმე ბომბდამშენების შეიარაღება;
- საჰაერო თავდაცვის საშუალებები;
- კოსმოსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები;
- სარაკეტო თავდასხმის აღმოჩენის და გაფრთხილების სისტემები და სხვა.⁶⁶

1972 წელს სსრ კავშირმა და აშშ-მა დადეს ხელშეკრულება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ (SALT I). 1979 წელს სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის დაიდო სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მორიგი ხელშეკრულება (SALT II). 1987 წლის საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის ხელშეკრულების თანახმად, სსრ კავშირისა და აშშ-ის არსენალებიდან მთლიანად იქნა ამოღებული ბალისტიკური და ფრთოსანი რაკეტები, რომელთა ფრენის სიშორე იყო 500-დან 5500კმ-მდე. 1991 წელს სსრ კავშირმა და აშშ-მა დადეს ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების და შეზღუდვის შესახებ (ძალაში შევიდა 1994 წელს). ლისაბონში 1992 წელს ხელი მოეწერა ოქმს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების და შეზღუდვის ხელშეკრულების რეალიზაციის შესახებ, რომლის თანახმადაც ყოფილი სსრ კავშირის ბირთვული იარაღი, რომელიც განთავსებული იყო ბელორუსიის, ყაზახეთის და უკრაინის ტერიტორიებზე, ექვემდებარებოდა ლიკვიდაციას ან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გადატანას. 1993 წელს რუსეთმა და აშშ-მა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას

⁶⁶ იქვე. გვ.1.

სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემდგომი შემცირების და შეზღუდვის შესახებ. 1997 წელს ხელი მოეწერა მთელ რიგ დოკუმენტებს რუსეთსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის და შემცირების საკითხებზე, მათ შორის მემორანდუმს რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვის შეზღუდვის ხელშეკრულების მიმართ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უფლებამონაცვლეობის შესახებ. 2010 წელს აშშ-მა და რუსეთის ფედერაციამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას შეტევითი სტრატეგიული შეიარაღების შემდგომი შემცირების შესახებ.⁶⁷

როცა ჩვენ ვსაუბრობთ ასიმეტრიულ საფრთხეებზე მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დავუთმოთ ბირთვული ტერორიზმის საფრთხის განხილვას, რაც მსოფლიოს საკმაოდ დიდი საფრთხის წინაშე ამყოფებს მაშინ როდესაც ის გახდა გლობალური საფრთხე და მოიცვა ყველა და ყველაფერი. ტერორიზმის ყველაზე დიდ საფრთხის შემცვლელ მიმართულებად შეგვიძლია დავასახელოთ ღიად ბირთვული ტერორიზმი (Nuclear Terrorism), რატემა უნდა ნებისმიერი ტიპის ტერორისტულ დაჯგუფებას სურს ხელში ჩაიგდოს და დაეუფლოს ბირთვულ იარაღს, ხოლო ამის განხორციელება მათ მიერ უკვე ნიშნავს გლობალური უსაფრთხოების სისტემის დაშლას. თუნდაც ამაზ მეტყველებს ბრიუსელის ტერაქტი სადაც გამოძიების შედეგად გამოიკვეთა, რომ ISIS-ის წევრები რომლებიც ბრიუსელის ტერაქტის მონაწილეები იყვნენ, ისინი ფარულად აწარმოებდნენ ბელგიის ბირთვული დაწესებულების თანამშრომლებზე თვალთვალს. გამოძიებისთვის რთული იმის დადგენა თუ როგორ შეძლებდნენ ისინი კონკრეტული რადიაციული მასალების დაუფლებას თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება და ამის სურვილი და

⁶⁷ „სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვა და შემცირება“, გვ.1.

<http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%95%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90>

კონკრეტული გეგმაც გააჩნდათ, რაც საბედნიეროდ ვერ განახოციელეს. ბირთვული ტერორიზმის დროს ჩვენ საქმე გვაქვს ტექნოლოგიური ტერორიზმთან რაც გულისხმობს - ტერორისტების მიერ ბირთვული, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის, მაღალტოქსიკური და ბიოლოგიური ნივთიერებების გამოყენებას ან გამოყენების საფრთხეს; ასევე ბირთვული, ქიმიური და სხვა სამრეწველო ობიექტების ხელში ჩაგდებას ან ამის მცდელობას, რომელთა დაზიანებამ, ან მწყობრიდან გამოყვანამ შეიძლება ხალხის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე შეუქმნას.⁶⁸ 2016 წელს ბირთვული უსაფრთხოების 50-ე სამიტზე აშშ-ის ექს-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „მსოფლიოს გლობალური უსაფრთხოების მთავარი პრობლემა ტერორისტების ხელში ბირთვული იარაღის შესაძლო აღმოჩენაა, საერთაშორისო საზოგადოებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს ბირთვული ტერორიზმის თავიდან ასაცილებლად, რადგან საფრთხე საკმაოდ დიდია. "ექვსის არავის ეპარება იმაში, რომ თუ ეს გიჟები ოდესმე ხელში ატომურ ბომბს ან ბირთვულ მასალებს ჩაიგდებენ, ისინი აუცილებლად მოინდომებენ დიდი რაოდენობის ადამიანების დახოცვას. ჩვენ შევამცირეთ რისკები, მაგრამ ეს საფრთხე რეალურია," მან ყველა სახელმწიფოს მოუწოდა მაქსიმალურად გააძლიერონ იმ ბირთვული ობიექტების დაცვა, სადაც პლუტონიუმი და გამდიდრებული ურანი ინახება.⁶⁹ მართლაც საკმაოდ დიდი საფრთხე, რომ ტერორისტებს ხელში ჩაუვარდეთ ბირთვული ნივთიერებები და ტექნოლოგიები რაც უდიდეს ზიანს მიაყენებს

⁶⁸ „ტექნოლოგიური ტერორიზმი“, გვ.1.

<http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98>

⁶⁹ „ობამა მსოფლიოს ბირთვული ტერორიზმის საფრთხის შესახებ აფრთხილებს“, გვ.1.

<https://www.newposts.ge/?l=G&id=104144->

<https://www.newposts.ge/?l=G&id=104144-%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90,%20%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98,%20%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98>

კაცობრიობას. მნიშვნელოვანია ბირთვული ობიექტების და ტექნოლოგიების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი.

ასიმეტრიული საფრთხეების კონტექსტში უმნიშვნელოვანეს საკითხს წამოადგენს ბიოტერორიზმისგან მომდინარე საფრთხე. ბიოტერორიზმი - ეს არის ბიოლოგიური ტოქსინების ან ინფექციური აგენტების მიზანმიმართული გათავისუფლება და გამოყენება, რაც იწვევს დაავადებას ან სიკვდილს ადამიანებში, ცხოველებსა თუ მცენარეებში. ეს აგენტები შეიძლება იყოს ბაქტერიები, სოკოები, ტოქსინები ან ვირუსები. ისინი შეიძლება იყვნენ ბუნებრივი წარმოშობის ან და ადამიანის მიერ მოდიფიცირებული. ბიოტერორიზმი - ეს არის მოსახლეობის განადგურების მიზნით ქვეყნის ტერიტორიაზე სხვადასხვა ინფექციური აგენტების ან ბიოტოქსინების შეტანა სხვადასხვა საშუალებებით. ტერორიზმის დროს, თუ ხდება ბიოლოგიური აგენტების გამოყენება, ის იწოდება ბიოტერორიზმად. ბიოტერორიზმის აქტი - პათოგენური ბიოლოგიური აგენტის ან ტოქსინის წინასწარ განზრახული გამოყენება ადამიანში ან ადამიანთა ჯგუფებში დაავადების გამოწვევის მიზნით. მასობრივი განადგურების იარაღი - განსხვავდება ჩვეულებრივი იარაღისაგან როგორც შეუდარებლად მეტი გამანადგურებელი ძალით, ისე იმ ზიანის მასშტაბით, რაც მათი გამოყენების თანამდევ და შემდგომ მოვლენებს მოაქვს. მსოფლიოში დღეს არსებული მ.გ.ი-ის საერთო სიმძლავრე გაცილებით მეტია, ვიდრე დედამიწაზე სიცოცხლის სრული მოსპობისათვის იქნებოდა საკმარისი. ამიტომ ცივი ომის პერიოდში დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი საკითხი მ.გ.ი-ის წარმოების შეზღუდვა და განიარაღება იყო. ამჟამად განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს მ.გ.ი-ის შექმნა ე.წ. პარია (არამზადა) სახელმწიფოების (იხ. ურჩი სახელმწიფო) მიერ. მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების ძალისხმევაც იქითკენაა მიმართული, რომ ეს იარაღი ავტორიტარული და უპასუხისმგებლო რეჟიმების ხელში არ აღმოჩნდეს. კონფლიქტის დროს ბიოლოგიური სახფრთხის შემცველი აგენტების გამოყენება, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ერთ-ერთ ყველაზე

საშიშ იარაღად ითვლება. ამ ტიპის იარაღი განსხვავდება ქიმიური, ბირთვული და რადიოლოგიური იარაღისგან, რომელიც ბიოლოგიურთან ერთად, მასობრივი განადგურების იარაღის „ქბრზ-ს“ სამხედრო აკრონიმს ქმნის. არცერთი მათგანი არ არის ჩვეულებრივი იარაღი, რაც არსებითად გამოწვეულია მათი ასაფეთქებელი, კინეტიკური ან ცეცხლგამძლე პოტენციალით. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ თუ რას ნიშნავს - ბიოლოგიური ინციდენტი - ბუნებრივი გზით, ან უნებლიე თუ განზრახვი ქმედების შედეგად გამოწვეული პათოგენური ბიოლოგიური აგენტის გამოთავისუფლება და/ან გავრცელება, რომელმაც შეიძლება ადამიანის ჯანმრთელობას ზიანი მიაყენოს ან გამოიწვიოს სიკვდილი. ბიოლოგიური იარაღის დანიშნულება განსხვავდება მისი ფორმითა და მიზნებით. როგორც წესი, დაპირისპირებული მხარის მიზანია, მოიპოვოს სტრატეგიული ან ტაქტიკური უპირატესობა, ამასთანავე დანერგოს საზოგადოებაში შიში და პანიკა მუქარის მექანიზმის გამოყენებით. ზოგიერთი ქიმიური იარაღის მსგავსად, ბიოლოგიური იარაღის გამოყენებამ, შეიძლება აიძულოს სამიზნე ჯგუფს ტერიტორიის დატოვებაც. არსებობს ბიოლოგიური აგენტების როგორც ლეტალური (მომაკვდინებელი), ისე არალეტალური ფორმა, რომელიც გამოიყენება ერთი კონკრეტული პირის, ხალხის ჯგუფის ან მთლიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.⁷⁰

ჩვენ შეგვიძლია რამდენიმე სცენარი განვიხილოთ თუ როგორ შეძლებენ ტერორისტები ბირთვული იარაღის მოპოვებას. პირველი ისინი ამას შეძლებენ შიდა დახმარების გზით, რაც ნაკლებად შესაძლებელია, მაგრამ გამორიცხულიც არაა. თუ კი მათ ჩაუვარდებათ ინფორმაცია თუ სად ინახება შესაბამისი შეირაღება ისინი შეეცდებიან მის დაუფლებას ნებისმიერი გზით. თუნდაც იმ შემთხვევაში როდესაც „ცივი ომის“ დროს თურქეთში

⁷⁰ ვახტანგ მასისაია, ალიკა გუჩუა., „ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები („ისლამური სახალიფო“, „ალ-კაიდა“ და „თალიბანი“) - მეოთხე თაობის ომის სტრატეგია და მისი რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპექტები (2010-2019 წლები)“, გამომცემლობა „თბილისელები პრინტი“, თბილისი, 2020. გვ. 221-222.

სირიის საზღვართან ინჯირლიკის ბაზაზე და ბრიუსელის შემოგარენში იყო შემორჩენილი ბირთვული მასალები და მათი დაუფლება არცთუ ძაან რთული იყო. მეორე სცენარის მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ტერორისტები იპარავენ იარაღის დასამზადებლად საჭირო კომპონენტებს პლუტონიუმის თუ გამდიდრებული ურანის სახით. ასეთ დროს კი ისინი შეძლებენ ისეთი სიმძლავრის ბომბის შექმნას რომელსაც შეეძლება მცირე ზომის ქალაქის განადგურება. მსგავსი იარაღის დამზადების პოტენციალი ქონდა ISIS-ს თავის დროზე თუმცა უკვე ეს ნაკლებად სავარაუდო რადგან აღნიშნული ბომბის დამზადებას საკმაოდ კარგად გამართული მატერიალური ინფრასტრუქტურა სჭირდება და ტერიტორია. მესამე სცენარისას კი შეგვიძლია განვიხილოთ ე.წ. ბინძური ბომბის (Dirty bomb) გამოყენება. ეს არის კონვენციური იარაღი შეიძლება ითქვას დინამიტის მსგავსი ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელშიც მოთავსებულია რადიაქტიური (cesium or strontium) ნივთიერებები. რომლის გამოყენება მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში თუ ხალხმრავალ ადგილებში საკმაოდ დიდ ზარალს მიაყენებს ცოხალ ორგანიზმებს. შეგვიძლია, ასევე განვიხილოთ ტერორისტების მიერ ბირთვულ რეაქტორზე პირდაპირი თავდასხმა, ან და თვითმფრინავის პირდაპირი დაჯახება რეაქტორზე. შესაძლებელია თვითმკვლელმა ტერორისტმაც აიფეთქოს თავის ბირთვულ მოწყობილებასთან ან და განხორციელდეს არაფიზიკური თავდასხმაც როდესაც მოხდება კიბერ შეტევის შედეგად ბირთვული რეაქტორის მწობრიდან გამოყვანა.

3 და 4 დეკემბერს ლონდონში გაიმართა ნატო-ს სამიტი, რომელიც მიემდგნა ალინსის დაარსებიდან 70 წლის და ასევე რკინის ფარდის დაცემის 30 წლის იუბილეს. ნატოს სამიტის შემდეგ, ალინსის წევრი სახელმწიფოების ლიდერებმა ერთიანი „ლონდონის დეკლარაცია“ გამოაქვეყნეს. დაკლარაციაში აღინიშნა, რომ რუსეთისგან, ჩინეთისგან და ნატოს ისტორიაში პირველად მომავალ საფთხეებზე, ასევე ტერორიზმზე, კიბერუსაფრთხოებაზე და უსაფრთხო ტექნოლოგიების უზრუნველყოფაზე.

დეკლარაციის მესამე პუნქტში აღნიშნული ყველა ის ძირითადი გამოწვევა და საფრთხე რომლისწინაშეც იმყოფება ალიანსი „ჩვენ, როგორც ალიანსი, ვეჯახებით მრავალ საფრთხეებს და გამოწვევებს, რომლებიც მომდინარეობს ყველა სტრატეგიული მიმართულებიდან. რუსეთის აგრესიული ქმედებები საფრთხეს წარმოადგენს ევროატლანტიკური უსაფრთხოებისთვის; ტერორიზმი ყველა თავისი ფორმით და გამოვლინებით, რჩება მუდმივ საფრთხედ ყველა ჩვენთაგანისთვის. სახელმწიფო და არასახელმწიფოებრივი აქტორები ეწინააღმდეგებიან წესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგს. ჩვენს საზღვრებს მიღმა არასტაბილურობა ასევე ხელს უწყობს არარეგულარულ მიგრაციას. ჩვენ ვეჯახებით კიბერ და ჰიბრიდულ საფრთხეებს.“⁷¹ ალიანსი არ გამორიცხავს რუსეთთან უფრო ღია დიალოგის წარმოებას და კონსტრუქციულ ურთიერთობებს თუ კი რუსეთის მიერ გატარებული პოლიტიკა მისცემთ ამის შესაძლებლობას.

ალიანსის ოფიციალური განცხადების თანახმად რამდენჯერმე არი ნახსენები რუსეთი. მისი გამოსვლა ახლო და საშუალო რადიუსის რაკეტების ბირთვული ძალების შეთანხმებიდან ევროატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოებას უქმნის მნიშვნელოვან საფრთხეს. საპასუხოდ კი ალიანსი ზრდის თავის ქმედებებს მათი სახმელეთო ტერიტორიების, ზღვების და საჰაერო სივრცეების უსაფრთხოებას. ნატო გაზრდის ბირთვული და სარაკეტო იარაღის წინააღმდეგ თავის თავდაცვისუნარიანობას. განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ მანამ სანამ ბირთვული იარაღი იარსებებს, ნატო დარჩება ბირთვულ ალიანსად. ამავე დროს, ალიანსის წევრი სახელმწიფოები აგრძელებენ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობაზე ხელშეკრულების სრულ იმპლემენტაციას, ასევე ბირთვულ განიარაღებას, გაუვრცელებლობას და ბირთვული ენერჯის მშვიდობიან გამოყენებას.

⁷¹ „London Declaration - Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in London 3-4 December 2019”. 04 Dec. 2019. P.1.
https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_171584.htm

თანამედროვე პერიოდში აუცილებლობიდან გამომდინარე უსაფრთხო სისტემების არსებობის ყველა მიმართულებით ნატო იმუშავებს ამ მიმართულებით აქტიურად. ახალი ტექნოლოგიების აღზევების ეპოქაში როცა უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ტექნოლოგიურ განვითარებას ნატო კვლავ აპირებს ტექნოლოგიური უპირატესობის შენარჩუნებას და გაზრდას, რაც ნამდვილად მისასალმებელია. 5G ტექნოლოგიებთან მიმართებაში ნატო უფრო განავითარებს და უზრუნველყოფს საკომუნიკაციო ქსელების უსაფრთხოებას.

ალიანსმა აღიარა ჩინეთის მზარდი გავლენა მსოფლიოში და მისი როლი საერთაშორისო პოლიტიკაში, რომელიც მათთვის ერთგვარად შესაძლებლობაცაა და გამოწვევაც. კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებით კი ნატო აპირებს გააძლიეროს და საპასუხო ქმედებები და განხორციელების კიბერ სისტემების უსაფრთხოების გაზრდას. ნატომ გლობალური უსაფრთხოების გამოწვევების აღსაკვეთად და გასანეიტრალებლად აღიარა კოსმოსის მნიშვნელობა. ნტოს ღია კარის პოლიტიკა კვლავ უცვლელი რჩება, რაც მათივე თქმით ალიანსს აძლიერებს და ზრდის ევროპულ უსაფრთხოებას. ნატო აძლიერებს პარტნიორ ქვეყნებთან დიალოგს და მხარდაჭერას, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან ჩართულობას. ალიანსი კვლავ ერთგული რჩება ე.წ. ვაშინგტონის შეთანხმების ნატო-ს მე-5 მუხლის, რაც გულისხმობს, რომ თუ კი ალიანსის წევრებიდან ერთერთ მათგანზე მოხდა თავდასხმა, ეს აღიქმება როგორც თავდასხმა ყველა წევრ სახელმწიფოზე. საკმაოდ საკამოთო და დავის საგანს ალიანსისთვის წამოადგენდა ფინანსური შენატანების საკითხი, რასთან დაკავშირებითაც ალიანსის წევრებმა გამოთქვეს მზადყოფნა, რომ თავდაცვაში ბიუჯეტის 2% გაიღებენ. ნატომ, ასევე აღიარა ტრანსატლანტიკური კავშირის მნიშვნელობა და როლი რადგან ალიანსის უსაფრთხოებაც ამაზე დამოკიდებული.

1987 წლის 8 დეკემბერს აშშ-ს პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა და სსრკ გენერალურმა მდივანმა მიხეილ გორბაჩოვმა ხელი მოაწერეს ახლო და საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ შეთანხმებას.

აღნიშნულმა შეთანხმებამ კი „ცივი ომის“ დასრულებაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა. ხელშეკრულება ეხებოდა სახმელეთო ბაზირების რაკეტებს და მხარეებს ავალდებულებდა გაენადგურებინათ და ევროპიდან გაეტანათ საშუალო სიშორის 1000-5500 კმ რადიუსის ოქმედების და მცირე რადიუსის მოქმედების 500-1000 კმ რადიუსის ბალისტიკური და ფრთოსანი ბირთვულიან ქობინიანი, ისე არაბირთვული ქობინიანი ყველა სარაკეტო კომპლექტი და ამავე დროს არ გამოეცადათ და არ გაეგრძელებინათ მათი შექმნა მომავალში. 1988 წლის 27 მაისს აშშ-ს სენატმა ხელშეკრულება დაამტკიცა, ხოლო რეიგანმა და გორბაჩოვმა რატიფიცირება მოახდინეს 1988 წლის 1 ივნისს.

საბჭოთა კავშირმა თავისი სამხედრო ოპერატიული მორიგეობიდან მოხსნა და გაანადგურა შემდეგი კლასის მობილური რაკეტები P-10 (SS-20), P-12 (ნატო-ს კლასიფიკაციით SS-4), P-14 (SS-5), ასევე ფრთოსანი რაკეტები PK-55 და მცირე სიშორის რაკეტები - OTP-22 (SS-12) და OTP-23 (SS-23). ამავე დროს აშშ-მა გაანადგურა დასავლეთ ევროპაში განლაგებული სახმელეთო ბაზირების საშუალო რადიუსის რაკეტები „პერშინგ-2“ და სახმელეთო ბაზირების ფრთოსანი რაკეტები „BGM“ (თომაჰოუკი) და ასევე მცირე რადიუსის სახმელეთო ბაზირების „პერშინგ-1ა“ და „პერშინგ-2ბ“ რაკეტები ძირითადად იტალიასა, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში განთავსებული.

ვადის ბოლოს, ორივე ქვეყანამ ერთობლივად გაანადგურა 2,692 მცირე სიშორის და საშუალო შისორის მოქმედების რაკეტა. აქედან 1,846 საბჭოთა რაკეტის და 846 ამერიკული რაკეტის განადგურება მოხდა. ესე აღინიშნა იარაღის მთელი სახეობების პირველი განადგურება, რომელსაც შეუძლო ატომური ქობინების გადატანა.⁷²

⁷² NATO and the INF Treaty. 02 Aug. 2019. P.1.

https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_166100.htm?selectedLocale=en

ჩინეთის სარაკეტო ძალების მუდმივი ზრდის ფონზე, აშშ-ს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა 2018 წლის 20 ოქტომბერს გამოაცხადა, რომ იგი ხელშეკრულებიდან აშშ-ს გამოყენას აპირებდა და ამავე დროს რუსეთს დაადანაშაულა ხელშეკრულების შეუსრულებლობაში. 2019 წლის 1 თებერვალს აშშ-მა ოფიციალურად შეაჩერა ხელშეკრულება, ხოლო რუსეთმა კი საპასუხოდ მეორე დღეს შეაჩერა. 2019 წლის 2 აგვისტოს აშშ-მა ოფიციალურად დატოვა ხელშეკრულება. 2019 წლის 4 სექტემბერს პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი განახორციელებს ახალი რაკეტების შემუშავებას, მაგრამ მათ არ განათავსებს მანამ, სანამ შეერთებული შტატები ჯერ პიველი არ გააკეთებენ ამას.

შეერთებულმა შტატებმა თითქმის ექვს წელზე მეტი ხნის განმავლობაში 30-ზე მეტჯერ დააყენეს რუსეთის ყველა ოფიციალური თანამდებობის პირთან საკითხი, წლის 1987 წლის ხელშეკრულება ირღვევა რუსეთის მხარის მიერ. 2013 წლიდან დაწყებული, მოსკოვმა არაერთხელ უარყო ხელშეკრულების დამრღვევი SSC-8 / 9M729 მობილური სახმელეთო სარაკეტო სისტემის არსებობა. ხოლო კი უკვე 2017 წელს მან აღიარა ამ სისტემის არსებობა თუმცა აღნიშნავდა, რომ ამ სისტემას არ შეეძლო 500-დან 5,500 კილომეტრამდე აკრძალულ მანძილზე სამიზნეებისთვის დარტყმის მიყენება და მისი მოქმედების რადიუსი არ სცილდებოდა 485 კილომეტრს რასაც არ კრძალავდა ხელშეკრულება. აშშ-ის მტკიცებით კი SSC-8 / 9M729 რაკეტის ფრენის სიშორე აღემატება 500 კილომეტრს და ამით დაარღვია რუსეთმა ხელშეკრულების პირობები.

ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ტრანსატლანტიკური ალიანსის პასუხი იქნება საკმაოდ გაზომილი და პასუხისმგებლანი იმ მნიშვნელოვან რისკებთან დაკავშირებით, რომელიც რუსეთის 9M729 რაკეტამ შეიტანა მოკავშირეთა უსაფრთხოებაში. ამასთან, მან დასძინა, რომ ნატოს „არ სურს შეიარაღების ახალი შეჯიბრი“ და დაადასტურა, რომ ალიანსს არ აქვს გეგმა ევროპაში საკუთარი ბირთვული რაკეტების განლაგების შესახებ. ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის

ურთიერთობების გაუარესების გამო, თურქეთმა ბოლო დროს მიიღო რუსული სარაკეტო თავდაცვის სისტემის პირველი ნაწილები აშშ-ს წინააღმდეგობის მიუხედავად. აშშ-მ გააფრთხილა, რომ თურქეთს არ შეუძლია ჰქონდეს როგორც S-400 ტიპის საზენიტო თავდაცვის სარაკეტო სისტემა და ასევე ამერიკული F-35 გამანადგურებელი თვითმფრინავები. თურქეთი და აშშ-ბი ნატოს წევრები არიან, თუმცა თურქეთს მჭიდრო კავშირები გააჩნია რუსეთთან და უფრო ამყარებს ამკავშირებს.

INF ხელშეკრულება ათწლეულების განმავლობაში წარმოადგენდა ქვაკუთხედს იარაღის კონტროლის საქმეში და ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ხელშეკრულება გაუქმდა, რაც წარმოქმნის გლობალური უსაფრთხოებისათვის ახალ საფრთხეებს. ისტორიული შეთანხმების გაუქმებამ შეიძლება გამოიწვიოს იარაღის ახალი შეჯიბრი აშშ-ს, რუსეთსა და ჩინეთს შორის. ხელშეკრულების არარსებობის პირობებში ჩვენ ვიქნებით მომსწრეები ახალი იარაღის შემუშავების და განლაგების სხვადასხვა სტრატეგიულ ტერიტორიებზე მსოფლიოში. არსებობს მრავალი ბირთვული განშტოება - აშშ-რუსეთი, აშშ-ჩინეთი, აშშ-ს ჩრდილოეთ კორეა, ინდოეთი-პაკისტანი, ინდოეთი-ჩინეთი, მაგრამ არცერთი არ არის დამოუკიდებელი. ამრიგად, თანამდროვე საერთაშორისო მსოფლიოში ვერც შეერთებული შტატები და რუსეთი ვერ შეძლებენ უზრუნველყონ მსოფლიოში ბირთვული სტაბილურობა და სტრატეგიული სტაბილურობა, რაც ჩვენგან მოითხოვს აღნიშნული საკითხის უკეთ გააზრებას. თემის დამუშავების დროს გამოყენებული ძალთა ბალანსის თეორიის და სტრატეგიული დაშინების თეორიების ანალიზის შედეგად ნათლად გაეცა პასუხი თანამედროვე პერიოდში განვითარებულ მოვლენებს მსოფლიოში მასშემდეგ, რაც აშშ-ბა და რუსეთმა გააუქმეს ვაშინგტონის INF ხელშეკრულება. რამაც უფრო გაზარდა საფრთხეები გლობალურ მსოფლიოში შეიარაღების რბოლის სახით. გლობალურმა მოთამაშებმა და მსოფლიომ უნდა გაიაზროს, რომ საჭიროა შეიარაღებაზე კონტროლის ახლი ხელშეკრულების დადება

რომელიც პასუხობს დღევანდელ პოლიტიკურ რელობას და უზრუნველყოს გლობალურ უსაფრთხოებას.

ნაშრომში მნიშვნელოვან სიახლეს, ასევე წარმოადგენს ახალი ამერიციუმ 242-ს გამოყენების შეაძლებლობა შეიარაღებაში. ახლა, როდესაც 1987 წლის ვაშინგტონის ხელშეკრულება გაუქმდა მხარეებმა ის დატოვეს, შესაძლებელი ხდება ბირთვული იარაღის ახალი ტიპების განვითარებაზე დაბრუნება, რომელსაც შეუძლია ბირთვული ომის დივერსიფიკაცია და ხასიათის შეცვლა. 1950-იან წლებში ურანის და პლუტონიუმის იარაღის იზოტოპების შემცვლელი არაფერი იყო. მაგრამ მას შემდეგ გარკვეული დრო გავიდა და კარგი კანდიდატი გამოჩნდა - americium-242. ეს იზოტოპი წარმოიქმნება პლუტონიუმ-241-ის დაშლის დროს (ნეიტრონის დაჭერის დროს ურანი - 238 - ით), და იგი შეიცავს პლუტონიუმის დამუშავების ნარჩენებსა და დახარჯულ ბირთვულ საწვავს (SNF). 26 წლის შემდეგ, მთელი პლუტონიუმი-241 დაიშლება americium-241- ში, რომლის ნახევარგამოყოფის პერიოდი გაცილებით გრძელია - 432.2 წელი. ამრიგად, გატარებული ბირთვული საწვავი, რომელიც გამოიღვენა რეაქტორებიდან და შენახული იქნა 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში, უკვე უნდა შეიცავდეს მნიშვნელოვან რაოდენობას Americium-241. მისი გარჩევა, რამდენადაც მსჯელობა შეიძლება, არ არის განსაკუთრებით რთული.

1 გრამი am-242m წარმოიქმნება 100 გრამი am-241- ის დასხივებით და ამ რაოდენობის მისაღებად საკმარისია 200 კგ გამოხდილი SNF დამუშავება. რით არის am-242m კარგი? უკიდურესად მცირე კრიტიკული მასით. სუფთა იზოტოპს აქვს კრიტიკული მასა მხოლოდ 17 გრამი. 13.6 გ კუბურ სანტიმეტრიანი სიმკვრივით, ეს იქნება ბურთი დიამეტრით 1.33 სმ. თუ მიიღებთ 1.35 კრიტიკულ მასას, მაშინ ბურთი იქნება დიამეტრით 1.45 სმ. რეფლექტორით და დეტონაციის სისტემით, შესაძლებელია მოთავსდეს 40 მმ ჭურჭში. 1 გ am-242m ენერჯის გამოშვება დაახლოებით 4,6 კგ TNT- ს შეესაბამება, ასე რომ, ასეთი მუხტი 22.9 გ იზოტოპის საშუალებით, დაახლოებით 105 კგ TNT- ს მოგვცემს.

შეგიძლიათ გამოიყენოთ am-241 და am-242m ნარევი. როდესაც ამ უკანასკნელის შემადგენლობა 8% -ია, კრიტიკული მასა იქნება 420 გრამი. ბურთის დიამეტრი იქნება 3.8 სმ. ეს შეიძლება იყოს ატომური ყუმბარა RPG-ებისთვის, 82 – მმ – იანი ნაღმტყორცნისთვის და ა.შ. ენერჯის წარმოება იქნება დაახლოებით 2 ტონა TNT ტროტილის ექვივალენტი. საერთო ჯამში კარგი საშლება მცირე ზომის კალიბრის ჭურვების დამზადებისთვის, რადგან არ მამოყოფს მაღალ სიბრტყეს და მისი შენახვის ვადა შეადგენს 30-40 წელს. მისი განთავსება შეიძლება მართვად რაკეტებში ჰაერი მიწა ან მიწა ჰაერი ტიპის კლასებზე.

ბირთვული სტრატეგიის მომავალი - რადგან გლობალურ ძალებს შორის კონკურენცია კვლავ გრძელდება, ცივი ომის გაკვეთილები და სტრატეგიები კარგი შესწავლის ობიექტია, რათა სტრატეგოსებმა დაიწყონ იმის გაგება, თუ როგორ მოქმედებს და აყალიბებს ბირთვული დიპლომატია გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ცივი ომისგან განსხვავებით, რამდენიმე ბირთვული სახელმწიფოს სირთულე, 192 საკუთარი უსაფრთხოების დღის წესრიგით (მაგალითად, ინდოეთი და პაკისტანი) და არასახელმწიფოებრივი აქტორების საფრთხე, რომლებიც ბირთვული იარაღის (ჩრდილოეთ კორეა) მუქარის მეშვეობით ლეგიტიმურობას ეძებენ, გლობალური სტაბილურობის რთულ პრობლემას წარმოადგენს. შეკავებისა და გაფიცვის წესებმა შესაძლოა არ უზრუნველყონ სახელმწიფოები ხელსაყრელი პირობებით ან გადაჭრის გზებით. ამრიგად, დაზვერვისა და გაგების ინდიკატორები და გაფრთხილებებისადმი ნდობა შეიძლება გახდეს წამაქეზებელი ფაქტორი სახელმწიფოებისთვის, მოლაპარაკებებისა და დამაბულობის მოგვარების საკითხში. ბირთვული შეკავების მომავალი სტრატეგიები, სავარაუდოდ, რთულ დიპლომატიურ გარიგებებს გამოიწვევს. გლობალურმა მცდელობებმა ირანის ბირთვული ენერჯის საფრთხის შესამცირებლად, ირანის ბირთვული შეთანხმების ჩარჩო ხელშეკრულების მეშვეობით, შექმნა მოლაპარაკებები ირანსა და გაეროს უსაფრთხოების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრს შორის, დამატებით გერმანია,

რომლებიც ცდილობენ იპოვონ მომგებიანი შეთანხმება, რაც გამოიწვევს ერთობლივი კომპლექსური სამოქმედო გეგმის (Joint Comprehensive Plan of Action - JCPOA) შექმნას. თუმცა, დიპლომატიური ბირთვული მოლაპარაკებები არ საჭიროებს იყოს გლობალური თავიანთი მიდგომით. შეერთებული შტატები იყენებს დიპლომატიის ძალას ჩრდილოეთ კორეასთან ბირთვული იარაღის საფრთხის შესამცირებლად. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოლაპარაკებების შედეგებმა გლობალური ეფექტი მოახდინა, ზესახელმწიფოს ლეგიტიმურობამ, აწარმოოს მოლაპარაკებები ჩრდილოეთ კორეასთან, შეიძლება მხოლოდ დიპლომატიის საშუალებით მოგვეცეს შემაკავებელი შედეგი. როგორც ტომი იოშიჰარამ და ჯეიმს ჰოლმსმა აღწერეს, მსოფლიომ უნდა მიიღოს ის, რომ "ბირთვული იარაღის გავრცელება ხდება ან უკვე მოხდა. ეს გართულებს მოლაპარაკებებს ტრადიციულ ბირთვულ ძალებსა და არატრადიციულ ბირთვულ სახელმწიფოებს შორის". იოშიჰარა და ჰოლმსი ამ პერიოდს აღწერენ, როგორც მეორე ბირთვულ ხანას, რაც „უფრო ადამიანის ფაქტორია, ვიდრე სარაკეტო შეიარაღების და არსენალის ზომის“. ნიშნავს თუ არა ეს, რომ წესებზე დაფუძნებულ გლობალურ წესრიგში შეუძლებელია განიარაღება და სამყარო უნდა შეეგუოს, რომ ქვეყნები ფლობენ ბირთვულ იარაღს და ჩვენ უბრალოდ უნდა გვეჩვენოს ნდობა, რომ ისინი არ გამოიყენებენ მათ? თუმცა, არსებობს ორი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომლებიც სამხედრო დამგეგმავებმა და მოაზროვნეებმა უნდა იცოდნენ, როგორც მომავალი ბირთვული სტრატეგიების ნაწილი. პირველი, ეს არის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბირთვული გავრცელების პოტენციალი. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერების ასოციაციამ 1995 წელს სცადა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბირთვული იარაღის თავისუფალი ზონის შექმნა და განხორციელება, არც ერთი აღიარებული ბირთვული სახელმწიფო არ ეთანხმებოდა მის პირობებს. ალიანსების შეცვლა, სამოქალაქო არეულობა და მიმდინარე ამბოხებები ტოვებს უკონტროლოს საზღვრებს და აძლიერებს ბირთვული უსაფრთხოების ტექნიკური

რესურსების შექმნას რეგიონში, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ბირთვულ გავრცელებას მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და მის გავლით.⁷³

მეორე, იზრდება ბირთვული იარაღის შესაძლო გამოყენება ტაქტიკურ დონეზე გლობალურ მოთამაშეთა დოქტრინებში. შეერთებული შტატები, რუსეთი და პაკისტანი ფლობენ და აგრძელებენ თავიანთი არასტრატეგიული, ან მცირე დიაპაზონის ტაქტიკური, ბირთვული იარაღის (500 კილომეტრზე ნაკლებ მანძილზე) მოდერნიზაციას. ცივი ომის ყველაზე დიდი 193 არსენალი შეერთებული შტატების და რუსეთის მარაგებში იყო. ეს ყოველივე მნიშვნელოვნად შემცირდა, რადგან შეერთებული შტატების არსენალი 1989 წელს არსებული 9000 იარაღიდან 2019 წელს შემცირდა 230-მდე, ხოლო რუსეთმა მარაგი 1980-იანი წლების 13,000-22,00-დან შეამცირა დაახლოებით 2000-მდე 2019 წელს. ტაქტიკური ბირთვული იარაღის მოდერნიზაცია, რომელიც შედის სამხედრო სტრატეგიებში, წარმოადგენს გამოწვევებს იარაღის კონტროლის შესახებ შეთანხმებებისთვის, ისევე, როგორც შუალედური დონის ბირთვული ძალების ხელშეკრულებისთვის. შემაშფოთებელია რუსული დოქტრინა ტაქტიკური ბირთვული იარაღის შესახებ, რომლის თანახმად, ტაქტიკური ბირთვული სისტემების გამოყენება აიძულებს შემქმნელ მეთაურებს შეამცირონ ან დაამარცხოვნონ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატოს) ძალები ევროპაში. ეს გამოწვევები კვლავ განვითარდება, ამიტომ საჭიროა მომავალი ბირთვული სტრატეგიების გადახედვა და ზოგიერთ შემთხვევაში, JCPoA- ის მსგავსად, ხელახალი მოლაპარაკებების წარმოება.⁷⁴

⁷³ Nathan K. Finney, „On Strategy: A Primer“, Combat Studies Institute Press, Fort Leavenworth, Kansas, 2020. P.191.

⁷⁴ Nathan K. Finney, „On Strategy: A Primer“, Combat Studies Institute Press, Fort Leavenworth, Kansas, 2020. Pp.192-193.

3.3. ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის რეგიონული მიდგომები - შავი ზღვის უსაფრთხოების განზომილების ფარგლებში

ბირთვული ომის სტრატეგიული მოდელირებისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა. რომელიც მოიცავს სხვადასხვა სისტემებს და მის შემადგენელ ელემენტებს რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სახელმწიფოს ტერიტორიული უსაფრთხოება და ამავე დროს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა სარაკეტო შეტევისგან. ცივი ომის საწყის ეტაპზე როდესაც აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ბირთვული დამაბულობა მატულობდა საჭირო იყო უსაფრთხოების ახალი მოდელების შემუშავება რათა არსებული დამაბულობა შენელებულიყო. მხარეები ანვიტარებდნენ თავიანთ ბირთვულ შეიარაღებას და ამავე დროს ანტისარაკეტო სისტემებს და ბალისტიკური რაკეტების შემდეგ უკვე ანტიბალისტიკურ სარაკეტო სისტემებს. მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა ცივი ომის დროს დეტანტის პოლიტიკის გატარება რომელიც გულისხმობდა „დამაბულობის განმუხთვას“ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია 1972 წლის ხელშეკრულება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის (Strategic Arms Limitation Treaty (SALT I)) გაფორმება, მხარეები მიხვდნენ, რომ მარტო შეიარაღების გაზრდით და დაპირისპირებით ისინი სტაბილურობას ვერ მიაღწევდნენ არამედ საჭიროა შეიარაღებაზე კონტროლის დაწესება.

SALT I სტრატეგიულ ბირთვულ იარაღზე შეზღუდვებს „არსებითი ეკვივალენტობის ფორმულაზე“ დაყრდნობით აწესებდა: ვინაიდან აშშ-ს გააჩნდა ტექნოლოგიური უპირატესობა და შეეძლო ერთ რაკეტაზე უფრო მეტი ატომური ბომბის განთავსება, საბჭოთა კავშირს მიეცა უფრო მეტი რაკეტების ფლობის უფლება. იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ თუ ორივე მხარეს ექნებოდა რაოდენობრივი ზღვარი, ბირთვული შეკავება უზრუნველყოფილი იქნებოდა. SALT I ასევე მკაცრად ზღუდავდა ანტიბალისტიკური სარაკეტო თავდაცვის სისტემების (anti-ballistic missile (ABM) defense system) განთავსებასაც, რადგან ისინი დასტაბილიზაციას

უწყობდა ხელს: თუ ერთ მხარეს ეცოდინებოდა, რომ ბირთვული დარტყმისგან თავდაცვის პოტენციალი გააჩნდა, გარანტირებული ურთიერთ განადგურება უზრუნველყოფილი იქნებოდა და ამ მხარის მიერ პირველი ბირთვული დარტყმის განხორციელება უფრო მოსალოდნელი გახდებოდა.⁷⁵ მიუხედავად დეტანტის პოლიტიკის აღზევებისა იყო რიგი პრობლემებისა, რაც ხელს უშლიდა მის სრულ გატარებას, ხოლო კი მას შემდეგ რაც 1979 წელს საბჭოთა კავშირი შეიჭრა ავღანეთში ამით დეტანტის პოლიტიკას საბოლოოდ დაუსვა წერტილი.

რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა – ძალებისა და
საშუალებების კომპლექსი, აგრეთვე ღონისძიებები და საბრძოლო
მოქმედებები მოწინააღმდეგის სარაკეტო-
ბირთვული დარტყმის მოსაგერიებლად მისი ბალისტიკური რაკეტების ან
ამ რაკეტების ფრენის ტრაექტორიებზე ქობინების დაზიანების გზით.⁷⁶

რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შემადგენლობაში შედის:

- ბალისტიკური რაკეტების (ბალისტიკური ნაწილების) შორი აღმოჩენის საშუალებები, სხვადასხვა სიშორის მოქმედების რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსები;
- გამოთვლითი საშუალებების კომპლექსი;
- ინფორმაციის გადაცემის საშუალებანი.

რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა, დანიშნულების კვალობაზე, შეიძლება იყოს

- ტერიტორიული – მთელი ქვეყნის თავდაცვისათვის;
- ზონალური – მსხვილი რაიონების თავდაცვისათვის;

⁷⁵ ჯენტელსონი ბ. „ამერიკის საგარეო პოლიტიკა: არჩევანის დინამიკა 21-ე საუკუნეში“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი - 2015.გვ.210.

⁷⁶ “რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა“, თბილისი-2018. გვ.1.

http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9D_%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%90

- ობიექტების – დიდმნიშვნელოვანი ადმინისტრაციული, სამრეწველო და სამხედრო ობიექტების თავდაცვისათვის;
- სტრატეგიული – სტრატეგიული ბალისტიკური რაკეტებისაგან თავდაცვისათვის (საკონტინენტთაშორისო, წყალქვეშა ნავების, საშუალო სიშორის ბალისტიკური რაკეტები) და არასტრატეგიული (ტაქტიკური) – საშუალო სიშორის ბალისტიკური რაკეტებისაგან, ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური რაკეტებისაგან დასაცავად (რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა საომარი მოქმედებების თეატრზე).⁷⁷

ზემოთ ვახსენეთ ბალისტიკური რაკეტა იმისთვის, რომ უკეთ გავერკვეთ თუ რასთან გვაქვს საქმე მოდიტ განვმარტოთ: **ბალისტიკური რაკეტა** – რაკეტა, რომლის ფრენა, აქტიური მონაკვეთის გარდა, ხორციელდება ბალისტიკური ტრაექტორიით (თავისუფლად ნასროლი სხეულის ტრაექტორიით). ფრთოსანი რაკეტისაგან განსხვავებით, ბალისტიკური რაკეტას არ აქვს სპეციალური აეროდინამიკური ზედაპირები ატმოსფეროში ფრენისას ამწევი ძალის შესაქმნელად. იყოფა მართულ და უმართავ, ერთ და მრავალსაფეხურიან რაკეტებად. გამოიყენება საბრძოლო, რაკეტამატარებლების, საკვლევი რაკეტების სახით და სხვა. საბრძოლო ბალისტიკური რაკეტები შედის სახმელეთო სარაკეტო კომპლექსებისა და წყალქვეშა ნავების სახომალდე-სარაკეტო კომპლექსების შემადგენლობაში. ბალისტიკური რაკეტას, რომლის ფრენის სიშორე აღემატება 6500 კმ-ს, საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა ეწოდება. პირველ საბრძოლო ბალისტიკური რაკეტად ითვლება გერმანული ფაუ-2.⁷⁸ **საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა (კზრ)** — შორი მოქმედების (5 500 კმ-ზე მეტი) იარაღი, რომელიც, როგორც წესი, მზადდება მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ბირთვული საბრძოლო თავების მისატანად.

⁷⁷ იქვე, გვ.1.

⁷⁸ „ბალისტიკური რაკეტა“. გვ.1.

http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%90

მათი შორი მოქმედების რადიუსის და დამანგრეველი ძალის გამო სრულმასშტაბიანი ბირთვული ომის შემთხვევაში კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტები წარმოადგენენ ყველაზე უფრო დამანგრეველ ძალას.⁷⁹

ბირთვული იარაღი ნატოს საერთო შესაძლებლობების ძირითადი კომპონენტია შეკავებისა და თავდაცვისთვის, ჩვეულებრივი და სარაკეტო თავდაცვის ძალების გვერდით. ნატო ვალდებულია შეიარაღების კონტროლი აწარმოოს, განიარაღების პოლიტიკასთან ერთად და გავრცელება არ დაუშვას, მაგრამ სანამ ბირთვული იარაღი არსებობს, ის ბირთვულ ალიანსად დარჩება. საიმედო შეკავება და თავდაცვა, ბირთვული, ჩვეულებრივი და სარაკეტო თავდაცვისუნარიანობის რჩება ძირითად საფუძვლად, ნატოს საერთო სტრატეგიის ძირითადი ელემენტია კონფლიქტისა და ომის თავიდან ასაცილება. ნატოს ბირთვული ძალების სანდოობა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რის გამოც ამ ძალების უსაფრთხოება, ბრძოლისუნარიანობა და ეფექტურობა მუდმივად ფასდება ტექნოლოგიური და გეო-სტრატეგიული განვითარების გათვალისწინებით.

საკითხის უკეთ გაგებისთვის მნიშვნელოვანია, რომ გავერკვეთ ზუსტად როგორ უხდებათ რაკეტსაწინააღმდეგო საშუალებებს მუშაობა რას წარმოადგენენ ისი და რა დანიშნულების მიხედვით კლასიფიცირდებიან. სარაკეტო სისტემა/ბალისტიკური რაკეტა ქობინების ინდივიდუალური დამიზნებით (Multiple independently targetable reentry vehicle, შემოკლებით MIRV) წარმოადგენს ბალისტიკურ რაკეტას ორი ან მეტი ქობინით, რომელთაგან თითოეულს აქვს უნარი, ინდივიდუალურად დაუმიზნონ სამიზნეს. ის განსხვავდება ისეთი ბალისტიკური რაკეტებისან, რომელთაც

⁷⁹ „საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა“. გვ.1.

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D_%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%90

ერთი, უნიტარული ქობინი აქვთ. ქობინები განლაგებულია ბალისტიკური რაკეტის წინა დაბოლოებაზე, რომლსაც ასევე ეძახიან “ავტობუსს” (ინგ. Bus).⁸⁰

ბალისტიკურ რაკეტებს ქობინების ინდივიდუალური დამიზნებით, აქვთ შემდეგი უპირატესობები:

1. მისი საშუალებით უფრო მეტი ზიანის მიყენებაა შესაძლებელი. ცნობილია, რომ რამოდენიმე მცირე ქობინს, შეუძლია უფრო დიდი ზიანის მიყენება, ვიდრე მათი საერთო სიმძლავრის ერთ ქობინს, რაც დაკავშირებულია აფეთქების ტალღის დიდ მანძილებზე შესუსტებასთან. ამ კუთხით, ის გავს კასეტურ იარაღებს.
2. თუ ბალისტიკური რაკეტა, ატარებს ერთ ქობინს, მაშინ, თითოეული სამიზნისთვის, საჭიროა ახალი ბალისტიკური რაკეტის გაშვება. ხოლო MIRV-ის შემთხვევაში, ბალისტიკური რაკეტის ერთ ერთ ფრენის სტადიაზე, ხდება ქობინების განაწილება, სხვადასხვა სამიზნის დასაზიანებლად.
3. ამცირებს ანტიბალისტიკური რაკეტების ეფექტურობას, რომლებიც ერთი ქობინის წინააღმდეგ მოქმედებენ. ასევე, შესაძლებელია სატყუარა გარეატმოსფერული ქობინების გამოყენება, “ნამდვილ” ქობინებთან ერთად, რაც შეამცირებს ანტიბალისტიკური რაკეტების მათ წინააღმდეგ მოქმედებას.⁸¹

მსოფლიოში პირველი MIRV იყო შეერთებული შტატების მიერ 1970 წელს შექმნილი Minuteman III. **მოქმედების პრინციპი - MIRV-ში**, სასატარტო ძრავს გაყავს “ავტობუსი” (ქვედა სურათზე D ნაწილი), სუბ-ორბიტულ ფრენის ფაზაზე. სასატარტო ფაზის შემდეგ, “ავტობუსი” მანევრირებს- მცირე

⁸⁰ „სარაკეტო სისტემა ქობინების ინდივიდუალური დამიზნებით“. გვ.1.

<https://geoarmada.wordpress.com/2013/02/22/%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%99%e1%83%94%e1%83%a2%e1%83%9d-%e1%83%a1%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%94%e1%83%9b%e1%83%90-%e1%83%a5%e1%83%9d%e1%83%91%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%94%e1%83%91/#more-1188>

⁸¹ იქვე. გვ.1.

რაკეტული ძრავებისა და კომპიუტერიზებული ინერციული სანავიგაციო სისტემების საშუალებით. ის იღებს ბალისტიკურ ტრაექტორიას, საიდანაც შემდეგ მოხდება, გარეატმოსფერული ქობინების სამიზნეზე მიტანა; შემდეგ კი ხდება ქობინების გადმოსროლა რომლებიც იწყებენ ფრენას ამ ტრაექტორიის მიმართულებით. ამის შემდეგ, ის, ისევ მანევრირებს ახალი ტრაექტორიისკენ და უშვებს ახალ ქობინს; ეს პროცესი მეორდება ყველა ქობინის შემთხვევაში.⁸² (იხ. დამართი #1, დანართი#2, დანართი#3, და დანართი#4).

ზუსტი ტექნიკური დეტალები, გასაიდუმლოებულია, რათა არ მოხდეს ამ ტექნოლოგიების გამოყენება მტრის მიერ. ზოგიერთ სარაკეტო სისტემას, მაგ. ბრიტანულ Chaveline-ს შეუძლია, გამოუშვას სატყუარა ქობინები, რათა შეცდომაში შეიყვანოს რადარები და ანტიბალისტიკური რაკეტები. უმნიშვნელოვანესია ასევე, სიზუსტე. სამიზნეზე ზუსტ მოხვედრას შეუძლია შეამციროს მის დასაზიანებლად საჭირო ქობინების რაოდენობა. სიზუსტის გამოხატვა ხდება: წრიული სავარაუდო გადახრის საშუალებით, რომელიც არის წრის რადიუსი, სადაც ქობინს აქვს 50%-ნი შანსი- მასში მოხვედრის, თუ მოხდება მისი დამიზნება წრის ცენტრში. ბალისტიკური რაკეტების Trident II-ის და Peacekeeper-ითვის, წრიული სავარაუდო გადახრა არის 90-100 მეტრი.⁸³

ამრიგად, სანამ მსოფლიო თანამეგობრობის ყურადღება მიმართულია „ახალი“ საფრთხეების დასაპირისკებლად, ამჯერად უფრო ფართო, მრავალმხრივ ფორმატში გროვდება წინაპირობები მთვლემარე „ძველი“ საფრთხეების აქტივიზაციისთვის გამაღებელი ბირთვული, სარაკეტო და კოსმოსური შეიარაღების სახით. საერთაშორისო უშიშროების ახალი

⁸² „სარაკეტო სისტემა ქობინების ინდივიდუალური დამიზნებით“. გვ.1.
<https://geoarmada.wordpress.com/2013/02/22/%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%99%e1%83%94%e1%83%a2%e1%83%9d-%e1%83%a1%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%94%e1%83%9b%e1%83%90-%e1%83%a5%e1%83%9d%e1%83%91%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%94%e1%83%91/#more-1188>

⁸³ იქვე. გვ.1.

სისტემის ჩამოყალიბება ნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული იმაზე, შეძლებს თუ არა მსოფლიო თანამეგობრობა შეათანხმოს ინოვაციური მიდგომები „ორმხრივი გარანტირებული განადგურების“ კლასიკური მოდელიდან „ორმხრივ გარანტირებულ უშიშროებაზე“ გადასასვლელად.⁸⁴

რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა შეადგენს შეიარაღების კომპლექსს, რომელიც მოწოდებულია დაიჭიროს და გაანადგუროს ბალისტიკური რაკეტები და მათი სათაო ნაწილები. ამოცანების შესრულების მიხედვით რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა ტრადიციულად იყოფა: 1. სტრატეგიულად - რომელსაც იყენებენ საკონტინენტაშორისო ბალისტიკურ რაკეტებთან ბრძოლისათვის (სტრატეგიული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა) და 2. სამხედრო მოქმედებების თეატრად (რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვასამხედრო მოქმედებების თეატრისთვის), იგი მოწოდებულია ებრძოლოს საშუალო, ნაკლებ და მცირე სიშორის ბალისტიკურ რაკეტებს. ბოლო დროს ხდება ფორმირება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის რეგიონალური არქიტექტურის, რომელსაც აქვს სამხედრო მოქმედებების თეატრის პარამეტრები, მაგრამ იმავდროულად შეუძლია შეასრულოს სტრატეგიული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ფუნქციის ერთ-ერთი კომპონენტი.⁸⁵

აქვე უნდა განვიხილოთ ის საბრძოლო გეგმები თუ რითაც არის შესაძლებელი მოწინააღმდეგის უკეთ განეიტრელება და უპირატესობის მიღწევა. წინმსწრები ბირთვული დარტყმა, ან უბრალოდ პირველი დარტყმა, ბირთვულ სტრატეგიაში ეწოდება წინმსწრებ მოულოდნელ თავდასხმას-ბირთვული იარაღებით. პირველი დარტყმის უნარიანობა არის ქვეყნის უნარი, დაამარცხოს მეორე, ბირთვული იარაღის მფლობელი ქვეყანა-მისი არსენალის იმ დონემდე განადგურებით, რომ, მან ვეღარ შეძლოს ომის

⁸⁴ გვენეტაძე ე. „საერთაშორისო უშიშროების ასპექტები“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბილისი -2017. გვ.256.

⁸⁵ გვენეტაძე ე. „საერთაშორისო უშიშროების ასპექტები“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბილისი -2017. გვ.256.

გაგრძელება; ხოლო თუ ის კონტრ-შეტევას განახორციელებს, მისი სიმძლავრე დიდი არ იქნება, რადგან ქვეყნის ყველაზე სტრატეგიული იარაღები, ამ თავდასხმის დროს უნდა განადგურდეს. უპირატესობა ენიჭება მოწინააღმდეგის საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების, შახტური გამშვები დანადგარების, სტრატეგიული ბომბდამშენების აეროდრომების და ბალისტიკური რაკეტით აღჭურვილი წყალქვეშა ნავების მთავარი პორტების მიზანში ამოღებას. ამ სტრატეგიას, საპირისპიროდ მოქმედი ძალა ეწოდება. პირველი დარტყმის განხორციელებისთვის, კარგ კანდიდატებად ითვლება, საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები, ქობინების ინდივიდუალური დამიზნებით.⁸⁶

პირველი დარტყმის საწინააღმდეგო საშუალებები:

- 1) მეორე დარტყმა-ქვეყნის უნარი, მასზე განხორციელებულ ბირთვულ თავდასხმას, თვითონაც უპასუხოს ძლიერი ბირთვული შეტევით; ამისათვის, ქვეყანამ არ უნდა დაუშვას რომ, თავდამსხმელმა შეძლოს, მისი სრული ბირთვული იარაღის განადგურება.
- 2) ბალისტიკური რაკეტით აღჭურვილი ატომური წყალქვეშა ნავების რაოდენობის გაზრდა. წყალქვეშა ნავები მაღალ მობილურები არიან და ფაქტიურად, შეუზღუდავი მოქმედების მანძილი აქვთ; ნაკლებად სავარაუდოა რომ, ბირთვული დარტყმის დამგეგმავმა ქვეყანამ, შეძლოს მოწინააღმდეგის ყველა ბალისტიკური რაკეტით აღჭურვილი წყალქვეშა ნავების ადგილმდებარეობის განსაზღვრა და მათი ნეიტრალიზება.
- 3) შესაძლებელია უფრო გამაგრდეს, სახმელეთო ბაზირების საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების, შახტური გამშვები დანადგარები. ვერც ერთი, რაკეტის შახტური გამშვები დანადგარი ვერ

⁸⁶ „წინმსწრები ბირთვული დარტყმა“. გვ.1.

<https://geoarmada.wordpress.com/2013/04/29/%e1%83%ac%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%9b%e1%83%a1%e1%83%ac%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98-%e1%83%91%e1%83%98%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%95%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%93%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%a2/>

გაუძლებს, ბირთვული იარაღის პირდაპირ მოხვედრას, თუმცა თუ ის საკმარისად გამაგრებული იქნება და იარაღი პირდაპირ არ მოხვდება მას, ის შესაძლოა გადარჩეს.

4) ბალისტიკური რაკეტების დამონტაჟება შეიძლება ავტოსატრანსპორტო საშუალებებზეც, როგორცაა მაგ. მოძრავი ამწევ გამშვები დანადგარები; ადგილმდებარეობის შეცვლის უნარის გამო, მოწინააღმდეგისთვის უფრო რთული იქნება მათი განადგურება.⁸⁷

ეროვნული რაკეტაწინამდებო სისტემის შექმნის აუცილებლობა უკავშირდება ჯორჯ ბუშის (უმცროსი) ადინისტრაციას, რაც, თავის მხრივ, გამოწვეული იყო 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერორისტული აქტით. რაკეტაწინამდებო თავდაცვის ხელშეკრულების მე-15 მუხლის მიხედვით ჯ. ბუშმა (უმროსმა) მსოფლიო თანამეგობრობას განუცხადა მისი შექმნის აუცილებლობაზე, რის შედეგადაც 2002 წლის იანვარში აშშ-მა რაკეტაწინამდებო თავდაცვის ახალი სისტემის პროგრამა შექმნა. რაკეტაწინამდებო თავდაცვის სისტემის შექმნა ითვალისწინებდა არა მხოლოდ ამერიკისი არამედ მისი მოკავშირეების და შტატების ძალების დაცვას საზღვარგარეთ.

ეს სისტემა ითვალისწინებდა რაკეტაწინამდებო ემელონირებული სისტემის მშენებლობას არა მარტო ამერიკის, არამედ მისი მოკავშირეებისა და შეერთებული შტატების ძალების დასაცავად საზღვარგარეთ. ამ მიზნით იგეგმებოდა ბალისტიკური რაკეტების დაჭერა და ფრენის ტრაექტორიის ნებისმიერ მანძილზე საბრძოლო ბლოკის გათიშვა. თუ ადრე მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ბალისტიკური რაკეტების საბრძოლო ბლოკების დაჭერა ფრენის საშუალო ტრაექტორიის მანძილზე, ახლა მას დაემატა მთავარი ამოცანა-დაჭერა ბალისტიკური რაკეტისა ფრენის

⁸⁷ „წინმსწრები ბირთვული დარტყმა“. გვ.1.

<https://geoarmada.wordpress.com/2013/04/29/%e1%83%ac%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%9b%e1%83%a1%e1%83%ac%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98-%e1%83%91%e1%83%98%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%95%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%93%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%a2/>

აქტიურ მანძილზე (გაქანების ფაზაზე) და საბრძოლო ბლოკების მისაღმომ სამიზნეებზე. რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებით იგეგმებოდა პოტენციური მოწინააღმდეგის იმ ტერიტორიის ინტეგრირებული გამოყოფა, საიდანაც შეიძლება მომხდარიყო რაკეტის გაშვება. საქმე ეხებოდა არა მარტო მიწისზედა, არამდე საზღვაო, საჰაერო და პერსპექტივაში კოსმოსურ ბაზირებას. პრიორიტეტი აშშ-ში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგებისას ენიჭებოდა იმ საკონტინტაშორისო ბალისტიკური რაკეტების დაჭერას და განადგურებას, რომლებიც შესაძლოა გაშვებული ყოფილიყვნენ ჩრდ. კორეის ტერიტორიიდან.⁸⁸

ზემოდხსენებულმა ქმედებამ კრემლის გაღიზიანება გამოიწვია. ოფიციალურ მოსკოვს აღშფოთებისთვის რამდენიმე სავარაუდო მიზეზი უნდა ჰქონოდა: 1. შტატები რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებს რუსეთის ტერიტორიის საზღვრებთან ახლოს განთავსებას აპირებდა. უნდა ითქვას, რომ სავარაუდოდ მოკლე სიშორის სანტისარაკეტ სიტემაზე შეიძლება ყოფილიყო საუბარი. 2. ანტისარაკეტო სისტემების სხმელეთო ნაწილში განთავსებისათვის შეირჩა ნატოს წევრი სახელმწიფოები. 3. ნატომ უარი განაცხადა ეპასუხა კრემლისათვის იმის თაობაზე რომ მოსკოვს მიეღო წერილობითი გარანტია იმის შესახებ რომ ანტისარაკეტო სისტემები საფრთხეს არ შეუქმნიდა და გამოყენებული არ იქნებოდა მათი ბირთვული პოტენციალის წინააღმდეგ. 4. ანტისარაკეტო სისტემების განტავსება ევროპაში გამოიწვევდა ევროპული სახელმწიფოებისა და ევროპელი ლიდერების პოლიტიკურ დამოუკიდებლობას , რაც თავისთავად შეამცირებდა კრემლის გავლენას რიგ ქვეყნებში.

დასავლელი სპეციალისტების უმტკიცებდნენ რუსეთ, რომ მესამე პოზიციურ რაიონში ბაზირებული ანტისარაკეტო რაკეტები არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა რუსეთისათვის და მათი თქმნით გამოყენების შემთხვევებშიც კი ისინი ვერც მიაღწევდნენ ვოლგისპირეთში განთავსებულ

⁸⁸ გვენეტაძე ე. „საერთაშორისო უშიშროების ასპექტები“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბილისი -2017. გვ.260-261.

რუსულ საკონტინენტაშორის ბალისტიკურ რაკეტებამდე. თუმცა ზემოთ ხენებული არგუმენტებისა და მიუხედავად რუსეთმა ისევ აგრესიული პოლიტიკის გაჟღერება არჩია, რამაც თავისთავად რუსეთ-ამერიკის და ნატო-რუსეთის ურთიერთობების დამაბზა გამიწვია.

რუსეთ-ამერიკის ურთიერთობების გაუმჯობესება ობამას ადმინისტრაციის გადატვირთვის პოლიტიკის შედეგია, რის შედეგადაც აშშ-მა უარი განაცხადა სტრატეგიული ანტისარაკეტო სისტემების განლაგებაზე ჩეხეთსა და პოლონეთში, ასევე შეიცვალა მიდგომები ევროპული სეგმენტის მიმართ რაკეტსაწინააღმდეგო თავდავის სისტემასთან დაკავშირებით.

სპეციალისტების აზრით რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის სრულყოფას გააჩნია სხვადასხვა გასათვლელი შესაძლო შედეგები. სახელდობრ, შეტევითი ბალისტიკური რაკეტების განადგურების კვალად რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვით კომპლექსებს შეუძლიათ განადგურება მზვერავი თანამგზავრების. მათ შესაძლებლობაში შედის აგრეთვე იმ თანამგზავრთა განადგურება, რომლებიც კოსმოსურ ემელონებთან კავშირის მეშვეობით უზრუნველყოფენ შეიარაღებული ძალების მართვას. რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ამ პროგრამის ფარგლებში საგანგაშო ფაქტორად ექსპერტები ასევე თვლიან განადგურების სხვა საშუალებების ახალ ფიზიკურ პრინციპებზე შექმნას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან ფაქტორს ბირთვული უსაფრთხოების კონტექსტში წარმოადგენს ჩინეთის მიერ კოსმოსში გაშვებული ახალი სატელიტი BeiDou-3, რომლის მიხედვითაც ის საკუთარ ნავიგაციის სისტემას ქმნის, რაც მას გახდის დამოუკიდებელს და მართვადი ბალისტიკური რაკეტების თვითონ საკუთარ პროგრამაზე მიბმას შეძლებს, რითაც აიცილებს გარკვეულ GPS სისტემების ხარვეზებს და კორდინატების ზუსტი დადგენით შეძლებს წერტილოვანი დარტყმების მიყენებას დედამიწის ნებისმიერ წერტილში. აღსანიშნავია, რომ დღესდღეისობით მსოფლიოში სულ 3 ნავიგაციის სისტემაა. ესენია ამერიკული GPS, რუსული GLONASS და ევროპული Galileo, ჩინეთის BeiDou-ს ნავიგაციის სისტემა კი მე-4 გახდება. ჩინეთის ხელისუფლების

განმარტებით, მათი ნავიგაციის სისტემა მუშაობას 2035 წელს დაიწყებს და GPS-ზე ბევრად მძლავრი იქნება.⁸⁹ ეს ფაქტი ჩინეთის, როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო ინდუსტრიისათვის და გლობალური უსაფრთხოების თვალთსაზრისით მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

2010 წელს აშშ-ში წარმატებით გამოსცადეს მოდიფიცირებული ლაზერული დანადგარი თვითმფრინავ „ბონგის“ ბორტზე. მისი მეშვეობით ჩამოგდებული იქნა მცირე სიშორის რაკეტა. ჯერჯერობით საუბარი მიდის საჰაერო ბაზირების რაკეტაწინააღმდეგო ტექნოლოგიებზე. მაგრამ ამ დარგში წარმატებებმა შეიძლება მოიტანოს ის, რომ ისინი მომავალში შეიძლება გამოყენებული იქნან კოსმოსიდან მიწისზედა დარტყმებისათვის. ამიტომ რეალური კომპრომისების ძიება და პრობლემების გადაწყვეტა აუცილებელია მომავალი გლობალური უსაფრთხო მსოფლიოსათვის.⁹⁰

Boeing YAL-1 არის მეგავატის სიმძლავრის ქიმიური ჟანგბად იოდური ტიპის ლაზერი, დამონტაჟებული მოდიფიცირებულ Boeing 747-400F ზე. მისი მთავარი დანიშნულება იყო ტაქტიკური ბალისტიკური რაკეტების განადგურება. ქიმიური ჟანგბად იოდური ლაზერი წარმოადგენს ინფრაწითელ ქიმიურ ლაზერს. რადგან სხივი არის ინფრაწითელი, მისი დანახვა შეუირადებელი თვალთ შეუძლებელია. 2007 წელს, YAL-1 იდან, მცირე სიმძლავრის ლაზერით, მოხდა სატესტო გასროლა საჰაერო სამიზნეზე. ხოლო 2010 წელს, მაღალი სიმძლავრის ლაზერის შემოწმება მოხდა სამიზნეზე და მომდენო თვეს უკვე გაანადგურა ორი სატესტო რაკეტა. პროგრამის დაფინანსება შეწყდა 2010 წელს და პროექტი 2011 წელს შეწყდა.⁹¹

კვლევის ფარგლებში დამატებით ჩვენ შეგვიძლია დავსვათ კითხვები იმ პოტენციური რისკების გამოსავლენად, რომლებიც ახალი ტექნოლოგიების

⁸⁹ „BBC-ის ინფორმაციით, ჩინეთმა კოსმოსში სატელიტი გაუშვა, რომლის მეშვეობითაც ქვეყანა ნავიგაციის საკუთარ სისტემას შექმნის“. გვ.1.

<https://www.interpressnews.ge/ka/article/605961-bbc-is-inpormaciit-chinetma-kosmosshi-sateliti-gaushva-romlis-meshveobitac-kveqana-navigaciis-sakutar-sistemas-shekmnis>

⁹⁰ გვენეტაძე ე. „საერთაშორისო უშიშროების ასპექტები“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბილისი -2017. გვ.265-266.

⁹¹ „Boeing YAL-1“. გვ.1. <https://geoarmada.wordpress.com/2012/12/15/boeing-yal-1/>

განვითარებასთან ერთად ექმნება საერთაშორისო სტრატეგიულ სტაბილურობას თუ როგორ ერწყმის ის საერთაშორისო პოლიტიკას. შეუძლია თუ არა შეიარაღებაზე კონტროლს შეიცავდეს ახალ ტექნოლოგიებს? და აქვს თუ არა მომავალი სტრატეგიულ შეიარაღებაზე კონტროლს? შეიარაღებაზე კონტროლს პოტენციურად შეუძლია შეამციროს სტრატეგიული სტაბილურობისათვის რისკები, რომელიც არის დაკავშირებული ახალი ტექნოლოგიების შექმნასთან დინამიურობის ჩართულობის შედეგად შეიარაღებაზე კონტროლის სტრუქტურაში. საბოლოო ჯამში, შეიარაღებაზე ასიმეტრიულ კონტროლს შეუძლია დადებითი როლი ითამაშოს სტრატეგიული სტაბილურობის უზრუნველყოფაში, სხვადასხვა სფეროების გადაკვეთის და საერთაშორისო ბუნების ასახვის თანახმად საერთაშორისო კონფლიქტების და ამ სტრუქტურას პოტენციურად შეუძლია გამოყენებულ იქნას ახალი და განვითარებადი ტექნოლოგიების პირობებში, რომლებიც სცილდება ჰიპერბგერით სატრანსპოსტო სისტემებს. შეიარაღებაზე კონტროლის დაწესებამ მნიშვნელოვნად შეიძლება შეამციროს რისკები, მაგრამ ამისთვის საჭიროა შეიარაღებაზე კონტროლის განახლება და ასევე სტრატეგიული სტაბილურობის მიღწევა, რაც თანამედროვე იმის ქმის საშუალებას, რომ სტრატეგიულ შეიარაღებაზე კონტროლს მომავალი აქვს. მოდით უკეთ გავერკვეთ სტრატეგიული სტაბილურობის არსში - **სამხედრო-სტრატეგიული სტაბილურობა** – საერთაშორისო ურთიერთობების სტაბილური მდგომარეობა რეგიონულ და გლობალურ დონეზე, რომლის დროსაც სახელმწიფოები (სახელმწიფოების კოალიციები) სადავო საკითხების მოსაგვარებლად სამხედრო საშუალებებს არ მიმართავენ.⁹²

⁹² „სამხედრო-სტრატეგიული სტაბილურობა“. გვ.1.

<http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90>

საკმაოდ რთულია სამხედრო სტრატეგიული სტაბილურობის მიღწევა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, მაგრამ ბირთვული არსენალის არსებობა გარკვეულწილად ასტაბილურებს არსებულ დამაბულობას და არ იძლევა საშუალებას ფართომასშტაბიანი ომებისა ბირთვულ სახელმწიფოებს შორის და ასევე არაბირთვულ სახელმწიფოებს ემინიათ ბირთვული დარტყმების და განადგურების, რაც მათ აგრესიულ ამბიციებს აკავებს. სწორედ აქ თამაშობს მთავარ როლს ძალთა ბალანსის თეორია სადაც თუ ერთმა მხარემ მოიპოვა სტრატეგიული უპირატესობა მეორე მხარეს უწევს სწრაფი ტემპებით დაწევა და ბალანსის გაწონასწორება, ხოლო თუ კი მან ეს ვერ მოახერხა ის დამარცხდება. მეორე ფაქტორის დროს კი როდესაც უპირატეს სტრატეგიულ ძალას ერთი მხარე ფლობს უკვე ყველაფერი ნათელია, ის წარმართავს და აწესებს პოლიტიკური თამაში დღისწესრიგს. ძალთა ბალანსის თეორიე უკეთ გვეხმარება გავიგოთ სტრატეგიული შეკავების პოლიტიკის არსი და ბუნება, რაც თანამედროვე მსოფლიოში არსებული რისკების ფონზე აუცილებელია.

2016 წლის ნატოს ვარშავის სამიტის ფარგლებში ხაზი გაესვა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს, ალიანსმა დაასახელა ის ძირითადი საფრთხეები და გამოწვევები თუ რასთან უწევს ნატოს ბრძოლა და ხაზი გაესვა მოსალოდნელ საფრთხეებს. მთავარ გამოწვევად ნატოს წინაშე დასახელდა აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან მომდინარე საფრთხეები, როგორც სახელმწიფო ასევე არასახელმწიფო აქტორებისგან, კიბერ, ტერორისტული და ჰიბრიდული საფრთხეები. არსებული საფრთხეებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი როლი ეთმობა რუსეთის რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შეჩერებას. ამავე დროს ჩრდილოეთ აფრიკაში და ახლო აღმოსავლეთში არსებულ უსაფრთხოების გარემოს თუ რა გავლენას ახდენ ამ რეგიონებში არსებული დამაბულო ვითარება ალიანსის წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოებაზე.

შეკავებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში ნატომ აღმოსავლეთ ფლანგის გაძლიერების სტრატეგია დასახა. ნატოს სამიტის

დეკლარაციაში აღინიშნა, რომ აღინსმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა შეკავებისა და თავდაცვის მექანიზმების გასამლიერებლად.⁹³ ვარშავის სანიტზე ნატოს ლიდერების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ბალტიის ქვეყნებში ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში და პოლონეთში აღინსმა განათავსა 4 სამხედრო ქვედანაყოფი ბატალიანოს ზომის. შემდგომ კი უკვე მოჰყვა ანტისარაკეტო სისტემების განთავსე, რასაც რუსეთი საკმაოდ აგრესიულად შეხვდა თუმცა ღია აგრესიული ნაბიჯების გადადგმა ვერ შეძლო. 2016 წელს რუმინეთში დესეველის სამხედრო ბაზაზე ნატოს ანტისარაკეტო ფარი ამოქმედდა. მოცემულ გადაწყვეტილებამდე ნატომ 2014 წელს უელსის სამიტზე დაამტკიცა მზადყოფნის სამოქმედო გეგმა. რაც იქნა მიღებული რუსეთისგან მომდინარე საფრთხეებისთვის აღინსის სტრატეგიული გავლენის საპასუხოდ.

ვარშავის სამიტის ფარგლებში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო შავი ზღვისა და ბალტიის ზღვის უსაფრთხოების საკითხებს. რეგიონში განვითარებული პროცესებიდან გამომდინარე, მათ შორის ყირიმის ანექსიისა და აღნიშნულ ტერიტორიაზე რუსეთის მიერ ჭარბი სამხედრო ინფრასტრუქტურის მობილიზების გათვალისწინებით, შავი ზღვის უსაფრთხოება მოკავშირეთა განსაკუთრებული ყურადღების არეალში მოექცა. ამ მხრივ ვარშავის სამიტის დეკლარაციაში ხაზი გაესვა რუმინეთის ინიციატივის მნიშვნელობას მრავალეროვნული ბრიგადის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. ასევე, აღინიშნა, რომ განხილული იქნება სხვადასხვა შესაძლებლობა რეგიონში ნატო-ს ყოფნის გასამლიერებლად. დეკლარაციაში მკაფიოდ არის ხაზგასმული, რომ აღიანსი გაამლიერებს დიალოგსა და თანამშრომლობას საქართველოსთან და უკრაინასთან შავი ზღვის აკვატორიაში უსაფრთხოების თემებთან დაკავშირებით.⁹⁴

⁹³ „ნატო-ს ვარშავის სამიტის დეკლარაციის მოკლე მიმოხილვა“. გვ.2.
<http://gcsd.org.ge/storage/files/doc/NATO-Warsaw-Summit-FINAL.pdf>

⁹⁴ „ნატო-ს ვარშავის სამიტის დეკლარაციის მოკლე მიმოხილვა“. გვ.4.
<http://gcsd.org.ge/storage/files/doc/NATO-Warsaw-Summit-FINAL.pdf>

შესაბამისად ჩვენ ვნახეთ, რომ საკმაოდ გააქტიურა ნატომ შავიზღვის აკვატორიაში თავის სამხედრო გემების ყოფნა.

ამასთან დაკავშირებით რუსეთმა დაიწყო აქტიურად მოდერნიზება და განახლება თავისი ბირთვული წყალქვეშა ფლოტის, რომლებიც აღჭურვილნი არიან ჰიპერბგერითი რაკეტებით, ოფიციალური ცნობით 2024 წლისათვის იქნება სრულ მზადყოფნაში და შეძლებს სამხედრო ოპერაციების შესრულებას. ამისათვის რუსეთს მოუწია თითქმის ყველა სამხედრო პროექტის განხორციელებაზე აურის თქმა და დროებით შეჩერება. შავ ზღვაში მოცემული ფლოტის შეყვანით რუსეთი ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებს მისწვდება და შესაძლებლობა ექნება მოკლე რადიუსის ფარგლებში ბირთვული დარტყმები განახორციელოს.

თანამედროვე საერთაშორისო სტრატეგიული სტაბილურობისთვის საკმაოდ დიდ საფრთხეს წამოადგენს ჰიპერბგერითი სარაკეტო სისტემები, იქიდან გამომდინარე, რომ დღეისათვის ეს ტექნოლოგიები წარმოადგენენ ყველაზე უსწრაფეს სამხედრო შეიარაღებას მსოფლიოში. აღნიშნული ჰიპერბგერითი სისტემების დაჭერა ანტისარაკეტო სისტემებისთვის და რაკეტსაწინააღმდეგო მოდულებისთვის ძალიან რთულ ამოცანას წარმოადგენს. ღიად შეიძლება იტყვას, რომ ყველა სახელმწიფოსთვის საკმაოდ დიდ პრობლემას და საფრთხეს წარმოადგენს ჰიპერბგერითი რაკეტები. „ჰიპერბგერით სარაკეტო სისტემას გააჩნია 8-დან 12-მდე მახ-ის სიჩქარე (მახ-ი მაღალი სიჩქარეების სადემონსტრაციოდ შემოღებული სიდიდეა, რომელიც აჩვენებს, თუ რამდენჯერ აღემატება ამა თუ იმ ობიექტის სიჩქარე ბგერის სიჩქარეს), რაც გულისხმობს იმას, რომ ეს არის ყველაზე დიდი სიჩქარე. მას შეუძლია ძალიან მოკლე დროში საკმაოდ სწრაფად მიაღწიოს დანიშნულების ადგილზე. ეს არის ყველაზე უკეთესი ვარიანტი არსებულთა შორის. ჰიპერბგერითი სარაკეტო კომპლექსები იმით არის კარგი, რომ ეს არის დაახლოებით მე-5 თაობის სარაკეტო კომპლექსი,

რომელთა გადაჭერა რაკეტაწინააღმდეგო სისტემისთვის, ფაქტობრივად, შეუძლებელია ამ ეტაპზე.⁹⁵

2017 წელს აშშ-მა და ავსტრალიამ, ავსტრალიის საცდელ პოლიგონზე მოახდინეს ჰიპერბგერითი რაკეტის გამოცდა. HIFiRE პროექტის ფარგლებში რომლის ღირებულებამაც 54 მილიონი დოლარი შეადგინა აშშ-მა და ავსტრალიამ ჰიპერბგერითი საავიაციო რაკეტა შექმნეს, რომლის ფრენის სიჩქარე 7700 მილს საათში ან 12000 კმ/სთ-ს შეადგენს. ამერიკულმა მხარემ განაცხადა, რომ რაკეტის შექმნაზე იმის გამო მოუწიათ მუშაობის დაწყება, რომ აღნიშნული მიმართულებით უკვე ჩინეთი და რუსეთი მუშაობდნენ. დღეისათვის ჰიპერბგერითი რაკეტები გააჩნიათ და განვითარებას აწარმოებენ აშშ-ში - Lockheed Martin SR-72, Boeing X-51 Waverider, Advanced Hypersonic Weapon (AHW), Hypersonic Technology Vehicle2, HTV-3X. Boeing X-37B იხ. დანართი #5, რუსეთი - Yu-71, AS-19 <<Koala>>, Zircon3M22, იხ. დანართი#6, ჩინეთი -DF-ZF (American designation Wu-14) იხ. დანართი#7, და ინდოეთი - BrahMos-2, Shaurya იხ. დანართი #8.

აშშ-ს შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სარდლობის გენერალმა, ჯონ ჰაიტენმა (John Hyten), 2018 წლის თებერვალს, აშშ-ს არმიის რაკეტაწინააღმდეგო და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ასოციაციის კონფერენციაზე, სიტყვით გამოსვლისას, რუსეთისა და ჩინეთის ჰიპერბგერითი შეიარაღების წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებების შესახებ ისაუბრა. გენერალი, ბალისტიკური და ჰიპერბგერითი საფრენი აპარატების გაშვების გაფრთხილებისა და ლიკვიდაციის მიზნით, ხელისუფლებას კოსმოსური შეკავების საშუალებებზე სთხოვს ყურადღების კონცენტრირებას. კოსმოსიდან ჰიპერბგერითი აპარატის აღმოჩენის შემდეგ,

⁹⁵ „რუსები წყალქვეშა ნავეებზე ჰიპერბგერითი რაკეტების დამონტაჟებას იწყებენ - აშშ-ის დაზვერვა“. გვ.1. http://resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=56441

მისი განადგურება კოსმოსური გადამწოდის გამიზვნით, ტრადიციული სახმელეთო ან საზღვაო საშუალებების გამოყენებით უნდა მოხდეს.⁹⁶

გასული წლის დეკემბერში რუსეთმა თავისი ჰიპერბგერითი რაკეტა ავანგარდის საცდელი ფრენა მოაწყო მოსკოვმა განაცხადა, რომ რაკეტას 11000კმ/სთ სიჩქარით მოძრაობს და მას შეუძია რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვით სისტემებისგან თავის არიდება შეუძლია. სისტემა რომელიც ჰიპერბგერითი პლანეტის სახელით არის ცნობილი შეუძლია ბირთვული და ჩვეულებრივი ქობინების გადატანა. ჰიპერბგერითი სარაკეტო სისტემები არსებულ სარაკეტო სისტემებს სიჩქარით და მანევრულობით უსწრებენ და მათ შეუძლიათ ანტისაჰაერო და ანტისარაკეტო სისტემების გარღვევა, ასევე მიმდინარეობს თანამგზავრების საწინააღმდეგო ტექნოლოგიების კვლევა რომელიც რაკეტებსაც მოიცავს. ორმაგიდანიშნულების რაკეტების შემუშავებამ რომლებსაც ბირთვული და ჩვეულებრივი ქობინების გადატანა შეუძია ბირთვული გაურკვევლობის ახალი დონე და დამანგრეველი შეცდომის დაშვების შესაძლებლობის პოტენციალი შექმნა. კრიზისულ ვითარებაში სამხედროები ძალიან მძიმე წნეხის ქვეშ მოქმედებენ და როდესაც არ იციან მათი მისამართით რომელი ტიპის რაკეტა მოფრინავს შეიძლება ჩათვალოს, რომ ეს არის ბირთვული რაკეტა და ვითარება არასწორად განსაზღვრონ რასაც უნებლიე ესკალაცია შეიძლება მოჰყვეს.

სიღრმისეული ინტერვიუები ექსპერტებთან

კვლევაში მონაწილე ექვსივე ექსპერტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სტრატეგიული დამრტყმელი შაირალების და მასობრივი გადანგურების იარაღის როლი მსოფლიო პოლიტიკაში წარმოადგენს უმნიშვნელვანეს საკითხს და დიდ გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკაზე და ხშირად განსაზღვრავს მის მომავალსაც. რესპოდენტები განმარტავენ, რომ

⁹⁶ „აშშ-ს ანტისარაკეტო სისტემა და ჰიპერბგერითი საფრთხეები“. გვ.1.
https://thedeaddistrict.blogspot.com/2018/03/blog-post_9.html

თანამედროვე საფრთხეების პირობებში აუცილებელია ბირთვულს სახელმწიფოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება. მათ მიაჩნიათ, რომ სტრატეგიული დამრტყმელი და ბირთვული იარაღის შემზღუდველი ხელშეკრულებების გაფორმება და ამ პროცესში ყველა ყველა იმ ქვეყნის ჩართულობა რომელსაც გააჩნია შესაბამისი შეიარაღება.

ჩაღრმავებული ინტერვიუს ჩასატარებლად შევარჩიეთ რვა კითხვა ქართულად და ინგლისურად, რომელიც მოცემულია დანართი#9-ში, ასევე ორგინალი ექსპერტების პასუხებისა პრედერიკ ლაზარესი, ჯონ სკოტის და ალექსანრე კრავშორვის ინგლისურად მოცემული დანართი#10-ში, დანართი#11-ში და დანართი#12-ში. კვლევისას ექპერტებს დაესვათ შემდეგი კითხვები:

1. რა როლს თამაშობს თანამედროვე პერიოდში სტრატეგიული დამრტყმელი ბირთვული შეიარაღება და ბირთვული ტრიადის ფაქტორი გლობალური უსაფრთხოების კონტექსტში?
2. აშშ-მა და რუსეთმა ცივი ომის პერიოდის შემდეგ არაერთი შეთანხმება გააფორმეს ბირთვული ექსპანსიის საფრთხის შემცირებისთვის, დღეისათვის მარტო New START-ია ძალაში 2021 წლამდე, თუ მოსკოვი და ვაშინგტონი მისი მოქმედების ვადას არ გააგრძელებენ მაშინ რა საფრთხის წინაშე დადგება გლობალური სტრატეგიული უსაფრთხოება?
3. როგორ ფიქრობთ მას შემდეგ რაც, 1987 წლის ვაშინგტონის შეთანხმება საშუალო და მოკლე რადიუსის ბირთვული რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ გაუქმდა დაიწყება თუ არა გამალებული შეიარაღება აშშ-სა, რუსეთსა და სხვა გლობალურ მოთამაშეებს შორის?
4. გლობალურ პოლიტიკაში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის პირობებში და მისგან მომდინარე საფრთხეების ფონზე ნატოს როლი ალიანსის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში?

5. ნატოს ბირთვული შეკავების პოლიტიკა რამდენად ეფექტურია ტექნოლოგიური ტერორიზმის და ახალი ასიმეტრიული საფრთხეების პირობებში?
6. როგორ ფიქრობთ ბირთვული იარაღის ფაქტორი რა როლს თამაშობს თანამედროვე კონფლიქტების წარმოებისას და არის თუ არა ის მთავარი შემაკავებელი ფაქტორი მესამე მსოფლიო ომის არ დაწყების?
7. რა საფრთხეს უქმნის მსოფლიოს ბირთვული იარაღის გავრცელება და ბირთვულმა სახელმწიფოებმა რა ზომები უნდა მიიღონ ბირთვული გაუვრცელებლობის საკითხში?
8. თანამედროვე პერიოდში რა პოლიტიკა უნდა გაატარონ სახელმწიფოებმა და ნატომ მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის და გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით?

21-ე საუკუნეში უფრო აქტუალური გახდა საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხი, რადგან თანამედროვე მსოფლიოში არსებული ახალი გამოწვევების და გეოპოლიტიკური ტრანზაციის ფონზე, უფრო მნიშვნელოვანი გახდა სტრატეგიულ დამრტყმელ შეირაღების და მასობრივი განადგურების იარაღის როლი. თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვანია შეირაღებაზე სტრატეგიული პარიტეტის შენარჩუნება, როცა გლობალური გამოწვევები სერიოზულ საფრთხეს უქმნის სრულიად კაცობრიობას. ისეთი საფრთხეების წინაშე, როგორცაა ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საშიშროება, ასიმეტრიული საფრთხეები და არშემდგარი სახელმწიფოები. საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა უფრო დაუცველია არსებული რისკების, საფრთხეების და გამოწვევების ფონზე.

თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში უსაფრთხოების საკითხი საკმაოდ აქტუალური გახდა უახლესი ტექნოლოგიების განვითარების ფონზე. გლობალური უსაფრთხოების წინაშე მდგარი რისკების, საფრთხეების და გამოწვევების ფონზე, რომლებიც ყოველდღიურად იზრდება სახელმწიფოები უძღურები არიან გაუმკლავდნენ ერთიანი ძალისხმევის

გარეშე. აქედან გამომდინარე სულ უფრო იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობა, სადაც ნატო-ს როლი და ფუნქცია უფრო აქტუალური ხდება. საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში სახელმწიფოები ქმნიან გარკვეულ წესრიგს, რასაც ეფუძნება გლობალური უსაფრთხოება.

თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხების კვლევისას ძირითადი ყურადღება ეთმობა გლობალურ („ვერტიკალურ“) პრობლემებს. ეს აიხსნება იმით, რომ ტრადიციულ და რიგ ახალ საფრთხეებს აქვთ გლობალური მასშტაბი და მოითხოვენ გლობალურ ურთიერთქმედებას მათთვის წინააღმდეგობის გასაწევად.

ვლადიმერ (ნიკა) ჩიტაძე - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, „ჯორჯ მარშალის სახელობის ცენტრის კურსდამთავრებულთა კავშირი - საქართველო, საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხების კვლევის ცენტრი“-ს ხელმძღვანელი, ექსპერტი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში.

1. როდესაც ობამა გახდა აშშ-ის პრეზიდენტი 2008 წელს, და მიზეზი გადატვირთვის პოლიტიკის, რომელიც ობამას ადმინისტრაციამ შეიმუშავა რუსეთთან მიმართებაში უკავშირდებოდა სტარტის ხელშეკრულებას, ანუ ბირთვული შეიარაღების შემცირებას, რომელსაც 2010 წელს მოეწერა ხელი და ორივე მხარემ, როგორც ამერიკის სენატმა ასევე რუსეთის სახელმწიფო დუმამ ამ ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინეს.

ნატოს უკანასკნელ სამიტებზე, მათ შორის ვარშავის უკანასკნელ სამიტზე განიხილებოდა ბირთვული ფაქტორი, თუმცა მეორეს მხრის, სულ უფრო დიდ როლს ასრულებს, ანუ ჩანაცვლებას აკეთებს უკვე საინფორმაციო ფაქტორი და ეკონომიური ფაქტორი,

საინფორმაციო ბოლო პერიოდის განმავლობაში, იმას ვგულისხმობ, რომ ეკონომიკურმა ფაქტორმა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან წამყვანი როლის შესრულება დაიწყო, ანუ ყველა წიგნი რაც კი საერთაშორისო ურთიერთობებს ეხება ყველგან 20% ზე მეტი ეკონომიკურ ურთიერთობებს ეთმობა. ანუ დაპირისპირება, რომელიც არსებობდა ცივი ომის დროს და გამალებული შეიარაღება მიდიოდა, ორი ბირთვული სახელმწიფოს გამარჯვება დამთავრდა აშშ-ის გამარჯვებით, პირველ რიგში ეკონომიკური თვალსაზრისიდან გამომდინარე. თუ ცივი ომიდ დროს ორივე მხარე იწონებდ თავის იმით რომ განათავსეს სტრატეგიული რაკეტები განათავსეს, მაგ: ამერიკამ 79 წელს განათავსა ბრიტანეთში პერშინგები, ხოლო სსრკ-ის განათავსებელი ქონდა სტრატეგიული დაჯგუფების რაკეტები აღმოსავლეთ ევროპაში ანუ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ქვეყნებში, მაგრამ დღეს უფრო წინ საინფორმაციო და ეკონომიკური ფაქტორებია. მაგალითად წამყვანი სახელმწიფოები დღეს ადანაშაულებენ ერთმანეთს თუ ვინ გაავრცელა კორონა ვირუსი, მაგრამ რა თქმა უნდა ბირთვული ფაქტორი კვლავ რჩება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, მაგრამ რომ ვთქვათ გარკვეული ჩანაცვლება ხდება ამ ეკონომიკური და საინფორმაციო ფაქტორით.

2. რაც შეეხება სტარტის შეთანხმებას, საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ეს შეთანხმება ორივე მხარისთვის, რადგან თითქმის 30-30 %-ით შეამცირეს ბირთვული შეიარაღება ამ ორ სახელმწიფოში, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი რომ ამ ორ სახელმწიფოზე, მოდის მსოფლიოში არსებული ბირთვული იარაღის დაახლოებით 90%. თუ ვთქვათ არ გაგრძელდა ეს ხელშეკრულება, არ იქნება სწორი რადგან ორივე მხარეს აწყობს ამ ხელშეკრულების გაგრძელება და ბირთვული იარაღის შემცირება. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ორივე სახელმწიფოს ბირთვული იარაღით შეიარაღებაში ერთნაირი

რესურსი აქვთ. მაგრამ თუ უროვე მხარემ პასუხისმგებლობა მოიხსნა იქიდან გამომდინარე, რომ აშშ-ის ბიუჯეტი რუსეთის თავდაცვის ბიუჯეტს აღემატება დაახლოებით 10-ჯერ ნუ ბუნებრივია აშშ-ის უფრო დიდი პოტენციალი ექნება, ამიტომ რუსეთს არ უნდა აწყობდეს ამ ხელშეკრულების არ გაგრძელება. სამხედრო თვალსაზრისით ანუ საბჭოთა იმპერიამ თავის დროზე ვერაფერი ვერ დაუპირისპირა აშშ-ის როდესაც რეიგანის ადმინისტრაციის დროს განაცხადა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის შექმნასთან დაკავშირებით, ანუ კოსმოსში სარაკეტო ფარის შექმნის შესახებ. როცა აშშ გამოყოფდა თავისი ბიუჯეტის 5 % თავდაცვაზე ამ დროს საბჭოთა კავშირი გამოყოფდა 20 %ს, მაგრამ ამერიკის შიდა პროდუქტი 3 ჯერ აღემატებოდა სსრკ-ის. უნდა ვთქვათ ისიც რომ დღესაც რუსეთი კი ათამაშებს ყუთებს მაგრამ ბუნებრივია რომ აშშ ბევრად მზარდი სამხედრო პოტენციალი გააჩნია. ნუ ახლა შეიძლება შემცირდეს კორონა ვირუსის გამო, რადგან აშშ 3 ტრილიონიანი პაკეტი დაამტკიცა დასახმარებლად. საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვან, რომ მსოფლიოსთვის უფრო კარგია, რომ არ დასრულდეს სტარტის ხელშეკრულება და გაგრძელდეს .

3. მოკლევადიან პერსპექტივაში კორონა ვირუსის გამო, რადგან მსოფლიო ბანკების გათვლით 2020 წელს მსოფლიო ეკონომიკა შემცირდება 3%-ით. გამომდინარე აქედან ამ ეტაპზე ბირთვული სახელმწიფოების მცდელობა იქნება მიმართული კორონა ვირუსის გამო გამოწვეული პრობლემების და ეკონომიკური პრობლემების აღმოსაფხვრელად. საშუალო ვადიან პერსპექტივაში შესაძლებელია რომ ისევ დიდმა სახელმწიფოებმა კვლავ გაამახვილონ ყურადღება სამხედრო პოტენციალზე, ეს რა თქმა უნდა არ ეხება მხოლოდ ბირთვულ შეიარაღებას. აშშ-იმ მთლიანად ნატომ გაზარდა სამხედრო დასწრება ბალტიის პირეთსა და პოლონეთში სადაც 4-5 ათასიანი

კონტიგენტი იყო განთავსებული. 2018- ში ნატომ ჩაატარა ჩრდილოეთის და ბალტიის ზღვებში სამხედრო წრთვები სამკაპი, ამის საპასუხოდ რუსეთმა ჩაატარა წრთვები ჩინეთთან. უნდა აღნიშნოთ რომ ორივე სახელმწიფოში მიდიოდა გამალებული შეიარაღება მარგრამ რუსეთს არ უნდა აწყობდეს, რადგან ამერიკას ბევრად მეტი სამხედრო მოსამსახურე ყავს ვიდრე სურეთს, ფაქტია რომ მაინც არის დაპირისპირება ამ ორ ქვეყანას შორის სამხედრო თვალსაზრისით. მაგრამ იქიდან გამომდინარე რომ ქვეყნები ამ ეტაპზე კორონა ვირუსის გამო სხვა საზრუნავში არიან დროებით და ალბათ შეჩერდება გამალებული სამხედრო შეიარაღებაზე ზრუნვ ამ ორ ქვეყანაში.

4. ნატოს როლი რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია, ნატო არის მძლავრის სამხედრო პოლიტიკური გაერთიანება მსოფლიოში. მსოფლიოში ესეთი მძლავრი გაერთიანება ალბათ არც ყოფილა, ნუ ალიანსები და კოალიციები იქმნებოდა მაგრამ მალევე იშლებოდა და არცერთი არ იყო ისეთი მძლავრი, როგორც ნატო. ამ ყველას პოტენციალი გაცილებით ნაკლები იყო რა თქმა უნდა ვიდრე ნატოს პოტენციალი. ამიტომ ცივი ომის შემდგომ პერიოდში როდესაც უკვე ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფციები იყო მიღებული მათ შორის 91 წელს, 99 წელს ვაშინგტონის სამიტზე, მათ შორის 2010 წელს ლისაბონის სამიტზე ყვლგან რა თქმა უნდასაუბარი იყო მასობრივი განადგურების იარაღზე და ნატოს განსაკუთრებულ როლზე ამ საკითხში.ვიციტ რომ ნატოს ფარგლებში შეიქმნა ბირთვული დაგეგმარების ჯგუფი რომელიც ფუმქციონირებს. ასევე მასობრივი განადადგურების იარაღში მარტო ბირთვული იარაღი არ იგულისხმება, ასევე იგულისხმება ქიმიური, ბაქტერიოლოგიული და ბიოლოგიური იარაღიც. აქედან გამომდინარე მიმაჩნია რომნატოს შეუძლია წინ აღუდგეს აღნიშნულ ქმედებებს, პლიუს ამას ემატებაიქ

ფაქტი რომ ნატოში გაწევრიანებულია სამი ბირთვული სახელმწიფო აშშ, საფრანგეთი და ბრიტანეთი. აქედან გამომდინარე ამ ქვეყნება უნდა დააბალანსოს რუსეთის და ჩინეთის ბირტვული პოტენციალი. ბუნებრივია რომ ნატოს საკმაოდ დიდი რესურსი აქვს ბირთვულ იარაღთან ბროლისათვის მაგრამ რა თქმა უნდა ის არ არის ყოვლის შემძლე .არის რიგი მაგალითები როდესაც ნატომ ვერაფერი ვერ შეძლო და მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სირიის მაგალითი როდესაც ქიმიური იარაღი გამოიყენე საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ მაგრამ ნატო ამ პროცესში ვერ ჩაერია.

5. რაც შეეხება ბირთვული შეკავების პოლიტიკას, მე ვფიქრობ, რომ ახლა არ არის სრულყოფილი, ჩვენ ვიცი რომ ნატო და პირველ რიგში ამერიკა მუშაობდა რაკეტაწინააღმდეგო სისტემაზე. ეს რაკეტაწინააღმდეგო პოლიტიკა რა თქმა უნდა პირველ რიგში მიმართულია რუსეთისაკენ და არა ირანისა და ჩრდილოეთ კორეისაკენ, რასაც ნატო და ამერიკა ამტკიცებდა. 2010 წელს გადატვირთვის პოლიტიკის ფარგლებში, როდესაც მიღებული იქნა ალიანსის ახალი სტრატეგიული კონცეფცია, იქ რუსეთი განიხილებოდა როგორც პოტენციური პარტნიორი, ანუ რუსეთთან ერთად უნდა შექმნილიყო ანტი სარაკეტო ფარი, რომელიც ორი კომპონენტისგან შედგება, ერთი რომელიც რაკეტას ანადგურებს და მეორე, რომელიც თვითონ უშვებს რაკეტას, მაგრამ ჯერ ჯერობით არ არის სრულყოფილი ეს ფარი და ეს ბირთვული შეკავება. რაც შეეხება ტერორიზმს, ასიმეტრიულ საფრთხეებს და მასობრივი განადგურების იარაღს ნატო ნამდვილად მუშაობს საერთაშორისო საზოგადოებასთან ამ საკითხთან დაკავშირებით. მაგრამ ხშირ შემთხვევაში ძალიან რთულია ამ პრობლემას წინ აღუდგე. მაგალითად რამდენი ხანია მიმდინარეობს საუბარი ირანის ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით და ჯერ ბოლომდე არ არის დამტკიცებული ნამდვილად ამზადებს თუ

არა ირანი ბირთვულ იარაღს. იგივე ჩრ. კორეის სარაკეტო პროგრამა, სადაც საუბარია იმაზე რომ 2003 წლს იგი გამოვიდ იმ ხელშეკრულებისან რომელიც ითვალისწინებდა, ბირთვლი იარაღის არ გამოყენების შესახებ, რომელსაც ჯერ კიდევ 68 წელს მოეწერა ხელი. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ რომ ნატოს ბირთვული შეკავების პოლიტიკა არის ნაწილობრივ ეფექტური.

6. რაც შეეხება დრევანდელ დღეს ბირთვული იარაღის ფაქტორს, თვითონ სამეცნიერო წრეებში კამათი მიმდინარეობს რომ ერთის მხრივ ბირთვული იარაღი არის ძალის დემონსტრირების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, მეორეს მხრივ მეცნიერების ნაწილი ამტკიცებს რომ ბირთვული იარაღი არის ქვეყნების გაწონასწორების ფაქტორი, ანუ ერთი მხარე ითვალისწინებს რომ მეორე მხარესაც გაანია ეს იარაღი და ამიტომ თვითონაც აღარ ინტერესდება ამ იარაღის გამოყენებით. ანუ ერთმანეთს აბალანსებენ ეს ქვეყნები, მეორეს მხრივ კი ესეთ ქვეყნებს გააჩნიათ პოტენციალი რომ გამოიყენონ ეს იარაღი. დრევანდელ ეტაპზე 2014–2015 წლის ჰაიდელბერგის ინსტიტუტის მონაცემებით მსოფლიოში 414 სხვადასხვა კონფლიქტური კერა არსებობდა, ზოგი უფრო რთულ მაშტაბიანი კონფლიქტია, მაგალითად უკრაინის შემთხვევაში, ინდოეთის და პაკისტანის შემთხვევაში. მაგრამ არსებობს ლოკალური კონფლიქტებიც. მაგრამ ამ კონფლიქტებში დრევანდელ დღეს ბირთვული იარაღი არ ასრულებს მთავარ როლს. მაგ: ამერიკამ მეორე მსოფლიოს ომის დროს გამოიყენა იაპონიის წინააღმდეგ მაგრამ შემდეგ ჩრ. კორეის ომშიველარ გამოიყენა, რადგან საბჭოთა კავშირსაც ქონდა ბირთვული იარაღი. რაც შეეხება რუსეთის და ამერიკის მაგალითს მაინც არსებობს რაღაც საფრთხე რომ შეიძლება იქნას გამყენებული ბირთვული იარაღი, მაგრამ ერთადერთი მიზეზი რის გამოც შეიძლება შეიკაონ თავი ეს არის იმის შიში რომ თუ ერთი მხარე გამოიყენებს მეორე მხარეც

აუცილებლად გამოიყენებს ბირთვულ იარაღს და ამიტომ ორივე მხარისთვის აღმოჩნდება დამაზიანებელი. ამიტომ საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ რომ დღესდღეისობით კონფლიქტებში ბირთვული იარაღი შედარებით ნაკლებ როლს ასრულებს მაგრამ უფრო მეტ როლს ასრულებს ფსიქოლოგიური ზეწოლის შემთხვევებში. უნდა ვთქვათ რომ პრაქტიკულ საქმიანობაში პაქტიურად ერთხელ იყო გამოყენებული განსხვავებით მასობრივი განადგურების იარაღთან შედარებით.

7. რაც შეეხება ირანს, არის პრეცედენტი იმისა რომ 2014 წელს მოხდა შეთანხმება, ობამას ადმინისტრაციის დროს რომ ორივე მხარე წავიდა გარკვეულ დათმობაზე, მაგრამ ტრამპის ადმინისტრაციის დროშ აშშ გამოვიდა ამ ხელშეკრულებიდან. ირანთან მიმართებაში მე მიმაჩნია რომ დასავლეთის მცდელობა იყოს რომ შესთავაზოს, რომ ირანმა გაიტანოს თავისი ნავთობის გაზსადენი თურქეთში და თურქეთიდან უკვე ევროპის მიმართულებით, და ამ შემთხვევაში ევროპა მიიღებს ალტერნატიულ ბუნებრივ აირს და ნავთობს რუსეთის გვერდის ავლით, და ეს რა თქმა უნდა ირანსაც აწყობს და შეიზლება ამით მოგვარდეს პრობლემა. საფრთხე რა თქმა უნდა არსებობს ბირთვული იარაღის გამოყენების მაგრამ ასეთმა სახელმწიფოებმა აუცილებლად უნდა მიიღონ ზომები, პირველ რიგში ეკონომიკური ხასიათის ზომები უნდა მიიღონ. სანქციები კი ნაწილობრივ მუშაობს მაგრამ, უფრო კარგი იქნება მეთი დაახლოება დასავლეთთან ანუ მეტი ეკონომიკური კავშირი უფრო მნიშვნელოვანი იქნება. რაც შეეხება ჩრ. კორეასთან მოლაპარაკება ბევრად რთულია, რადგან იქ ერთპიროვნული მართველია, ხოლო ირანში მათთან შედარებით ბევრად დემოკრატიული არის, რადგან იცვლება პრეზიდენტი, არის მრავალი პოლიტიკური ძალა. ანუ ირანთან მოლაპარაკება ბევრად მარტივია ვიდრე ჩრ. კორეასთან. მაგრამ 2006–07

წლებში იყო მოლაპარაკება ჩრ. კორეასთან რომ სარაკეტო პროგრამას შეწყვეტა იმის სანაცვლოდ რომ მიიღებდა ჰუმანიტარულ დახმარებას. ამიტომ საბოლოოდ ვიტყვით იმიას რომ ორივე სახელმწიფოსთან ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო. მაგრამ მთავარი პრობლემა არის რუსეთი, რადგან იგი ორივე სახელმწიფოს მფარველობს. რაც შეეხება ბირთვული იარაღის გაუვრცელებას, რაც ხელი მოეწერა 68 წელს იმის შემდეგ მხოლოდ ინდოეთმა და პაკისტანმა შექმნეს ბირთვული იარაღი, ისრაელმა კი შეწყვიტა მაგრამ ბოლომდე არაა ცნობილი მართლა შეწყვიტა თუ არა. მთვარია, რომ ტერორისტულ ორგანიზაციებს არ ჩაუვარდეთ ხელში ბირთვული იარაღი, თორე შესაძლებელია უფრო რთული იყოს ვიდრე რომელიმე სახელმწიფოს გააჩნდეს.

8. ნატოს სხვადასხვა მიმართულებით, მაგალითად მასობრივი განადგურების იარაღის მიმართულებით ნატოს აქვს შემუშავებული გარკვეული პროგრამები, მაგალითად ერთ-ერთი არის ხმელთაშუაზღის დიალოგი, რომელიც 95 წელს შემუშავდა სამხრეთ ნაწილში მდებარე ქვეყნებთან. ასევე სტამბულის სამიტის ინიციატივა 2004 წელს, რომელიც გულისხმობდა თანამშრომლობას მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის და გლობალურ უსაფრთხოების საკითხთან სპარსეთის ყურის ქვეყნებში. საერთოდ ამ პროცესებში აუცილებლად უნდა ჩაერთონ სადაზვერვო სამსახურები, რათა მოხდეს მოძიება იმ ინფორმაციების რაც ეხება მასობრივი განადგურების იარაღს, დღევანდელი ტექნოლოგიები კი დღეს ამის საშუალებას იძლევა. გლობალური უსაფრთხოების კუთხით ნატომ უფრო დიდი როლი უნდა შეასრულოს ვიდრე გაერომ, მიუხედავად იმისა რომ გაეროს კომპეტენციაშიც შედის უსაფრთხოების საკითხები. მაგალითად, რიგ შემთხვევებში ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკებში მიმდინარე კონფლიქტების, ბოსტნიაში,

ხორვატიაში, კოსოვოში მიმდინარე კონფლიქტების დროს გაერო უუნარო აღმოჩნდა შეეჩერებინა კონფლიქტი და ჩაერთო ნატო. ნატო და ევრო კავშირის ურთიერთობები ერთად უფრო აქტიური მოთამაშე ხდებიან გლობალური უსაფრთხოების კუთხით. 2003 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას ნატოსა და ევროკავშირს შორის რომელიც ითვალისწინებდა რომ ევროკავშირს მიეღო უფლება გამოეყენებინა ნატოს სამხედრო პოტენციალი მათ შორის საჰაერო ავიაცია. ასევე ევროკავშირის დამოკიდებულება საერთაშორისო უსაფრთხოებასთან ნელნელა უფრო ფართოვდება.

პეტრე მამრადე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ანალიტიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი. 1992 წლიდან მუშაობდა სახელმწიფო სამსახურში და იკავებდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებს.

1. უაღრესად მნიშვნელოვანია ისევე და ისევე როგორც შეკავების ფქტორი როგორც ეს იყო ცივი ომის მერიოდში. დღეს ახალი ფაზა დაიწყო მსოფლიოში, ამ მრავალ პოლარულ მსოფლიოში. ცნობილი მეცნიერები ერთ ხმად აღნიშნავენ, რომ ადგილი აქვს რუსეთის ერთგვარ გაძლიერებას, შეიძლება მოჩვენებითს მაგრამ გარკვეულს, ასევე ჩინეთის უძლიერეს გაძლიერებას ლაპარაკი იმაზეა, რომ ჩინეთმა ხვალ ზეგ შეიძლება მიიიტანოს იერიში ტაივანის შეერთებისათვის და ამით გამოცადოს გამოიყენებს თუ არა ბირთვულ იარაღს ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც იცავს ტაივანს, ლაპარაკია ირანის მნიშვნელოვან გაძლიერებაზე და ყველა ამ პირობებში, როგორც ეს იყო ცივი ომის დროს ის , რომ მხარეებს აქვთ ბირთვული შეიარაღება, რომელიც უზრუნველყოფს ე.წ დაბლ დეს, ანუ ორმაგ სიკვდილს, ანუ თითოეულ მხარეს შეუძლია მსოფლიოში სიცოცხლე მოსპოს რამოდენიმეჯერ, ეს კი ნიშნავს იმას, რომ გამარჯვებული შეუძლებელია

არსებობდეს. ეს კი იცავს კაცობრიობას აგერ უკვე 75 წელია მსოფლიო გლობალური ომისაგან.

2. ამ შემთხვევაშიც ჩემი აზრი ემყარება იმ ლიტერატურას და იმ სპეციალისტებთან საუბარს რაც კი მქონია ამ წლებში, არავინ არ ელის, ასეთ შემთხვევაშიც კი, როცა გააგრძელებენ ამ ვადას, რეალურ საფრთხეს. საქმე იმაშია რომ კარგა ხანია, ის ფაქტობრივად არ სრულდება, როსეთმა დაარღვია ეს ხელშეკრულება და მხილებულია ამაში ფაქტობრივად, ხოლო შეერთებულ შტატებს სულ სხვა ამოცანები აქვს. მის წინ, არა რუსეთი არამედ ჩინეთია უპირველისი და უძლიერესი მოწინააღმდეგე კომუნისტური ჩინეთი, თავისი საკმაოდ აგრესიული საგარეო პოლიტიკით. წლიდან წლამდე ჩინეთი შეიარაღებაზე ხარჯავს გაცილებით მეტ თანხას, ვიდრე რუსეთი. გაცილებით დიდი რესურსი აქვს ჩინეთს ყოვლმხრივ. შესაბამისად აშშ-ის ეს ხელშეკრულება აღარაფერში აღარ ჭირდება, უფრო მეტიც ის მას ზღუდავს სრულიად ასიმეტრიურად, იმიტომ რომ დღეს მას ჭირდება იმოქმედოს იმისათვის რომ იყოს საკმაოდ ძლიერი, რომ შეაჩეროს ჩინეთის შესაძლებელი აგრესიები.
3. ეს ყველაფერი დაიწყო მაუკროფტის ინსტიტუტმა (მასალებს გამოგიგზავნიო), როდესაც რუსეთის მხრიდან სხვადასხვა დონეზე წამოვიდა პირდაპირი მუქარა. ეს გააჟღერა აშშ-ის თავდაცვის ყოფილმა მდივანმა მატისმა, რომელმაც თქვა რომ მხოლოდ მაშინ დავიჯერე, რომ რუსეთი მართლა სექსისტენციალური საფრთხეა, ჩვენთვის შეერთებული შტატებისთვის, როცა კერძო საუბარში, რუსმა კოლეგებმა პირდაპირ მითხრეს, რომ არ მოერიდებიან ტაქტიკური ბირთვული ირადის გამოყენებას ევროპაში, თუ დასჭირდებათ, ეს, ეგრედ წოდებული დეესკალაცია ესკალაციის მეშვეობით. რას ნიშნავს ეს, ჩვენ ვიცით კონცეპცია, რუსული სამყაროს დაცვის თაობაზე, რომ სადაც არ უნდა იყოს რუსეთის ნაწილი, პუტინის რეჟიმმა ის უნდა დაიცვას ეს ბალტიის ქვეყნებში იქნება თუ სხვაგან და სცენარი იყო ასეთი, მაგალითად ნარვა

ესტონეთში იქ არიან ჭეშმარიტად რუსულ ენოვანი მოსახლეობა, არის გარკვეული ხახუნი, ეს მე ვიცი იქაური ესტონელებისგან და რუსებისგან, არის ეს გარკვეული დამაბულობა მაგრამ არავითარი სერიოზული და არავითარი ძალადობა არი არის, მაგრამ ვთქვათ ერთ დღეს იქ გაჩნდნენ მწვანე კაცუნები, ყირიმის მსგავსად. ვთქვათ ვინაიდან ესტონეთი არინს ნატოს წევრი ქვეყანა, ვთქვათ ნატომ მიიღო ზომები ამ მწვანე კაცების გასანეიტრალებლად და მოხდა შეტაკებები, ამ დროს კი რუსეთი იყენებს ტაქტიკურ იარაღს და იყენებს ბირთვულ იარაღს თუნდაც პოლონეთის მიმართ, რაც გაჟღერდა. ისმის ძალიან მძაფრი კითხვა, აი ამის შემდეგ, თუ ნატო, როგორც ორგანიზაცია, თუ შეერთებული შტატების ხელმძღვანელობა და პრეზიდენტი და შესაბამისი პოლიტიკური ადმინისტრაცია მზად კი იქნება გამოიყენოს საპასუხოდ ბირთული იარაღი და შეაჩეროს ეს ვითარება. ეს ზუსტად ანალოგიური კითხვააა, რომელსაც ჰიტლერი სვავდა 30 იანი წლების ბოლოს „ მზად ხართ მოკვდეთ განსკისათვის“. ევროპაში კი არავინ არ იყო მზად მომკვდარიყო პოლონეთში განსკის დასაცავად ანუ დანციკის დასაცავად. ჩეხეთის ანექსიაც გვახსოვს, ჩემპელინის სიტყვები რა არის ეს ჩეხეთი სად მდებარეობს რა ვიცით. ეს ვითარებაა და როგორ იყო იცით, თუმა ნატოს წევრი ქვეყანაა და არსებობს მე-5 პუნქტი, მაგრამ მე-5 პუნქტში პირდაპირ კი არ წერია რომ პროპორციული ძალით, არამედ ვისაც, როგორ შეუძლია და დაისვა ეს კითხვა რომ არა, ვერ გაბედავენ. ანუ ბირთვული ბლეფი გახდებოდა შესაძლებელი. ამაზე იყო ძლიერი დებატები, იყო შესაბამისი სიმულაციებიც კი. გადაწყდა და დაიწყო ეს შეიარაღება, შეერთებულმა შტატებმა განაახლა ეს ტაქტიკური ბირთვული იარაღი, და ამით შეიარაღებული წყალქვეშა ნავები უკვე პატრულირებდნენ მათ შორის რუსეთის საზღვაო საზღვრებზე. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანია, დღეს რუსეთს არანაირი ძალა არ აქვს იმის რომ იმდენი ბირთვული იარაღით შეიარაღებული წყალქვეშა ნავი ყავდეს რამდენიც აშშ-ის აქვს. შეგახსენებთ, რომ პარიდეტიკი კი იყო საბჭოთა

კავშირის დროს, დაახლოებით 100 წყალქვეშა ნავი იყო ბირთვული იარაღით. 10 ამერიკას 100 რუსეთს, ოღონდ საინტერესოა, რომ ამერიკელებს 90-ზე მეტი ყავდათ ოკიანეში და პატრულირებდნენ, ხოლო 5-6-ს ყოველთვის უტარდებოდა პროფილაქტიკა. სსრ-ის მხრიდან კი პირიქით იყო მხოლოდ ათიოდე ნავი მოძრაობდა ოკიანეში 90 კილომეტრში იყო და ჭირდებოდა რემონტი. დღეს კი ბევრად რთული ვითარებაა, ამ მუქარებმა გამოიწვია ის, რომ გამოცოცხლდა ნატო, აშშ-ის შეიარაღება. ნატოში ხშირად ხუმრობდნენ პუტინს ძეგლი უნდა დაეუდგათ ნატოს შტამბინასთან, როგორც ადამიანს, რომელმაც გამოცოცხლა ისინი ზამთრის ძილისაგან და შემატა ახალი სიცოცხლე.

4. დარჩა საკმაოდ მნიშვნელოვანია, არაერთი საინტერესო გამოსვლა ქონდა სტოლტენბერგს, ახლახანს გამოსვლა ქონდა "hardtalk " ბიბისი-ზე, სადაც ძალიან მწვავე კითხვები დაუსვეს და დიპლომატიურად მაგრამ მაინც პასუხობდა, რა თქმა უნდა პრობლემები დიდი აქვს ნატოს, პრობლემები დიდია იმ მხრივ, რომ მოგეხსენებათ ნატოს დამფუძნებლები და უდიდესი ქვეყნები, როგორცაა ბრიტანეთი, საფრანგეთი და სხვა ქვეყნები, იქ არის მწვავე დემოგრაფიული პრობლემები, ეს ერები სწრაფად ბერდება და სწრაფად იცვლება დემოგრაფიული და ეთნიკური შემადგენლობა, ამ ფონზე ვერა და ვერ იქნა მიღწეული ის, რომ ამ ქვეყნებმა, განსაკუთრებით კი გერმანიამ დახარჯონ შეიარაღებაზე თავის თავდაცვის ბიუჯეტებზე შიდა პროდუქტის 2% -ი მაინც, ხარჯავენ გაცილებით ნაკლებს. ძალიან სწორი იყო აშშ-ის პრეზიდენტის მოწოდება იმასთან დაკავშირებით, რომ რატომ უნდა იყოს ამდენი წელი და დღესაც ევროპისთვის აშშ ერთადერთი მყარი დასაყრდენია. და რატომ არ უნდა იზრუნოს ევროპამ საკუთარ თავზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თანდათან ზრდიან ბიუჯეტს თავდაცვაზე. სულ რამოდენიმე წლის წინ ურსულა ფონ დერ ლაიენმა, რომელიც დღეს არის ევროპის მთავარი კომისარი, მაშინ იყო თავდაცვის მინისტრი გერმანიაში, ჩატარდა ვერმახტის მაშტაბური წრთვნები

გერმანიაში და არ ქონდათ საკმარისი რაოდენობის ავტომატები და ტყვია მფრქვევები. ეს ყველაფერი კი ძალიან კარგად იცოდა პუტინმა. ეს ყველაფერი კი ჯუდი დემსის სტატიებშია გამოქვეყნებული. ჯერ კიდევ შარშან გამოქვეყნდა, რომ სავალალო სიტუაციაა გერმანიაში სამხედრო ვერტმფრენებთან დაკავშირებით, მხოლოდ რამოდენიმეა დარჩენილი, რომელსაც შეუძლია აფრენა. ეს კი მოდენების ბრალი იყო ყველაფერი. ავღანეთიდან რომ უნდა გამოეყვანათ ძალები, აღმოჩნდა რომ ერთადერთი აერობუსიც კი არ ქონდათ წესრიგში, რომელიც ეკუთნოდა შეიარაღებულ ძალებს, არ მუშაობდა და მოუწიათ ქირაობა. ამიტომ ნატო აუცილებლად უნდა არსებობდეს და შესაბამისად ფულიც უნდა იხარჯებოდეს მასზე. რაც შეეხება კიბერ შეტევებს; რაც შეეხება ყალბი პროპაგანდის გავრცელებას, ნატოს აქვს მართლა დიდი გამოცდილება და ტექნოლოგიები, ამიტომ ნატოს როლი დიდია თუმცა იმისათვის რომ მსოფლიოში იყოს მშვიდობა და პოტენციური აგრესორები ჩანასახშივე მიხვდნენ რომ ამას აზრი არ აქვს რასაც აკეთებენ ,ამისთვის გაცილებით მეტი უნდა გაკეთდეს .

ცნობილია, რომ პუტინი, რომელიც სათავეში ედგა იმ კორუმპირებულ სტრუქტურას, რომელმაც ბოლომდე გაძარცვა რუსეთი და მათ შორის არმია, და საქმე საქმეზე რომ მიდგადა ჩავიდა და იმყოფებოდა ჩრ. კავკასიაში გაოგნდა იმით თუ რა დღეში იყო რუსეთის ჯარი, გაოგნდა იმით რომ რუსული ტანკები შოსეზე ვერ გადიოდნენ 2-3 კილომეტრზე მეტს და შემდეგ ჩერდებოდნენ მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე და ბოქსირება იყო საჭირო. გაოგნდა იმით თუ როგორ მუშაობდა ავიაცია და იმით რომ კოორდინაცია საერთოდ აღარ იყო ავიაციასა და შესაბამისად სახმელეთო ძალებს შორის. ჩამოგდებული თვითმფრინავები ნაწილი რუსეთმა ჩამოაგდო საკუთარი თვითმფრინავები ეს არ არის დასაძალი, იმდენად იყო მოშლილი ყველაფერი. შემდეგ გაიზარდა ბევრად დაფინანსებაც, სამწუხაროდ ეს ყველაფერი აგრესიისკენ არის მიმართული, მიუხედავად კორუფციისა

ყველა აღიარებს, რომ დღეს რუსეთის ჯარი, რა თქმა უნდა ვერ შეედრება წამყვანი ქვეყნების ჯარს, მაგრამ ვერც შეედრება იმ სავალალო მდგომარეობას, რომელიც იყო 2008 წლის აგვისტოში, როდესაც მხოლოდ დიდი რაოდენობით ჯარისკაცით მოქმედებდნენ და ამავე დროს სავალალო მდგომარეობა იყო. როგორც პარლამენტის წევრს მე უფლება მექონდა წამეკითხა და გამანდეს უცხო ქვეყნის სამხედრო ატაშეებმა ნატოს საიდუმლო მოხსენება იმ მომენტისათვის. იქ ეწერა გამანადგურებელი დახასიათება რუსეთის არმიის და ჩვენი ქართული არმიის კი უფრო გამანადგურებელი დახასიათება იყო. ეს არ ეხებოდა ქვედა რგოლების კრიტიკას, ეს რა თქმა უნდა ეხებოდა ზედა რგოლების კრიტიკას .

5. ბურთვული შეკავება რა თქმა უნდა სხვა არის არსებითად, ბირთვული შეკავება ვერ შეაკავებს ტერორიზმს. ეს კითხვა რომელიც მე დავუსვი ცნობილ ამერიკელ სამხედროებს მათ შორის 5 ვარსკვლავიანი გენერლები გვიკითხავდნენ ლექციას 2001 წლის აპრილში სანამ მოხდებოდა 2001 წლის სექტემბრის ტერაქტი. მე ვეკითხებოდი კი მაგრამ ტერორისტულ ჯგუფს ხომ შეუძლია ხელში ჩაიგდოს ან გააკეთოს ბირთვული იარაღი, როდესაც მილიონებს ხარჯავს, რომელიღაც ბინლადენი ტერორიზმზე. ამიტომ ნამდვილად არ იქნება ალბათ პრობლემა ბირთვული იარაღის შექმნა ან გამოყენება მათთვის, რადგან ვერ შეაშინებ იმით რომ თუ შენ გამოიყენებ მაშინ სხვაც გამოიყენებს შენს წინააღმდეგ, ეს იმიტომ რომ ისინი ფანატიკოსები არიან და უდიდესი ბედნიერებაა მათთვის აღმოჩნდნენ ცაში ალაჰთან. ეს არ არის სახელმწიფო, რომელსაც შეაკავებ იმით რომ შენც დაილოპები თუ გამოიყენებ ბირთვულ იარაღს. ამ მხრივ რთულია იმის თქმა რომ ნატოს ბირთვული შეკავების პოლიტიკა ეფექტურია ტექნოლოგიური ტერორიზმის და ახალი ასიმეტრიული საფრთხეების პირობებში, იმიტომ, რომ ასიმეტრიული საფრთხეები ისეთია, რომ ისინი თვითონ ხომ არ იყენებენ ბირთვულ იარაღს. იგივე ტექნოლოგიური ტერორიზმი ისეთი რამე, რომ ამის პასუხად ის დამოკლეს მახვილი რომ იყოს, რომ იცი რა შენ

თუ ამას გააკეთებ მეც გამოვიყენებ ბირთვულ იარაღს ეს მოხსნილია. შენც უნდა გქონდეს ეფექტიანი იარაღი რომ დროულად აღმოაჩინო გასცე პასუხი და შეაკავო, როგორც ეს ასიმეტრიული საფლტხე ასევე ტექნოლოგიური ტერორიზმი. რაც შეეხება ასიმეტრიულ საფრთხეებს, ეს ძალაში დარჩა. ჩვენ ვიცით გვახსოვს საბერძნეთის პორტში, როდესაც იდგა ვებრთელა ავიამზიდი შეერთებული შტატების რომელზეც მრავალი მილიარდი დოლარი დაიხარჯა მის ასაშენებლად, ამ დროს თავისთავის მიცურავდა თევზების კატარღა რომელზეც ორი მეთევზე იყო, უცბად მოუმატა სიჩქარე და დაეჯახა ამ ავიამზიდს, ამ კატარღაში კი თევზების მაგივრად დიდი რაოდენობით უძლიერესი ასაფეთქებელი ნივთიერება ყოფილა თვითონ კი ჯიფადისტები. 100 მილიონ დოლარზე მეტი დაჯდა შემდეგ ამ ავიამზიდის შეკეთება და ასევე საკმაოდ ბევრი მეზღვაური დაერუპათ ამერიკელებს. ეს მეთევზეების კატარღა კი როგორც ასიმეტრიული ომის კლასიკური მაგალითი ყველა წიგნშია შესული. ესეთი შემთხვევებისგან დაზღვევა საკმაოდ რთულია. 2001 წლის სექტემბის შემდეგ მიღებულია მთელს მსოფლიოში სულ სხვა ზომები და თანდათან ტერაქტების კვალდაკვალ საფრანგეთშიც ბატაკლანში მოხდა, როდესაც სცენაზე ავიდნენ მშვიდად ამოიყეს ავტომატები ყველას თვალწინ ძალიან ბევრი ადამიანი მოკლეს. ამ დროს ისრაელში გასული საუკუნის 90 იან წლებში ჯაყვას ვერ შეიტანდა ვერავინ კონცერტზე. ეს იმიტომ ხდება რომ დემოკრატიული ქვეყნები სანამ ურემი არ გადაბრუნდება არ იღებენ ხოლმე მძიმე კანონებს, რომ აუცილებელია ყველა ადამიანის გაჩხრეკვა. როცა ისრაელში შედიხარ და დეტექტორი რამე ისეთს აჩვენებს მაშინვე გჩხრეკენ.

6. რა თქმა უნდა ბირთვული იარაღის ფაქტორი დარჩა მთავარ შემაკავებელ ფაქტორად მესამე ომის დაწყებისა. ვინაიდან ყველა რეალისტი პოლიტოლოგი ყველა გამოჩენილი მეცნიერი ვინც კი არსებობს დღეს ცოცხალი, კისინჯერი იქნება თუ სხვა ყველას შესანიშნავად ესმის, რომ ადამიანის ბუნება არ შეცვლილა და ეს ფაქტორი

რომ არ არსებობდეს, ეს ღრმა გააზრება იმისა, რომ შენც დაილოპები, მთავრობების დონეზე ეს მუშაობს. ეს აკავებს იმას, რომ არ ხდება მსოფლიო ომი. რაც შეეხება ინდოეთს და პაკისტანს ნამდვილად კარგი მაგალითია ლოკალური მაგრამ ფართომასშტაბიანი ლოკალური კონფლიქტის. პაკისტანმა მოასწრო ბომბის შექმნა, მას ყავდა ნობელის პრემიის ლაურიანტი ფიზიკოსები და მათ იმუშავეს ამაზე, რადგან პაკისტანოს ყოფნა არ ყოფნის საკითხი ამაზე იყო დამოკიდებული. მეორეს მხრის როცა პაკისტანში ასეთი აღზევებაა აგრესიული ისლამის და ჩვენ ვნახეთ ასობით მილიონი ადამიანი ქუჩაში გამოსული რომ იდგა განრისხებული, რომ ის ქრისტიანი ქალბატონი, რომელიც როგორც იქნა დაიხსნეს ციხიდან და რომ არ გამოემვათ ქვეყნიდან ყველა ქალაქში განრისხებული მამაკაცები იდგნენ. როდესაც მთავრობა მთლიანად ასეთია აი ამ მთავრობის ხელში არსებული ბირთვული იარაღი ხომ არ უტოლდება ნეტა ტერორისტების ხელში მყოფ ბირთვულ იარაღს. რამოდენიმე წლის წინათგამოქვეყნდა ის სატელეფონო საუბრები რაც გორბაჩოვს და ელცინს ქონდათ ბუშთან. ბუშს საერთოდ არ უნდა საბჭოთა კავშირის დაშლა, მას ეს ძალიან აშინებს, ბუში ამბობს რომ ჩვენ უკრაინას არ ვცნობთ თუ თქვენ არ ცნობთ პირველები. ამერიკის ულტიმატუმი იყო რომ უკრაინას მთელი ბირთვული იარაღი ჩაეხარებინა რუსეთისთვის, ამ ფონზე ელცინი უხსნის რომ ჩვენც კი არ გვინდა, მაგრამ უკრაინა უარს ამბობს ხელშეკრულებაზე სგგ, რომ იქმნებოდა, ამის შედეგად ქართველები არ შემოდიან სომხები არ შემოდიან და ვრჩებით რუსეთი და ცენტრალური აზიის ქვეყნები და მომავალ პარლამენტში უმრავლესობა იქნება მათი ბატონო პრეზიდენტო ამბობს ელცინი. თქვენ შეგიძლიათ დაუშვათ რომ მსოფლიოში წარმოიქმნას ქვეყანა სადაც მუსლიმურ ერებს ეთნოსებს ექნებათ უმრავლესობა ძირითად ორგანოში და ბუში დათანხმდება, რომ არა არ შემოიძლია. ეს დამოკლეს მახვილივით არსებობს მსოფლიოში, რომ იქ სადაც არის ააგრესიული ისლამი , თუ მიიღებენ ბირთვულ იარაღს ვინ იქნება იმის გარანტო რომ ბირთვულ

იარაღს მიიღებენ და არ გაისვრიან. შესაბამისად ბირთვული იარაღის ფაქტორი თანამედროვე კონფლიქტების წარმოებისას, შემაკავებელი ფაქტორი არის რა თქმა უნდა და ჩვენ ამაში დავრწმუნდით, რადგან მესამე მსოფლიო ომის არ დაწყების მიზეზი გახლავთ ეს, მაგრამ არანაირი გარანტია რომ ეს მუდმივად იქნება შეკავებული სამწუხაროდ არ არსებობს. ათიოდე წლის წინათ ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა გრემ ელისონმა დაწერა ეს წერილი სადაც წერია 10 ფაქტორი სადაც წერია თუ რატომ არის მნიშვნელოვანი რუსეთი აშშ-ისთვის. პირველი ეს იყო რომ, რუსეთი ეს არის ერთადერთი ქვეყანა რომელსაც შეუძლია რომ 22 წუთში ან მაქსიმუმ ნახევარ საათში საერთოდ წაშალოს აშშ დედამიწის ზურგიდან, რომ აღარ იარსებებს აშშ. კიდევ ერთი ფაქტორი იყო ის რომ კიბატონო კარგის არაფრის გაკეთება შეუძლია რუსეთს მაგრამ შეუძლია ბევრი ძალიან ცუდის, მაგალითად რომ დააფინანსოს ტერორისტები მაშინ სად მივდივართ, და დიდად უნდა დავაფასოთ ის რომ რუსეთი ირანთან მიმართებაში მოქმედებს ისე როგორც მათთვის მისაღები იყო მაშინ.

7. ბირთვული სახელმწიფოები უნდა გვახსოვდეს, რომ მათში შედის რუსეთი, რუსეთის ფედერაციაც და ჩინეთიც. უშიშროების საბჭოს 5 სახელმწიფოდან 2 არის სრულიად არადემოკრატიული, ერთში საერთოდ ერთ პარტიული სისტემაა თავისი კომუნისტური იდეოლოგიით და რევანშიზმის ძალიან დიდი სურვილით, რაც სიმპინმა ბოლომდე ასე გამოაშკარავა, უარი თქვა დენსიაოპინის გზაზე შეცვალა ბევრი რამ. და დღეს აი თუნდაც ისეთი გამოჩენილი ისტორიკოსი და მოაზროვნე როგორც არის სტივენ კოტკინი პირადად წერ, რომ გაჩნდა აჩრდილი ტაივანის გამო დიდი კრიზისისა. იმიტომ, რომ ჩვეულებრივი შეიარაღების გამოყენებით, რომ ჩინელებმა აიღონ ტაივანი უცებ და დააყენონ შეერთებული შტატები ამ დილემის წინაშე. თუ გიღრთ მსოფლიო ომი ტაივანის გამო მოვსინჯოთ ძალები მოგეხეხენებათ, რომ ადამიანის ფასი ჩინეთში აბსოლუტურად სხვაა არის ვიდრე დასავლეთში

ამაზე ბევრის მოყოლა შეიძლება. ამიტომ ერთი არის როდესაც ბირთვული სახელწიფოები ერთმანეთში ასე ვთავათ არკვევენ ამ სიტუაციებს და მეორე არის როცა საინტერესოა მათ შორის აქტიური თანამშრომლობა იგივე ვთქვათ შეერთებული შტატები, ბრიტანეთი, საფრანგეთი, შეიძლება თანამშრომლობდნენ იმ შემთხვევაში თუ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას ექნება რეალურად კონსტრუქციული პოზიცია და არა ისეთი როგორც ბოლო წლებში აქვს ადმინისტრაციას სამწუხაროდ და მე შეგახსენებთ, რომ ირანთან კარგი ხელშეკრულება დაიდო სწორედ რუსეთის აქტიური მონაწილეობით. ეს კარგი ხელშეკრულება იყო და ირანმა ხელშეკრულების ყველა პუნქტი შეასრულა, ეს აღიარა მაგატემ საერთაშორისო ორგანიზაციამ, რომელიც აკონტროლებდა მონიტორინგს და ყველგან უშვებდნენ და ყველაფერი შეასრულა. და მიტომ ახირება შეერთებული შტატების პრეზიდენტისა ირანის მიმართ იყო იმდენად უსამართლა ამ საკითხში, რომ სამართლიანად გამოიწვია ბრიტანეთის, გერმანიის და სხვების წყრომა და კიდევაც დაპირდნენ ირანს, რომ ჩვენ არ ვიზიარებთ და ჩვენ დაგეხმარებით სანქციების შემსუბუქდეს, ვერ შეასრლეს დანაპირები, ვინაიდან ნავთობზე ანგარიშწორება მიმდინარეობდა დოლარებში და სანქციებმა დაარტყას მაშინათვე ყველა ევროპულ კომპანიასაც კი, არ ღმოჩნდა შესაბამისი ძალა. შესაბამისად აი ეს მომანტი არის, რომ სასურველია ნორმატიულად, რომ ვილაპარაკოთ, რომ დემოკრატიულმა ბირთვულმა ქვეყნებმა შეძლონ ერთის მხრივ შეკავება პოტენციურად აგრესიული არადემოკრატიული ბირთვული სახელმწიფოებისა, ხოლო მეორეს მხრივ იგივე დემოკრატიულმა ბირთვულმა ქვეყნებმა შეძლონ კოორდინირებულად მოქმედება, და მჭდრო თანამშრომლობა იგივე ჩინეთთან და რუსეთთან, იმისათვის, რომ სხვაგან არ გავრცელდეს ყველგან სადაც ეს შესაძლებელია. და პრაქტიკა აჩვენებს, რომ სწორედ დიპლომატიის დროს ეს შეიძლება იყოს შესაძლებელი, შეიძლება ჩინეთიც კი და რუსეთიც კი იმ შემთხვევაში გამოვიდნენ, როგორც

კონსტრიქციულად მოთამაშეები მიუხედავად მათი პოლიტიკური სისტემებისა, რეჟიმებისა და იდეოლოგიებისა, როგორც ეს იყო ირანთან დადებული ხელსეკრულების დროს. კიდევ ვიმეორებ მოხდა საწაული რამ ულიამ ბარსმა და კიდევ სხვა გამოჩენილმა, ამერიკელმა დიპლომატებმა ტრამპის მოქმედებას უწოდეს კრიმინალური დანაშაულებრივი მოქმედება შეერთებული შტატების უსაფრთხოების მიართ. ესენი არიან უდიდესი ავტორიტეტები ადამიანები რომეთაც მთელი თავისი სიცოცხლე მოანდომეს აი ასეთ მუხლჩაუხრალ შრომებს და პრინციპულ პოზიციას და იცავდნენ ამას ყველაფერს. აი ეს არ უნდა ხდებოდეს, ეს რაც შეეხება მეშვიდე კითხვას, ზომები ეგ არის მისაღები ძალიან მტკიცე კონტროლი და თანამშრომლობა ყველა იმ საკითხზე რომელზეც შეიძლება ითანამშრომლონ ამ ქვეყნებმა, სხვების გასაკონტროლებლად.

8. იქ სადაც არ არის დემოკრატიული რეჟიმები არავითარი ავტორიტარული და ღმერთმა ნუ ქნას ტოტალიტარული რეჟიმები იქ დახურული საზოგადოებებია, იქ შეიძლება დამალონ სტატისტიკა, აი მაგალითად დღეს თუ მოსკოვში სიკვდილიანობა გაიზარდა 20% ით, რას ნიშნავს ეს მართლა გაიზარდა 20 % ით თუ ზევიდან მოვიდა დაშვება რომ გაეცით ეს ინფორმაციაო. ჩინეთზე მოდის ისეთი ამბები , რომ ენა არ მოგიტრიალდება, რომ უხანში ისე, როგორც ძველად , შავი ჭირის დროს ახლაც ფიქვრებს აჭედავდნენ იმ სახლებს სადაც კორონა ვირუსით ინფიცირებულები იყვნენ. ეს ყველაფერი დასაშვებია რადგან სისტემა ამას არ კრძალავს. ჩრ. კორეაში აიკრძალა კორონავირუსუ. თურქმენეთში აკრძალეს საერთოდ კორონა ვისურისს ხსენება. ასევე ჩვენ ვხედავთ, როგორ გაუმკლავდა გერმანია ამ პრობლემას .გერმანიას საკმაოდ ღია და გასაგები სტატისტიკა აქვს . რაც შეეხება აშშ–ის. ეს არის განსაკუთრებული შემთხვევა. ცნობილმა დიპლომატმა ლიუტიმ, რომელიც აშშ–ის ელჩი იყო ნატოში და სხვებმა ტრამპის მოქმედებას უწოდეს კრიმინალური. როდესაც ტრამპი ხდებოდა პრეზიდენტი 50 მა წაამყვანმა

რესპუბლიკური პარტიის წევრმა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში უშიშროების და უსაფრთხოების დარგში მუშაობდნენ და ეკავათ ძალიან მნიშვნელოვანი თანამდებობები, ერთად დაწერეს წერილი, რომ ეს ადამიანი არ არის ადეკვატური და ამ ადამიანმა რომ გახდეს პრეზიდენტი შეიძლება ძალიან დიდი ზარალი მიაყენოს როგორც აშშ-ის ისე მთელ მსოფლიოს. ორი წლის წინ ტრამპის პირადმა მრჩეველმა ბიოლოგიური უსაფრთხოების დარგში ქალბატონმა ყველაფერი მოახსენა და შემდეგ განაცხადა საჯაროდ „დღეს შეერთებული შტატებისთვის უპირველესი საფრთხე არის არა ბირთვული, არა სამხედრო კონფლიქტი არამედ ბიოლოგიური საფრთხე, იმიტო, რომ დღეს მსოფლიოში ისეთი სიტუაციაა შექმნილი, რომ შეიძლება იფეთქოს პანდემიამ და ეს პანდემია არ დაინდობს არავის და არც აშშ-ის“. ამიტომ მან განაცხადა რომ კონრეტული ზომების მიღება იყო საჭირო და გეგმის მიღება. ტრამპმა და ისრაელის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის პასუხი კი ასეთი იყო, მათ მაშინვე გაანთავისუფლეს ეს ქალი სამსახურიდან. მეორე დღეს საერთოდ გააუქმა მისი ქვედანაყოფი და მესამე დღეს შეკვეცა მოთხოვნილი დაფინანსება. პენტაგონმა თავისი შეიარაღებული ძალების მთავარ სარდალს შარშან ნოემბერში 104 გვერდიანი ანგარიში დაუდო იმაზე რომ მოდის პანდემია საჭიროა ახლავე ზომების მიღება და საჭიროა ადეკვატური ზომების მიღება მაგრამ არ გაითვალისწინეს. ამიტომაცაა რომ ამ ეტაპზე ამერიკაზე იმაზე მეტი მსხვერპლია ვიდრე იყო ვიეტნამის ომის მთელ წლებში. რაც შეეხება პანდემიას, ძალიან ბევრი ადამიანი იხოცებოდა შავი ჭირით, ასევე 500 000 ათას ადამიანამდე იღუპება წელიწადში ჩვეულებრივი გრიპით ყოველგვარი კოვიდის გარეშე, ასევე მალარიით რამდენი კვედება, ტუბერკულოზით.

რაც შეეხება კოვიდ 19- ს ყველა წამყვანი ბიოლოგმა, ვირუსოლოგმა, ასევე აშშ-მ, ბრიტანეთმა, ავსტრალიამ, ახალ ზელანდიამ ერთდროულად დასკვნა დადეს რომ ეს არ არის ბიოლოგიურ იარაღად შექმნილი ვირუსი,

ეს არის სრულიად ჩვეულებრივი კორონა ვირუსი, რომელმაც მორიგი მუტაცია განიცადა და გახდა ისეთი როგორც გახდა. საკითხავია როგორ მოხდა ამვირუსის გადაცემა ცხოველიდან ადამიანზე ეგ სხვა საკითხია. უნდა აღინიშნოს ის რომ 21 საუკუნეში საკმაოდ ეფექტიანად გაუმკლავდა საზოგადოება ამ ვირუსს. ამიტომ ყველა სახელმწიფომ უნდა გაატაროს რეფორმები რადგან ადამიანებმა შეძლონ ამ ვირუსთან ერთად ცხოვრება.

ირაკლი ალადაშვილი - დამოუკიდებელი სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალ არსენალის მთავარი რედაქტორი, ანალიტიკოსი.

1. ბირთვული იარაღის გამოჩენის დღიდან მაშინ ამას უფრო ატომურ შეიარაღებას ემახდნენ, ვიცით ეს 1945 წელია ჯერ ამერიკაში გამოჩნდა შემდეგ მისი პირველი საბრძოლო გამოყენება იაპონიის წინააღმდეგ ჰიროსიმასა და ნაგასაკში, ამის შემდგომ ბირთვული შეიარაღება ყოველთვის თამაშობდა უდიდეს როლს მსოფლიოში და განსაკუთრებით მსოფლიოს იმ ნაწილში სადაც ბირთვული იარაღის მფლობელი სახელმწიფოები იმყოფებოდნენ. გამომდინარე იქიდან რომ საქართველო შედიოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, საქართველო აღმოჩნდა მაშინვე 45–46 წლიდან ერთ ერთი სამიზნე ამ ბირთვული შეიარაღების, ეს იმიტო რომ, ეს იმიტო რომ ჰიროსიმასა და ნაგასაკში ამერიკული ატომური ბომბების გამოყენების შემდეგ, აშშ-ის ხელისუფლება ყოველ წლიურად დაწყებული 46–47 წლიდან ქმნიდა საიდუმლო დოკუმენტს, რომელიც შეეხებოდა საბჭოთა კავშირის ძირითად სტრატეგიულ ობიექტებზე ატომურ თავდასხმას. და ერთ ერთ პირველ ასეთ გეგმაში შვიდ საბჭოთა ქალაქს შორის იყო თბილისიც. ანუ ესენი იყვნენ მოსკოვი, ლენინგრადი, ბაქო, მინსკი, კიევი და თბილისი. ჩვენდა უნებურად მოვხვდით ბირთვული დაპირისპირების ორომტრიალში. მას შემდეგ რაც 1949 წელს საბჭოთა კავშირმაც გამოსცადა პირველი ატომური ბომბი, და უკვე 1950 იან წლებში როდესაც ორივე ქვეყანას გაუჩნდა როგორც ტაქტიკური ისე სტრატეგიური დანიშნულების ბირთვული შეიარაღება უფრო დაიძაბა სიტუაცია ეს

საზღვრავდა და დღემდე საზღვრავს მსოფლიოს განვითარებას. ეს იმიტომ რომ, ბირთვული შეიარაღების გამოჩენამ შეცვალა პოლიტიკა, რადგან ერთ ქვეყანას მეორეზე თავდასხმა უჭირს რადგან შეიძლება ანალოგიური პასუხი მიიღოს იმ სახელმწიფოდანაც. ასე რომ თითქმის 70 წლის განმავლობაში უდიდეს როლს თამაშობს ბირთვული შეიარაღება მსოფლიო პოლიტიკაში. დღეს დღეისობით ბირთვულ ტრიადაში იგულისხმება სამ სფეროში ბირთვული იარაღის გამოყენება: სახმელეთო შეიარაღება, საზღვაო ან წყალქვეშა ნავებზე და საჰაერო. ბირთვული ტრიადა აქვთ აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს და რუსეთის ფედერაციას. ადრე ქონდა საფრანგეთსაც წლების განმავლობაში მაგრამ დღესდღეისობით უარს ამბობს და მოხსნა სახმელეთო ბალისტიკური რაკეტები ასევე სახმელეთო ბალისტიკური რაკეტები არ აქვს დიდ ბრიტანეთს. თუმცა ჩინეთს აქვს ბირთვული ტრიადა მაგრამ მისი საჰაერო კომპონენტი არ არის საკონტინენტთაშორისო მოქმედების რადიუსის მქონე, მაგრამ ამ ბოლოს ჩინეთი უკვე წინ მიდის და ბომბდამშენების შექმნას აპიებს. ასე რომ ეს არის ერთგვარი თავის დაზღვევა , რომ ერთ ერთმა ამ ბირთვული ტრიადის კომპონენტმა რომ არ გაამართლოს,სხვებმა უნდა გააკეთონ მისი კონპენსაცია, მაგალითად მოწინააღმდეგემ მოასწრო პირველი ბირთვული დარტყმის დროს მისი მტრის სახმელეთო ბირთვული რაკეტების შახტების განადგურება, ამ დროს მეორე მოწინააღმდეგე მხარეს რჩება ატომურ ძრავიანი წყალქვეშა ნავები, რომლებსაც ოკიანის სხვადასხვა საცეცხლე პოზიციიდან შეუძლია ბალესტიკური რაკეტების გაშვება. ასევე კოსმოსში ბირთვული იარაღის განთავსების შემთხვევაში, რომელიც აკრძალულია, ძალიან ბევრი რამ შეიცვლება თანამედროვე უსაფთხოებაში.

2. 2021 წლის შემდეგ New Start-ის არ აქვს დიდი პერსპექტივა რომ ამ სახით გაგრძელდეს ისევ, და რატომ, იმიტომ რომ ამის გაგრძელების წინააღმდეგი პირველ რიგში გამოდის ვაშინგტონი და ეტყობა პრეზიდენტი ტრამპიც, და რატომ მას უნდა რომ ეს ხელშეკრულება იყოს არა მარტო ორ ქვეყანას შორის ანუ რუსეთსა და აშშ-ის შორის კი არა არამედ ჩინეთსაც შეეხოს.

ამერიკელების ეს შემფოთება გასაკვირი არაა რადგან ჩინეთის ბირთვული ტრიადა და ბირთვული პოტენციალი სერიოზულად განვითარდა ბოლო ათ წლებულში ახალი ბალესტიკური რაკეტებისა და წყალქვეშა ნავების სახით, რაც არა ერთხელ გამოჩნდა პეკინში გამართულ ყოველწლიურ სამხედრო აღლუმებზე. სწორედ ამიტომ უნდა ამერიკას რომ ჩართოს ჩინეთიც, მაგრამ ჩინეთი ამაზე არ წავა რომ ის ჩაერთოს. მაგრამ თუ არ გაგრძელდა ეს შეთანხმება რა თქმა უნდა უფრო გიზრდება გლობალური საფრთხეები.

3. ამ თემის პრობლემა გარკვეულ წილად დაკავშირებულია ჩვენ თანამემამულე ალექსანდრე ნადირაძესთან. იგი იყო პიონერი სარაკეტო სისტემების ერთერთი ცნობილი კონსტრუქტორი. რმელმაც 1980 იანი წლების დასაწყისში მის საკონსტრუქტურო ბიუროში შექმნილი იქნა საშუალო სიშორის ბალესტიკური რაკეტების სისტემა, პირველად განთავსდა ექვს ღერძიან გადამზიდ მანქანაზე, ანუ შეგვიძლია ვთქვათ რომ მობილური გახდა. თუ აქამდე შახტებში იყო განთავსებული ის მან გააკეთე დიდ მანქანაზე, რომელიც მობილური იყო. შახტების ადგილმდებარეობის დადგენა კოსმოსური დაზვერვით ადვილად ხდებოდა. ხოლო როდესაც ესეთი მანქანა მობილური სარაკეტო გადაადგილდებოდა ტყეებში მისი შემჩნევა უკვე რთული იყო. და მაშინ სსრკ 1980 წლების დასაწყისში 83 წელს დაიწყო უკვე ამ პიონერების განთავსება გერმანიაში, ანუ აღმოსავლეთ გერმანიაში ანუ ევროპაში რა. მისი მოქმედების რადიუსი იყო 5000 კილომეტრი, რაც იმას ნიშნავდა რომ მთლიანად ფარავდა ევროპას, მაგრამ ვერ მიწვდებოდა ამერიკას. მაგრამ მიწვდებოდა ნატოს ყველა წევრს ევროპაში, კანადის და ამერიკის გარდა . სამ ქობინიანი საკმაოდ ძლიარე სარაკეტო დანადგარი იყო. ამის შემდეგ ამერიკელებმა შეიყვანეს გერმანიაში და დასავლეთ ევროპაში განათავსეს პერშინგები. უნდა ვთქვათ რომ პირველი რუსეთმა შეიყვანა ბალესტიკური რაკეტები, მაგრამ თვითო ბევრად წაგებული აღმოჩნდა რადგან მისი რაკეტები ვერ აღწევდა ამერიკამდე ხოლო ამერიკის რაკეტებს დასავლეთევროპიდან შეეძლო ზუსტად 12 წუთში მიეღწია კრემლამდე. 12 წუთი ეს ის დრო იყო რომ

კრემლს საევაკუაციოდაც არ ეყოფოდა. საბჭოთა კავშირი ამის შემდეგ წავიდა დათმობაზე და გამოყავდათ უკვე პიონერები და მათ პერშინგები და ხდებოდა მათი განადგურება. ეს ხელშეკრულება როგორც ნიუ სტარტის ხელშეკრულება მოქმედებდა მხოლოდ აშშ-ის და საბჭოთა კავშირს შორის. ამ ორმა ქვეყანამ განადგურეს მხოლოდ სახმელეთო რაკეტები. ორივე ქვეყანას შეეძლო განევიტარებინა მოკლე რადიოსაინი რაკეტები, უბრალოდ მათი რადიუსი არ უნდა აღმატებოდა 500 კილომეტრს. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთმა ჩვენს წინააჰმდეგ 3-4 დღესი გამოუშვა 21-22 ოპერატიულ ტაქტიკური დანიშნულების რაკეტა, მათ შორის იყო სამი სახეობის, ეს იყო ტოჩკა (70 კილომეტრი), ტოჩკა უ (120 კილომეტრი), და ისკანდერი. ისკანდერი იყო უახლოესი რაკეტა, რომლის რადიუსიც არის 480 კილომეტრი. ამ სახის მხოლოდ ორი რაკეტა გამოიყენეს. უნდა აღინიშნოს რომ არსებობს ასეთი საერთაშორისო კანონი, რომ ყველა ქვეყანას თითქმის ხელი აქვს მოწერილი, რომ მხოლოდ იმ სარაკეტო სისტემისგაყიდვა შეიძლება, რომლის რადიუსიც არ აღემატება 300 კილომეტრს დასაბრძოლო ქობინი უნდა ქონდეს 500კილოსი.

ისკანდერის ახალი რაკეტების, როგორც ბალისტიკური ისე ფრთოსანი რაკეტების გამოცდა დაიწყო რუსებმა, და ამაზე ამერიკის დაზვერვამ თქვა რომ ჩვენ კოსმუსიდან გადაღებული სურათები გვაქვს სადაც ის 500 კმ ზე მეტ მანძილს დაახლოებით 780 კმ გადისო და მეტსო და ამიტომ მიაჩნიათ რომ რუსეთმა დააარღვია ეს შეზღუდვა ეს იყო ერთადერთი საბაზი, რაზეც ამერიკამ თქვა რომ რუსეთი ჩუმად ანხორციელებს ასეთ ცდებს და ჩვენ გამოვდივართ საშუალო და მოკლე რადიუსიანი ბირთვული რაკეტების ხელშეკრულებიდანო. ეს პირველ რიგში ევროპისთვის იქნება მიუღებელი, როგორც პირველი ცივი ომის დროს თუ მხარეებმა განათავსეს შემდგომი დამაბულობის შემდეგ ეს სარაკეტო სისტემები.

4. 1990 წლის დასაწყისში, როდესაც პირველი ცივი ომი დამთავრდა, ყველამ ჩათვალა რომ საბჭოთა კავშირის შემდეგ რუსეთიც დაიშლებოდა და ნატოში შემავალმა ქვეყნებმა ძალიან შეამცირეს სამხედრო ბიუჯეტები და

გადაიარაღების პროგრამები. ნუ ჩათვალეს რომ მოგებულები არიან მაგრამ ძალიან შეცდნენ. დღეს ამ მხრივ მათ დრო აქვთ წაგებული, ნუ ფაქტობრივად ნატოსაც ეძინა , და ახლა ცდილობენ წამოიწიონ, მაგრამ კორონა ვირუსის პანდემიამაც საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა მათ ეკონომიკას, ისევე როგორც რუსეთისას. მაგრამ რუსეთმა ბოლო წლებში, 2008 წლის ომის შემდეგ რუსეთმა დაიწყო გამოფხიზლება და დაიწყო გადაიარაღების სერიოზული პროგრამა, და 60–70 % უკვე ახალი შეიარაღება აქვთ. ეს უკვე ბევრ რამეს ნიშნავს.

5. ნატოს ტერიტორიაზე შენახულია ძირითადად გერმანიასა და ბელგიაში ამერიკის შეიარაღების ტაქტიკური ბირთვული შეიარაღება დაახლოებით 200 მდე საავიაციო თავისუფალი ვარდნის ბომბი, რომლის შეცვლა უნდათ მართვადიანი სიტემიანი ბომბებით, ანუ ანალოგიური ბომბები ქინება უბრალოდ მართვის სისტემა ექნებათ რადგან უფრო მეტი სიზუსტე ქონდეს. ბირთვული შეიარაღება ასევე აქვს დიდ ბრიტანეთს და საფრანგეთს სხვას ნატოს წევრს შორის არავის არ აქვს. ტექნოლოგიური ტეტორიზმი ყოველთვის საშიში არის, იმიტომ რომ ტერორიზმის საშუალებები უფრო სრულყოფილი ხდება თანამედროვე სიტუაციებში, ანუ როდესაც ხდება საინფორმაციო სივრცეში ტერორიზმის შემოსვლა და საფრთხე ყოველთვის რჩება ჰაკერების საფრთხით . ბირთვული იარაღი ჩვეულებრივი ბომბი არაა, ის იქნახება სპეციალურ ბუნკერებში სადაც დაცული უნდა იყოს ტემპერატურა წნევა, სინესტე, ასევე საკმაოდ საფრთხეს წარმოადგენ მათი გადატანა. ღმერთმა არ ქნა ტერორისტებს ჩაუვარდეთ რაიმე ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობა, მაგრამ გამოყენება, როგორც ბირთვული აფეთქებისთვის შეიძლება ვერ შეძლოს მაგრამ შეიძლება გამოიყენოს, როგორც ჭუჭყიანი ბომბი, ანუ შეიძლება ჩვეულებრივი ბომბით ააფეთქოს და ამ დროს მოხდეს მისი რადიაქტიური ნივთიერების გაფანტვა ქალაქის პირობებში და ვეღარ გაივლიან იმ ქალაქებში რადგან დიდი რადიაცია იქნება.

6. „ცივი ომის“ დროს მთავარ შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენდა ბირთვული იარაღი, რაც დაპირისპირებულ მხარეებს უბიძგებდა დაეცვათ ბირთვული მშვიდობა. კუბის კრიზისი ნათელი მაგალითია იმისა თუ როლი უჭრავს მსოფლიო პოლიტიკაში ბირთვულ იარაღს. სადაც იმარჯვა პრაგატულმა აზრმა და არ მივიღეთ მესამე მსოფლიო ომი. კონფლიქტის დასარეგულირებლად მოსკოვმა კუბიდან გაიტანა თავისის სარაკეტო ბირთვული იარაღი. მაშინ მოსკოვის მოთხოვნით ამერიკელებმაც მიიღეს გადაწყვეტილება თურქეთიდან გაეტანათ ბირთვულ ქობინიანი რაკეტები იუპიტერის ტიპის რაკეტებზე იყო საუბარი საშუალო სიშორის დაახლოებით 2000 კილომეტრამდე იყო მათი რადიუსი და ამ რადიუსში თურქეთის ტერიტორიიდან ხვდებოდა რა თქმა უნდა საქართველოც და იქიდან რამდენიმე საქართველოზეც იქნებოდა დამიზნებული ნუ იმდროისათვის საბჭოთა კავშირის შემავალ საქართველოზეა საუბარი. თუმცა ამისგან ვერაფერი შეღავათი იქნებოდა ჩვენთვის. რაც იყო კუბის ანუ კარიბის ზღვის ამ დაპირისპირება ბირთვულმა ინციდენტმა შეიძლება ითქვას ჩვენთვის ერთგვარი პლიუსი იმოქმედა, რომ თურქეთიდან გატანილ იქნა ბირთვული იარაღი, სარაკეტო იარაღს ვგულისხმობ თორე საავიაციო იარაღი კი დარჩა დღემდე. და მაშნაც იყო შეჩერებული და შემდგომშიც იყო ამერიკა საბჭოთა კავშირს შორის სერიოზული დამაბულობები, მაგრამ სწორედ ბირთვული შეიარაღების ფაქტორმა განაპირობა ის, რომ არ გადაიზარდა უფრო სერიოზულ ომებში. ეს ფაქტორი მოქმედებს ეტყობა ინდოეთ პაკისტანის შემთხვევაშიც, რადგანაც ახლა ინდოეთის შეიარაღებული ძალები არმიის, ავიაციის, საზღვაო ფლოტის გინდ საერთოდ მოსახლეობის რაოდენობით აჭარბებს პაკისტან და საერთოდ უშუალო უპირატესობა აქვს, მაგრამ აი ეს სწორედ პაკისტანის ბირთვული შეიარაღება გარკვეულწილად აჩერებს ამუხრუჭებს ინდოეთის ინტერესებს. იგივე შეეხება ჩინეთის და ინდოეთის დაპირისპირების შემთხვევაში, ანუ აქ რაზეა საუბარი როდესაც სხვა ქვეყანამ იცის, რომ შეიძლება შენზე ძლიერია, მარამ შენ შეიძლება გადაწყვიტოს, როდესაც კუთხეში მიმწყდელი

შეიძლება ცუდი შედარებაა, მაგრამ თავი ან რაღაც შეიძლება მივარდეს ადამიანს როდესაც წასასვლელი არსად აქვს და შეიძლება რომელი სახელმწიფომ რომელსაც გააჩნია ბირთვული შეიარაღება როცა ნახავ რო ის მოწინააღმდეგე მასზე ბევრად ძლიერია შეიძლება გადაწყვიტო და გამოიყენოს ბოლო შანსი ანუ ბირთვული შეიარაღება. ასე, რომ გარკვეულწილად გეთანხმებით, რომ ბირთვული იარაღის ფაქტორმა განაპირობა ის, რომ პატარ-პატარა ომები კი ხება მსოფლიოში, მაგრამ დიდი რაიმე მესამე მსოფლიო ომის დონეზე ეს არ გადაზრდილა და იმედია არც გადაიზრდება, თუმცა აქ არის კიდევ ერთი ნიუანსი ეხლა ამერიკელები გამოდიან ესეთი ინიციატივით, რომ ვთვათ რაღაც შიარაღებულ კონფლიქტებში ისინი ამბობენ, რომ შეიძლება გამოვიყენო ეს ოფიციალური არაა, მაგრამ იქ ამერიკის შეერთებული შატატების სამხედრო წრეებში დადის ესეთი აზრი და პოლიტიკოსების ნაწილშიც. ძალიან მცირე სიმძლავრის ბირთვული ქობინები რომელიც იქნება ვთქვათ თუ იქნება ჰიროსიმაში გამოყენებული 15-18 კილოტონა საიმძლავრის ეს ნიშნავს 15-18 ათასი კილოტონა ტროტილის აფეთქების ექვივალენტის. აქაა საუბარი სულ რაღაც 5-6, 0,5 კილოტონას ძაან მცირეზეა საუბარი რომელიც შეიძლება იმან ის მიწისქვეშა ბუნკერი გაანადგუროს და ერთი კილომენტრის რაღაც, მაგრამ უფრო ისე რო საშინელებას არ მოახდენს. თუმცა ამას აქვს თავისი საშიშროება იმიტომ, რომ თუ ამის გამოყენებას იგი შეეცდება იგივე ბალისტიკური რაკეტით რუსეთის ანტისარაკეტო სისტემამ არ იცის ის ვისკენაა მიმართული რა სიმძლავრის ბირთვული ქობინი დევს თვითონ ამ რაკეტაში და რაღაც სიტუაციები დაძაბოს. რა თქმა უნდა ჯობს, რომ მსოფლიო აქამდე არ მივიდეს. სხვათაშორის აქ იყო მანამდე ინიციატივები, რომ ამერიკელებს სურთ, რომ ატომური წყალქვეშა ნავებიდან შეეძლოთ რაღაც კონკრეტულ საფრთხეზე რეაგირება არაუმეტეს 30 წუთის განმავლობაში მოახდინონ, ანუ ბალისტიკურ რაკეტას ამ 30 წუთში შეუძლია დაფაროს დაახლოებით 10-12 ატასი კილომეტრი გააჩნია ტრაექტორიას და ა.შ. ეს არის გლობალური რეაგირების სიტუაცია. აი ვთვათ რომელიმე

ტერორისტული, აი როგორც ბინლადენი იყო მისი განადგურება უნდა მიიღეს დაზვერვისგან ინფრმაცია და მის გასანადგურებლად სანამ ბომბდამშენებს გაუშვებენ ამას საათები და დღეები უნდათ. ნუ ადვილი არის ბალისტიკური რაკეტა რომელშიც ჩვეულებრივი ასაფეთქებელი ქობინი იქნება და არა ბირთვული. და მას ჯიპიესის საშუალებით ექნება მიზანში მოხვედრის ანუ მიზნიდა აცილების წრე იქნება 10-20 მეტრი ამისთვის სრულიად საკმარისია რო ეს ქობინი აფეთქვის იყოს ერთი ტონა ძალიან ბევრია 100 კილოც საკმარისი იქნება თუ მიწისქვეშაზეა საუბარი მაშინ ვთქვათ ერთი ტონისაც რო იყოს ეს ნიშნავს, რომ იმ სიზუსტით აუცილებლად გაანადგურებს ხომ. მაგრამ აი ბალისტიკური რაკეტის სტარტი მთელს მსოფლიოს ყალფზე შეაყენებს რადგან არავინ იცის ბალისტიკურ ქობინში რა არის და სად მიდის. ბალისტიკური რაკეტის ტრაექტორიის გათვლა თავიდანაა რთული, ხოლო მერეკი შესაძლებელი გათვალ თუ საით მიდის. ბალისტიკური რაკეტა ქვია, ის რომ სტარტის შემდეგ რაკეტა მიდის ბალისტიკური ტრაექტორიით ანუ ეგრე ადვილი გამოთვლა, მაგრამ თანამედროვე საშუალებები რაზეც რუსეთი და ამერიკაც საუბრობს ანუ პუტინიცმაც, რომ გამოდიოდა და იძახის. ანუ რაზეა საუბარი, რომ მართვადი იყოს ეს ქობინი განა ბალისტიკური ტრაექტორიით წავა, ანუ რა ბალისტიკური რაკეტა იღებს სტარტს ადის ძრავები მუშაობენ რამდენიმე ათეული წამი რის შემდეგაც კოსმოსში ახლო კოსმოსში გადის ბალისტიკური ტრაექტორიით ეს ქობინი და მიდის ამ ტრაექტორიას მიყვება რისი გამოთვლაც ადვილია თანამედროვე კომპიუტერული საშუალებებით. მაგრამ თუ ქობინს გააჩნია ზედ ძრავები და ის იწყებს მერე უკვე მანევრირებას აი მაშინ კი უკვე იცვლება ყველაფერი იმიტომ, რომ მისი ტრაექტორიის გამოთვლა ურთულესია მას სიჩქარე აქვს უზარმაზარი შეიძება 7 კიომეტრი წამში როცა შმოდის ატმოსფეროში ან 8-9 კმ წამში რომლის ჩამოგდება უკვე ანტისარაკეტო სისტემით შეუძლებელი ხდება.

7. ჩემი აზრით პირველი გაუვრცელებლობის საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო და ის ხელშეკრულებები რაც აქამდე მუშაობდა დიდ

მიღწევად იყო მიჩნეული, მაგალითად 87–88 წლიდან მუშაობდა საშუალო და მოკლე რადუსიანების რაკეტების ხელშეკრულება და ასე თუ ისე წარმატებული პროექტი იყო დღეს ყველაფერი წარსულს ბარდება, მათ შორის საჰაერო თავდაცვასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები. ასე რომ სიტუაცია უფრო იმაზეა მნიშვნელოვნად და თუ ახალი ქვეყნები დაემატა ამ ბირთვულ გუნდს სიტუაცია უფრო დაიძაბება, და თან თუ ისეთი სახელმწიფოები რომელთაც ლიდერებს შეუძლიათ წავიდნენ ავანტურაზე, მაგალითად ეს ეხება ჩრ. კორეას, შეიძლება ირანსაც. ეს ყოველივე რა თქმა უნდა გაზრდის სართხეებს და ამიტომ ყველაზე კარგი იქნება საფრთხის შესამცირებლად რომ ბირთვულ ქვეყნებს ახლები არ მიემატოს. მაგრამ გამომდინარე იქიდან თუ როგორ ვითარდება ტექნოლოგიები ეს ადრე თუ გვიან გარდაუვალი იქნება, იმიტომ რომ ბირთვული იარაღის შექმნის ტექნოლოგიები უფრო იხვეწება და არის ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიები რომლის გამოყენებითაც შეიძლება იკვე შენიღბო კიდევაც, რომ ვითომ სამოქალაქო დანიშნულებით იყენებ და ამავე დროს ბირთვული იარაღის შექმნაზე იმუშავო მითუმეტეს, ეს კი გაუადვილდებათ იმ ქვეყნებს რომელთაც აქვთ ატომური მრეწველობა და ატომური ელექტრო სადგურები. საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ რომ პირველი პრობლემა არის, რომ არ გაიზარდოს ბირთვული ქვეყნების რიცხვი, ხოლო მეორე პრობლემაა ბირთვული შეიარაღების შენახვა ექსპლუატაციის პრობლემები, ეს ძალიან ძვირად ღირებული პროცესია, ანუ შენახვისთვის საჭიროა მუდმივი ტემპერატურა, წნევა, სინესტე ყველანაირი პირობები უნდა იყოს დაცული და გათვალისწინება. მესამეა პრობლემაა რომ ბირთვული იარაღი იყოს დაცული, რადგან არ მოხდეს, რომ ტერორისტებმა და საერთაშორისო ტერორისტულმა ორგანიზაციებმა არ სცადონ ხელში არ ჩაიგდონ და ა.შ. არის კიდევ ერთი პრობლემა, რომ დრო გადის ძველდება და იმიტომ, რომ ეს რაიოაქტიური იზოტოპები რომელიც მასშია სითბოს გამოყოფენ და იშლება, ნახევარდაშლის პერიოდი გრძელდება და ადრე თუ გვიან საჭიროა ამ შენახული ბირთვული ქობინების, თუ საავიაციო ბომბების,

საარტილერიო ჭურვების გადამუშავება ანუ ამოღება პლუტონიუმის ის რასაც შეიცავს და მისი გადამუშავება უნდა მოხდეს. რამდენიმე დეტალია წმინდა უსაფრთხოება ექსპლუატაციასთან დაკავშირებით, ტერორზმის საფრთხე და შეიძლება ისეთ ქვეყნებს, რომ არ გაუჩნდეთ ეს იარაღი რომელთა ქვეყნების ხელისუფალნი შეიძლება ადვილად წავიდნენ მის გამოყენებაზე.

ეს უნდა მოხდეს ისევ ისე დიდი შეთანხმებები, რომლებიც მუშაობდა აქემდე მეტნაკლებად. ამიტომ უნდა მოხდეს დიდი ჩარჩო ხელშეკრულებები ამერიკას, რუსეთს, ჩინეთს და ევროპის ქვეყნების შორის რომელთაც აქვთ ბირთვული იარაღი მის გაუვრცელებლობის შესახებ, რომ არ შეიქმნას უფრო ძლიერი ბირთვული შეიარაღება. მაგალითად 1964 წლიდან აიკრძალა ბირთვული გამოცდები ატმოსფეროში, წყალზე, წყლის ქვეშ, კოსმოსში, მხოლოდ მიწის ქვეშ ცდიდნენ და მასზეც მორატორიუმი იყო გამოცხადებული 90 იანი წლებიდან ამერიკასა და რუსეთ შორის. მაგრამ სხვა ქვეყნები, ჩრ კორეა, პაკისტანი მაინც ცდიან, რადგან არ არიან ამ ხელშეკრულებაში. მსოფლიო ხედავს რომ დამაბულო არ იკლებს ფირიქით იმატებს, ამის მაგალითად შეგვიძლია რუსეთიც დავასახელოთ, რომელმაც 2010 წლიდან გამოაჩინა თავისი კლანჭები. რუსეთს სურს პროგრამა მინიმუმის და პროგრამა მაქსიმუმის შესრულება, პროგრამა მინიმუმი გულისხმობს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებზე გააძლიეროს მეთვალყურეობა, და პროგრამა მაქსიმუმია მეფის რუსეთის დროინდელი რუსეთი გახდეს. ანუ ყველა ქვეყანას სხვადასხვა ამბიციები აქვს, აშშ-ის, თურქეთს, ირანსს, ასევე თურქეთს სურს ბირთვული იარაღის შექმნა. ყველა ხვდება, რომ ბირთვული იარაღის არსებობის შემთხვევაში უფრო დიდი ამბიცია გაუჩნდებათ იმის რომ სხვა სახელმწიფოებს უკარნახოს პოლიტიკური წესები. ბირთვული შეიარაღება ძირითადად ორი კომპონენტისგან შედგება, ანუთვითონ ბირთვული ასაფეთქებელი, მოწყობილობა და მეორე მისი გადამტანი საშუალება, ანუ რა აზრი აქვს შენ გააკეთო ბირთვული ბომბი და მისი გადატანა არ შეგეძლოს, ნუ შენივე

ტერიტორიაზე ხომ არ ააფეთქებ. ამიტომაც მისი გადამტანი საშუალება, ყველაზე ოპტიმალურია სარაკეტო სისტემები. მართვადი და ისეთი საშუალებები რომელსაც სიზუსტე უკვე დიდი აქვს გამოჩნდა თუქრეთის შეუიარაღებაში, საუდის არაბეთის შეიარაღებაში, ანუ იმ ქვეყნებზე ვსაუბრობ რომლებიც შორს იყვნენ ბირთვული შეიარაღებისგან ეგვიპტი და ირანის. გადმატანი საშუალება რას გულისხმობს გერმანი სისტემსგან ანუ რაც გილისხმობ იმას, რომ რაც უფრო ზუსტია სიზუსტე ისე მცირე მუხტია საჭირო ობიექტის გასანადგურებლად და თუ ჯიპიეს დაუყენებ რაკეტას მაშინ უფრო ნაკლები მასაა საჭირო. ამიტომ ბევრი რამე წმინდა ტექნიკური ფაქტორებიდან და პარამეტრებიდან გამომდინარე ბევრი რაღაც სტრატეგიული მიზნები და პოლიტიკა იცვლება.

ალექსანდრე კრავშორი - პრადის ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ნატოს ექსპერტი მასობრივი განადგურების იარაღის საკითხებში.

1. აშკარაა, რომ ბირთვული შეკავება არის მუქარის ყველაზე ძლიერი და ეფექტური საშუალება. არც ერთ ქვეყანას არ სურს ბირთვული თავდასხმის მიზეზი ან მსხვერპლი იყოს, ასე რომ, შეკავება მუშაობს.

2. მიუხედავად ზემოთქმულისა, ყველაზე მეტად საგანგაშო უნდა იყოს ის, რომ ქვეყნები განაგრძობენ თავიანთი არსენალების ზრდას, შეთანხმებებიდან გამოსვლას და ზოგჯერ თავიანთ განვითარებებს ასაიდუმლოებენ კიდევ.

3. სამწუხაროდ, აშკარაა, რომ ხელშეკრულებები იმ ფურცლის ფასადაც კი არ ფასობს, რომლებზეც ისინია დაწერილი და რომ ერები უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი თვითშენარჩუნებითა და ჰეგემონიით, ვიდრე ეროვნული თავდაცვით, არ აქვს მნიშვნელობა აქვთ თუ არა მათ ბირთვული შეკავების არსებითი პროგრამა და ეს მიმართულება ძალიან საშიშია. ეფექტურობის შენარჩუნებისა და მზადყოფნისთვის ორივე ქვეყანამ უნდა

მოახდინოს ცივი ომის მემკვიდრეობითი ბირთვული ძალების რეკაპიტალიზაცია. იმ დროისთვის, როდესაც ორივე ქვეყანა დაასრულებს ამ ძალების საჭირო მოდერნიზაციას, ისინი უკვე ათწლეულების განმავლობაში მოემსახურებიან სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობას. ეს შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ფაქტორი პლანეტაზე გარემოს დაცვისთვის.

4. ბირთვული მდგომარეობის მიმოხილვა 2018 წლის თებერვლიდან ადასტურებს წინა მიმოხილვების დასკვნებს, რომ ბირთვული ტრიადა - რომელსაც მხარს უჭერს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) ორმაგი სიმძლავრის თვითმფრინავი და ძლიერი ბირთვული ბრძანების, კონტროლისა და კომუნიკაციების სისტემა - ბირთვული შეკავების უზრუნველყოფისთვის არის ყველაზე ეფექტური და სტრატეგიულად სწორი საშუალება. ეს ტრიადა უზრუნველყოფს პრეზიდენტის მოქნილობას, გეოპოლიტიკურ გარემოში ტექნოლოგიური სიურპრიზების ან უეცარი ცვლილებებისგან თავდასაცავად. თავდაცვის დეპარტამენტი და ბირთვული უსაფრთხოების ეროვნული ადმინისტრაცია (NNSA) შეიმუშავებენ დაბალი სიმძლავრის წყალქვეშა ბალისტიკური რაკეტის ქობინების განლაგებას, რათა უზრუნველყონ სწრაფი რეაგირების ვარიანტი, რომელსაც შეუძლია შეაღწიოს მოწინააღმდეგე თავდაცვაში. ეს არის შედარებით დაბალი დანახარჯების და მოკლე დროში განსახორციელებელი ცვლილებები არსებული შესაძლებლობებისადმი, რაც ხელს შეუწყობს შეეწინააღმდეგოს აშშ-ს რეგიონალური შეკავების შესაძლებლობებში საექსპლუატაციო „უფსკრულის“ არასწორად აღქმას. აშშ აქტიურად აჩვენებს თავის აღქმას, იმ უპირატესობის შესახებ, რომელსაც ეს სისტემები იძლევა, მრავალი საქმიანობისა და განცხადების საშუალებით (იხილეთ მაგალითად შეერთებული შტატების ინდო-წყნარი ოკეანის სარდლობა (USINDOPACOM) ბოლო წლების განმავლობაში).

5. თავდაცვის დეპარტამენტის კონცეფციის თანახმად, შეერთებულმა შტატებმა უნდა შეინარჩუნოს და, საჭიროებისამებრ, გააძლიეროს ბირთვული ბომბდამშენებისა და საჰაერო თავდაცვის განლაგების

შესაძლებლობა მთელს მსოფლიოში, ნატოს სტრუქტურების მეშვეობით, რათა უკეთ უზრუნველყოს და საჭიროების შემთხვევაში გააუმჯობესოს მზადყოფნა, გადარჩენა და ოპერატიული ეფექტურობა ევროპაში. გარდა ამისა, ახლო პერიოდში, შეერთებული შტატები შეცვლის არსებული წყალქვეშა ბალისტიკური რაკეტის ქობინების მცირე რაოდენობას, რათა უზრუნველყოს დაბალსიმძლავრიანი ვარიანტი და უფრო გრძელვადიან პერიოდში განავითაროს თანამედროვე ბირთვული შეიარაღებული საზღვაო საკრუიზო რაკეტა (SLCM). საჭაერო თავდაცვისგან განსხვავებით, დაბალსიმძლავრიანი წყალქვეშა ბალისტიკური რაკეტის ქობინა და საზღვაო საკრუიზო რაკეტა არ საჭიროებს ან ეყრდნობა მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერას, რათა უზრუნველყოს შემაკავებელი ეფექტი. ისინი უზრუნველყოფენ დამატებით მრავალფეროვნებას პლატფორმებში, დიაპაზონში და გადარჩენის შესაძლებლობებსა და მნიშვნელოვან ბარიერში, მომავალი ბირთვული "ამოხეთქვის" სცენარების წინააღმდეგ.

6. მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებული ყველა შეთანხმების მიუხედავად, ბირთვული იარაღი კვლავ იწყებს უპირატესი როლის შესრულებას. ბირთვული ენერჯის ყველა დონის ქვეყნები დარწმუნებულნი არიან, რომ ბირთვული იარაღის მოპოვება, თუნდაც მხოლოდ თავდასხმის საფრთხის გამო, არის ყველაზე სასარგებლო გზა, თუმცა შეუსაბამო ადამიანის სიცოცხლის საშიშროებასთან. როგორც ჩინეთი, ასევე რუსეთი მიიჩნევენ, რომ შეერთებული შტატები და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) მთავარ საფრთხეს წარმოადგენს მათი თანამედროვე გეოპოლიტიკური ამბიციებისთვის. რუსული სტრატეგია და დოქტრინა ხაზს უსვამს ბირთვული იარაღის შესაძლო იძულებით და სამხედრო გამოყენებას. სამწუხაროდ, რუსეთი შეცდომით აფასებს, რომ ბირთვული ესკალაციის საფრთხე ან ბირთვული იარაღის რეალური გამოყენება ხელს შეუწყობს კონფლიქტის "დეესკალაციას", რუსეთისთვის ხელსაყრელი პირობებით. ჩინეთის პრეზიდენტ სი-ს მიერ მე -19 პარტიის კონგრესზე გაკეთებული განცხადების თანახმად, რომ 2050 წლისთვის

ჩინეთის სამხედრო ძალები "სრულად გადაიქცვიან პირველი რიგის ძალებად", ჩინეთი აგრძელებს თავისი ბირთვული ძალების რაოდენობის, შესაძლებლობების და დაცვის გაზრდას. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის დეკლარაციული პოლიტიკა და დოქტრინა არ შეცვლილა, გამჭვირვალობის ნაკლებობა მისი ბირთვული მოდერნიზაციის პროგრამის მასშტაბთან დაკავშირებით ბადებს კითხვებს ჩინეთის სამომავლო განზრახვის შესახებ. ჩინეთმა შეიმუშავა ახალი საგზაო-მობილური სტრატეგიული საკონტინენტაშორისი ბალისტიკური რაკეტა (ICBM), თავისი DF5-ის ახალი მულტიფობინური ვერსია და მისი ყველაზე მოწინავე ბალისტიკური რაკეტის წყალქვეშა ნავი, რომელიც შეიარაღებულია ახალი წყალქვეშა ბალისტიკური რაკეტებით (SLBM). მან ასევე გამოაცხადა ახალი ბირთვული შესაძლებლობების მქონე სტრატეგიული ბომბდამშენის შექმნის შესახებ, რაც ჩინეთს ატომურ ტრიადას აძლევს. ჩინეთმა ასევე განათავსა ბირთვული შესაძლებლობების მქონე სიზუსტით მართული DF-26 შუალედური დიაპაზონის ბალისტიკური რაკეტა, რომელსაც შეუძლია თავდასხმა სახმელეთო და საზღვაო დანიშნულების ობიექტებზე. დღეს შეერთებული შტატები მზად არის გადამწყვეტი რეაგირება მოახდინოს ჩინურ არა ბირთვულ ან ბირთვულ აგრესიაზე. აშშ-ს წვრთნები აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, სხვა მიზნებთან ერთად, ამ მზაობას ასახავს, რაც ასევე გაზრდის პრეზიდენტისთვის ხელმისაწვდომ ბირთვული რეაგირების ვარიანტების დიაპაზონს. ორივე ნაბიჯი გააძლიერებს ჩვენი შემაკავებელი სტრატეგიის სანდოობას და გააუმჯობესებს ჩვენს შესაძლებლობებს ეფექტურად მოვახდინოთ რეაგირება ჩინეთის შეზღუდულ ბირთვულ გამოყენებაზე, თუ შეკავება შედეგს არ მოიტანს.

7. ბირთვული ბალისტიკური რაკეტების წყალქვეშა ნაგების, სტრატეგიული ბომბდამშენების, ბირთვული საჰაერო საკრუიზო რაკეტების, საგზაო-მობილური სტრატეგიული ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტებისა და მათთან დაკავშირებული ბირთვული ბრძანებისა და კონტროლის გლობალური მოდერნიზება შეინარჩუნებს ბირთვული

იარაღის მფლობელი ქვეყნების მძლავრი შეკავების მდგომარეობას. არა-ბირთვულ შესაძლებლობებს შეუძლიათ შეავსონ, მაგრამ არა ჩაანაცვლონ, ბირთვული შესაძლებლობები ამ მიზნით.

8. იმისათვის, რომ შეკავება იყოს სანდო, გლობალური დომინირების ამბიციის მქონე ყველა ქვეყანა უნდა მოემზადოს ეფექტურად რეაგირებისთვის, თუკი შეკავება შედეგს არ მოიტანს, ისეთი გზებით, რომ მიაღწიონ მიზნებს მოკავშირეთა და პარტნიორთა ინტერესების დაცვისას. როგორც 2009 წლის პერი შლესინგერის კომისიის ორმხრივ დასკვნაშია ნათქვამი, ორივე ქვეყნის (შეერთებული შტატები და რუსეთის ფედერაცია) საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობა ფაქტობრივად ძალიან სტაბილურია. ისინი ექვემდებარება კონტროლის მრავალ ფენას, რაც უზრუნველყოფს სამოქალაქო და საპრეზიდენტო გადაწყვეტილებების მიღებას. ”ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, ორივე ქვეყანამ ჩამოაყალიბა მთელი რიგი ზომები და პროტოკოლები იმის უზრუნველსაყოფად, რომ საგზაო-მობილური სტრატეგიული ინტერკონტინენტური ბალისტიკური რაკეტები ყოფილიყო უსაფრთხო, დაცული და მუდმივი კონტროლის ქვეშ. სხვაგან, დღესდღეობით, სტრატეგიული სურათი უფრო მეტ შემფოთებას იწვევს, ვიდრე ეს იყო 20-30 წლის წინ. დღესდღეობით ჩინეთი ახორციელებს სრულიად ახალ ბირთვულ შესაძლებლობებს, რომლებიც მორგებულია ეროვნული უსაფრთხოების განსაკუთრებული მიზნების მისაღწევად, ამასთანავე ახდენს თავისი სტანდარტული შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციას და გამოწვევას უქმნის ამერიკის სამხედრო ძალების უპირატესობას დასავლეთ წყნარ ოკეანეში. ჩრდილოეთ კორეასთან ერთად, ჩინეთის ბირთვული პროვოკაციები საფრთხეს უქმნის რეგიონულ და გლობალურ მშვიდობას. ირანის ბირთვული ამბიციები კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. გლობალურად, ბირთვული ტერორიზმი რეალურ საფრთხეს წარმოადგენს.

ჯონს სკოტი - ამრეკითამცოდნეობის დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, გადამდგარი პოლკოვნიკი (აშშ-ს არმია).

1. ბირთვული იარაღი ზღუდავს მთავარი ძალების საპასუხო ქმედებას ერთმანეთის მიმართ. ამ იარაღის ფლობა მთავარ ძალებს უფრო ფრთხილს ხდის კრიზისისა და დილემებზე რეაგირების საკითხში. ვფიქრობ, ეს ზრუნვა ან შეშფოთება ორი მიზეზის გამოა. პირველი, არსებობს „თოვლის გუნდის ეფექტი“. ეს შეშფოთებაა იმის გამო, რომ ბირთვული ძალის მიმოქცევამ, ან მასზე საუბარმა, შესაძლოა შექმნას უფრო ცუდი პირობები ან უფრო ცუდი არჩევანი, თუ ურთიერთობები და დიპლომატია გაუარესდება დამატებით მოხდება ესკალაცია. მეორე, არსებობს ნაკლებად სერიოზული შეშფოთება, რომ არაბირთვული სამყარო უარყოფით რეაგირებას მოახდენს და შექმნის რთულ გარემოებებს, რომლებიც დააზიანებს ბირთვული ენერჯის მიმზიდველობას ან ეკონომიკას საზღვარგარეთ. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს აშკარა შემაკავებელი ფაქტორი ბირთვული ომის ერთხელ და სამუდამოდ შესაჩერებლად მთავარ ძალებს შორის, როგორცა, მაგალითად, გარანტირებული ურთიერთ განადგურების (MAD) ფილოსოფია, არსებობს შემარბილებელი ეფექტი ძირითადი ბირთვული ძალების მიმართ. როგორც ისტორია გვიჩვენებს, ეს ხელს არ უშლის ასიმეტრიულ შეტევებს ან კონფლიქტს მთავარ ძალებსა და მცირე სახელმწიფოებს ან არასახელმწიფოებრივ აქტორებს შორის.

2. მჯერა, რომ სისტემურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით სიტუაცია გაუარესდება. ამ ხელშეკრულების წარუმატებლობა ან წარუმატებლობის შიში მხოლოდ დამატებითი აგურია ცივი ომის ტიპის სხვა სცენარში. ომის ნორმები გადავიდა ჰიბრიდულ და არატრადიციულ კონფლიქტში, დროის გასვლასთან ერთად, მარცხისა და შეცდომების შანსმა, ისევე როგორც აქტივების არასათანადო დაცვამ, შესაძლოა გამოიწვიოს ტრაგედია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეკრულების პრობლემა ან სიკვდილი ასეთი მაგალითია.

3. დიახ, ეს პასუხი უკავშირდება წინა პასუხს. ამ ხელშეკრულების საკითხს არამარტო მივყავართ ბირთვული განვითარებებსა და გაუმჯობესების რბოლამდე ან ესკალაციამდე, არამედ აჩენს უნდობლობასაც, ასე რომ, ის ამცირებს იმედებს და წყალს ასხამს რუსეთის წისქვილზე, რომელსაც ყოველთვის სურდა იმპერიის ან კონტროლის სფეროს დაბრუნება.

4. იმდენად, რამდენადაც ნებისმიერ ორგანიზაციას შეუძლია გავლენა მოახდინოს. ნატოსთვის რელევანტურობის შენარჩუნების ნაწილი იქნება ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, არსებული სცენარის გაგრძელება და დაგეგმვის პრაქტიკა. ჩემი აზრით, ბირთვული "ჯინი" უკვე გამოვიდა ბოთლიდან და აღარასდროს დაბრუნდება, ასე რომ, სანამ იბირთვული მასალა არსებობს და არსებობს მტრული საფრთხეები, როგორებიცაა ირანი, ჩრდილოეთ კორეა - და რუსეთის გაურკვეველი მომავალი, ნატო უნდა დარჩეს აქტუალური. როგორც კოლექტიური ხმა, სტაბილურობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის მნიშვნელოვანია, რომ ნატო ხელს უწყობს რუსეთთან დიალოგის გაგრძელებას არსებული მარაგის შემცირებისა და ხელშეკრულებების გარდაქმნის მიზნით. მაგრამ, რუსებთან ურთიერთობისას, მნიშვნელოვანია, არ გაგრძელდეს ეს დიალოგი სისუსტის პოზიციიდან. ნატო უნდა იყოს საფუძვლისა და დასავლური ფასეულობების ხმა, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს, თუ მეორე მხარე მზად არის თანდათანობით აიღოს ბირთვული იარაღი მოლაპარაკების მაგიდიდან.

5. ჩვენ შეიძლება არ ვიცოდეთ ნატოს მოქმედებების რეალური ეფექტურობა და სარგებლიანობა ტექნოლოგიური გამოწვევების შესაკავებლად, მაგრამ ვიცით, რომ ეს გარკვეულ დონეზე ხდება. ის ფაქტი, რომ ალიანსის არცერთ წევრს არ განუცდია სავალალო შეტევა ტექნოლოგიის ან კიბერსივრცის საშუალებით, ვფიქრობ, რომ ალიანსის წევრების მიერ გაზიარებული დაზვერვისა და მიზანმიმართული ზედამხედველობის შედეგია; თუმცა, ველით, რომ ალიანსის მხრიდან კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა

ტექნოლოგიების, კიბერ სივრცის და კოსმოსის დაცვას, რადგან საფრთხე ფართოვდება და ვითარდება.

6. არ მჯერა, რომ შესაძლოა მოხდეს ფართო კონფლიქტი, რომელსაც ზოგი "მსოფლიო ომს" უწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ მე ვდგავარ ჩემს მოსაზრებაზე, რომ ბირთვული ჯინი ბოთლიდან გამოსულია და უკან აღარ დაბრუნება, დიდი სახელმწიფოების მიერ ბირთვული იარაღის მიზანმიმართული გამოყენება ნაკლებად სავარაუდოა. ის, რამაც მომავალში შეიძლება პრობლემები შექმნას არის უბედური შემთხვევების, მთავარი სახელმწიფოების შიგნით თაღლითი აგენტების ან ახლად განვითარებული ტექნოლოგიების საშიშროება, რომლებიც გაიყიდა იმ გადამხდელზე, რომელმაც ყველაზე მაღალი ფასი დაასახელა. მე მჯერა, რომ ამჟამად არსებული იარაღი საკმარისია. მე მჯერა, რომ ამჟამად იარაღის ინვენტარიზაცია საკმარისია რაციონალური სახელმწიფოებისგან პირველი გამოყენების გასაუქმებლად.

7. ალიანსისა და თავისუფალი სამყაროს ლიდერებს არ სურთ, რომ ბირთვული იარაღის გავრცელება გაიზარდოს ბუნებრივი მიზეზების გამო. თუმცა, ვფიქრობ, რომ შიშები ან შეშფოთება ბირთვულ იარაღთან, როგორც საფრთხესთან, დაკავშირებით შემცირდა და შეიცვალა სხვა უფრო მსუბუქი და უახლესი საშიშროებებით. რბილი ძალა არის ამ ყოველივეს მზა პასუხი. ძირითადი ძალები, მათ შორის ბირთვული 9-ის წარმომადგენლები, მზად უნდა იყვნენ დახმარება გაუწიონ და ჯილდო დაუწესონ სახელმწიფოებს, რომლებიც "არ შეუერთდნენ კლუბს" და გაეროს საშუალებით უნდა აჩვენონ, რომ ინტერვენცია ბირთვული იარაღის მიმართულებით ვერასდროს მოიტანს სარგებელს იმ ქვეყნისთვის, რომელსაც სურს მისი განვითარება.

8. ეროვნული ძალაუფლების ყველა ელემენტი არის საშუალება, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ბირთვული გავრცელების საწინააღმდეგოდ. შესაძლოა, ბირთვული გავრცელების საწინააღმდეგოდ უკეთესი მეთოდი ან ტექნიკა არის სახელმწიფოებმა უერთგულონ საერთაშორისო მოლოდინებს, დაიცვან ხელშეკრულებები და გააკეთონ ის, რაზეც ასე ხშირად საუბრობენ.

სისტემურ უსაფრთხოებას ამყარებენ სახელმწიფოები, რომლებიც თანამშრომლობენ და კოლექტიურად იყენებენ ზეწოლას, როდესაც რეჟიმები იმუქრებიან და ცდილობენ "შეუერთდნენ ბირთვულ კლუბს".

ფრედერიკი ლაბარე - კანადის სამეფო სამხედრო კოლეჯის პროფესორი, ექსპერტი საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში.

1. პასუხი : იგივე, როგორც ყოველთვის. დღესდღეობით ბირთვული იარაღი არსებობს როგორც ძალა და, ზოგადად, ხელს უშლის "რეჟიმის შეცვლას". გასაოცარია, ის მთავრობები, რომლებიც არ იყვნენ დემოკრატიული და რომლებმაც დათმეს თავიანთი ბირთვული იარაღი, როგორ უყურებდნენ ჩარევას თავიანთ შიდა საქმეებში. აქედან გამომდინარე, უნდა ველოდოთ, რომ გარკვეული რეჟიმები განაგრძობენ მასობრივი განადგურების იარაღის გარკვეული ფორმით შეკავებას. ამ შემთხვევაში, ეს არ იქნებოდა რაიმე მასიური ბირთვული შეტევისგან თავის შეკავება, არამედ ჩვეულებრივი ან პოლიტიკური შეტევა, რომელიც მიზნად ისახავს რეჟიმის დესტაბილიზაციას. ამ თვალსაზრისით, არ არის მიზანშეწონილი ისეთი ქვეყნისგან, როგორცაა ჩრდილოეთ კორეა, მოველოდოთ, მაგალითად, ოდესმე უარი თქვას იარაღზე. იგივე მოქმედებს ირანთან მიმართებაში, თუკი ის ოდესმე მიიღებს მუშა შემაკავებელ ფაქტორს

2. პასუხი : მოსალოდნელია, რომ ახალი საწყისი ხელშეკრულება გაუქმდება იმ შემთხვევაში, თუ ბატონი ტრამპი 2020 წელს დაბრუნდება თანამდებობაზე. ის ამ ხელშეკრულებას გააუქმებდა არა იმიტომ, რომ იგი რუსეთის ან ბატონი პუტინის წინააღმდეგია, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ ეს ხელშეკრულება შექმნა ბატონმა ობამამ და ბატონმა ბაიდენმა. თუ ბატონი ბაიდენი გაიმარჯვებს არჩევნებში 2020 წლის ნოემბერში, საეჭვოა, რომ იგი დანას ჩასცემს საკუთარ შემოქმედებას (2010 წლიდან). ამის ნაცვლად, შეიძლება ველოდოთ ნაწილობრივ ვალდებულებას განიარაღებასა და იარაღის კონტროლთან დაკავშირებით, შუალედური დიაპაზონის

ბირთვული ძალების ხელშეკრულების (INF) ჩათვლით, განსაკუთრებით ჩინეთთან დაძაბულობის გაზრდასთან ერთად. აშშ-ს, ამ შემთხვევაში, სურს, რომ რუსეთმა არ ისარგებლოს აშშ-ჩინეთის კონკურენციით. დემოკრატებს მიაჩნიათ, რომ ამის გაკეთების საუკეთესო გზა არის რუსეთის თანხმობის მოპოვება ხელშეკრულების გზით.

3. პასუხი : იხილეთ ჩემი პასუხი მეორე პუნქტზე. მაჩვენებლები აჩვენებენ, და ეს უფრო მწვავე იქნება ჩინური პანდემიის შემდეგ, რომ შეერთებულ შტატებს ფინანსურად აღარ შეუძლია იარაღის შეჯიბრი. მას არ აქვს ნორმალური ბიუჯეტი 2008 წლიდან და უფრო და უფრო ზრდის ვალების რაოდენობას, ვერ ახერხებს ხარჯების ორმხრივი შეთანხმების მიღებას. ეს შეიძლება შეიცვალოს, თუ ორი მთავარი პარტიიდან ერთ-ერთი გაწმენდს თეთრ სახლს, წარმომადგენელთა პალატასა და სენატს 2020 წელს და შემდგომ. თუმცა, ეს არ დაეხმარება აშშ-ს ფისკალურ მდგომარეობას. იხილეთ პოლ კენედი (1988) დიდი ძალების აღზევება და დაცემა.

4. პასუხი : როგორც ბატონმა მაკრონმა განაცხადა, 2019 წლის ნოემბერში, პასუხისმგებლიანი შეერთებული შტატების გარეშე, ნატოს „ტვინი მკვდარია“, რომლითაც იგი არ გულისხმობდა, რომ ნატოს შტაბ-ბინა იდიოტებით იყო სავსე, არამედ მხოლოდ იმას, რომ ის «კლინიკურად» მკვდარი იყო; სიცოცხლის მხარდაჭერაზე. ფაქტობრივად, მე-4 და მე-5 მუხლების იურიდიული გარანტიები კვლავ ფუნქციონირებს, მაგრამ ამ შემაკავებლების ეფექტურობის გაზომვა შესაძლებელია მხოლოდ იმ ოპერატიული შესაძლებლობებით, რომელთაც ნატოს ყველა წევრს შეუძლია საიმედოდ დაეყრდნოს. ამჟამად მხოლოდ შეერთებულ შტატებს აქვთ ნატოს ოპერაციების მთელ ტერიტორიაზე მონიტორინგისა და განლაგების შესაძლებლობა. მაგრამ ის ამას აღარ გააკეთებს; ის კარგავს მორალურ ძალაუფლებას და იურიდიულ სანდოობას, მაშინ, როდესაც სხვა მოკავშირეებს კიცხავს იმის გამო, რომ არ ხარჯავენ საკმარის თანხას თავდაცვისთვის. შედეგი არის ის, რომ ევროპული ნატო ნომინალურად იქნებოდა გერმანიის, საფრანგეთის და გაერთიანებული სამეფოს საქმე. არის

თუ არა ეს საკმარისი შემაკავებელი, სხვა კვლევის თემაა, სადაც უნდა გაკეთდეს შესაძლებლობების გაზომვა მათსა და პოტენციურ მოწინააღმდეგეებს შორის. მანამდე ბირთვულ იარაღს - რომელიც შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს და საფრანგეთს (ნატო-ს შიგნით) ეკუთვნით თავიანთი თანდაყოლილი შემაკავებელი შესაძლებლობები ჯერ იდეა აქვთ, მხოლოდ თავიანთი არსებობით. ნატოს არ სჭირდება მათი ბრენდინგი, რომ მისი ხმა გაიგონონ, რადგან ეს არ არის ორგანიზაციის იარაღი; მხოლოდ მისი წევრების. ბირთვული დაგეგმვის ჯგუფი, სადაც არაბირთვული წევრებიც კი სხედან, გეგმავს შეინარჩუნოს ამ შემაკავებლის სანდოობა და თავიდან აიცილოს სტრატეგიული დისლოკაცია (მაგ., ერთ-ერთი ბურთვული ძალა იძულებული გახდეს გაკეთოს არჩევანი საკუთარი თავის ან მისი მოკავშირეების დაცვას შორის თავისი იარაღით).

5. პასუხი : უნდა ითქვას, რომ ის ძალიან კარგად მუშაობს. 2010 წელს, ბალტიის ზღვაში მოხდა რუსული სატვირთო თვითმფრინავის გატაცების უცნაური შემთხვევა, რომელმაც გამოიწვია დევნის ციებ-ცხელება მთელს ატლანტიკაზე, რომელშიც ნატო და რუსული საზღვაო ძალები თანამშრომლობდნენ. ვარაუდობენ (მედიას არ დაუდასტურებია ეს ინფორმაცია), რომ ხდებოდა ბირთვული ნარჩენების მასალის კონტრაბანდა და იგი განკუთვნილი იყო ჩრდილოეთ აფრიკელი ტერორისტებისთვის. ამ განცხადების მხარდასაჭერად ერთადერთი გზა იყო ესტონეთის თავდაცვის სამინისტროს ვებსაიტის დათვალიერება, რომელსაც ჰქონდა ახალი (2011) განყოფილება «საერთაშორისო მოხსენება რადიოაქტიური მასალების ტრანზიტის შესახებ».

6. პასუხი : ჯერჯერობით, კარგია! არავის აქვს ინტერესი მესამე მსოფლიო ომის მიმართ. ფსონები საკმარისად მაღალი არ არის. ეს ყველაფერი ბრძოლის წესრიგის საკითხია; ვინ გაიფიცება პირველი და რისი გამოყენებით. ბირთვული პასუხის ქმედუნარიანობის დასაკარგად არ არის საჭირო ბირთვული იარაღი. ეგისის ბალისტიკური სარაკეტო თავდაცვის სისტემის თავდაცვითი საშუალებები დღეს ბევრად უფრო მძლავრია, ვიდრე

ეს იყო 18 წლის წინ, მაგალითად, ჩარევის წარმატების მაჩვენებელი გაცილებით მეტია, ვიდრე 2002 წელს, როდესაც ბალისტიკური სარაკეტო თავდაცვის სისტემის ხელშეკრულება დატოვეს და რაკეტების ბატარეები პოლონეთსა და ლიტვას დაჰპირდნენ და ვინ იცის, კიდევ ვის. ჩინეთს შედარებით ნაკლები ბირთვული იარაღი გააჩნია, და რუსეთთან ახალი საწყისი შეთანხმება ნიშნავს, რომ მალე სამხედრო ქობინების რაოდენობა 2000-ზე დაბლა უნდა შემცირდეს, როგორც რუსეთისთვის, ისე შეერთებული შტატებისთვის, თუმცა შუალედური დიაპაზონის ბირთვული ძალების ხელშეკრულების ანულირება ახალ საწყისს მრავალი გზით აუქმებს. ასევე, ტაქტიკური ბირთვული იარაღი რჩება, როგორც რეალური უცნობი ცვლადი.

7. პასუხი : წინააღმდეგობა საყოველთაო რწმენის მიმართ, რომ ბირთვული გავრცელების საფრთხე უზრუნველყოფს ახალი და მტრული ბირთვული ძალების შექმნას, არ არის ძალიან მაღალი; ამ დროისთვის, ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც ბირთვული იარაღის მოპოვებას შეეცდება, დიდი ძალების, შესაძლოა რუსეთისგანაც კი, სერიოზული შემოწმება მოუწევს. პოლიტიკური ზეწოლა, რომელსაც ეს მთავრობები განიცდიდნენ, საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ კარგად დაფიქრდნენ. ასევე, ოპერატიულად, ადვილი არ არის რადიოაქტიური მასალის კონტრაბანდა შესაბამისი ბირთვული იარაღის შესაქმნელად; ქვეყნების უმეტესობას აქვს რადიოაქტივობის გამოვლენის მექანიზმები სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან, მათ შორის საზღვაო პორტებთან, ასე რომ, როგორც კი ეს ნემსი დაიწყებს მოძრაობას, პოლიციაც იმავეს გააკეთებს. დაბოლოს, ბირთვული იარაღის აშენება მოითხოვს უამრავ ცოდნას, დიდ სამუშაო ძალას და უამრავ რესურსს. ისინი კვალს ტოვებენ სადაზვერვო სამსახურებისთვის. ახლა როდესაც ჩვენ ვიცით, რომ ადვილია ამ სამსახურებისთვის საფრთხის "წარმოდგენა", არ ღირს სცადოთ. რაც უფრო შემამფოთებელია, არის „რადიოაქტიური ბომბები“, რომლებიც დამზადებულია სხვა რადიოაქტიური მასალებით, რომელთა მოპოვებაც უფრო მარტივია სამიზნე ქვეყნის საზღვრებში. მაგალითად, სამედიცინო სკანერები იყენებენ რადიოაქტიური იზოტოპებს,

რომლებიც შეიძლება იყოს მოპარული, ან ატომური ელექტროსადგურების ნარჩენები და ა.შ., რათა დამზადდეს რადიოაქტიური ბომბი. ამის აღმოჩენა უფრო რთულია, და თუ შესაბამისად იქნება გამოყენებული, შესაძლოა მოქმედებდეს ისევე, როგორც ატლასის რაკეტა.

8. პასუხი : თავიდანვე ნატო, როგორც ორგანიზაცია, ყოველთვის გამოთქვამდა განიარაღების და იარაღის კონტროლის სურვილს, მაგრამ ამავე დროს, იმეორებდა, რომ შეკავების ქვაკუთხედი ბირთვული იარაღია. რადგან ნატოს შეუძლია მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრულ არეალში იმუშაოს ოპერაციებით, ეს ძალისხმევა უნდა განხორციელდეს რუსეთზე, შესაძლოა ირანსა და ისრაელზე. ჩემი აზრით, იარაღის კონტროლის ფართო ჩარჩოს ხელახლა განხილვა იმ წევრების წახალისებს, რომლებიც ჯერ კიდევ იყენებენ ბირთვულ ენერგიას ელექტროენერჯისთვის, მოახდინონ რეაქტორების დემონტაჟი და, ზოგადად, ახალი თანამშრომლობის რეჟიმების მიღება, შეიძლება იყოს რისკების შემდგომი შემცირების გზა. შესაძლოა ვიფიქროთ ბირთვულ კომისიაზეც, რომელიც ნატო-ს ყველა პარტნიორ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც, იქნება, რომ კოორდინირება გაუწიოს ასეთ შედეგს. როგორც ჩანს, ძველი სტრატეგიული დილემა კვლავ გამოჩნდება; რა მოხდება, თუ სტანდარტული ძალები არასაკმარისი შემაკავებელია შეჭრისთვის? ეს უნდა იყოს განხილული იმ საზღვრების მიღმა, თუ რას წარმოადგენს ბირთვული გაუვრცელებლობა, მაგრამ ნამდვილად უნდა იყოს ახალი ევროპული უსაფრთხოების დღის წესრიგი.

დასკვნა

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღების და მასობრივი განადგურების იარაღის როლი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. 21-ე საუკუნეში იზრდება საერთაშორისო უსაფრთხოების წინაშე მდგარი საფრთხეების და გამოწვევების განზომილება. რაც საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას და შესწავლას იმ საკითხებს რომელიც ზემოქმედებს უსაფრთხოების სტაბილურობაზე. მასობრივი განადგურების იარაღის კლასიფიკაცია და სტრატეგიული შეიარაღების მოდელები გვიჩვენებს თუ რამდენად საშიშ და მომაკვდინებელ შეიარაღებაზეა საუბარი.

შეიარაღების და მასობრივი განადგურების იარაღის კომპონენტების გავრცელებას „ცივი ომის“ პერიოდში მოჰყვა საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში რისკების, საფრთხეების და გამოწვევების ზრდა, რამაც კაცობრიობა ახალი გლობალური საფრთხეების წინაშე დააყენა. ბიპოლარულ სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა არსებული მსოფლიო წესრიგი, რომელმაც ცივი ომის დასრულების შემდგომ ტრანსფორმაცია განიცადა პოსტ-ბიპოლარულ ეპოქაში და ჩამოყალიბდა მრავალპორალური სისტემა. ცივი ომის დროს საერთაშორისო ურთიერთობათა ბიპოლარულმა ხასიათმა და სტრატეგიულმა ბირთვულმა პარიტეტმა დიდწილად შეცვალეს სამხედრო ძალების ფუნქციები და გამოყენების მექანიზმები. ძირითადი საკითხი მასობრივი განადგურების იარაღის შეზღუდვა და განიარაღება წარმოადგენდა და უმთავრეს ამოცანად იქცა პოტენციური აგრესიის შეკავება. ამან უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ორ დაპირისპირებულ სისტემას შორის სამხედრო შეტაკების შეკავებაში.

გლობალიზაციის პირობებში, მაშინ როცა მოხდა საერთაშორისო ტერორიზმის ევოლუცია, მასობრივი განადგურების იარაღის ტერორიზმი განსაკუთრებით საშიში გახდა. რთულია იმის განსაზღვრა თუ რა შედეგები შეიძლება მოყვეს მასობრივი განადგურების იარაღის უკანონო გავრცელებას და ტერორისტების ხელში მის აღმოჩენას საერთაშორისო უსაფრთხოებაში.

სწორედ აღნიშნული საფრთხეებისგან დაცვის მიზნით აუცილებელია ნატოს და საერთაშორისო ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართულობა არსებული რისკების და საფრთხეების აღსაკვეთად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული დამრტყმელი იარაღის და მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის პირობებში თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა ბევრად დაუცველია ისეთი რისკებისგან და საფრთხეებისგან, რაც აღნიშნული შეიარაღებისგან მომდინარეობს. საფრთხეების შემცირების, გამოვლენის, პრევენციის და მათზე რეაგირებისთვის საჭიროა აღნიშნული იარაღების მუდმივი შესწავლა და შეფასება. ასევე, ახალი რისკების, საფრთხეების და გამოწვევების ფონზე, აუცილებელია განხორციელდეს სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების პერიოდული განახლება.

გლობალური უსაფრთხოების კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვანია უსაფრთხოების სტაბილური გარემო იქნას შენარჩუნებული და მსოფლიოში არ განვითარდეს ახალი დაპირისპირების და კონფლიქტის კერები. ახალი ტექნოლოგიების განვითარებამ ბირთვულ უსაფრთხოებაში შექმნა ახალი გამოწვევები რამაც სრულიად შეცვალა უსაფრთხოების არქიტექტურა და გლობალურ მოთამაშებთან ერთად სხვა სახელმწიფოებსაც მოუწიათ ახალი უსაფრთხოების გარემოს გააზრება. აქ კი გარკვეულწილად მოხდა იმ რისკების განსაზღვრა თუ რა შეიძლება მოჰყვეს ბირთვული კონფლიქტის დაწყებას თუნდაც ეს არ იყოს ფართომასშტაბიანი და ლოკალური კონფლიქტის სახეს ატარებდეს. პოსტ-ბიპოლარული ომის სტრატეგიული მოდელირება რომელსაც ახდენენ ბირთვული სახელმწიფოები მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ბირთვული კონფლიქტი გამადანგურებ შედეგებს გამოიწვევს სრულიად გლობალური მსოფლიოსთვის. აქედან გამომდინარე უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ბირთვული შეკავების სტრატეგიას, რომელიც ემყარება ორ მთავარ პირობას: მოულოდნელი თავდასხმის შემდეგ საპასუხო ზომების მიღების, რაც გულისხმობს ღირსეული პასუხის გაცემას მოწინააღმდეგისათვის, როგორც დამსახურებული სანდოობა, შურისძიების

სურვილი უნდა განიხილებოდეს, როგორც შესაძლებლობა, თუმცა აუცილებელი არაა, როგორც მოცემულობა.

საკვლევი კითხვების პასუხად შეიძლება ითქვას ნატოს სტრატეგიული დამრტყმელი შიარალების ფაქტორი ევროატლანტიკური უსაფრთხოების კონტექსტში მნიშვნელოვან როლს თამაშებს და სტრატეგიულ დონეზე მიმდინარეობს ნატოს ბირთვული პოლიტიკის შემუშავება. სტრატეგიული დამრტყმელი შიარალების გაომყენების კონტორლი და გაუვრცელებლობის მამართულებით ნატო თავის პარტნიორებთან აქტიურად თანამშრომლობს. ზემოთ იაღნიშნულია მასობრი განადგურების იარაღის არსი, ტიპოლოგია და ძრითადი კომპონენტები. ევროატლანტიკური უსაფრთხოების კონტექსტში მას უდიდესი როლი გააჩნია საფრთხეებთან რეაგირების საქმეში, ნატო უდიდეს როლს უთმობს მასობრივი განადგურების იარაღისგან მომდინარე საფრთხეების და რისკები რეაგირების საქმეში. ევროატლანტიკური ალინსის მთავარ ამოცანას წარმოადგენს გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა სტრატეგიული დამრტყმელი შიარალების და მასობრივი განადგირების იარაღის გაუვრცელებლობის და გამოყენების არ დაშვების კონტექსტში. საკვლევს კითხვებზე პასუხის გაცემის, კვლევების, არსებული მონაცემების და მასალების ანალიზის შედეგად ჰიპოთეზა დასტურდება.

ცხადია, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი პროცესი და ახალი საერთაშორისო უსაფრთხოების პარამეტრების განმსაზღვრელი ფაქტორი იმყოფება ცვლილების სტადიაში. მათი ხვედრითი წილი გლობალურ საერთაშორისო ურთიერთობაში ერთნაირი არ არის და ამასთან ერთად იცვლება კიდევ. ერთდროულად მუშაობენ ტენდენციები ურთიერთთანამშრომლობისა და კონფლიქტურობის. უსაფრთხოების დილემამ საერთაშორისო სისტემის ახალი სახე ჩამოაყალიბა. უსაფრთხეების დილემის პირობებში, როცა ასიმეტრიული საფრთხეების პროგნოზირება და მათზე რეაგირება საკმაოდ რთულია საერთაშორისო სისტემა დაუცველი ხდება. მოცემული გამოწვევების ფონზე ნატოს როლი იზრდება, როგორც სამხედრო-

პოლიტიკური ორგანიზაციისა რომელიც სწორედ მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის საკითხზე მუშაობს. რათა ეს იარაღი არ აღმოჩნდეს ავტორიტარული რეჟიმების, ტერორისტების თუ არაკონტროლირებადი ძალების ხელში. საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვის საკითხი უფრო აქტუალური გახდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, თანამედროვე გამოწვევების ფონზე აღნიშნული საფრთხეები საჭიროებს ფართო შესწავლას.

ნაშრომში წარმოჩენილი მეცნიერული ხედვა და ანალიზი ხელს შეუწყობს მასობრივი განადგურების იარაღის და სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღების როლის მსოფლიო პოლიტიკაში უკეთ გაანალიზებას, მნიშვნელოვანია მათი შესწავლა საფრთხეების უკეთ წარმოსაჩენად, რაც საბოლოოდ სწორ კლასიფიკაციამდე მიგვიყვანს. მოცემული საკითხის უკეთ შესწავლა და გაანალიზება ხელს შეუწყობს მათგან მომდინარე საფრთხეების პრევენციას, რაც საკმაოდ აუცილებელი აღნიშნული შეიარაღების გამოყენების და გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

საერთო ჯამში ნაშრომის მიზნები და მოაცანებია, ხელი შეუწყოს, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე საერთაშორისო დონეზე მასობრივი განადგურების იარაღისგან და სტრატეგიული დამრტყმელი იარაღისგან მომდინარე საფრთხეებისადმი ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას. რაც მთვარია აღნიშნული საფრთხეების ინციდენტების მართვას ისეთი მიმართულებით, როგორცაა გამოვლენა, მზადყოფნა, პრევენცია და რეაგირება. მნიშვნელოვანია ბირთვული, ქიმიური, რადიაციული და ბიოლოგიური საფრთხეების შემცირების მიზნით სახელმწიფოებმა შეიმუშაონ სწორი ეროვნული სტრატეგიები, მიდგომები და გაითავისონ თუ რამდენად დიდ საფრთხეებთან აქვთ საქმე გლობალური მასშტაბით.

ახალი ასიმეტრიული საფრთხეების ფონზე აუცილებელია კრიტიკული ბირთვული ობიექტების დაცვის გამკაცრება, რადგან ტერორისტების მიზანს წარმოადგენს ბირთვული იარაღის მოპოვება და ბირთვული კომპონენტები, რაც უდიდეს ზანას მიაყენებს კაცობრიობას.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა სახელმწიფო ერთიანი უნდა იყოს და უნდა მოახდინონ ინფორმაციის გაცვლაც ტერორისტული აქტების თუ ტერორისტების გამოსავლენად. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პირობებში რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს ქვეყნების ანტისარაკეტო თავდაცვას.

თანამედროვე პერიოდში ნათლად შეიძლება ითქვას მსოფლიო იმყოფება ახალი „ცივი ომი“-ს პირობებში, რომელმაც შეიძლება ძალიან ცუდი სახე მიიღოს. ქვეყნები ანვითარებენ ანტისარაკეტო სისტემებს, მაგრამ ეს სისტემები ბოლომდე ვერ უზრუნველყოს ქვეყნების დაცვას სარაკეტო დარტყმებისაგან, მითუმეტეს მაშინ როდესაც შექმნილია ჰიპერბერითი რაკეტები და მიმდინარეობს მათი დახვეწა და მოდერნიზება. მსოფილოს საჭიროებს გააზრებას გლობალური უსაფრთხოების აუცილებლობის და ახალი სამშვიდობი ხელშეკრულებების დადებას, რომლებიც უნდა უპასუხოზდნენ თანამედროვეობის გამოწვევებს და იმ ცვლილებებს რაც მიმდინარეობს მსოფლიოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) ალექსიძე ლ. გიორგაძე ლ. კორკელია ვ. ქურდაძე ი. „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი: ლექსიკონი ცნობარი“, თბილისი 2005.
- 2) არონი რ. „მშვიდობა ომი ერებს შორის“, გამოცემა „მარსი“, თბილისი - 2009.
- 3) არტი რ. ჯერვისი რ. „საერთაშორისო პოლიტიკა: მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი - 2011.
- 4) გვენეტაძე ე. „საერთაშორისო უშიშროების ასპექტები“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბილისი -2017.
- 5) კოდუა ე., „სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი“, გამომცემლობა ლოგოს პრესი, თბილისი-2004.
- 6) მაცაბერიძე მ. „გეოპოლიტიკა: ჩამოყალიბება და განვითარება“, თბილისი - 2015.
- 7) მაღრაძე გ. მაისაია ვ. „21 საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონალური და გლობალური ასპექტები“, თბილისი- 2017.
- 8) მემძარიაშვილი ე., შუბლაძე თ., აბაშიძე ზ. [და სხვ.], „ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი“, თბილისი - 2017. <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/241702/1/KartuliSamxedroEnciklopediuriLeqsikoni.pdf>
- 9) სანიკიძე გ. კილურაძე ნ. „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები“, ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2001.
- 10) სახელმძღვანელო ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიოაქტიურ და ბირთვულ საფრთხეებთან დაკავშირებული ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის კონტროლის შესახებ ცნობიერების ამაღლებისათვის. თბილისი - 2020.
- 11) სოსო ცინცაძე „ბირთვული ერის რეალობანი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1987.
- 12) სენარკლენი პ.დ. არიფენი ი. „საერთაშორისო პოლიტიკა: თანამედროვე თეორიები დაამოცანები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა. თბილისი - 2014.
- 13) ვახტანგ მაისაია, ალიკა გუჩუა., „ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები („ისლამური სახალიფო“, „ალ-კაიდა“ და „თალიბანი“) - მეოთხე თაობის ომის სტრატეგია და მისი რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპექტები (2010-2019 წლები)“, გამომცემლობა „თბილისელები პრინტი“, თბილისი, 2020.

- 14) ჩიტაძე ნ. „გეოპოლიტიკა“, გამომცემლობა უნივერსალი. თბილისი - 2011.
- 15) ჩიტაძე ნ. „ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“, თბილისი -2008.
- 16) ჩიტაშვილი მ. „სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი“. თბილისი- 2004.
- 17) ჯენტელსონი ბ. „ამერიკის საგარეო პოლიტიკა: არჩევანის დინამიკა 21-ე საუკუნეში“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი - 2015.
- 18) Anthony C. Cain, ed., “Deterrence in the Twenty-First Century,” Proceedings. September 2010.
- 19) Nathan K. Finney, „On Strategy: A Primer“, Combat Studies Institute Press, Fort Leavenworth, Kansas, 2020.
- 20) Robert P. Ashley Jr., “Russian and Chinese Nuclear Modernization Trends”, remarks, Hudson Institute, 29 May 2019.
- 21) Roland Dannreuther “International Security: The Contemporary Agenda”, second edition, Polity Press, Cambridge, UK, 2013.
- 22) Hans M. Kristensen and Matt Korda, “Tactical Nuclear Weapons, 2019”, Bulletin of the Atomic Scientists 75, no. 5, 2019.
- 23) Tong Zhao, “Nuclear Weapon States and the Southeast Asia Nuclear, Weapon Free Zone,” Carnegie-Tsinghua Center for Global Policy, 2017.
- 24) Tomas Schober, Blazej Lippay and Pavel Necas “Contemporary Air Power: Significant Security Stakeholder?”, scientific monograph, Scientific Project “Takedown” and “Horizon 2020”, Ostrowiec Swietokrzyski, Poland, 2017.
- 25) David McDonough, “The Evolution of American Nuclear Strategy,” in Nuclear Superiority: The ‘New Triad’ and the Evolution of Nuclear Strategy. London: Routledge, 2006.
- 26) Donald M. Snow “National Security”, seventh edition, Routledge Taylor and Francis Group, New York, 2020.
- 27) John Wohlstetter, Herman Kahn: Public Nuclear Strategy 50 Years, Later (Washington, DC: Hudson Institute, 2010.
- 28) John Baylis, James J. Wirtz and Colin S. Gray “Strategy in the Contemporary World”, 5th edition, Oxford University Press, United Kingdom, 2016.
- 29) Toshi Yoshihara and James R. Holmes, “Thinking about Strategy in the Second Nuclear Age,” in Strategy in the Second Nuclear Age, Power, Ambition and the Ultimate Weapon, ed. Toshi Yoshihara and James R. Holmes. Washington, DC: Georgetown University Press, 2012
- 30) Schwarz A., „War Crimes in The Law of Armed Conflict and the Use of Force: The Max Planck Encyclopedia of Public International Law. Oxford University Press -2017.
- 31) Henry Sokolski, „Strategic Studies Institute and U.S. Army War College Press MOVING BEYOND PRETENSE: NUCLEAR POWER AND NONPROLIFERATION”, Editor June 2014.

- 32) Henry Sokolski "Fighting Proliferation: New Concerns for the Nineties", Air University Press, Maxwell Air Force Base Alabama, September 1996.
- 33) Kenneth Waltz, Man, the State, and War (New York: Columbia University Press, 1959.
- 34) Henry Kissinger, „Nuclear War and Foreign Policy“. New York: Harper & Brothers, 1957.
- 35) Cohen R. - Cooperative Security: New Horizons for International Order. 2001.
- 36) Hans M. Kristensen, „U.S. Nuclear Weapons in Europe A Review of Post-Cold War Policy, Force Levels, and War Planning“, Natural Resources Defense Council February 2005.
- 37) Colin S. Gray, „War, Peace and International Relations: An Introduction to Strategic History“, London and New York: Routledge, 2013.
- 38) Tom Nichols Douglas Stuart Jeffrey D. McCausland: TACTICAL NUCLEAR WEAPONS AND NATO - Editors , April 2012.
- 39) William Alberque, „The NPT and the Origins of Nato’s Nuclear Sharing Arrangements“, February 2017.
- 40) Eric Terzuolo, „NATO and Weapons of Mass Destruction, Regional alliance, global threats“, 2006.
- 41) Iliana P. Bravo, „NATO’S WEAPONS OF MASS DESTRUCTION INITIATIVE: ACHIEVEMENTS AND CHALLENGES“, Civilian, Department of the Navy B.A., University of California, Santa Barbara, 1998.
- 42) Sebastian Mayer, „NATO's post-Cold War politics : the changing provision of security“, Publication info: Basingstoke : Palgrave Macmillan, 2014.
- 43) Jeffrey Arthur Larsen, „NATO Counterproliferation Policy: A Case Study in Alliance Politics“, USAF Institute for National Security Studies, US Air Force Academy, 1997 – Europe.
- 44) Pierre de Senarclens et Yohan Ariffn „LA POLITIQUE INTERNATIONALE“ Théories et enjeux contemporains Cinquième edition - Armand Colin, Éditeur, 2008.
- 45) "Types of Chemical Weapons" (PDF). www.fas.org. Federation of American Scientists. Archived from the original (PDF) on 2016-03-03. Retrieved June 27, 2016.
- 46) Paul K. Kerr, „Nuclear, Biological, and Chemical Weapons and Missiles: Status and Trends“, 2008.
- 47) „U.S. Strategic Nuclear Forces: Background, Developments, and Issues“, Congressional Research Service. Updated January 3, 2020.
- 48) Eric A. Croddy, James J. Wirtz, Jeffrey A. Larsen, „Weapons of Mass Destruction“, 2004.
- 49) Rick McCormick, “Hackers made Iran’s Nuclear computers blast AC/DC” published in “Venture Beat Newsletters” on August 6, 2014.

- 50) Durkalec J., European security without the INF Treaty, "NATO Review", 2019.
- 51) Kimball D., The Intermediate-Range Nuclear Forces (INF) Treaty at a Glance, Arms Control Today, August 2019.
- 52) Kristensen H., The New START Treaty Keeps Nuclear Arsenals In Check And President Trump Must Act To Preserve It, "Forbes", 2019.
- 53) Arbatov A., A New Era of Arms Control: Myths, Realities and Options, "Carnegie Moscow Center", 2019.
- 54) Borrie J., Caughley T., Wan W., Understanding Nuclear Weapon Risks, "United Nations Institute for Disarmament Research", 2017.
- 55) Day J. A., A new era for nuclear deterrence? Modernisation, arms control, and allied nuclear process, "Defence and Security Committee, NATO Parliamentary Assembly" (DSC), 2019.
- 56) Tariq Rauf, Mary Beth Nikitin and Jenni Rissanen, "INVENTORY OF INTERNATIONAL NONPROLIFERATION ORGANIZATIONS AND REGIMES". Center for Nonproliferation Studies Monterey Institute of International Studies. 2000.
- 57) John Borrie, Tim Caughley , Wilfred Wan, „Understanding Nuclear Weapon Risks”, UNIDIR – 2017.
- 58) Jeffrey A. Larsen and Gregory J. Rattray "Arms Control Toward the 21st Century", Lynne Reinner Publishers Inc., Colorado, USA, 1996.
- 59) Steven Pifer, „NATO, NUCLEAR WEAPONS AND ARMS CONTROL"- Foreign Policy at BROOKINGS Arms Control Series Paper 7 • July 2011.
- 60) Rakibul Hasan, "Biological Weapons: covert threats to Global Health Security." Asian Journal of Multidisciplinary Studies (2014).
- 61) Frank G. Hoffman, „Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars”, Research Fellow, Center for Emerging Threats and Opportunities (CETO). December 2007.
- 62) Joseph A. Day "Ballistic Missile Defense and NATO", Special Report, NATO PA Assembly, Defence and Security Committee, Brussels, 2017;
- 63) "Strategic Concept" for the Defence and Security of The Members of the NATO Adopted by the Head of State and Government, Lisbon, 2010, retrieved from <https://www.nato.int/lisbon2010/strategic-concept-2010-eng.pdf>.
- 64) Guillemín, J. „Scientists and the history of biological weapons: A brief historical overview of the development of biological weapons in the twentieth century". EMBO Reports, (2006).
- 65) Kacper Rekawek „NATO at a Critical Crossroads", The Polish Quarterly Of International Affairs. Volume 25. No. I/2016.
- 66) Joseph A. DAY. „A NEW ERA FOR NUCLEAR DETERRENCE? MODERNISATION, ARMS CONTROL, AND ALLIED NUCLEAR FORCES", DEFENCE AND SECURITY COMMITTEE (DSC). Canada - 16 April 2019.

- 67) James Dobbins, Raphael S. Cohen, Nathan Chandler, Bryan Frederick, Edward Geist, Paul DeLuca, Forrest E. Morgan, Howard J. Shatz, and Brent Williams, „Overextending and Unbalancing Russia - ASSESSING THE IMPACT OF COST-IMPOSING OPTIONS“. RAND 2019.
